

სამართალი და მსოფლიო

საერთაშორისო სამეცნიერო
რეფერირებადი ჟურნალი

№4, 05/2016



INTERNATIONAL REFEREED
SCIENTIFIC JOURNAL

LAW and **the WORLD**

№4/ 2016

www.lawandworld.ge

სამართალი და მსოფლიო

ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტის საერთაშორისო
სამეცნიერო რეზერირებადი
ჟურნალი

LAW AND THE WORLD

INTERNATIONAL REFEREED
SCIENTIFIC JOURNAL OF THE LAW
SCIENTIFIC RESEARCH
INSTITUTE OF THE EUROPEAN
UNIVERSITY

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

The authors of the articles published in this journal are each solely responsible for the accuracy of their respective articles. Their respective views do not necessarily coincide with the views of the Editorial Board.

აკრძალულია გამოქვეყნებული მასალის გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნებისათვის.

Reproduction on distribution of the materials published in this journal for commercial purposes is prohibited.

მთავარი რედაქტორი:	ზურაბ ჭყონია
ტექნიკური რედაქტორი:	სოფიკო გელაშვილი
ქართული ტექსტის კორექტორი:	მანანა მანისურაძე
ინგლისური ტექსტის კორექტორი:	ანა მარჯანიძე
ყდის დიზაინი:	ლიზა ჯალაგონია
დაკაბადონება:	თამარ ქავჯარაძე

Chief Editor:	ZURAB CHKONIA
Technical Editor:	SOFIKO GELASHVILI
Proof-reader of Georgian text:	MANANA MAISURADZE
Proof-reader of English text:	ANA MARJANIDZE
Design:	LIZA JALAGONIA
Imposer:	TAMAR KAVZHARADZE

გამომცემლობა „დანი“
Publishing LTD „Dani“
ISSN 2346-7916

ამ ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე:
The online version of the journal is available on the website:



www.lawandworld.ge
E-mail: info@lawandworld.ge

სარედაქციო ხოლგია

ზურაბ ჭყონია

მთავარი რედაქტორი, ასისტენტი-პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის თავმჯდომარე, ევრო-პის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანაშრომელი

პატრიკ ტერი

კენტის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი და სამართლის მაგისტრი (ინგლისი), კელის საჯარო ადმინისტრაციის უნივერსიტეტის პროფესორი (გერმანია)

ჰანს იურგენ ზახორკა

ევროპული ინსტიტუტის ლიბერტას დირექტორი (გერმანია), ადვოკატი

როზ ვოუჰენსი

რიჩმონდის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ)

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰადრიხი

(გერმანია) სამართლის დოქტორი (ფრაიბურგი), იენის უნივერსიტეტის ლექტორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

ბია მუხარბიშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

მერაბ ტურავა

სამართლის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე

ზურაბ ნაჭყვია

სამართლის დოქტორი, ემერიტუსი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

გიორგი გორაკი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

როინ მიგრიაული

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

შალვა ღურდაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის გამგეობის წევრი

მერაბ გაბინაშვილი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბაკურ ლილუაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

ანა ჭიღიტაშვილი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მამუკა ანდგულაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი

ბაჩანა ჯიშკარიანი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ირმა მერეაშვილი

სამართალმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ლევან ჯაყელი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

EDITORIAL BOARD

ZURAB CHKONIA

Editor-in-Chief. Chairman of the Union of Law scientists, Assistant Professor, Scientist-employee at the Law Scientific Research Institute of the European University

PATRICK C. R. TERRY

Ph.D., a Master of Laws degree (both Kent, UK) and two German law degrees, Professor of law at the University of Public Administration in Kehl (Germany)

HANS JURGEN ZAHORKA

Director LIBERTAS – European Institute GmbH (Germany), Attorney

ROB HAWKINS

Professor of University of Richmond (USA)

KETEWAN MTSCHEDLISCHWILI-HÄDRICH

(Germany) Doctor of Law (Freiburg), Lecturer of University of Jena, a member of the Union of Law Scientists

GEORGE GORADZE

Doctor of Law. Associate Professor

GIA MEPARISHVILI

Doctor of Law, Professor, a member of the Union of Law Scientists

MERAB TURAVA

Doctor of Law, Professor. Judge of the Constitutional Court of Georgia

GURAM NACHKEBIA

Doctor of Law, emeritus, Academician of the Academy of Sciences of Georgia, a member of the Union of Law Scientists

ROIN MIGRIAULI

Doctor of Law, Associate Professor, a member of the Union of Law Scientists

SHALVA QURDADZE

Doctor of Law, Professor, a member of the board of the Union of Law Scientists

MERAB GABINASHVILI

Judge of Appeal Court, member of High Council of Georgia

BAKUR LILUASHVILI

Doctor of Law, Professor, a member of the Union of Law Scientists

ANA CHIGITASHVILI

Doctor of Law, Associate Professor

MAMUKA ANDGULADZE

Doctor of Law, Professor

BACHANA JISHKARIANI

Doctor of Law, Associate Professor

IRMA MEREBASHVILI

Doctor of Law, Professor

LEVAN JAKELI

Doctor of Law, Associate Professor

სარჩევი Contents

- 10** თრანსნაციონალური კორპორაციები და ადამიანის უფლებები
 გიორგი ხატიძე
 TRANSNATIONAL CORPORATIONS AND HUMAN RIGHTS
 George Khatidze
- 34** საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის ზოგიერთი ლოგიკური
 პრობლემა
 გიორგი თოდრია
 SOME LOGICAL PROBLEMS OF THE CRIMINAL JUSTICE
 SYSTEM IN GEORGIA
 George Todria
- 46** დაზარალებულის ბარდასვალებისას ზიანის ანაზღაურების
 პრობლემა
 მიხეილ ზიჭია
 THE PROBLEM OF COMPENSATING THE DAMAGE IN
 CASE THE DEATH OF VICTIM OCCURS
 Michael Bichia
- 59** საერთაშორისო სავაჭრო ბარიერების სამართლებრივი ბუნება,
 როგორც დოკუმენტური აკრედიტივის წარმოშობის საფუძველი
 გიორგი ამილახვარი
 LEGAL NATURE OF INTERNATIONAL TRADE TRANS ACTIONS
 AS A BASIS FOR THE PAYMENT WITH A LETTER OF CREDIT
 Giorgi Amilakhvari
- 73** მომეტეხული თექნიკური საფრთხის შემთხვევაში საწარმოებში
 დასაქმებულთა შრომის დასაცავისა და უსაფრთხოების სამართლებრივი
 საკითხები
 დავით ომსარაშვილი
 გიორგი თუმანიშვილი
 LEGAL ISSUES ON LABOR PROTECTION AND SAFETY
 OF EMPLOYEES AT ENTERPRISES WITH INCREASED
 TECHNICAL HAZARD
 Davit Omsarashvili
 George G. Tumanishvili

სარჩევი Contents

- 89** დანაშაულის პროვოკაციის შეზღუდვა
პაპუნა გურული
CORPUS DELICTI OF ENTRAPMENT
Papuna Guruli
- 107** სასამართლო ექსპერტიზის საკანონმდებლო პრობლემები
გურამ როსტიაშვილი
დავით ხომერიკი
ვანო ბოლქვაძე
LEGISLATIVE PROBLEM OF FORENSIC EXAMINATION
Guram Rostiashvili
Davit Khomeriki
Vano Bolqvadze
- 117** დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლები სააქციო
საზოგადოებაში
დავით დოლიძე
LIMITS OF DIRECTOR'S INDEPENDENCE IN A JOINT
STOCK COMPANY
David Dolidze
- 128** წამება როგორც დანაშაული და სასჯელი როგორც სახელმწიფოს
ლეგიტიმური ზეწოლის მექანიზმი
(ინიცირებული პროექტის მიმოხილვა)
თამარ გვასალია
TORTURE AS A CRIME AND PENALTY AS STATE'S LEGITI
MATE PRESSURE MECHANISM (Review of initiated draft law)
Tamar Gvasalia
- 135** მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში
ნინო ხარიტონაშვილი
THE SIGNIFICANCE OF INTERVENTION IN THE CIVIL
PROCEDURE
Nino Kharitonashvili

კონფერენციის შრომები

- 148** სამართლის ნორმაშეფარდებისა და მისი მეთოდების პრობლემა გურამ ნაჭყებია
APPLYING THE LEGAL NORM AND THE PROBLEM OF ITS METHODS
Guram Nachkebia
- 160** სიამის ძყუკებთან დაკავშირებული საკითხები თანამედროვე ქართულ სამართალში გიორგი გ. თუმანიშვილი
ISSUES ON SIAMESE TWINS IN THE MODERN GEORGIAN LAW
George G. Tumanishvili
- 172** გამოძიების პროცესში პირის მოწმის სახით დაკითხვის პრობლემითური მხარეები და მისი სამართლებრივი შედეგები თამარ ლალიაშვილი
PROBLEMATIC SIDES OF THE WITNESS QUESTIONING DURING THE INVESTIGATION PROCESS AND ITS LEGAL OUTCOMES
Tamar Ialiashvili
- 183** ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ანა ჭილიტაშვილი
OPERATIVE-INVESTIGATIVE ACTIVITY AND JUVENILE JUSTICE
Anna Chighitashvili
- 192** ბრალდებულის ემედებისათვის მათერიალურად კასუისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ეონებაზე ყადაღის დადების სამართლებრივი საფუძვლები (შედარებითი ანალიზი) ჰაატა კუმლაშვილი

LEGAL BASIS FOR THE PROPERTY SEIZURE OF A PERSON
IN CHARGE FOR THE DEFENDANT ACTION AND/OR PERSON
CONNECTED THERETO (Comparative analysis)

Paata Kublashvili

201

არანსრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი -
დასჯის თუ აღზრდის სამართალი?!

ელენე კავთუაშვილი

JUVENILE JUSTICE CODE - LAW ON PUNISHMENT OR UP
BRINGING?!

Elene Kavtuashvili

212

დანაშაულობა და დანაშაულობის კონტროლი საქართველოში
მიხეილ გაბუნია

შამილ ძამუკაშვილი

CRIMONOLOGY, LAW, PREVENTION CRIMINALITY AND CRIMINALITY
CONTROL IN GEORGIA

Mikheil Gabunia

Shamil Dzamukashvili

216

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს სისხლის
სამართლის კანონმდებლობით

ანა გურიელი

RIGHTS OF A VICTIM IN CRIMINAL PROCEEDINGS ACCORDING TO
THE GEORGIAN LEGISLATION

Ana Gurieli

226

მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი ფაქტორები
გარემოებების კვალიფიკაციის ძირითადი ასპექტები

თათია დოლიძე

MAIN ISSUES ABOUT QUALIFICATION CIRCUMSTANCES EXCLUDING
CRIMINAL RESPONSIBILITY

Tatia Dolidze

რედაქტორის სკები

მოგესალმებით,
კათივხეაშულო
კოლეგებო

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „საპართალი და მსოფლიო“ გახლავთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა. ჟურნალის მისიას წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე მაღალი სამეცნიერო სტატუსისა და ავტორიტეტის მოპოვება. ამისათვის, კი აუცილებელია საქართველოს სამართლის მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაცია, რაც, დამეთანხმებით, ჩვენი ქვეყნის იურიდიული სფეროს მეცნიერთა და ზოგადად სამართლის მეცნიერების განვითარებასა და ქვეყნის დემოკრატიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

დღეისათვის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაციის მიღწევის ერთ-ერთი გზა გახლავთ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების (Thomson Reuters (აშშ); Web of Science (WoS); Scopus) სიაში მოხვედრა. ამ ეტაპზე ვმუშაობთ Scopus-ს ბაზაში ჩვენი ჟურნალის მოსახვედრად, რაც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ რთული პროცესია. დღემდე საქართველოდან აღნიშნულ ბაზაში შესულია მხოლოდ სამედიცინო ჟურნალი Georgian Medical News (ISSN 1512-0112) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი „მოამბე“ (ISSN 0132-1447) ცალკეული სამეცნიერო პუბლიკაციებით.

მიუხედავად პირველი ნომრის გამოცემიდან მცირე დროის გასვლისა, ჟურნალი „საპართალი და მსოფლიო“ ღირსეულად აღიღეს იმკვიდრებს სამეცნიერო საზოგადოებაში. სამივე წინა გამოცემულ ნომერში გამოქვეყნდა სამართლის დარგის საყოველთაოდ აღიარებულ მეცნი-

EDITOR'S COLUMN

GREETINGS
TO MY DEAR
COLLEAGUES

The international scientific journal “Law and the World” represents a publication of the scientific research institute at the European Teaching University. The mission of the journal is to obtain high scientific status and reputation on International level. For this reason it is necessary for Georgia to be integrated into the International legal scientific society, that will definitely develop the area of law in the country, as well as develop the law science in general and facilitate the democratic development of the country.

Nowadays one of the ways to integrate into the international legal scientific society is to be included in the international scientific database approved by the world’s scientific society (Thomson Reuters (USA)); Web of science (WoS); Scopus) At this stage we are working on the insertion of our journal into the database of Scopus, and it shall be noted that it is quite a complicated process. Up till now only the medical journal - Medical News (ISSN 1512-0112) and particular publications of the journal of the Georgian National Scientific Academy “Moambe” (ISSN 0132-1447) have been included in the abovementioned database from Georgia.

Besides that, it is not a long time since the first number of the journal was published, the journal “Law and the World” holds honorable place in the scientific society. In the preceding three publications of the journal the works of leading scholars in the area of law, practitioner lawyers and foreign authors related to the actual issues of law were published. The second publication of the journal was completely dedicated to the international scientif-

ერთა და პრაქტიკოსი ქართველი და უცხოელი ავტორების შრომები სამართლის აქტუალურ თემებზე. ჟურნალის მეორე გამოცემა სრულად მიეძღვნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები და მათი დაძლევის გზები“, რომელიც ჩატარდა ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის და სამართლის მეცნიერთა კავშირის ორგანიზებით 2015 წლის 19 ივნისს.

ჟურნალის წინამდებარე ნომრის მეორე ნაწილში ქვეყნდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. აღნიშნული კონფერენცია გაიმართა ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსში ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით 2016 წლის 14 აპრილს, თემაზე: „სისხლის სამართლის მეცნიერების თანამედროვე ტენდენციები“. კონფერენციას ესწრებოდნენ სამართლის დარგში აღიარებული პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. სტუმრების წინაშე წარსდგა ევროპის უნივერსიტეტში სპეციალური მონვევით მყოფი აშშ-ს ფლორიდას შტატის მოსამართლე მარკ სპეისერი. მან თავისი 33-წლიანი ამერიკული სამოსამართლო გამოცდილება გაუზიარა ქართველ კოლეგებს. ბატონი მარკ სპეისერის კონფერენციის მოხსენება დაიბეჭდება ჟურნალის შემდეგ ნომერში.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის ევროპის უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ლაშა კანდელაკიშვილს განუელი ფინანსური დახმარებისათვის და სამეცნიერო საქმიანობაში უდიდესი წვლილის შეტანისათვის.

პატივისცემით,
 ჟურნალის მთავარი რედაქტორი
 ზურაბ შქონია

ic conference “Actual problems in the area of justice and means to cope with them”, which was organised by the European Teaching University and the Union of law scientists on June 19, 2015.

In the second part of the current publication of the journal the materials of international scientific conference will be published. The noted conference was held at European Teaching University and was organised by the legal scientific research institute of the European University on April 14 of 2016, the topic of the conference was - “Modern tendencies of the criminal law science”. Professors, representatives of judiciary and executive government were present at the conference. The special guest of the European University, the judge of the state Florida USA Mr. Mark Speiser made a presentation for the audience. He shared his 33 year experience of being a judge in the american legal system to Georgian colleagues. The speech of Mr. Speiser delivered at the conference was later published in the following number of the journal.

The editorial committee of the journal expresses its gratitude towards the rector of the European Teaching University Mr. Lasha Kandelakishvili for the financial support and the intense participation in scientific activities.

Sincerely,
 Editor of the journal
 ZURAB CHKONIA

ტრანსნაციონალური კორპორაციები და ადამიანის უფლებები

გიორგი ხატიძე

ასისტენტ-პროფესორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სამართლისა და პოლიტიკის სკოლა, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

საკვანძო სიტყვები: კორპორაციები, უფლებები, ურთიერთდაკვეთა

ტრანსნაციონალური კორპორაციების დახასიათება

ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ მსხვილ და ფინანსურად ძლიერ საწარმოებს,¹ რომლებიც ბიზნეს-საქმიანობას ახორციელებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.² ტრანსნაციონალური კორპორაციები შესაძლებელია დაუახასიათოთ, როგორც ისეთი საწარმოები, რომელთაც „სათავო ოფისი გააჩნიათ ერთ სახელმწიფოში, ხოლო ფილიალები, შვილობილი კომპანიები და წარმომადგენლობები მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში“.³

1 UNCTAD., 2007., The Universe of the Largest Transnational Corporations, UNCTAD/ITE/IIA/2007/2, United Nations Publication, Sales No. E.07.II.D.6, გვ. 3-5, ხელმისაწვდომია: http://unctad.org/en/Docs/iteiia20072_en.pdf; ასევე იხილეთ: Anderson S., Cavanagh J., 2000., Top 200, The Rise of Corporate Global Power, Institute of Policy Studies, გვ. 3, ხელმისაწვდომია: <http://www.rrojasdatabank.info/top200.pdf>

2 UNCTAD., Transnational Corporations (TNC), ხელმისაწვდომია: [http://unctad.org/en/Pages/DIAE/Transnational-corporations-\(TNC\).aspx](http://unctad.org/en/Pages/DIAE/Transnational-corporations-(TNC).aspx)

3 National Parliamentary Library of Georgia, Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტრანსნაციონალური კორპორაცია, ხელმისაწვდომია: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7096>; ასევე იხილეთ: Brewer T., Young S., 2000., The Multilateral Investment System and Multinational Enterprises, Oxford University Press, გვ. 11-13.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა მასპინძელ ქვეყნებში მოიცავს მრავალ მიმართულებას, რომელთა შორისაა სასარგებლო წიაღისეულის და მინერალური რესურსის მოპოვება,⁴ ინფრასტრუქტურული პროექტები,⁵ ტელეკომუნიკაციები,⁶ საქონლის წარმოება და სხვა.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, როგორც საერთაშორისო ბიზნესის წამყვან მოთამაშეებს,⁷ უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლიათ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაში, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში და სამუშაო ადგილების შექმნაში.⁸

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა მასპინძელ ქვეყნებში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ხასიათდება არა მხოლოდ დადებითი ეფექტებით,⁹ არამედ, ამადროულად, მოიცავს გარკვეულ ნეგატიურ მახასიათებლებსაც, რომელთა შორისაა დასაქმებულთა უფლებების დარღვევა, დასაქმებულთათვის არაჯანსაღი და არახელსაყრელი სამუშაო პირობები, მინიმალური ანაზღაურება, ბავშვთა შრო-

მის გამოყენება,¹⁰ იძულებითი შრომა,¹¹ ქალთა შრომითი უფლებების დარღვევა, არადეკვატური ანაზღაურება და გაუსაძლისი შრომითი პირობები.¹²

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში იკვეთება სურათი ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ადამიანის უფლებათა ურთიერთგადაკვეთის შესახებ, რაც აღნიშნული ურთიერთგადაკვეთისა და მისი შედეგების სამართლებრივ ანალიზს მოითხოვს. ამ სტატიის მიზნებისთვის, ურთიერთგადაკვეთაში სწორედ იმ შემთხვევებს ვგულისხმობთ, როდესაც ტრანსნაციონალურ კორპორაციათა პირდაპირი თუ არაპირდაპირი ქმედებებით ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევებს.

ტრანსნაციონალური კორპორაციების და ადამიანის უფლებათა ურთიერთგადაკვეთა

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ განხორციელებული არაერთი ქმედება იქნა მიჩნეული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით აღიარებული ადამიანის უფლებების შელახვად და უგულვებელყოფად.¹³ რა შეფასება შეიძლება მიეცეს

4 Banks G., Activities of TNCs in Extractive Industries in Asia and the Pacific: Implications for Development, იხილეთ: UNCTAD., 2009., Transnational Corporations, 18 (1), ISBN 978-92-1-112779-9, ISSN 1014-9562, გვ. 43, ხელმისაწვდომია: http://unctad.org/en/Docs/dia-ia20097_en.pdf

5 Miroux A., 2008., Transnational Corporations and the Infrastructure Challenge – An African Perspective, NEPAD-OECD Africa Investment Initiative, High-Level Meeting/Expert Roundtable, Kampala, Uganda, გვ. 5, ხელმისაწვდომია: <http://www.oecd.org/investment/investmentfordevelopment/41881230.pdf>

6 Kuzel M., The World's Largest Transnational Corporations and Their Affiliates in Poland (Against the Background of FDI in Central and Eastern Europe), გვ. 10, ხელმისაწვდომია: http://www.skolar.umk.pl/pdf/Kuzel_2004_2.pdf

7 Hunya G., 2012., The Role of Multinational Companies in International Business Integration, The Vienna Institute for International Economic Studies, Research Report 384, გვ. 15, ხელმისაწვდომია: www.wiiw.ac.at/modPubl/download.php?publ=RR384

8 Zaidi H., The Role of Multinational Corporations in Developing Countries, Business & Finance Review, ხელმისაწვდომია: <http://jang.com.pk/thenews/jan2011-weekly/busrev-31-01-2011/p11.htm>

9 მაგალითად, ახალი საწარმოო ტექნოლოგიების დანერგვა, სამუშაო ადგილების შექმნა, მასპინძელ ქვეყნებში გადასახადების გადახდა; Zaidi, იხილეთ 8.

10 Dipak Basu., 2000., Child Labor and Child Slaves, ხელმისაწვდომია: <http://www.wsws.org/en/articles/2000/01/chld-j07.html>

11 იხილეთ: EarthRights International, Press Release, New Reports Link Total and Chevron to Forced Labor and Killings in Burma, Despite Flower Impact Assessments, გვ. 1-2, ხელმისაწვდომია: <http://www.earthrights.org/sites/default/files/documents/press-release-total-impact-getting-it-wrong.pdf>; ასევე იხილეთ: OECD., 2002., Multinational Enterprises in Situations of Violent Conflict and Widespread Human Rights Abuses, Directorate for Financial, Fiscal and Enterprise Affairs, Working Paper on International Investment, No.2002/1, გვ. 5; 25; 30, ხელმისაწვდომია: http://www.oecd.org/countries/myanmar/WP-2002_1.pdf

12 Kim Jo., Gender and Transnational Corporations (TNCs), Wellesley Centers for Woman, ხელმისაწვდომია: <http://www.wcwoonline.org/Archived-Projects/gender-and-transnational-corporations-tncs>

13 International Labor Rights Forum., 2005., Dignity and

ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ მასპინძელ ქვეყნებში განხორციელებულ ისეთ ქმედებებს, როგორცაა დასაქმებულთა უფლებების დარღვევა და დასაქმებულთა დისკრიმინაცია;¹⁴ ნავთობის მოპოვების პროცესში, ტოქსიკური ე.წ. „ნარმოქმნილი წყლის“¹⁵ გაშვება წყალში, რომელიც საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის იქნა მოხმარებული, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის ისეთ დაზიანებებს, როგორცაა კანის და სხვადასხვა მძიმე დაავადებები;¹⁶ ბავშვთა შრომის გამოყენება მაშინ, როდესაც ათასობით ბავშვი, დღე-ღამეში ათი ან ცამეტი საათის განმავლობაში მუშაობს და მათი ანაზღაურება საათში ორმოც ევროცენტზე დაბალია.¹⁷ ეს ბავშვები ვერ ღებულობენ განათლებას და შესაბამისი სამუშაოს შესრულებისას შეხება აქვთ ჯანმრთელობისათვის საშიშ პესტიციდებთან.¹⁸

Justice for Workers Worldwide, The 14 Worst Corporate Evildoers, ხელმისაწვდომია: <http://www.laborrights.org/creating-a-sweatfree-world/ethical-consumerism/news/11434>

- 14 აღნიშნული შემთხვევა, როგორც ეს საჯაროდ იქნა გაცხადებულ, ეხება კომპანია „კოკა-კოლა“-ს; The 14 Worst Corporate Evildoers, იხილეთ 13, ასევე აღსანიშნავია, რომ 2000 წელს აშშ-ში დასაქმებულმა 2000 აფროამერიკელმა უჩივლა აღნიშნულ კომპანიას იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა კომპანიის მიერ დასაქმებულთა რასობრივ დისკრიმინაციას ანაზღაურებასთან მიმართებაში, იხილეთ: Motisla Malika Abdallah, Gregory Allen Clark, Linds Ingram, and Kimberly Gray Orton Individually and a Class Representatives (Plaintiffs) v. The Coca-Cola Company (Defendant), Civil Action No. 1-98-CV-3679 (RWS), Complaint – Class Action, United States District Court, Northern District of Georgia, ხელმისაწვდომია: <http://www.essentialaction.org/spotlight/coke/complaint.html>
- 15 ტრანსნაციონალური ენერჯოკორპორაცია „Chevron“-ის მაგალითი; იხილეთ: ChevronToxico, The Campaign for Justice in Ecuador, Produced Water, ხელმისაწვდომია: <http://chevrontoxico.com/about/environmental-impacts/produced-water>
- 16 ტრანსნაციონალური ენერჯოკორპორაცია „Chevron“-ის მაგალითი; The 14 Worst Corporate Evildoers, იხილეთ 13.
- 17 სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიური ტრანსნაციონალური კომპანია „Monsanto“-ს მაგალითი, იხილეთ: Monsanto, Unilever Use Child Labor in India, ხელმისაწვდომია: <http://www.indianet.nl/a030514.html>; ასევე იხილეთ: Venkateswarlu D., Child Labour and Trans-National Seed Companies in Hybrid Cottonseed Production in Andhra Pradesh, Study commissioned by India Committee of Netherlands [ICN], the Netherlands, ხელმისაწვდომია: <http://www.indianet.nl/cot-seed.html>
- 18 Monsanto., Unilever Use Child Labor in India, იხილეთ 17.

ცხადია, ზემოაღნიშნული და ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მიერ განხორციელებული ასევე სხვა მრავალი ქმედება,¹⁹ წარმოადგენს ამ კორპორაციების მიერ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით აღიარებული ადამიანის უფლებების შელახვასა და უგულვებელყოფას.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მეტი სიცხადე შევიტანოთ, თუ ადამიანის რომელი უფლებების შელახვასა და უგულვებელყოფას აქვს ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ძირითადად, საუბარია ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებზე, რომელთა „ფართო ერთობლიობა“²⁰ გთვალისწინებელია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.²¹ აღნიშნული პაქტით აღიარებულია რიგი უფლებები, მათ შორის, ცხოვრების სათანადო დონის უფლება,²² შრომის უფლება და უფლებები მუშაობისას,²³ განათლების უფლება,²⁴ და სხვა უფლებები.

ადამიანის უფლებები, იქნება ეს სამოქალაქო და პოლიტიკური, თუ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, წარმოადგენენ უნივერსალურ, განუყოფელ და ურთიერთდამოკიდებულ უფლებებს.²⁵

- 19 Özden M., 2005., Transnational Corporations and Human Rights, What is at stake in the United Nations debate over the Norms and the Responsibilities of Transnational Corporations and other Business Enterprises with regard to Human Rights, Part of a series of the Human Rights Programme of the Europe-Third World Centre (CETIM), გვ. 11-18, ხელმისაწვდომია: <http://www.cetim.ch/en/documents/br02-stn-an.pdf>
- 20 ეიდე ა., ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები – ადამიანის უფლებათა შემადგენელი ნაწილი, ხელმისაწვდომია: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00--off-0samartal--00-1--0-10-0--0-0--0prompt-10--.%2e-4---4---0-0l--11-ka-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.1.2>
- 21 International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966, entry into force 3 January 1976, in accordance with article 27, ხელმისაწვდომია: <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CESCR.aspx>, ასევე, ეიდე, იხილეთ 20.
- 22 მუხლი 11 (1)
- 23 მუხლი 6 (1), (2); მუხლი 7; ასევე მუხლი 8 (1); (2); (3)
- 24 მუხლი 13 (1), (2), (3), (4)
- 25 United Nations Human Rights., Office of the High Commissioner for Human Rights., What are Human Rights? ხელმისაწვდომია: <http://www.ohchr.org/EN/Issues/>

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა იმოქმედონ იმგვარად, რომ დაცული იქნეს ინდივიდთა ფუნდამენტური თავისუფლებები და ადამიანის უფლებები.²⁶ ხოლო რაც შეეხება ბიზნესს, რომლის განმახორციელებელ მთავარ სუბიექტად კომპანიები და სხვა მსხვილი კორპორაციები უნდა მივიჩნიოთ, ერთერთი მოსაზრების თანახმად მათი ერთადერთი მოვალეობა და პასუხისმგებლობა „მათი რესურსის იმგვარად გამოყენება და ისეთ მოქმედებათა შესრულებაა, რომელიც გაზრდის მათ მოგებას“.²⁷

ზოგადად ბიზნესთან და მათ შორის კორპორაციებთან მიმართებით, გემო-აღნიშნული მოსაზრება შესაძლებელია მართებულად მივიჩნიოთ მხედველობაში თუ არ მივიღებთ კორპორაციათა მზარდ ძალაუფლებასა და ძალიან ხშირად, მათ პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას მასპინძელი ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოზე.

სწორედ აღნიშნული გავლენა და კორპორაციების, განსაკუთრებით ტრანსნაციონალური კორპორაციების, როგორც საერთაშორისო ბიზნესის წამყვანი მოთამაშეების²⁸ და ადამიანის უფლებათა ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ურთიერთგადაკვეთა განაპირობებს აქტიურ დებატებს ამ კორპორაციების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.²⁹

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მოსაზრების თანახმად ბიზნესი უმთავრესად ორიენტირებულია მოგების მიღებაზე, ბიზნეს საქმიანობის გავლენა საზოგადოებაზე აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში

მიღებული³⁰ იქიდან გამომდინარე, რომ „ბიზნესი და საზოგადოება საკმაოდ მჭიდროდ და დინამიურად არიან ურთიერთდაკავშირებულნი“.³¹ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა და ზოგადად ბიზნეს საქმიანობა არ მიმდინარეობს „ჩაკეტილ სივრცეში“, ბიზნესი და საზოგადოება საკმაოდ აქტიურად ურთიერთქმედებენ ერთიმეორეზე.³²

მიუხედავად იმისა, რომ უცხო კაპიტალის შედინებამ მასპინძელ ქვეყანაში, დიდი ალბათობით, შესაძლებელია ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას,³³ ეკონომიკური წინსვლა, თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში, არ განაპირობებს მასპინძელ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მაჩვენებლების ზრდას.³⁴

ეკონომიკური გლობალიზაციის, მისი თანმდევი შედეგებისა და შესაბამისი რეალობების გათვალისწინებით, შესაძლებელია განვაცხადოთ, რომ მძლავრი ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეებზე, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, საჭიროებს იმას, რომ აღნიშნული ურთიერთქმედებისას მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდეს ადამიანის უფლებების როგორც დაცვაზე ისე შესაბამის პასუხისმგებლობაზე მათი დარღვევებისას. აღნიშნული კი შესაბამისი მოქნილი და ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების არსებობას მოითხოვს.

[Pages/WhatareHumanRights.aspx](#)

26 What are Human Rights? იხილეთ 25.

27 აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, იხილეთ მილტონ ფრიდმანის მოსაზრება, The New York Times Magazine, September 13, 1970, The Social Responsibility of Business is to Increase Its Profits, ხელმისაწვდომია: <http://www.colorado.edu/studentgroups/libertarians/issues/friedman-soc-resp-business.html>

28 Hunya, იხილეთ 7.

29 United Nations., Office of the High Commissioner for Human Rights., Business and Human Rights, ხელმისაწვდომია: <http://www.ohchr.org/EN/Issues/Business/Pages/BusinessIndex.aspx>

30 United Nations., 2009., Creating Business and Social Value: The Asian Way to Integrate CSR into Business Strategies, Studies in Trade and Investment 68, Economic and Social Commission for Asia and the Pacific, United Nations Publication, Sales No. E.10.II.F.18, ISBN: 978-92-1-120616-6, ISSN: 1020-3516, ST/ESCAP/2565, გვ. 1, ხელმისაწვდომია: <https://www.mysciencework.com/publication/read/1772878/creating-business-and-social-value-the-asian-way-to-integrate-csr-into-business-strategies#page-null>

31 Creating Business and Social Value: The Asian Way to Integrate CSR into Business Strategies, იხილეთ 30.

32 Creating Business and Social Value: The Asian Way to Integrate CSR into Business Strategies, იხილეთ 30.

33 Gheeraert L., Mansour J., 2005., On the Impact of Private Capital Flows on Economic Growth and Development, CEB Working Paper No. 05/003, Solvay Business School, Center Emile Bernheim, Research Institute in Management Sciences, გვ. 29, ხელმისაწვდომია: <https://dipot.ulb.ac.be/dspace/bitstream/2013/14597/1/rou-0207.pdf>

34 United Nations., Office of the High Commissioner for Human Rights., Human Rights, Trade and Investment, ხელმისაწვდომია: <http://www.ohchr.org/EN/Issues/Globalization/Pages/GlobalizationIndex.aspx>

ტრანსნაციონალური კორპორაციების სამართლებრივი რეგულირება და მისი ნაკლოვანებები

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მოვალეობები არ შეესაბამება იმ უფლებებს, რითაც ისინი სარგებლობენ მასპინძელ ქვეყნებში.³⁵ მარტივი დაკვირვებით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ტრანსნაციონალურ დონეზე ბიზნესის წარმოებასა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის იდეალური ბალანსის შექმნის მიზნით საუკეთესო შედეგს ვღებულობთ მაშინ, როდესაც ტრანსნაციონალურ კორპორაციებს მოქნილი და ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების საფუძველზე გააჩნიათ პირდაპირი მოვალეობა ადამიანის უფლებათა დაცვაზე და ასევე აკისრიათ შესაბამისი პასუხისმგებლობა ამ უფლებების დარღვევებზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არა ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, არამედ სწორედ სახელმწიფოებს აკისრიათ შესაბამისი ძირითადი ვალდებულებები.³⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა თავად უნდა შეიტანონ შესაბამისი ნვლილი თავიანთ ტერიტორიებზე ტრანსნაციონალურ კორპორაციათა საქმიანობის რეგულირებაში,³⁷ რაც გარკვეულწილად ადამიანის უფლებებთან მიმართებით აღნიშნული კორპორაციების არაპირდაპირ რეგულირებას გულისხმობს.

პრემბულა გაეროს ნორმებისა ტრანსნაციონალური კორპორაციების და სხვა ბიზნეს კომპანიების პასუხისმგებლობის შესახებ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ ძირითადი ვალდებულება ადამიანის უფლებების

დაცვასთან დაკავშირებით, ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა ასევე ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული ადამიანის უფლებების რეალიზებას.³⁸ რაც შეეხება აღნიშნული ნორმების იმ ნაწილით, რომელიც მოვალეობებს შეეხება, უპირატესობა და ძირითადი ვალდებულება ადამიანის უფლებების დაცვაზე, სწორედ სახელმწიფოებს აქვთ მინიჭებული.³⁹

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ძირითად პლანზე სწორედ სახელმწიფოა წამოწეული, ხშირად ქვეყნებს პრაქტიკულად ვერ შესწევთ უნარი, უზრუნველყონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ტრანსნაციონალური კორპორაციების მიმართ ადეკვატური ღონისძიებების გატარება და შესაბამისი პოლიტიკის წარმოება.⁴⁰ ადამიანის უფლებათა შელახვის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს სუსტ მმართველობას, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას და კორუფციის მაღალ დონეს.⁴¹

35 Deva S., 2003., Human Rights Violations by Multinational Corporations and International Law: Where from Here?, Connecticut Journal of International Law, (19), გვ. 31, ხელმისაწვდომია: http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=637665

36 Muchlinski P., 2007., Multinational Enterprises and the Law, Oxford University Press, გვ. 518.

37 Deva, იხილეთ 35.

38 „Recognizing that even though States have the primary responsibility to promote, secure the fulfilment of, respect, ensure respect of and protect human rights, transnational corporations and other business enterprises, as organs of society, are also responsible for promoting and securing the human rights set forth in the Universal Declaration of Human Rights“, იხილეთ: UN., 2003., Norms on the Responsibilities of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights, U.N. Doc. E/CN.4/Sub.2/2003/12/Rev.2, ხელმისაწვდომია: <http://www1.umn.edu/humanrts/links/norms-Aug2003.html>

39 „States have the primary responsibility to promote, secure the fulfilment of, respect, ensure respect of and protect human rights recognized in international as well as national law, including ensuring that transnational corporations and other business enterprises respect human rights. Within their respective spheres of activity and influence, transnational corporations and other business enterprises have the obligation to promote, secure the fulfilment of, respect, ensure respect of and protect human rights recognized in international as well as national law, including the rights and interests of indigenous peoples and other vulnerable groups“, Norms on the Responsibilities of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights, 38.

40 Pillay S., 2004., And Justice for All? Globalization, Multinational Corporations, and the Need for Legally Enforceable Human Rights Protections, University of Detroit Mercy Law Review, 81 (489), გვ. 492.

41 Ochoa C., 2009., The Future of Corporate Accountability for Violations of Human Rights, Faculty Publication

მეორე მხრივ, თავად ტრანსნაციონალური კორპორაციების განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმისდა მიხედვით, თუ როგორ ოპერირებენ ისინი მასპინძელ ქვეყნებში. მრავალი კორპორაცია მიიჩნევს, რომ მათ მიერ მასპინძელ ქვეყნებში ბიზნესის წარმართვა იმგვარად, რომ არ შეილახოს ადამიანის უფლებები, მათ მორალურ ვალდებულებას წარმოადგენს.⁴² ასევე, მრავალი ტრანსნაციონალური კორპორაცია, აქტიურად ახორციელებს მასპინძელ ქვეყნებში სხვადასხვა სოციალური პროექტებს.⁴³ თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, როდესაც მასპინძელ ქვეყნებში მსხვილი კაპიტალის შემოდინება ეფუძნება ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დამყარებულ არაფორმალურ ურთიერთობებს.⁴⁴ ასეთ შემთხვევებში მაღალია იმის ალბათობა, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით გადაჭარბებული პრეფერენციები მიენიჭოს უცხოურ კაპიტალს, ხოლო ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, უგულებელყოფილ იქნეს.

ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ასევე შრომით, გარემოსდაცვით თუ სხვა სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას და მათ შემდგომ ეფექტიან იმპლემენტაციას. მოცემულ შე-

მთხვევაში ასეთი მდგომარეობა, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედებს თავად ზოგიერთ ტრანსნაციონალურ კორპორაციებზეც კი, რადგან ის ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთათვისაც მასპინძელ ქვეყნებში შრომითი, გარემოსდაცვითი და სხვა სოციალური რეგულაციების პატივისცემა მათი შესაბამისი კორპორაციული სტანდარტების არსებითი შემადგენელია ნაწილია, არაჯანსაღ კონკურენციაში მოექცევიან იმ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან შედარებით, რომელთათვისაც როგორც თავად აღნიშნული რეგულაციები და ნორმები ისე მათი შესრულება ნაკლებად მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი არ წარმოადგენს სტატიკურ, უძრავ სისტემას და იგი მუდმივი განვითარებით ხასიათდება,⁴⁵ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მხოლოდ იმის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები ოპერირებენ ერთგვარ „სამართლებრივ ვაკუუმში“ – ადამიანის უფლებებისაგან განწყენებულად – რაშიც იგულისხმება ის, რომ მოცემულ რეალობაში ტრანსნაციონალურ კორპორაციებს არ გააჩნიათ პირდაპირი ვალდებულებები ადამიანის უფლებებთან მიმართებით.⁴⁶ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებს აკისრებს პირდაპირ ვალდებულებებს, რადგან ძირითადად, მათ ევალებათ ადამიანის უფლებების დაცვა.⁴⁷

ჩვენ მიერ განსახილველ საკითხთან მიმართებით, ასევე საინტერესოა საკითხი ტრანსნაციონალურ კორპორაციათა საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუარიანობის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით აუცილებელია, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები იქცნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად,

s. Paper 1314, გვ. 293-294, ხელმისაწვდომია: <http://www.repository.law.indiana.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2314&context=facpub>

42 Anderson J., 2000., Respecting Human Rights: Multinational Corporations Strike Out, University of Pennsylvania, Journal of Labor and Employment Law, 2 (3), გვ. 467, ხელმისაწვდომი: [https://www.law.upenn.edu/journals/jbl/articles/volume2/issue3/Anderson2U.Pa.J.Lab.&Emp.L.463\(2000\).pdf](https://www.law.upenn.edu/journals/jbl/articles/volume2/issue3/Anderson2U.Pa.J.Lab.&Emp.L.463(2000).pdf)

43 Bennett J., 2002., Multinational Corporations, Social Responsibility and Conflict, Journal of International Affairs, 55 (2), გვ. 401.

44 Perry A., 2000., Effective Legal Systems and Foreign Direct Investment: In Search of the Evidence, International and Comparative Law Quarterly, 49 (779), გვ. 784-792.

45 Schreuer C., Sources of International Law: Scope and Application, Emirates Lecture Series 28, The Emirates Center for Strategic Studies and Research, გვ. 10-11, ხელმისაწვდომია: http://www.univie.ac.at/intlaw/wordpress/pdf/59_sources.pdf

46 Kinley D., Tadaki J., 2004., From Talk to Walk: The Emergence of Human Rights Responsibilities for Corporations at International Law, Virginia Journal of International Law, 44 (4), გვ. 935.

47 Kinley, Tadaki, იხილეთ 46, გვ. 935.

რადგან ასეთ შემთხვევაში ისინი ვალდებული გახდებიან დაიცვან ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები.⁴⁸ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლის მთავარსუბიექტებს სწორედ სახელმწიფოები წარმოადგენენ.⁴⁹ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ტრანსნაციონალური კორპორაციების სტატუსი მათ საერთაშორისო სამართლებრივ სუბიექტუნარიანობასთან დაკავშირებით არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს ამ კორპორაციების პირდაპირი რეგულირება და შესაბამისად, აღნიშნულ კორპორაციებს გააჩნდეთ პირდაპირი ვალდებულებები ადამიანის უფლებებთან მიმართებით.

ტრანსნაციონალური კორპორაციები რიგ შემთხვევებში არიან საერთაშორისო ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლებებით მოსარგებლენი. მაგალითად, აღნიშნულ კორპორაციებს, რომლებიც ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების⁵⁰ საფუძველზე საკმაოდ ფართო უფლებებით სარგებლობენ, შეუძლიათ აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე წამოიწყონ დავა მასპინძელი სახელმწიფოების წინააღმდეგ საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალებში.⁵¹ თუმცა,

48 Deva, იხილეთ 35, გვ. 52., ასევე იხილეთ: United Nations., Office of the High Commissioner for Human Rights., Corporations must be held accountable for human rights violations, ხელმისაწვდომია: <http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/CorporationsMustBeHeldAccountableForHRViolations.aspx>

49 Shaw M., 2008., International Law, Cambridge University Press, გვ. 1, 47.

50 UNCTAD., What Are BITs? ხელმისაწვდომია: http://www.unctadxi.org/templates/Page_1006.aspx, ასევე, ენერჯო ქარტის საერთაშორისო ხელშეკრულება (The Energy Charter Treaty) (1994), ხელმისაწვდომია: http://www.encharter.org/fileadmin/user_upload/document/EN.pdf, ასევე, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA), იხილეთ: NAFTA Secretariat, North American Free Trade Agreement, ხელმისაწვდომია: <https://www.nafta-sec-alena.org/Default.aspx?tabid=97&language=en-US>

51 საკმაოდ ხშირად, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები ითვალისწინებენ უცხოელ ინვესტორსა და ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოს შორის დავათა განხილვას საინვესტიციო დავათა განხილვის საერთაშორისო ცენტრში, შესაბამისად, საკმაოდ დიდი რაოდენობის საინვესტიციო დავების განხილვა ხდება სწორედ აღნიშნულ ცენტრში, რომელიც ეფუძნება 1965 წლის

ისივე გასათვალისწინებელია, რომ ერთი მხრივ, აღნიშნული ხელშეკრულებებით ტრანსნაციონალურ კორპორაციებს გაცილებით მეტი უფლებები გააჩნიათ, ვიდრე ვალდებულებები,⁵² ხოლო მეორე მხრივ, დავათა წამოწყების ნაწილში, ინდივიდები მოკლებულნი არიან იმის შესაძლებლობას, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალებსა თუ სასამართლოებში წამოიწყონ დავა ტრანსნაციონალური კორპორაციების წინააღმდეგ ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით.

ტრანსნაციონალურ კორპორაციათა უფლებებსა და მათ მოვალეობებს შორის არსებული აშკარა დისბალანსი, ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებით ტრანსნაციონალური კორპორაციების ვალდებულებებისა და ამ კორპორაციების საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობის არარსებობა, ასევე ინდივიდთა მიერ საერთაშორისო დონეზე აღნიშნულ კორპორაციათა წინააღმდეგ დავების წარმართვის სირთულეები, აშკარად მიუთითებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ვერ ითვალისწინებს ტრანსნაციონალური კორპორაციების რეგულირებისათვის საჭირო ქმედით მექანიზმებს. ასეთი მექანიზმების არარსებობამ, თავის მხრივ განაპირობა ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ალტერნატიული რეგულირების მიზნით, სხვადასხვა სახელმძღვანელო პრინციპების, რეგულაციების და რეკომენდაციების შემუშავება.

ვაშინგტონის კონვენციას, იხილეთ: ICSID, International Centre for Settlement of Investment Disputes, Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States, (1965) 4 International Legal materials 532, ასევე იხილეთ: Kerner A., 2009., Why Should I Believe You?, The Costs and Consequences of Bilateral Investment Treaties, International Studies Quarterly 53, გვ. 73-102.

52 Bernasconi-Osterwalder N., Cosbey A., Johnson L., Vis-Dunbar D., 2012., Investment Treaties & Why They Matter to Sustainable Development: Questions & Answers, IISD Publication, გვ. 35, ხელმისაწვდომია: http://www.iisd.org/pdf/2011/investment_treaties_why_they_matter_sd.pdf

ტრანსნაციონალურ კორპორაციათა რეგულირების ალტერნატიული მექანიზმები და გაეროს ფორმატში შემუშავებული ერთერთი ინიციატივა

სავალდებულო ძალის მქონე არაერთი სამართლებრივი ინსტრუმენტი იქნა შექმნილი ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით.⁵³ თუმცა, მათ აღრესატს არ წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კორპორაციები.⁵⁴ აღნიშნულის ერთერთი მიზეზი არის ის, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები არ არიან მიჩნეულნი საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად.⁵⁵ ისინი მოქცეულნი არიან იმ ქვეყნების იურისდიქციაში, სადაც თავადვე ოპერირებენ.⁵⁶

როდესაც ვსაუბრობთ საერთაშორისო

ინსტრუმენტებზე და ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე, ნიშანდობლივია, თუ აღვნიშნავთ, რომ ადამიანის უფლებების მიმართულებით ზოგიერთი ცნობილი მოღვაწის მოსაზრებით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში არსებული ჩანაწერი – „...every organ of society...“⁵⁷ – მოიაზრებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც.⁵⁸ თუ ჩავთვლით, რომ აღნიშნული მოსაზრება წარმოადგენს აბსოლიტურ ჭეშმარიტებას და ფართოდ არის გაზიარებული, შესაბამისად, მივიღებთ საწყის კავშირს, ერთი მხრივ, ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და მეორე მხრივ, ამ კორპორაციათა მიერ ადამიანის უფლებების საყოველთაოდ პატივისცემას შორის.⁵⁹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია წარმოადგენს საბაზისო ინსტრუმენტს ადამიანის უფლებების დაცვის დარგში. აღნიშნული დეკლარაცია სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს არ წარმოადგენს, თუმცა მისი დებულებები ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმებად არის აღიარებული.⁶⁰ თუმცა, მეორე მხრივ, სადავოა, პოზიცია იმის შესახებ მოიცავს თუ არა გემოაღნიშნული ჩანაწერის განმარტება ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც. მოსაზრებამ აღნიშნული ჩანაწერის დეფინიციაში ტრანსნაციონალური კორპორაციების გათვალისწინების შესახებ, თავის მხრივ ვერ ჰპოვა ფართო

გიორგი ხაბიძე

53 მათ შორის: Universal Declaration of Human Rights, 1948, ხელმისაწვდომია: <http://www.un.org/en/documents/udhr/index.shtml>; International Covenant on Economic, Social and Cultural Rights (adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966), ხელმისაწვდომია: <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CESCR.aspx>; International Covenant on Civil and Political Rights (adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966), ხელმისაწვდომია: <http://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx>; Optional Protocol to the International Covenant on Civil and Political Rights, G.A. res. 2200A (XXI), 21 U.N. GAOR Supp. (No.16) at 59, U.N. Doc. A/6316 (1966), 999 U.N.T.S. 302, entered into force March 23, 1976, ხელმისაწვდომია: <http://www1.umn.edu/humanrts/instreet/b4ccprp1.htm>; Second Optional Protocol to the International Covenant on Civil and Political Rights, aiming at the abolition of the death penalty (adopted and proclaimed by General Assembly resolution 44/128 of 15 December 1989), ხელმისაწვდომია: <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/2ndOPCCPR.aspx>; European Convention on Human Rights (ECHR), ხელმისაწვდომია: http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=basictexts&c=#n1359128122487_pointer

54 Katuoka S., Dailidaité M., 2012., Responsibility of Transnational Corporations for Human Rights Violations: Deficiencies of International Legal Background and Solutions Offered by National and Regional Legal Tools, Jurisprudence 19 (4) 1301, გვ. 1303, ხელმისაწვდომია: <https://www3.mruni.eu/ojs/jurisprudence/article/view/103/96>

55 Katuoka., Dailidaité, იხილეთ 54.

56 Katuoka., Dailidaité, იხილეთ 54.

57 “. . . as a common standard of achievement for all peoples and all nations, to the end that every individual and every organ of society, keeping this Declaration constantly in mind, shall strive by teaching and education to promote respect for these rights and freedoms and by progressive measures, national and international, to secure their universal and effective recognition and observance, both among the peoples of Member States themselves and among the peoples of territories under their jurisdiction“, იხილეთ: The Universal Declaration of Human Rights, ხელმისაწვდომია: <http://www.un.org/en/documents/udhr/index.shtml>

58 Lovell D., Shenk T., 2011., Louis Henkin’s Legacy, Rights News 29 (2), გვ. 10, ხელმისაწვდომია: http://hrcolumbia.org/rightsnews/feb2011/louis_henkin, ასევე, Katuoka., Dailidaité, იხილეთ 54.

59 Muchlinski, იხილეთ 36, გვ. 518.

60 Muchlinski, იხილეთ 36, გვ. 518; ასევე იხილეთ: Austrian Human Rights Commission, What is the Universal Declaration on Human Rights?, ხელმისაწვდომია: <https://www.humanrights.gov.au/publications/what-universal-declaration-human-rights>

საერთაშორისო აღიარებას.⁶¹

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, არაერთი სახელმძღვანელო პრინციპები, რეგულაციები და რეკომენდაციები იქნა შემუშავებული ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ალტერნატიული რეგულირების მიზნით. სავარაუდოდ, აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ არსებული საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები სავალდებულო ძალის მქონე ინსტრუმენტებით პირდაპირ გახდნენ ვალდებულნი ადამიანის უფლებების დაცვაზე.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში აღინიშნება საერთაშორისო ორგანიზაციათა არაერთი ინიციატივა, რაც უკავშირდება ტრანსნაციონალური კორპორაციების რეგულირების მიზნით სხვადასხვა სახელმძღვანელო პრინციპების, დეკლარაციების თუ სხვა დოკუმენტების პროექტების შემუშავებას, რომელთა ადრესატს ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ.⁶²

ახალი ათასწლეულის დადგომა ასევე უკავშირდება ახალ ინიციატივებს.⁶³ ერთერთი

უახლესი სახელმძღვანელო პრინციპები, რომელმაც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ერთსულოვანი მხარდაჭერა მოიპოვა, გახლავთ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ.⁶⁴ აღნიშნული პრინციპები აღიარებს, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ ადამიანის უფლებების დაცვის უპირველესი და ძირითადი ვალდებულება, ხოლო ბიზნესს სწარმოებს მოეთხოვებათ დაემორჩილნონ შესაბამის კანონმდებლობას და პატივი სცენ ადამიანის უფლებებს.⁶⁵ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფოებმა არა

www.unglobalcompact.org/; the UN Norms on the Responsibilities for Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights (2003), იხილეთ: Commentary on the Norms on the Responsibility of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights, U.N. Doc. E/CN.4/Sub.2/2003/38/Rev.2 (2003), ხელმისაწვდომია: <http://www1.umn.edu/humanrts/links/commentary-Aug2003.html>; ასევე იხილეთ: Hillemanns C., 2003., UN Norms on the Responsibility of Transnational Corporations and Other Business Enterprises with regard to Human Rights, German Law Journal 04 (10) 1065, ხელმისაწვდომია: http://www.germanlawjournal.com/pdfs/Vol04No10/PDF_Vol_04_No_10_1065-1080_European_Hillemanns.pdf; Report of the Special Representative of the Secretary-General on the issue of human rights and transnational corporations and other business enterprises (2008), იხილეთ: UN, Human Rights Council, A/HRC/8/5, 7 April 2008, Promotion and Protection of All Human Rights, Civil, Political, Economic, Social and Cultural Rights, Including the Right to Development; Protect, Respect and Remedy: a Framework for Business and Human Rights; Report of the Special Representative of the Secretary-General on the issue of human rights and transnational corporations and other business enterprises, John Ruggie, ხელმისაწვდომია: <http://198.170.85.29/Ruggie-report-7-Apr-2008.pdf>

61 Katuoka., Dailidaitė, იხილეთ 54, გვ. 1304.

62 მაგალითად: UN Draft Code on Transnational Corporations (1977), იხილეთ: Keller H., Corporate Codes of Conduct and Their Implementation: The Question of Legitimacy, გვ. 8-9, ხელმისაწვდომია: http://www.yale.edu/macmillan/Heken_Keller_Paper.pdf; the Sullivan Principles (1970), იხილეთ: Socially Responsible Investing, The Sullivan Principles, A Code of Conduct for Corporations and a Social Investing Benchmark, ხელმისაწვდომია: <http://socialinvesting.about.com/od/srshareholders/a/SRISullivan.htm>; The OECD Guidelines for Multinational Enterprises (1976), აღნიშნული დოკუმენტი განახლებული იქნა 1979, 1982, 1984, 1991, 2000 და 2011 წლებში, იხილეთ: OECD., Guidelines of Multinational Enterprises, ხელმისაწვდომია: <http://www.oecd.org/investment/mne/2011update.htm>; the International Labor Organization Tripartite Declaration of Principles Concerning Multinational Enterprises and Social Policy (1977), იხილეთ: Policy Advocacy, Corporate Responsibility Initiatives, ILO Tripartite Declaration of Principles Concerning Multinational Enterprises and Social Policy, ხელმისაწვდომია: <http://www.uscib.org/index.asp?documentID=2575>; ასევე იხილეთ: Tripartite Declaration of Principles Concerning Multinational Enterprises and Social Policy, International Labour Office, Geneva, ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed_emp/@emp_ent/documents/publication/wcms_101234.pdf

63 მაგალითად: Global Compact, იხილეთ: United Nations Global Compact, ხელმისაწვდომია: <http://www.unglobalcompact.org/>

64 United Nations Human Rights Office of the High Commissioner for Human Rights, New Guiding Principles on Business and Human Rights endorsed by the UN Human Rights Council, ხელმისაწვდომია: <http://www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=11164>; ასევე იხილეთ: UN., 2011., Guiding Principles on Business and Human Rights, Implementing the United Nations „Protect, Respect and Remedy“ Framework, HR/PUB/11/04, ხელმისაწვდომია: http://www.ohchr.org/Documents/Publications/GuidingPrinciplesBusinessHR_EN.pdf

65 „(a) States' existing obligations to respect, protect and fulfil human rights and fundamental freedoms; (b) The role of business enterprises as specialized organs of society performing specialized functions, required to comply with all applicable laws and to respect human rights; (c) The need for rights and obligations to be matched to appropriate and effective remedies when breached“; „Guiding Principles on Business and Human Rights, Implementing the United Nations „Protect, Respect and Remedy“ Framework“, იხილეთ 64, გვ. 1.

მხოლოდ უნდა დაიცვან ადამიანის უფლებები, არამედ უზრუნველყონ ის, რომ გაატარონ პრევენციული ღონისძიებები, გამოიძიონ და აღკვეთონ ნებისმიერი მესამე მხარის, მათ შორის ბიზნეს საწარმოების მიერ ადამიანის უფლებების შელახვა.⁶⁶

ცხადია, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები წინგადადგმული ნაბიჯია ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებებზე ნეგატიური ზემოქმედების აღსაკვეთად.⁶⁷ თუმცა, ნაკლოვანების კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის მქონეს, ასევე თავად აღნიშნული პრინციპები არ ითვალისწინებს მისი იმპლემენტაციის მკაფიოდ განსაზღვრულ მექანიზმებს.⁶⁸ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს საწარმოების მოვალეობა პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, დამოკიდებულია სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული ვალდებულებების შესრულებაზე.⁶⁹ ასეთი სტრუქტურით მაღალია იმის ალბათობა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რომ ადამიანის უფლებათა დაცვისა და მისი პატივისცემის იდეა გახდეს აბსოლუტურად დაუბალანსებელი.⁷⁰ აღნიშნული შესაძლებელია განაპირობოს იმ გარემოებამ, რომ ერთი მხრივ მძლავრ, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს გააჩნიათ გაცილებით დიდი ფინანსური რესურსი, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა ვიდრე ბევრ განვითარებად ქვეყნებს, ხოლო მეორე მხრივ, რიგი განვითარებადი ქვეყნები გაცილებით მეტად არიან ორიენტირებულნი მათ ტერიტორიებზე ტრანსნაციონალური კორპორაციების ოპერირებით და შესაბამისი უცხოური კაპიტალის მოზიდვით ეკონომიკური

მდგომარების გაუმჯობესებაზე, ვიდრე ადამიანის უფლებების დაცვაზე, რაც თავის მხრივ, წარმოშობს დისბალანსს ბიზნეს ინტერესების მხარდაჭერასა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის.

აქვე, ჩვენს განხილვებთან მიმართებით, გვსურს შევხვით გაეროს ფორმატში შემუშავებულ ერთერთ ინიციატივას. 2014 წლის 25 ივნისს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სხვა ბიზნეს საწარმოების მიერ ადამიანის უფლებებთან მიმართებით, შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის შემუშავებას.⁷¹

მოცემული გადაწყვეტილება, მით უფრო გაეროს ფორმატში მიღებული, მართლაც მისასალმებელია. თუმცა, არანაკლებ საინტერესოა რეალური შედეგების ხილვა. სამუშაო ჯგუფს, მიზნის მისაღწევად საკმაოდ რთული საქმიანობა ელის. მსჯელობის საგანს წარმოადგენს აღნიშნული საერთაშორისო ინსტრუმენტის სტრუქტურა, ფორმა, შინაარსი და მისი სამართლებრივი ბუნება. სხვადასხვა საკითხებთან ერთად, საკმაოდ მნიშვნელოვანია იმის გადაწყვეტა, თუ ვინ იქნებიან შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის პირდაპირი ადრესატები. თუ ამ როლში ტრანსნაციონალური კორპორაციები მოიაზრებიან, მაშინ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, მოცემულ კორპორაციათა სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული პროექტი საკმაოდ ამბიციურად გამოიყურება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოცემული

66 Guiding Principles on Business and Human Rights, Implementing the United Nations „Protect, Respect and Remedy“ Framework, იხილეთ 64, გვ. 1.
67 New Guiding Principles on Business and Human Rights endorsed by the UN Human Rights Council, იხილეთ 64.
68 Clement P., 2012., UN Guiding Principles on Business and Human Rights: Weaknesses and Way Forward, XII International Human Rights Colloquium, Sao Paulo, ხელმისაწვდომია: www.conectas.org/arquivos/multimedia/PDF/182.ppt
69 UN Guiding Principles on Business and Human Rights: Weaknesses and Way Forward, იხილეთ 68.
70 UN Guiding Principles on Business and Human Rights: Weaknesses and Way Forward, იხილეთ 68.

71 UN General Assembly, Human Rights Council, A/HG-C/26/L.22/Rev.1, 25 June 2014, Elaboration of an International Legally Binding Instrument on Transnational Corporations and other Business Enterprises with respect to Human Rights, ხელმისაწვდომია: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/LTD/G14/064/48/PDF/G1406448.pdf?OpenElement>, ასევე იხილეთ: International Justice Resource Center, 2014., In Controversial Landmark Resolution, Human Rights Council Takes First Step Toward Treaty on Transnational Corporations' Human Rights Obligation, ხელმისაწვდომია: <http://www.ijrcenter.org/2014/07/15/in-controversial-landmark-resolution-human-rights-council-takes-first-step-toward-treaty-on-transnational-corporations-human-rights-obligations/>

საერთაშორისო ინსტრუმენტის პირდაპირი ადრესატები სახელმწიფოები გახდებიან, მაშინ შედეგად მივიღებთ ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებით ტრანსნაციონალური კორპორაციების არაპირდაპირი რეგულირების მქონე მექანიზმს.

ტრანსნაციონალური კორპორაციები კერძო სუბიექტებს წარმოადგენენ. ვერ მოხდება მათი გაიგივება სახელმწიფოსთან, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმომწერ მხარესთან. მეორე მხრივ, თუ ანალოგიას მივმართავთ, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, კერძოდ საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი იცნობს სახელმწიფოთა შორის გაფორმებული ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, კერძო სუბიექტებისათვის, როგორც უცხოელი ინვესტორებისათვის, საინვესტიციო საქმიანობისას მათთვის შესაბამისი უფლებების მინიჭებას, დაცვითი მექანიზმების შექმნას და შესაბამისი გარანტიების მიცემას.⁷² თუმცა, საკითხი ჩვენ შემთხვევაში აქტუალურია განსხვავებული მიმართულებით. საუბარია კერძო სუბიექტებისათვის არა რაიმე უფლებების მინიჭებაზე, მათთვის რაიმე დაცვითი მექანიზმების შექმნაზე ან გარანტიების მიცემაზე, არამედ პირიქით, ასეთი სუბიექტებისათვის, როგორც ტრანსნაციონალურ ბიზნეს კორპორაციებისათვის ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებით ვალდებულებების დაკისრებაზე. უფრო მეტიც, საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებით, ბიზნეს სიბიექტების დაცვითი მექანიზმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი საქმიანობა კვალიფიცირდება ინვესტიციად, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთი სუბიექტები ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებში უცხოელი ინვესტორები უნდა იყვნენ.⁷³

72 Salacuse J., Sullivan N., 2005., Do BITs Really Work? An Evolution of Bilateral Investment Treaties and Their Grand Bargain, *Harvard International Law Journal* 46, გვ. 79-80; ასევე იხილეთ: ხატიძე გ., 2013., ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები, როგორც უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაცვისა და ხელშეწყობის სამართლებრივი ინსტრუმენტები, ბიზნეს ინჟინერინგი 1, გვ. 108-113.

73 Heiskanen V., Of Capital Import: The Definition of Investment in International Investment Law, in: Hoffmann A., 2010., (Ed.), *Protection of Foreign Investments through*

პრაქტიკული თვალსაზრისით, სამუშაო ჯგუფის სირთულე მდგომარეობს იმ გარემოებაშიც, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ, გადწყვეტილება მიღებული იქნა წევრთა არაერთსულოვანი მხარდაჭერით. უფრო მეტიც, მოწინააღმდეგეთაგან უმრავლესობას ევროპული ქვეყნები წარმოადგენდნენ. წინააღმდეგნი იყვნენ ასევე ამერიკის შეერთებული შტატები⁷⁴ და მრავალი ტრანსნაციონალური კორპორაციის ე.წ. „წარმოშობის ქვეყნები“.

რა თქმა უნდა სასურველია, თუ ჯგუფის მუშაობის შედეგად მივიღებთ სულ მცირე გაცილებით მეტს, ვიდრე ტრანსნაციონალურ კორპორაციათა რეგულირების მიზნით, ისევე მორიგ სახელმძღვანელო პრინციპებს, რეგულაციებს და რეკომენდაციებს, როგორც ე.წ. „რბილ სამართალს“. თუმცა, ამ საწყის ეტაპზე, აშკარად არ არსებობს სახელმწიფოთა კონსენსუსი, როგორც გამიზნული საერთაშორისო ინსტრუმენტის შექმნისათვის აუცილებელი კომპონენტი.⁷⁵

გარდა ზემოთ მოყვანილი წინააღმდეგობებისა, სირთულეები უნდა აღინიშნოს წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისითაც. როგორც ადამიანის უფლებების ისე ტრანსნაციონალური კორპორაციების, როგორც მოგებაზე ფოკუსირებული ბიზნეს სუბიექტების სამოქმედო ორიენტირი მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან.⁷⁶ შესაბამისად, განსხვავებულ სიბრტყეზეა განლაგებული თითოეულთან მიმართებით მოქმედი სამართლებრივი მექანიზმებიც. მთლიანობაში,

Modern Treaty Arbitration: Diversity and Harmonisation, *ASA Special Series* (No. 34), გვ. 51-73.

74 აშკარაა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და ამერიკის შეერთებული შტატების საწინააღმდეგო პოზიცია, რომელთაც აღნიშნული გადაწყვეტილება დაახასიათეს, როგორც „პოლარიზებული“ და „კონტრპროდუქტიული“; იხილეთ: Dorp M., 2014., *Multinationals and Conflict, International Principles and guidelines for Corporate Responsibility in Conflict-affected Areas*, Centre for Research on Multinational Corporations, გვ. 18, ხელმისაწვდომია: http://www.somo.nl/publications-en/Publication_4165/

75 Ruggie J., 2014., *Qio Vadis? Unsolicited Advice to Business and Human Rights Treaty Sponsors*, Institute for Human Rights and Business, ხელმისაწვდომია: <http://www.ihrb.org/commentary/quo-vadis-unsolicited-advice-business.html>

76 Ruggie, იხილეთ 75.

თავად თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ფრაგმენტირებულია სხვადასხვა სფეროებად.⁷⁷ საერთაშორისო სამართალს არ ახასიათებს კოჰერენტულობა⁷⁸ და არც ამის საპირწონედ ითვალისწინებს „ჰომოგენურ იერარქიულ სისტემას“.⁷⁹ შესაბამისად, ასეთი რეალობიდან გამომდინარე, ურთულეს ამოცანად გვესახება სავალდებულო ძალის მქონე ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც ერთ სიბრტყეზე, სიმეტრიულად განლაგებს როგორც ადამიანის უფლებებთან ისე ბიზნესთან მიმართებაში არსებულ სამართლებრივ მექანიზმებსა და ნორმებს, რაც აქ მოყვანილი პრობლემატიკის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველსაყოფადაა საჭირო.

დასკვნა

ფინანსურად ძლიერი ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთაც ასევე გააჩნიათ უნარი განახორციელონ ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა მასპინძელ ქვეყნებზე, აქტიურ როლს თამაშობენ თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შესწევთ უნარი დადებითი გავლენა მოახდინონ მასპინძელი ქვეყნების ეკონომიკაზე, დანერგონ თანამედროვე ტექნოლოგიები და შექმნან სამუშაო ადგილები. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ტრანსნაციონალური კორპორაციისათვის, შრომითი, გარემოსდაცვითი და სხვა სოციალური რეგულაციების

ლაციების პატივისცემა მათი შესაბამისი კორპორაციული სტანდარტების არსებითი შემადგენელი ნაწილია, ხშირია შემთხვევები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, როდესაც ტრანსნაციონალურ კორპორაციათა პირდაპირი თუ არაპირდაპირი ქმედებებით ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევებს.

მოცემულ შემთხვევაში, ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი სწორედ ეფექტიან სამართლებრივ მექანიზმებში უნდა იქნეს მოძიებული. თუმცა, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იმ ხარვეზებით ხასიათდება, რომელიც არ ითვალისწინებს ტრანსნაციონალური კორპორაციების პირდაპირ ვალდებულებებს დაიცვან ადამიანის უფლებები და ასევე აკონ პასუხი მათ დარღვევებზე.

აღნიშნულმა ხარვეზებმა განაპირობა ის, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ალტერნატიული რეგულირების მიზნით, არაერთი სახელმძღვანელო პრინციპები, რეგულაციები და რეკომენდაციები იქნა შემუშავებული. თუმცა ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნული მექანიზმები ე.წ. „რბილ სამართალს“ განეკუთვნება. აღნიშნულ მექანიზმებს შესასრულებლად ნებაყოფლობითი ხასიათი გააჩნიათ, მაგრამ მათ ადრესატს ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან ერთად სახელმწიფოებიც წარმოადგენენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ძირითად პლანზე სწორედ სახელმწიფოა წამოწეული, ხშირად ქვეყნებს პრაქტიკულად ვერ შესწევთ უნარი უზრუნველყონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ტრანსნაციონალური კორპორაციების მიმართ ადეკვატური ღონისძიებების გატარება და შესაბამისი პოლიტიკის წარმოება.

77 Ruggie, იხილეთ 75; ასევე იხილეთ: UN General Assembly, 2006., Fragmentation of International Law: Difficulties Arising from the Diversification and Expansion of International Law, Report of the Study Group of the International Law Commission, A/CN.4/L.682, გვ. 249, ხელმისაწვდომია: http://legal.un.org/ilc/documentation/english/a_cn4_l682.pdf; ასევე იხილეთ: Fischer-Lescano A., 2004., Regime-Collisions: The Vain Search for Legal Unity in the Fragmentation of Global Law, Michigan Journal of International Law 25, გვ. 1000–1004, ხელმისაწვდომია: <http://www.jura.uni-frankfurt.de/42852885/regimecollisions.pdf>

78 Fragmentation of International Law: Difficulties Arising from the Diversification and Expansion of International Law, იხილეთ 77.

79 Fragmentation of International Law: Difficulties Arising from the Diversification and Expansion of International Law, იხილეთ 77.

TRANSNATIONAL CORPORATIONS AND HUMAN RIGHTS

George Khatidze

LL.B. (Hons); LL.M. (Liverpool); Ph.D. (California)

Assistant Professor, Georgian Institute of Public Affairs, School of Law and Politics;

Member of Union of Law Scientists

KEY WORDS: Corporations, Rights, Intersection

RESUME

Financially powerful Transnational Corporations, having an economic and political impact on host states, play an important role in a modern era of globalization.

Transnational Corporation are capable of having a positive impact on host states' economy, to adopt new technologies and create jobs. Although for many Transnational Corporations respect for labor, environmental and other social issues is part of their corporate standards, there are certain cases, especially in developing countries, when direct or indirect activities of Transnational Corporations leads to human rights violations.

Remedy to the aforementioned cases lies in effective legal mechanisms. However, as modern international law have shortcomings in that regard, no direct obligation for Transnational Corporations to protect human rights and their responsibility for human rights violations is possible. There is a lack of effective legal mechanisms for regulation of Transnational Corporations because of the following: absence of Transnational Corporations' obligations to protect human rights, not regarding Transnational Corporations as subject of international law and difficulty for individuals to bring an international claim against Transnational Corporations in case of human rights

violations. On the other hand, however, local legal mechanisms in many cases are ineffective and not always properly implemented.

Due to those shortcomings, many guidelines, regulations and recommendations have been implemented for the purposes of regulating Transnational Corporations. However, all of those are soft law mechanisms. Those mech-

anisms are addressed to Transnational Corporations along with the states; however, they do not have a legally binding effect. Although the state has a primary role in protection of human rights, in many cases, states are unable to adopt effective human rights mechanism against Transnational Corporations and implement respective policy.

BIBLIOGRAPHY:

Textbooks:

1. Brewer T., Young S. 2000., *The Multilateral Investment System and Multinational Enterprises*, Oxford University Press. (in English)
2. Muchlinski P., 2007. *Multinational Enterprises and the Law*, Oxford University Press. (in English)
3. Shaw M., 2008. *International Law*, Cambridge University Press. (in English)

Journals:

4. Anderson J., 2000. *Respecting Human Rights: Multinational Corporations Strike Out*, University of Pennsylvania, *Journal of Labor and Employment Law*, 2 (3). (in English)
5. Bennett J., 2002. *Multinational Corporations, Social Responsibility and Conflict*, *Journal of International Affairs*, 55 (2). (in English)
6. Deva S., 2003. *Human Rights Violations by Multinational Corporations and International Law: Where from Here?*, *Connecticut Journal of International Law*, (19). (in English)
7. Fischer-Lescano A., 2004. *Regime-Collisions: The Vain Search for Legal Unity in the Fragmentation of Global Law*, *Michigan Journal of International Law* 25. (in English)
8. Hillemanns C., 2003. *UN Norms on the Responsibility of Transnational Corporations and Other Business Enterprises with regard to Human Rights*, *German Law Journal* 04 (10) 1065. (in English)
9. Katuoka S., Dailidaitė M., 2012. *Responsibility of Transnational Corporations for Human Rights Violations: Deficiencies of International Legal Background and Solutions Offered by National and Regional Legal Tools*, *Jurisprudence* 19 (4) 1301. (in English)
10. Kerner A., 2009. *Why Should I Believe You?, The Costs and Consequences of Bilateral Investment Treaties*, *International Studies Quarterly* 53. (in English)
11. Kinley D., Tadaki J., 2004. *From Talk to Walk: The Emergence of Human Rights Responsibilities for Corporations at International Law*, *Virginia Journal of International Law*, 44 (4). (in English)
12. Lovell D., Shenk T., 2011. *Louis Henkin's Legacy*, *Rights News* 29 (2). (in English)
13. Perry A., 2000. *Effective Legal Systems and Foreign Direct Investment: In Search of the Evidence*, *International and Comparative Law Quarterly*, 49 (779). (in English)
14. Pillay S., 2004. *And Justice for All? Globalization, Multinational Corporations, and the Need for Legally Enforceable Human Rights Protections*, *University of Detroit Mercy Law Review*, 81 (489). (in English)

15. Salacuse J., Sullivan N., 2005. Do BITs Really Work? An Evolution of Bilateral Investment Treaties and Their Grand Bargain, *Harvard International Law Journal* 46. (in English)
16. Khatidze G., 2013. Bilateral Investment Treaties as the Legal Instruments for Protection and Promotion of Foreign Direct Investment, *Business Engineering*, 1. (in Georgian)

Other Sources:

17. Anderson S., Cavanagh J., 2000. Top 200, The Rise of Corporate Global Power, *Institute of Policy Studies*. (in English)
18. Austrian Human Rights Commission, What is the Universal Declaration on Human Rights? (in English)
19. Banks G., Activities of TNCs in Extractive Industries in Asia and the Pacific: Implications for Development. (in English)
20. Bernasconi-Osterwalder N., Cosbey A., Johnson L., Vis-Dunbar D., 2012. Investment Treaties & Why They Matter to Sustainable Development: Questions & Answers, *IISD Publication*. (in English)
21. ChevronToxico, The Campaign for Justice in Ecuador, Produced Water. (in English)
22. Clement P., 2012. UN Guiding Principles on Business and Human Rights: Weaknesses and Way Forward, *XII International Human Rights Colloquium, Sao Paulo*. (in English)
23. Commentary on the Norms on the Responsibility of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights, *U.N. Doc. E/CN.4/Sub.2/2003/38/Rev.2 (2003)*. (in English)
24. Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States, (1965) 4 *International Legal materials* 532. (in English)
25. Dipak Basu., 2000. Child Labor and Child Slaves. (in English)
26. Dorp M., 2014. Multinationals and Conflict, *International Principles and guidelines for Corporate Responsibility in Conflict-affected Areas, Centre for Research on Multinational Corporations*. (in English)
27. EarthRights International, Press Release, New Reports Link Total and Chevron to Forced Labor and Killings in Burma, Despite Flower Impact Assessments
28. European Convention on Human Rights (ECHR). (in English)
29. Gheeraert L., Mansour J., 2005. On the Impact of Private Capital Flows on Economic Growth and Development, *CEB Working Paper No. 05/003, Solvay Business School, Center Emile Bernheim, Research Institute in Management Sciences*. (in English)
30. Heiskanen V., Of Capital Import: The Definition of Investment in International Investment Law, in: Hoffmann A., 2010. (Ed.), *Protection of Foreign Investments through Modern Treaty Arbitration: Diversity and Harmonisation, ASA Special Series (No. 34)*. (in English)
31. Hunya G., 2012. The Role of Multinational Companies in International Business Integration, *The Vienna Institute for International Economic Studies, Research Report 384*. (in English)
32. International Labor Rights Forum., 2005. Dignity and Justice for Workers Worldwide, *The 14 Worst Corporate Evildoers*. (in English)
33. International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966, entry into force 3 January 1976, in accordance with article 27. (in English)
34. International Covenant on Economic, Social and Cultural Rights (adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly

- resolution 2200A (XXI) of 16 December 1966). (in English)
35. International Covenant on Civil and Political Rights (adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966). (in English)
 36. International Justice Resource Center., 2014. In Controversial Landmark Resolution, Human Rights Council Takes First Step Toward Treaty on Transnational Corporations' Human Rights Obligation. (in English)
 37. Keller H., Corporate Codes of Conduct and Their Implementation: The Question of Legitimacy. (in English)
 38. Kim Jo., Gender and Transnational Corporations (TNCs), Wellesley Centers for Woman. (in English)
 39. Kuzel M., The World's Largest Transnational Corporations and Their Affiliates in Poland (Against the Background of FDI in Central and Eastern Europe). (in English)
 40. Miroux A., 2008. Transnational Corporations and the Infrastructure Challenge – An African Perspective, NEPAD-OECD Africa Investment Initiative, High-Level Meeting/Expert Roundtable, Kampala, Uganda. (in English)
 41. Monsanto, Unilever Use Child Labor in India. (in English)
 42. Motisola Malikha Abdallah, Gregory Allen Clark, Linds Ingram, and Kimberly Gray Orton Individually and a Class Representatives (Plaintiffs) v. The Coca-Cola Company (Defendant), Civil Action No. 1-98-CV-3679 (RWS), Complaint – Class Action, United States District Court, Northern District of Georgia. (in English)
 43. National Parliamentary Library of Georgia, Civil encyclopedia dictionary. (in Georgian)
 44. NAFTA Secretariat, North American Free Trade Agreement. (in English)
 45. Ochoa C., 2009. The Future of Corporate Accountability for Violations of Human Rights, Faculty Publication s. Paper 1314. (in English)
 46. OECD, Guidelines of Multinational Enterprises. (in English)
 47. OECD., 2002. Multinational Enterprises in Situations of Violent Conflict and Widespread Human Rights Abuses, Directorate for Financial, Fiscal and Enterprise Affairs, Working Paper on International Investment, No.2002/1. (in English)
 48. Optional Protocol to the International Covenant on Civil and Political Rights, G.A. res. 2200A (XXI), 21 U.N. GAOR Supp. (No.16). (in English)
 49. Özden M., 2005. Transnational Corporations and Human Rights, What is at stake in the United Nations debate over the Norms and the Responsibilities of Transnational Corporations and other Business Enterprises with regard to Human Rights, Part of a series of the Human Rights Programme of the Europe-Third World Centre (CETIM). (in English)
 50. Policy Advocacy, Corporate Responsibility Initiatives, ILO Tripartite Declaration of Principles Concerning Multinational Enterprises and Social Policy. (in English)
 51. Ruggie J., 2014. Qio Vadis? Unsolicited Advice to Business and Human Rights Treaty Sponsors, Institute for Human Rights and Business. (in English)
 52. Schreuer C., Sources of International Law: Scope and Application, Emirates Lecture Series 28, The Emirates Center for Strategic Studies and Research. (in English)
 53. Second Optional Protocol to the International Covenant on Civil and Political Rights, aiming at the abolition of the death penalty (adopted and proclaimed by General Assembly resolution 44/128 of 15 December 1989). (in English)
 54. Socially Responsible Investing, The Sullivan Principles, A Code of Conduct for Corporations and a Social Investing Benchmark. (in English)

55. The New York Times Magazine, September 13, 1970, The Social Responsibility of Business is to Increase Its Profits. (in English)
56. The Energy Charter Treaty (1994). (in English)
57. The OECD Guidelines for Multinational Enterprises (1976). (in English)
58. The International Labor Organization Tripartite Declaration of Principles Concerning Multinational Enterprises and Social Policy (1977). (in English)
59. Tripartite Declaration of Principles Concerning Multinational Enterprises and Social Policy, International Labour Office, Geneva. (in English)
60. The UN Norms on the Responsibilities for Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights (2003). (in English)
61. UN., 2003., Norms on the Responsibilities of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights, U.N. Doc. E/CN.4/Sub.2/2003/12/Rev.2. (in English)
62. UNCTAD., 2007. The Universe of the Largest Transnational Corporations, UNCTAD/ITE/IIA/2007/2, United Nations Publication, Sales No. E.07.II.D.6. (in English)
63. UNCTAD., 2009. Transnational Corporations, 18 (1), ISBN 978-92-1-112779-9, ISSN 1014-9562. (in English)
64. United Nations., 2009. Creating Business and Social Value: The Asian Way to Integrate CSR into Business Strategies, Studies in Trade and Investment 68, Economic and Social Commission for Asia and the Pacific, United Nations Publication, Sales No. E.10.II.F.18, ISBN: 978-92-1-120616-6, ISSN: 1020-3516, ST/ESCAP/2565. (in English)
65. UNCTAD., Transnational Corporations (TNC). (in English)
66. United Nations Human Rights., Office of the High Commissioner for Human Rights., What are Human Rights? (in English)
67. United Nations., Office of the High Commissioner for Human Rights., Business and Human Rights. (in English)
68. United Nations., Office of the High Commissioner for Human Rights., Human Rights, Trade and Investment. (in English)
69. United Nations., Office of the High Commissioner for Human Rights., Corporations must be held accountable for human rights violations. (in English)
70. UNCTAD., What Are BITs? (in English)
71. UN Draft Code on Transnational Corporations (1977). (in English)
72. Universal Declaration of Human Rights, 1948. (in English)
73. United Nations Global Compact. (in English)
74. UN, Human Rights Council, A/HRC/8/5, 7 April 2008, *Promotion and Protection of All Human Rights, Civil, Political, Economic, Social and Cultural Rights, Including the Right to Development; Protect, Respect and Remedy: a Framework for Business and Human Rights; Report of the Special Representative of the Secretary-General on the issue of human rights and transnational corporations and other business enterprises, John Ruggie.* (in English)
75. United Nations Human Rights Office of the High Commissioner for Human Rights, New Guiding Principles on Business and Human Rights endorsed by the UN Human Rights Council. (in English)
76. UN., 2011. Guiding Principles on Business and Human Rights, Implementing the United Nations „Protect, Respect and Remedy“ Framework, HR/PUB/11/04. (in English)
77. UN General Assembly, Human Rights Council, A/HGC/26/L.22/Rev.1, 25 June 2014, Elaboration of an International Legally Binding Instrument on Transnational Corporations and other Business Enterprises with respect to Human Rights. (in English)
78. UN General Assembly., 2006. Fragmentation of International Law: Difficulties Arising from the Diversification and Expansion of International Law, Report

- of the Study Group of the International Law Commission, A/CN.4/L.682. (in English)
79. Venkateswarlu D., Child Labour and Trans-National Seed Companies in Hybrid Cottonseed Production in Andhra Pradesh, Study commissioned by India Committee of Netherlands [ICN], the Netherlands. (in English)
 80. Zaidi H., The Role of Multinational Corporations in Developing Countries, Business & Finance Review. (in English)
 81. Eide A., Economic, Social and Cultural Rights as Human Rights. (in Georgian)

საერთაშორისო
სამართალი

NOTES:

1. UNCTAD., 2007. The Universe of the Largest Transnational Corporations, UNCTAD/ITE/IIA/2007/2, United Nations Publication, Sales No. E.07.II.D.6, page 3-5, available: http://unctad.org/en/Docs/iteiia20072_en.pdf (in English); also, see: Anderson S., Cavanagh J., 2000. Top 200, The Rise of Corporate Global Power, Institute of Policy Studies, page 3, available: <http://www.rojasdatabank.info/top200.pdf> (in English)
2. UNCTAD., Transnational Corporations (TNC), available: [http://unctad.org/en/Pages/DIAE/Transnational-corporations-\(TNC\).aspx](http://unctad.org/en/Pages/DIAE/Transnational-corporations-(TNC).aspx) (in English)
3. National Parliamentary Library of Georgia, Civil encyclopedia dictionary, transnational corporation, (in Georgian), available: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7096> (in English); also, see: Brewer T., Young S., 2000. The Multilateral Investment System and Multinational Enterprises, Oxford University Press, page 11-13 (in English)
4. Banks G., Activities of TNCs in Extractive Industries in Asia and the Pacific: Implications for Development (in English) see: UNCTAD., 2009. Transnational Corporations, 18 (1), ISBN 978-92-1-112779-9, ISSN 1014-9562, page 43, available: http://unctad.org/en/Docs/diaeia20097_en.pdf (in English)
5. Miroux A., 2008. Transnational Corporations and the Infrastructure Challenge – An African Perspective, NEPAD-OECD Africa Investment Initiative, High-Level Meeting/Expert Roundtable, Kampala, Uganda, page 5, available: <http://www.oecd.org/investment/investmentfordevelopment/41881230.pdf> (in English)
6. Kuzel M., The World's Largest Transnational Corporations and Their Affiliates in Poland (Against the Background of FDI in Central and Eastern Europe), page 10, available: http://www.skolar.umk.pl/pdf/Kuzel_2004_2.pdf (in English)
7. Hunya G., 2012. The Role of Multinational Companies in International Business Integration, The Vienna Institute for International Economic Studies, Research Report 384, page 15, available: www.wiiw.ac.at/modPubl/download.php?publ=RR384 (in English)
8. Zaidi H., The Role of Multinational Corporations in Developing Countries, Business & Finance Review, available: <http://jang.com.pk/thenews/jan2011-weekly/busrev-31-01-2011/p11.htm> (in English)
9. *Idem.*
10. Dipak Basu., 2000. Child Labor and Child Slaves, available: <http://www.wsws.org/en/articles/2000/01/chld-j07.html> (in English)
11. see: EarthRights International, Press Release, New Reports Link Total and Chevron to Forced Labor and Killings in Burma, Despite Flower Impact Assessments, page 1-2, available: <http://www.earthrights.org/sites/default/files/documents/press-release-total-impact-getting-it-wrong.pdf> (in English); also, see: OECD., 2002. Multinational Enterprises in Situations of Violent Conflict and Widespread Human Rights Abuses, Directorate for

- Financial, Fiscal and Enterprise Affairs, Working Paper on International Investment, No.2002/1, page 5; 25; 30, available: http://www.oecd.org/countries/myanmar/WP-2002_1.pdf (in English)
12. Kim Jo., Gender and Transnational Corporations (TNCs), Wellesley Centers for Woman, available: <http://www.wcwoonline.org/Archived-Projects/gender-and-transnational-corporations-tncs> (in English)
 13. International Labor Rights Forum., 2005. Dignity and Justice for Workers Worldwide, The 14 Worst Corporate Evildoers, available: <http://www.labor-rights.org/creating-a-sweatfree-world/ethical-consumerism/news/11434> (in English)
 14. *Idem.*, see: Motisola Malikha Abdallah, Gregory Allen Clark, Linds Ingram, and Kimberly Gray Orton Individually and a Class Representatives (Plaintiffs) v. The Coca-Cola Company (Defendant), Civil Action No. 1-98-CV-3679 (RWS), Complaint – Class Action, United States District Court, Northern District of Georgia, available: <http://www.essentialaction.org/spotlight/coke/complaint.html> (in English)
 15. see: ChevronToxico, The Campaign for Justice in Ecuador, Produced Water, available: <http://chevrontoxico.com/about/environmental-impacts/produced-water> (in English)
 16. The 14 Worst Corporate Evildoers, *supra* note 13.
 17. see: Monsanto, Unilever Use Child Labor in India, available: <http://www.indianet.nl/a030514.html> (in English); also, see: Venkateswarlu D., Child Labour and Trans-National Seed Companies in Hybrid Cottonseed Production in Andhra Pradesh, Study commissioned by India Committee of Netherlands [ICN], the Netherlands, available: <http://www.indianet.nl/cotseed.html> (in English)
 18. *Idem.*
 19. Özden M., 2005. Transnational Corporations and Human Rights, What is at stake in the United Nations debate over the Norms and the Responsibilities of Transnational Corporations and other Business Enterprises with regard to Human Rights, Part of a series of the Human Rights Programme of the Europe-Third World Centre (CETIM), page 11-18, available: <http://www.cetim.ch/en/documents/bro2-stn-an.pdf> (in English)
 20. Eide A., Economic, Social and Cultural Rights as Human Rights, available: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-Osamartal--00-1--0-10-0--0-0---Oprompt-10--.%2e-4---4---0-0l--11-ka-10--10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.1.2> (in Georgian)
 21. International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966, entry into force 3 January 1976, in accordance with article 27, available: <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CESCR.aspx> (in English), also, see: *Idem.*
 22. Article 11 (1)
 23. Article 6 (1), (2); Article 7; also Article 8 (1); (2); (3)
 24. Article 13 (1), (2), (3), (4)
 25. United Nations Human Rights., Office of the High Commissioner for Human Rights., What are Human Rights?, available: <http://www.ohchr.org/EN/Issues/Pages/WhatareHumanRights.aspx> (in English)
 26. *Idem.*
 27. The New York Times Magazine, September 13, 1970, The Social Responsibility of Business is to Increase Its Profits, available: <http://www.colorado.edu/studentgroups/libertarians/issues/friedman-soc-resp-business.html> (in English)

28. Hunya, *supra* note 7.
29. United Nations., Office of the High Commissioner for Human Rights., Business and Human Rights, available: <http://www.ohchr.org/EN/Issues/Business/Pages/BusinessIndex.aspx> (in English)
30. United Nations., 2009., Creating Business and Social Value: The Asian Way to Integrate CSR into Business Strategies, Studies in Trade and Investment 68, Economic and Social Commission for Asia and the Pacific, United Nations Publication, Sales No. E.10.II.F.18, ISBN: 978-92-1-120616-6, ISSN: 1020-3516, ST/ESCAP/2565, page 1, available: <https://www.mysciencework.com/publication/read/1772878/creating-business-and-social-value-the-asian-way-to-integrate-csr-into-business-strategies#page-null> (in English)
31. *Idem*.
32. *Idem*.
33. Gheeraert L., Mansour J., 2005. On the Impact of Private Capital Flows on Economic Growth and Development, CEB Working Paper No. 05/003, Solvay Business School, Center Emile Bernheim, Research Institute in Management Sciences, page 29, available: <https://dipot.ulb.ac.be/dspace/bitstream/2013/14597/1/rou-0207.pdf> (in English)
34. United Nations., Office of the High Commissioner for Human Rights., Human Rights, Trade and Investment, available: <http://www.ohchr.org/EN/Issues/Globalization/Pages/GlobalizationIndex.aspx> (in English)
35. Deva S., 2003. Human Rights Violations by Multinational Corporations and International Law: Where from Here?, Connecticut Journal of International Law, (19), page 31, available: http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=637665 (in English)
36. Muchlinski P., 2007. Multinational Enterprises and the Law, Oxford University Press, page 518, (in English)
37. Deva, *supra* note 35.
38. „Recognizing that even though States have the primary responsibility to promote, secure the fulfilment of, respect, ensure respect of and protect human rights, transnational corporations and other business enterprises, as organs of society, are also responsible for promoting and securing the human rights set forth in the Universal Declaration of Human Rights“, see: UN., 2003., Norms on the Responsibilities of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights, U.N. Doc. E/CN.4/Sub.2/2003/12/Rev.2, available: <http://www1.umn.edu/humanrts/links/norms-Aug2003.html> (in English)
39. „States have the primary responsibility to promote, secure the fulfilment of, respect, ensure respect of and protect human rights recognized in international as well as national law, including ensuring that transnational corporations and other business enterprises respect human rights. Within their respective spheres of activity and influence, transnational corporations and other business enterprises have the obligation to promote, secure the fulfilment of, respect, ensure respect of and protect human rights recognized in international as well as national law, including the rights and interests of indigenous peoples and other vulnerable groups“, Norms on the Responsibilities of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights, 38.
40. Pillay S., 2004. And Justice for All? Globalization, Multinational Corporations, and the Need for Legally Enforceable Human Rights Protections, University of Detroit Mercy Law Review, 81 (489), 33. 492, (in English)
41. Ochoa C., 2009. The Future of Corporate Accountability for Violations of Human Rights, Faculty Publication s. Paper 1314, page 293-294, available: <http://www.repository.law.indiana.edu/cgi/viewcontent.cgi?article=->

- 2314&context=facpub (in English)
42. Anderson J., 2000. Respecting Human Rights: Multinational Corporations Strike Out, University of Pennsylvania, Journal of Labor and Employment Law, 2 (3), page 467, available: [https://www.law.upenn.edu/journals/jbl/articles/volume2/issue3/Anderson2U.Pa.J.Lab.&Emp.L.463\(2000\).pdf](https://www.law.upenn.edu/journals/jbl/articles/volume2/issue3/Anderson2U.Pa.J.Lab.&Emp.L.463(2000).pdf) (in English)
 43. Bennett J., 2002. Multinational Corporations, Social Responsibility and Conflict, Journal of International Affairs, 55 (2), page 401, (in English)
 44. Perry A., 2000. Effective Legal Systems and Foreign Direct Investment: In Search of the Evidence, International and Comparative Law Quarterly, 49 (779), page 784-792, (in English)
 45. Schreuer C., Sources of International Law: Scope and Application, Emirates Lecture Series 28, The Emirates Center for Strategic Studies and Research, page 10-11, available: http://www.univie.ac.at/intlaw/wordpress/pdf/59_sources.pdf (in English)
 46. Kinley D., Tadaki J., 2004. From Talk to Walk: The Emergence of Human Rights Responsibilities for Corporations at International Law, Virginia Journal of International Law, 44 (4), page 935, (in English)
 47. *Idem.*
 48. Deva, supra note 35, page 52., also, see: United Nations., Office of the High Commissioner for Human Rights., Corporations must be held accountable for human rights violations, available: <http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/CorporationsMustBeHeldAccountableForHRViolations.aspx> (in English)
 49. Shaw M., 2008. International Law, Cambridge University Press, page 1, 47, (in English)
 50. UNCTAD., What Are BITs?, available: http://www.unctadxi.org/templates/Page_1006.aspx (in English), also, The Energy Charter Treaty (1994), available: http://www.encharter.org/fileadmin/user_upload/document/EN.pdf (in English), also, North American Free Trade Agreement (NAFTA), see: NAFTA Secretariat, North American Free Trade Agreement, available: <https://www.nafta-sec-alena.org/Default.aspx?tabid=97&language=en-US> (in English)
 51. see: ICSID, International Centre for Settlement of Investment Disputes, Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States, (1965) 4 International Legal materials 532, also, see: Kerner A., 2009. Why Should I Believe You?, The Costs and Consequences of Bilateral Investment Treaties, International Studies Quarterly 53, page 73-102, (in English)
 52. Bernasconi-Osterwalder N., Cosbey A., Johnson L., Vis-Dunbar D., 2012. Investment Treaties & Why They Matter to Sustainable Development: Questions & Answers, IISD Publication, page 35, available: http://www.iisd.org/pdf/2011/investment_treaties_why_they_matter_sd.pdf (in English)
 53. Universal Declaration of Human Rights, 1948, available: <http://www.un.org/en/documents/udhr/index.shtml> (in English); International Covenant on Economic, Social and Cultural Rights (adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966), available: <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CESCR.aspx> (in English); International Covenant on Civil and Political Rights (adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966), available: <http://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx> (in English); Optional Protocol to the International Covenant on Civil and Political Rights, G.A. res. 2200A (XXI), 21 U.N. GAOR Supp. (No.16) at 59, U.N. Doc. A/6316 (1966),

- 999 U.N.T.S. 302, entered into force March 23, 1976, available: <http://www1.umn.edu/humanrts/instree/b4ccprp1.htm> (in English); Second Optional Protocol to the International Covenant on Civil and Political Rights, aiming at the abolition of the death penalty (adopted and proclaimed by General Assembly resolution 44/128 of 15 December 1989), available: <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/2ndOPCCPR.aspx> (in English); European Convention on Human Rights (ECHR), available: http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=basictexts&c=#n1359128122487_pointer (in English)
54. Katuoka S., Dailidaitė M., 2012. Responsibility of Transnational Corporations for Human Rights Violations: Deficiencies of International Legal Background and Solutions Offered by National and Regional Legal Tools, *Jurisprudence* 19 (4) 1301, page 1303, available: <https://www.mruni.eu/ojs/jurisprudence/article/view/103/96> (in English)
 55. *Idem.*
 56. *Idem.*
 57. “. . . as a common standard of achievement for all peoples and all nations, to the end that every individual and every organ of society, keeping this Declaration constantly in mind, shall strive by teaching and education to promote respect for these rights and freedoms and by progressive measures, national and international, to secure their universal and effective recognition and observance, both among the peoples of Member States themselves and among the peoples of territories under their jurisdiction“, see: The Universal Declaration of Human Rights, available: <http://www.un.org/en/documents/udhr/index.shtml> (in English)
 58. Lovell D., Shenk T., 2011. Louis Henkin’s Legacy, *Rights News* 29 (2), page 10, available: http://hrcolumbia.org/rightsnews/feb2011/louis_henkin (in English), also, Katuoka., Dailidaitė, supra note 54.
 59. Muchlinski, supra note 36, page 518.
 60. Muchlinski, supra note 36, page 518; also, see: Austrian Human Rights Commission, What is the Universal Declaration on Human Rights?, available: <https://www.humanrights.gov.au/publications/what-universal-declaration-human-rights> (in English)
 61. Katuoka., Dailidaitė, supra note 54, page 1304.
 62. UN Draft Code on Transnational Corporations (1977), see: Keller H., *Corporate Codes of Conduct and Their Implementation: The Question of Legitimacy*, page 8-9, available: http://www.yale.edu/macmillan/Heken_Keller_Paper.pdf (in English); the Sullivan Principles (1970), see: Socially Responsible Investing, The Sullivan Principles, A Code of Conduct for Corporations and a Social Investing Benchmark, available: <http://socialinvesting.about.com/od/srshareholders/a/SRISullivan.htm> (in English); The OECD Guidelines for Multinational Enterprises (1976), (1979), (1982), (1984), (1991), (2000), (2011), see: OECD., *Guidelines of Multinational Enterprises*, available: <http://www.oecd.org/investment/mne/2011update.htm> (in English); the International Labor Organization Tripartite Declaration of Principles Concerning Multinational Enterprises and Social Policy (1977), see: Policy Advocacy, Corporate Responsibility Initiatives, ILO Tripartite Declaration of Principles Concerning Multinational Enterprises and Social Policy, available: <http://www.uscib.org/index.asp?documentID=2575> (in English); also, see: Tripartite Declaration of Principles Concerning Multinational Enterprises and Social Policy, International Labour Office, Geneva, available: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed_emp/@emp_ent/documents/publication/wcms_101234.pdf (in English)
 63. Global Compact, იბოლქო: United Nations Global Compact, available: <http://www.unglobalcompact.org/> (in English); the UN Norms on the Re-

- sponsibilities for Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights (2003), see: Commentary on the Norms on the Responsibility of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights, U.N. Doc. E/CN.4/Sub.2/2003/38/Rev.2 (2003), available: <http://www.umn.edu/humanrts/links/commentary-Aug2003.html> (in English); also, see: Hillemanns C., 2003. UN Norms on the Responsibility of Transnational Corporations and Other Business Enterprises with regard to Human Rights, German Law Journal 04 (10) 1065, available: http://www.germanlawjournal.com/pdfs/Vol04No10/PDF_Vol_04_No_10_1065-1080_European_Hillemanns.pdf (in English); Report of the Special Representative of the Secretary-General on the issue of human rights and transnational corporations and other business enterprises (2008), see: UN, Human Rights Council, A/HRC/8/5, 7 April 2008, Promotion and Protection of All Human Rights, Civil, Political, Economic, Social and Cultural Rights, Including the Right to Development; Protect, Respect and Remedy: a Framework for Business and Human Rights; Report of the Special Representative of the Secretary-General on the issue of human rights and transnational corporations and other business enterprises, John Ruggie, available: <http://198.170.85.29/Ruggie-report-7-Apr-2008.pdf> (in English)
64. United Nations Human Rights Office of the High Commissioner for Human Rights, New Guiding Principles on Business and Human Rights endorsed by the UN Human Rights Council, available: <http://www.ohchr.org/en/News-Events/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=11164> (in English); also, see: UN., 2011. Guiding Principles on Business and Human Rights, Implementing the United Nations „Protect, Respect and Remedy“ Framework, HR/PUB/11/04, available: http://www.ohchr.org/Documents/Publications/GuidingPrinciplesBusinessHR_EN.pdf (in English)
 65. „(a) States’ existing obligations to respect, protect and fulfil human rights and fundamental freedoms; (b) The role of business enterprises as specialized organs of society performing specialized functions, required to comply with all applicable laws and to respect human rights; (c) The need for rights and obligations to be matched to appropriate and effective remedies when breached“; „Guiding Principles on Business and Human Rights, Implementing the United Nations „Protect, Respect and Remedy“ Framework“, supra note, page 1.
 66. Guiding Principles on Business and Human Rights, Implementing the United Nations „Protect, Respect and Remedy“ Framework, supra note 64, page 1.
 67. New Guiding Principles on Business and Human Rights endorsed by the UN Human Rights Council, supra note 64.
 68. Clement P., 2012. UN Guiding Principles on Business and Human Rights: Weaknesses and Way Forward, XII International Human Rights Colloquium, Sao Paulo, available: www.conectas.org/arquivos/multimedia/PDF/182.ppt (in English)
 69. *Idem.*
 70. *Idem.*
 71. UN General Assembly, Human Rights Council, A/HGC/26/L.22/Rev.1, 25 June 2014, Elaboration of an International Legally Binding Instrument on Transnational Corporations and other Business Enterprises with respect to Human Rights, available: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/LTD/G14/064/48/PDF/G1406448.pdf?OpenElement> (in English), also, see: International Justice Resource Center., 2014. In Controversial Landmark Resolution, Human Rights Council Takes First Step Toward Treaty on Transnational Corporations’ Human Rights Obligation, available: <http://www.ijrcenter.org/2014/07/15/in-controversial-landmark-resolution-human-rights-coun->

- [cil-takes-first-step-toward-treaty-on-transnational-corporations-human-rights-obligations/](#) (in English)
72. Salacuse J., Sullivan N., 2005. Do BITs Really Work? An Evolution of Bilateral Investment Treaties and Their Grand Bargain, *Harvard International Law Journal* 46, page 79-80, (in English); also, see: Khatidze G., 2013., *Bilateral Investment Treaties as the Legal Instruments for Protection and Promotion of Foreign Direct Investment*, *Business Engineering* 1, page 108-113 (in Georgian)
 73. Heiskanen V., *Of Capital Import: The Definition of Investment in International Investment Law*, in: Hoffmann A., 2010. (Ed.), *Protection of Foreign Investments through Modern Treaty Arbitration: Diversity and Harmonisation*, ASA Special Series (No. 34), page 51-73, (in English)
 74. Dorp M., 2014. *Multinationals and Conflict*, *International Principles and guidelines for Corporate Responsibility in Conflict-affected Areas*, Centre for Research on Multinational Corporations, page 18, available: http://www.somo.nl/publications-en/Publication_4165/ (in English)
 75. Ruggie J., 2014. *Qio Vadis? Unsolicited Advice to Business and Human Rights Treaty Sponsors*, Institute for Human Rights and Business, available: <http://www.ihrb.org/commentary/quo-vadis-unsolicited-advice-business.html> (in English)
 76. *Idem.*
 77. *Idem.*, also, see: UN General Assembly., 2006. *Fragmentation of International Law: Difficulties Arising from the Diversification and Expansion of International Law*, Report of the Study Group of the International Law Commission, A/CN.4/L.682, page 249, available: http://legal.un.org/ilc/documentation/english/a_cn4_l682.pdf (in English); also, see: Fischer-Lescano A., 2004. *Regime-Collisions: The Vain Search for Legal Unity in the Fragmentation of Global Law*, *Michigan Journal of International Law* 25, page 1000–1004, available: <http://www.jura.uni-frankfurt.de/42852885/regimecollisions.pdf> (in English)
 78. *Idem.*
 79. *Idem.*

საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის გობიერთი ლოგიკური პრობლემა

გიორგი თოდრია

პროფესორი

*ივ. ჭავჭავაძის თსუ-ს თ.წერეთლის სახელმწიფო
და სამართლის ინსტიტუტი, სამართლის მეცნიერთა
კავშირის წევრი*

საკვანძო სიტყვები: სამართალი, სახელმწიფო,
საზოგადოება

საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის გობიერთი ლოგიკური პრობლემა

1999 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. ამ ნორმატიულ აქტში რამდენადმე ასახვა ჰპოვა გერმანული დოქტრინის იდეებმა. ამ იდეის რეალიზაციის უშუალო შედეგს წარმოადგენს საქართველოს სსკ მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაული, ე. ი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში „დანაშაულის“ მოცემული განსაზღვრება არაა. იგი დომინირებს მხოლოდ დოქტრინალურ განსაზღვრებებში. მაგრამ გერმანული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოს პარ-

ლაშქარმა გერმანული მეცნიერების მიერ განვითარებული დანაშაულის დოქტრინალური განსაზღვრება აიყვანა დანაშაულის ცნების რანგში და განსაზღვრა იგი საქართველოს სსკ მე-7 მუხლში. ამ მიმართულებით არსებითად შეიცვალა დანაშაულის ნიშნების ინტერპრეტაცია. ყოველივე ამან რიგი ლოგიკური პრობლემა წარმოშვა, რომელიც ვლინდება გერმანიის სისხლის სამართლის დოქტრინაში და, შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში.

დანაშაულის მოძღვრების ლოგიკური პრობლემები

ქმედების შემადგენლობა გაიგება, როგორც დანაშაულის პირველი ნიშანი. მსჯელობენ შემდეგნაირად: მაგალითად, ა-მ მოკლა ბ. მოცემულ შემთხვევაში გვაქვს ქმედების (და არა დანაშაულის) შემადგენლობა, მაგრამ ჯერ არაა დადგენილი ქმედების მართალწინააღმდეგობა. ა ხომ შეიძლება მოქმედებდეს, როგორც აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი.

მსგავს სიტუაციებში, როცა ლაპარაკობენ ქმედების შემადგენლობაზე, მხედველობაში აქვთ მოცემული დელიქტისა და დანაშაულის ობიექტური მხარის მსგავსება. აქ კვლავ ძნელია ვილაპარაკოთ დანაშაულის ცნებაზე, იგი ჯერ არაა დასრულებული. „X“ შემადგენლობის ცნებასთან ჩვენ გვექნება საქმე, თუ დამტკიცდება, რომ პირი არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, არამედ სურდა ჩაედინა მკვლელობა. მაგრამ აქ უკვე ერთვება ქმედების სუბიექტური მხარე. მაშასადამე, უიმისოდ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ „X“ შემადგენლობის შესახებ. ქმედების შემადგენლობის ცნებასთან ჩვენ გვექნება საქმე, როცა სახეზეა ქმედების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ასპექტი. მაგრამ, თუ ორივე ეს ასპექტი დადგენილია, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის (X)

და არა ქმედების შემადგენლობასთან, ანუ სასესებით განსაკუთრებულ მოვლენასთან.

ტერმინი „შემადგენლობა“ გამოიყენება ორჯერ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაბუთებისას, რაც აკრძალულია ფორმალური ლოგიკის წესებით. დასაწყისში კატეგორია „ქმედების შემადგენლობა“ არასრულად ასახავს ობიექტურ რეალობას, რადგანაც იგი ჯერ არაა დასრულებული, ანუ არ მომნიშვნელოა დანაშაულის ცნებამდე. მაშასადამე, ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, „ქმედების შემადგენლობა“ არ აკმაყოფილებს ცნების წარმოქმნის ლოგიკურ მოთხოვნებს: იგი მეტისმეტად ვიწროა, უფრო მეტიც, არ არის მკაცრად მეცნიერული მიდგომა ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით. მეორე მნიშვნელობით ეს ტერმინი ფიგურირებს, როცა დადგენილია შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური ელემენტები.

მართალწინააღმდეგობა ცხადდება დანაშაულის მეორე ნიშნად. მოცემულ შემთხვევაში მსჯელობენ შემდეგნაირად: ჩვეულებრივ, ასრულებს რა ქმედების შემადგენლობას, პირი ამავე დროს სჩადის მართალსაწინააღმდეგო აქტს. ამრიგად, ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა ახდენს მართალწინააღმდეგობის ინდუცირებას და მის შემონახვას მიმართავენ გამონაკლისის წესით.

მართალწინააღმდეგობა გაიგება, როგორც სამართლის და ზნეობის იმ ნორმების მიმართ წინააღმდეგობა, რომლებიც იმყოფებიან სისხლის სამართლის ფარგლებს გარეთ. მაგრამ ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა სრულდება ქმედების შემადგენლობა, მაგრამ იგი მართალსაწინააღმდეგო არ არის. მაგალითად, თუ პირი მოქმედებს აუცილებელი მოგერიების ან კიდევ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, როგორც მსჯელობს იურისტ-ნორმატივისტი, ადგილი აქვს გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ მართალწინააღმდეგობას. ამრიგად, მივდევთ რა ფორმალური ლოგიკის კანონებს, ჩვენ

ვლებულობთ ორ კონტრადიქტორულ მსჯელობას: კატეგორიაში „ქმედების შემადგენლობა“ სურთ მოიაზრონ მოვლენა დადებითი ნიშნებით, ხოლო კატეგორიაში „მართლწინააღმდეგობა“ – მოვლენა უარყოფითი ნიშნებით. ამ შემთხვევაში პრედიკატი „მართლწინააღმდეგობა“ (თუ მხედველობაში აქვთ გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას) განეკუთვნება რაღაც სხვას, მაგრამ არა დანაშაულს. ხომ არ შეუძლიათ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებს იყვნენ თავსებადი ქმედების „შემადგენლობასთან“, რომელიც მოიაზრება, როგორც მართლწინააღმდეგო მოვლენა.

შემდეგ, კატეგორიაში „მართლწინააღმდეგობა“ მოიაზრება სხვადასხვა ერთეული მოვლენა – სამართალი და კულტურა. აქ ადგილი აქვს ლოგიკურ შეცდომას გაყოფაში, რამეთუ გაყოფის საფუძველი ერთი და იგივე არაა, ანუ ადგილი აქვს გაყოფას მრავალი საფუძვლის მიხედვით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სისხლის სამართალი არ მოიაზრება, როგორც სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, იგი გამიჯნულია სამართლის ყველა დანარჩენი დარგებისაგან. როგორც მიიჩნევენ, სისხლის სამართალი იცავს, ხოლო სამართლის დანარჩენი დარგების ნორმები არეგულირებენ. მეორეც, სამართალი არსებობს საზოგადოებაში სწორედ იმიტომ, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის კულტურები და სახელმწიფოს მოთხოვნა არათავსებადია და ამ წინააღმდეგობის გამო სახელმწიფო მოითხოვს ძალისმიერ სტანდარტიზაციას, სხვადასხვა კულტურის საერთო მნიშვნელის ქვეშ გაერთიანებას. უკვე ამის გამო სამართალს და კულტურას არ შეიძლება ჰქონდეთ ე. წ. გვაროვნული ცნება „მართლწინააღმდეგობის“ ცნების სახით.

ამრიგად, თუ კატეგორიას „ქმედების შემადგენლობა“ არ ძალუძს ასახოს ობიექტური რეალობა, რადგანაც, ლოგიკის ენით თუ ვიტყვი, მისი აღმწერი აბსტრაქცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულ, ანუ არ მომწიფებულა დანაშაულის ცნებამდე, კატეგორია „მართლწინააღმდეგობა“ სა-

ერთოდ გამოტანილია დანაშაულის ცნების ფარგლებიდან. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვი, „მართლწინააღმდეგობის“ ცნების მოცულობას წარმოადგენენ მოვლენები, რომლებიც არ განეკუთვნებიან დანაშაულის სფეროს.

ბრალი ცხადდება ქმედების (დანაშაულის) მესამე ნიშნად. ხანგრძლივი კამათის შედეგად იურისტთა ნაწილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბრალი არის გაკიცხვა. კორექტულობის დაცვით დავაზუსტებთ მოცემულ აზრს: ტერმინით „ბრალი“ აღინიშნება გაკიცხვა, ე. ი. ტერმინ „ბრალის“ მნიშვნელობით გამოდის გაკიცხვა. ხოლო იურისტთა მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ბრალი არის დამნაშავის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი¹. აქ ორივე შემთხვევაში დარღვეულია მსჯელობის ეკვივალენტურობის პრინციპი.

თუ გაკიცხვა არის აქტი, რომელსაც ახორციელებს სასამართლო, მაშინ იბადება კითხვა: წარმოადგენს თუ არა სასამართლოს გადანყვეტილება დანაშაულის ნიშანს? აქ საჭიროა გავიხსენოთ ცნობილი ქიმიკოსის დ. მენდელეევის მთავარი ლოგიკური კითხვა, რომელიც მან დასვა ცნების „დაუშლელი ელემენტის“ მიმართ: რას ნიშნავს ელემენტის „დაუშლელი“? ლაპარაკია ქიმიურ საშუალებებზე, რომლებსაც არ ძალუძთ დაშალონ ელემენტი, ანუ ლაპარაკია ელემენტის თვითთვისებაზე? ამით ანალოგია სრულდება. დავუბრუნდეთ სისხლის სამართალს და დავსვათ კითხვა: განეკუთვნება თუ არა დანაშაულს დანაშაულის შეფასების ხერხი, თუ საქმე გვაქვს განსხვავებულ მოვლენასთან? ცხადია, რომ დანაშაულის შეფასების ხერხი მოითხოვს სხვანაირ ლოგიკურ დახასიათებას, რაც არ განეკუთვნება დანაშაულს. ხატოვნად რომ ვთქვათ, რას ფიქრობს მოსამართლე და რას ფიქრობს დამნაშავე – ეს სულაც არ არის ერთი და იგივე.

დამნაშავის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი – ეს არაა ლოგიკური პრობლემის გადანყვეტა, რამეთუ ჩვენ საქმე

1 აღნიშნული მიდგომის განხილვა იხ: კულტალია ლ., 2000. ბრალი სისხლის სამართალში. თბილისი, თსუ, 2000, გვ. 258-264. (GEO); ნაჭყებია გ., 2011. სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი). თბ., გვ. 327-340.

გვაქვს მსჯელობის ეკვივალენტურობის პრინციპის დარღვევის სხვა ფორმასთან. ჯერ ერთი, იმიტომ რომ, ნაწილობრივ ეს საკითხი წყდება დანაშაულის სუბიექტური მხარის ანალიზისას. მეორეც, იმიტომ რომ თვით ნორმატიული თეორიის მომხრეებს გაუფრთხილებლობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება გამოაქვთ ბრალის არეში, ე. ი. მოსამართლის და არა დამნაშავის მსჯელობის არეში. დაბოლოს, თვით ბრალის კატეგორია, რომელსაც აგებენ ნორმატივისტები, სულაც არ განეკუთვნება დანაშაულის მოძღვრებას. ბევრი საკითხი, რომლებიც ეხება შემსრულებელს, შერაცხადობის კრიტერიუმს, მართლწინააღმდეგობის შეგნებას, შეცდომას, საპატიებელ გარემოებებს და ა. შ., მიაკუთვნებენ გაკიცხვის (ბრალის) და არა დანაშაულის მოძღვრებას. ამიტომ მისწრაფება, განისაზღვროს „ბრალი“ დანაშაულის მესამე ნიშნის სახით, წინააღმდეგობაშია იმ ამოცანასთან, რომლის გადასაწყვეტად ადგენენ „ბრალი“-ს კატეგორიას დანაშაულის ნიშნის სახით.

ამრიგად, „მართლწინააღმდეგობის“ კატეგორიასთან ერთად „ბრალის“ კატეგორია ასევე გამოტანილია დანაშაულის ცნების ფარგლებს გარეთ.

ანალიზის გაურთულებლად შევნიშნავთ, რომ დანაშაულის ნიშნების შესახებ საკითხის ნეოკანტიანური განმარტება ჩიხში შევიდა. დანაშაულის განსაზღვრება ისეთი ნიშნების მეშვეობით, როგორებიცაა: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი, იძლევა ფრიად ბუნდოვან წარმოდგენას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის შესახებ. ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, კატეგორია „ქმედების შემადგენლობა“ არის მეტისმეტად ვიწრო. კატეგორიები „მართლწინააღმდეგობა“ და „ბრალი“ კი საერთოდაა გამოტანილი დანაშაულის გაგების ფარგლებს გარეთ.

მკითხველს გავახსენებთ, რომ ნეოკანტიანური განმარტების თანახმად, შემეცნების ობიექტი ობიექტურად არ არსებობს და იქმნება გამოცდილებით. გამოდის,

რომ დანაშაულს ობიექტური ნიშნები არ გააჩნია. ადვილი შესამჩნევია მხოლოდ ის, რომ დანაშაული წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ ქმედებას (გფრ-ს სსკ, §12). გამოცდილებას, რომელშიც იქმნება დანაშაულის ცნება, წარმოადგენს განაჩენის აგების პროცესი. სწორედ მისი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი (საქართველოს სსკ, მე-7 მუხლი). გააჩნია თუ არა დანაშაულს ობიექტური ნიშნები? – კითხვა, რომელიც არსებობს ამ მიდგომის მიღმა. ასეთია ნეოკანტიანური მიდგომის არსი სისხლის სამართალში.

გზადაგზა შევნიშნავთ, რომ ბევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში აქამდეა შენარჩუნებული საბჭოთა დოქტრინის რუდიმენტი იმ დანაშაულის „საზოგადოებრივი საშიშროების“ კატეგორიის სახით, რომელიც ასევე არ თავსდება დანაშაულის ცნების განსაზღვრის ლოგიკაში. ქმედება ცხადდება დანაშაულად სწორედ მისი საზოგადოებრივი საშიშროების განსაკუთრებული თვისებების გამო. ცხადია, რომ მოვლენის წარმოშობის წინაპირობა და ამ მოვლენის ნიშანი არ შეიძლება იყვნენ ერთისა და იმავე დატვირთვის მატარებელნი. მაგრამ მნიშვნელოვანია „საზოგადოებრივი საშიშროების“ სხვა ნაკლი, რომელიც შემჩნეულია ნორმატივისტების მიერ. ორი მანქანის ურთიერთდაჯახებისას სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ, რომელმა მძღოლმა დაარღვია მართვის წესები. და მხოლოდ ამის შემდეგ წამოტივტივდება დამრღვევის ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების საკითხი. მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი საშიშროება დამოკიდებულია მართლწინააღმდეგობის დადგენაზე. ყველა ამ საკითხს არავითარი კავშირი არ აქვს დანაშაულის ცნების განსაზღვრასთან. ისინი უფრო მეტად ასახავენ მოსამზადებელ ეტაპს დანაშაულის შემადგენლობის დაზუსტების გზაზე.

სისხლისსამართლებრივი პრობლემების გართულებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში პირველ ადგილზე

წამოსწია პროცედურული ხასიათის ამოცანები, რომლებმაც როგორღაც უკან გადასწიეს დეფინიციის ლოგიკური სრულყოფის საკითხები. ამის შედეგად სისხლის სამართლის კოდექსებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი – დანაშაული განისაზღვრება იმ ნიშნების ანაწყობის მეშვეობით, რომლებიც ვერ პასუხობენ ფორმალური ლოგიკის მოთხოვნებს. ეს საკითხი აქამდე რჩება პოლემიკის საგნად და სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობები ჯერჯერობით ვერ იძლევიან „დანაშაულის“ ლოგიკურად დასაბუთებულ განსაზღვრებას. ამიტომ აქამდე პრობლემატურია საკითხი: რა ნიშნები უნდა გააჩნდეს ქმედებას, რომ იგი ვალიდრობით დანაშაულად?

რიგი ქვეყნებისა საერთოდ უარს ამბობენ დანაშაულის განსაზღვრაზე და პენოლოგიური მიდგომით კმაყოფილდებიან. მაგალითად, გერმანიის სსკ-ში დაფიქსირებულია შემდეგი განსაზღვრება: „დანაშაულს წარმოადგენს მართალსაწინააღმდეგო ქმედება, რისთვისაც გათვალისწინებულია, როგორც მინიმალური სასჯელი, ერთი წლის და მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით.“² ავსტრიის სსკ-ს მე-19 პარაგრაფში ნათქვამია: „დანაშაულს წარმოადგენს განზრახ ქმედებები, რაც ისჯება თავისუფლების სამუდამო აღკვეთით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით.“³ დანაშაულის მსგავსი განსაზღვრებაა მოცემული პოლონეთის რესპუბლიკის სსკ-ს მეშვიდე მუხლის მეორე პარაგრაფში⁴, აგრეთვე ნორვეგიის სსკ-ში.⁵ შვედეთის სსკ-ს მე-11 მუხლში გათვალისწინებულია: „დანაშაულს წარმოადგენს ქმედება, რომელიც განისაზღვრება წინამდებარე კოდექსით ან სხვა კანონით ან სტატუსით,

რისთვისაც დადგენილია სასჯელი“⁶. შვეიცარიის სსკ-ს მე-9 მუხლში აღნიშნულია, რომ დანაშაულს წარმოადგენს მართალსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ექვემდებარება დასჯას კატორღული ციხით⁷. ჰოლანდიის სსკ-ს პირველი მუხლის თანახმად, „არ ისჯება ქმედებები ან უმოქმედობა, რაც არ შეადგენდა სისხლის სამართლის სამართალდარღვევას...“⁸ და ასე შემდეგ.

მაგრამ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ადგილი აქვს „დანაშაულის“ განსაზღვრის მცდელობას ცნების შინაარსის მეშვეობით, მაგრამ ნეოკანტიანური გაგების წესების მიხედვით. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ საქართველოს სსკ მე-7 მუხლის დეფინიციის ნაკლოვანებებზე, ამიტომ მათ აღარ დავუბრუნდებით.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ არის ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც ლოგიკური თვალსაზრისით დანაშაულის უფრო კორექტულ განსაზღვრებას იძლევიან. ასე მაგალითად, ესპანეთის სსკ-ს მე-10 მუხლში განსაზღვრულია, რომ დანაშაულებს ანუ გადაცდომებს წარმოადგენს კანონით დასჯადი ქმედებები, რომლებიც განზრახ ან გაუფრთხილებლობითაა ჩადენილი⁹. ამ ასპექტში ჩვენ ვიღებთ, რომ დანაშაულად აღიარებენ კანონით გათვალისწინებულ ქმედებას (მოქმედებას ან უმოქმედობას), რომელიც ჩადენილია განზრახ ან გაუფრთხილებლობით. მოცემული განსაზღვრება პასუხობს ფორმალური ლოგიკის ყველა მოთხოვნას. უფრო მეტიც, იგი პრაქტიკულად უფრო ზუსტია, ვიდრე ჩვენ მიერ განხილული დანაშაულის დეფინიციები შემდეგ მიზეზთა გამო:

ჯერ ერთი, განსაზღვრება მეცნიერულად მართებულია, რამეთუ „დანაშაულის“ ცნების არსად გამოდის ქმედება, რომელიც

2 Уголовный кодекс ФРГ (Пер. с нем.). М. «Юридический центр Пресс», 2003.

3 Уголовный кодекс Австрии (Пер. с нем.). М. «Зерцало», 2001.

4 Уголовный кодекс Республики Польша. СПб. «Юридический центр Пресс», 2001.

5 Уголовное законодательство Норвегии (Пер.: Жмени А.В.). «Юридический центр Пресс», 2005.

6 Уголовный кодекс Швеции. (Пер. С.С.Беляева). М., 2000.

7 Уголовный кодекс Швейцарии (перевод с нем. В. Серебренниковой). СПб. «Юридический центр Пресс», 2002

8 Уголовный кодекс Голландии (пер. с англ. И.В.Мироновой). СПб. «Юридический центр Пресс», 2001.

9 Уголовный кодекс Испании (Под ред. Н.Ф. Кузнецовой и Ф.М. Решетникова). М., 1998.

აღწერილია სისხლის სამართლის კანონში. აღვნიშნავთ, რომ მართო ეს მომენტი ყველა ქვეყნის კანონმდებლობაშია აღიარებული.

მეორეც, იგი არ უნდა შეიცავდეს მანკიერ წრეს. თუ დავუშვებთ, რომ დანაშაულს აქვს ისეთი ნიშანი, როგორცაა „ბრალი“, ხოლო „ბრალი“ წარმოადგენს გაკიცხვას, მაშინ ჩნდება მანკიერი წრე. ქმედება იძენს დანაშაულის ნიშნებს, თუ ამ ფაქტში სასამართლომ დაინახა მოცემული ნიშნები, სასამართლოს კი შეუძლია დაინახოს ეს ნიშნები, თუ ისინი აღწერილია კანონში.

მესამე, მოცემული განსაზღვრება არ უნდა იყოს მოჭარბებული. მსჯელობები თავის თავში ფარავენ სიჭარბეს, თუ მივყვებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ მსჯელობებს: „კანონში ჩვეულებრივად აღწერილი ქმედება ტიპურად მართალსაწინააღმდეგოა.“ მაგრამ „ქმედება შეიძლება იყოს მართლზომიერი, მაგალითად, აუცილებელი მოგერიებისას“. ლოგიკური შეცდომა აშკარაა: თუ ქმედება, რომელიც ჩვეულებრივად აღწერილია კანონში, ტიპურად „მართალსაწინააღმდეგოა“, მაშინ „მართალსაწინააღმდეგობა“ მეორე ნიშნის სახით ზედმეტია.

მეოთხე, მოცემული განსაზღვრება საკმარისია. გავაგრძელოთ მაგალითი. თუ ქმედება, რომელიც ჩვეულებრივად აღწერილია კანონში, ტიპურად მართალსაწინააღმდეგოა, მაშინ საკმარისია მართალსაწინააღმდეგობის შესამოწმებლად, რომ არ იყოს გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მართალსაწინააღმდეგობას. მაგრამ, როგორც ამტკიცებენ, თუ ასეთი გარემოებები დადგენილია, მაშინ არაა მართალსაწინააღმდეგობა მეორე ნიშნის სახით. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ცნების საკმარისობის დადგენის კრიტერიუმი მოცემულია არა თვითონ ცნებაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

ბაკიძევის (ბრალის) მოძღვრების ლოგიკური პრობლემა

ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებასა და კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნა გერმანული დოქტრინის დებულებები, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვლენათა არსის ნეოკანტიანური განმარტების გამო, ერთმანეთში ურევს ცნებას და ცნებისადმი ოპერაციონალურ მიდგომას. ეს აზროვნების პროცესის სრულიად სხვადასხვა პროდუქტია. „მართალსაწინააღმდეგობის“ და „ბრალის“ კატეგორიების დადგენით „დანაშაულის“ კატეგორია არ განისაზღვრება, ისინი წარმოადგენენ დანაშაულში არსისა და მოვლენის გამოყოფის ხერხებს. თუ დადგენილია იმ გარემოებების არარსებობა, რომლებიც გამორიცხავენ მართალსაწინააღმდეგობას და ბრალს, ამით სუფთა სახით ვიღებთ დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობებს. სწორედ ამით ყალიბდება სისხლის სამართლის საფუძველი.

სისხლის სამართლის ზოგიერთი ქართული სახელმძღვანელო, რომლებიც ეფუძნება გერმანული მეცნიერების ნეოკანტიანურ დოქტრინას, იგნორირებას უკეთებს ცნების განსაზღვრის ლოგიკას და ამდენად, არასისტემური არიან. ისინი სხვადასხვანაირად არიან დატვირთული მასალით, რომელიც განეკუთვნება სწორედ დანაშაულის მოძღვრებას და მასალით, რომელიც იმყოფება დანაშაულის მოძღვრების გარეთ, ანუ განეკუთვნება გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრებას. ორივე მოძღვრების მასალა არაა ერთგვაროვნად დამუშავებული. ყველაზე ინტენსიურად ვითარდება დანაშაულის მოძღვრება, მაგრამ ბრალის მოძღვრება სუსტადაა ჩამოყალიბებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ქართველი მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებულია ფრიად დასაბუთებული დებულებები.

შევნიშნავთ, რომ სისხლის სამართლის

დაყოფა დანაშაულის მოძღვრებად და გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრებად წარმოადგენს სამართლის ამ დარგის გერმანული დოქტრინალური დაყოფის ნაყოფს. რეალურად პრაქტიკოსს არასოდეს მოუვა თავში აზრი მასალის დანაწევრების შესახებ, რომელიც უნდა მივაკუთვნოთ დანაშაულის შემადგენლობას, და მასალა, რომელიც, როგორც წერენ, უნდა განვიხილოთ ბრალის დონეზე, ანუ გაკიცხვის მოძღვრების საფუძველზე. უფრო გასაგები ენით თუ ვიტყვით, ზოგიერთი საკითხის განხილვა ე. წ. ბრალის დონეზე ნიშნავს, რომ არსებობს დანაშაულის კვალიფიკაციის („ქმედების სუბსუმციის“ – გერმანული ტერმინოლოგიის მიხედვით), პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყდეს სწორედ სასამართლო განაჩენის ფარგლებში, სულ ესაა. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროცედურული ხასიათის მსჯელობები ცალკეულ ნაშრომებში გადატვირთულია ბუნდოვანი, ზოგჯერ კი მოუფიქრებელი ტერმინებით, რომლებსაც უფრო მეტად აღრევა შეაქვთ ახალგაზრდა თაობის აზროვნებაში და ფრიად შორს არიან სისხლის სამართლის ლოგიკურად აგებული კურსისაგან.

მაგრამ რალაც დროით მივენდოთ სისხლის სამართალში დასაწერ სიახლეს და განვიხილოთ შემოთავაზებული ბრალის მოძღვრების არსი. როგორც ჩვენ გვარწმუნებენ, ბრალის მოძღვრების აქტუალობა განპირობებულია სასამართლო პრაქტიკის მოთხოვნებით. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წარმოიქმნება იმ მთელი რიგი საკითხების შეფასების გარდაუვალი აუცილებლობა, რომლებიც გამოდიან ქმედების შემადგენლობის ანალიზის ფარგლებიდან, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშნისას. ქართველმა მეცნიერებმა ყურადღება მიაპყრეს მოცემული პრობლემატიკის გააზრების მნიშვნელობას. ამ მიმართულებით თ. წერეთლის, ო. გამყრელიძის, გ. ნაჭყეზის, მ. ტურავას, ლ. კუტალიას და სხვა ქართველი მეცნიერების ნაშრომებში დიდი მოცულობის მასალაა დაგროვილი. ამიტომ

ამჟამად შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული სამართლებრივი აზრი მზადაა სისხლის სამართლის სისტემის გადასახედად და ბრალის მოძღვრების შესაქმნელად.

ჩვეულებრივ, ძველი სქემით სისხლის სამართლის საერთო ნაწილის სისტემა წარმოგვიდგებოდა საკითხთა ორი ჯგუფის სახით. საკითხთა ერთი ჯგუფი განეკუთვნებოდა ქმედების შემადგენლობას, მეორე ჯგუფი კი – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების მომენტიდან ზოგიერთ მეცნიერთა შორის ძირეულად შეიცვალა დამოკიდებულება საერთო ნაწილის ამ ფორმალიზაციის მიმართ. და, შესაბამისად, წარმოიშვა პროცედურების გააზრების მოთხოვნილება, რომელთა მოთავსება ძველ სქემაში (საბჭოთა მოდელში) არ იქნება ადვილი.

ბაკისხვის (ბრალის) მოძღვრების ფორმირების წინაპირობები

ქმედების ობიექტური შემადგენლობის გააზრებისას სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა კაუზალურობის განსაკუთრებული წინაპირობების დადგენის პრობლემები. როგორც გ. იაკობსი აღნიშნავდა, შედეგის ობიექტური შერაცხადობისათვის კაუზალურობა არ არის მარტო მინიმალური პირობა. საჭიროა კიდევ ქმედებისა და შედეგის ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება. სწორედ მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა რისკების ე. წ. დამთხვევის დროს. კერძოდ, ძვეს თუ არა დამდგარი შედეგი ადამიანის კონტროლს მიღმა, ამცირებს თუ არა ქმედება შედეგის მიყენების რისკს? აქვს თუ არა ადგილი მოვლენათა მსვლელობის ატიპურობას? დადგებოდა თუ არა შედეგი ქცევის მართლობრივების შემთხვევაში? და ა. შ. ამ საკითხს კიდევ საფუძვლიანად განვიხილავს

რ. როქსინი¹⁰. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხისადმი მსგავს მიდგომას ასევე ყურადღება მიაპყრო თ. წერეთელმა მიზეზობრივი კავშირის პრობლემათა დამუშავებისას¹¹.

ცხადია, რომ ყველა ეს საკითხი განეკუთვნება გარკვეულ ლოგიკურ პრობლემატიკას, რომელმაც, როგორც აღნიშნა მ. ტურავამ, წინა პლანზე წამოწია შედეგის ობიექტური შერაცხვის, გამორიცხვის ნორმატიული კრიტერიუმების მოძიების საკითხი. ამ მიმართულებით ნეოკანტიანური მიდგომა სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირის აბსტრაქციების პირობებზე დიდ ყურადღებას ამახვილებს. და ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნეოკანტიანური მიდგომა განსაკუთრებულ მოთხოვნას აყენებს ოპერციონალური განსაზღვრებისადმი. მაგრამ ნორმატიული კრიტერიუმების ძიების პროცესმა გამოავლინა გაკიცხვის მოძღვრების არსებითი მეთოდოლოგიური ნაკლი. მოსამართლე ვერ ისარგებლებს მიზეზობრივი კავშირის ერთიანი კრიტერიუმით, რადგან მოვლენათა კავშირი, რომელიც, იურისტის აზრით, არის კაუზალური, სინამდვილეში წარმოადგენს მოვლენათა რეგულარულ თანმიმდევრობას. არსებობენ ცალკეული პრობლემური სიტუაციები, რომლებსაც მოერგება ე.წ. ეკვივალენტურობის, კანონზომიერი პირობის, ადეკვატურობისა და რელევანტურობის, გენერალური მიზეზობრიობის და სხვ სახის მინითეორიები.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ქმედების სუბიექტური მხარე. მართლწინააღმდეგობის დადგენის შემდეგ ავტომატურად დგება მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი. ეს მიდგომა ფრიად მნიშვნელოვანია, რადგანაც, ბრალის გაბატონებული თეორიის

თანახმად, როგორც აღნიშნავს ჰ. იეშევი, მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი ხდება ბრალის (გაკიცხვის) ბირთვი.¹² მოცემული საკითხის გადანყვეტისას მოსამართლე ხშირად აწყდება „შეცდომათა“ პრობლემატიკას. ამიტომ სწორედ სასამართლო პრაქტიკა ბრალის მოძღვრებას მჭიდროდ უკავშირებს შეცდომების საკითხს. აღსანიშნავია, რომ „შეცდომის“ პრობლემა (გამონაკლისის გარდა) განეკუთვნება ბრალის და არა დანაშაულის მოძღვრებას.

არსებობს აზრი, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება არ წარმოადგენს განზრახვის კომპონენტს და უნდა განისაზღვროს ბრალის დონეზე. მ. ტურავა მართლწინააღმდეგობის შეგნებას განიხილავს, როგორც ინდივიდუალური ბრალის ნორმატიულ კომპონენტს.¹³ აღსანიშნავია, რომ ყველა ეს საკითხი განეკუთვნება დანაშაულის ცნების განსაზღვრის ხერხებს და არა თვით ცნებას.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს გაუფრთხილებლობის დანაშაულის პრობლემა. განზრახ დანაშაულისაგან მისი განსხვავების ანალიზისას ო. გამყრელიძე მიუთითებს, რომ გაუფრთხილებელი დანაშაულის საკითხის გადანყვეტა მთლიანად განეკუთვნება ე. წ. ბრალს¹⁴. ამასთან დაკავშირებით მოსამართლეს უხდება კითხვის დასმა: ჩადენილია თუ არა ქმედება წინასწარი განზრახვის გარეშე? და მხოლოდ ამის შემდეგ იგი იწყებს ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენას და ა. შ.

10 გერმანელ მეცნიერთა აღნიშნული კონცეპტუალური მიდგომის ანალიზი იხ: Dubber M., 2005. Theories of Crime and Punishment in German Criminal Law – Buffalo Law School Legal Studies Research. pp. 2-24; Жалинский А. Э., 2004. Современное немецкое уголовное право. М., «Проспект» с.145-155; ტურავა მ., 2011. დანაშაულის მოძღვრება (ზოგადი ნაწილი). თბ. „მერიდიანი“, გვ. 232-233.
11 წერეთელი თ., ტყემელაძე გ., 1969. მოძღვრება დანაშაულზე. თბ. „მეცნიერება“, გვ. 255-260.

12 გერმანულ სამართალში ბრალის თეორიის პრობლემების თავისებურების მიმოხილვა იხ: Жалинский А. Э., 2004. Современное немецкое уголовное право. М. «Проспект», с. 219; გამყრელიძე ო., 2006. შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული დასაბუთების ცდა – სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები. თბ. „მერიდიანი“, გვ. 8-46; იხ: კუტალია ლ., 2000. ბრალის სისხლის სამართალში. თბ. თსუ; ნაჭყებია გ., 2011. სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი). თბ., გვ.327-360.
13 ტურავა მ., 2011. დანაშაულის მოძღვრება (ზოგადი ნაწილი). თბ. „მერიდიანი“, გვ. 449.
14 გამყრელიძე ო., 2013. სისხლის სამართლის პრობლემები. ტ.3. თბ. „მერიდიანი“, გვ.173-174.

ბაკიხვის (ბრალის) მოძღვრების სისტემის შესახებ

მოძღვრების ამ ნაწილის შემუშავების შესახებ წერდა ჯერ კიდევ კ. როქსინი, რომელიც მიუთითებდა, რომ საჭიროა ბრალის ნორმატიული ცნება განვითარდეს პასუხისმგებლობის ნორმატიული ცნების სახით. ამ პოზიციას მხარს უჭერს რიგი ქართველი მეცნიერები.¹⁵

ბაკიხვის (ბრალის) მოძღვრების სისტემის კირველი ნაწილი საკითხები, რომლებიც განეკუთვნება სისხლის სამართლის საფუძვლის კორექტირებას

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმირების სისტემის ელემენტები. სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან და არა ქმედების შემადგენლობასთან, როგორც ეს მიაჩნდათ ადრე. თავის ნაშრომებში ეს საკითხი დაამუშავა ო. გამყრელიძემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ ასაკის, შერაცხადობის საკითხები და სხვა მოვლენები განეკუთვნება სწორედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკის სფეროს.¹⁶ ამ იდეას მხარს უჭერენ ქართველი იურისტები. ასეთი გზით მეცნიერები აყალიბებენ გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების მეორე ნაწილს, რომელიც განეკუთვნება სწორედ იმ მიდგომების სისტემას, რომლებიც მიმართულია სის-

ხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის ზღვრების დაზუსტებისაკენ.

გარემოებები, რომლებიც გამოწვევას ქმნიან ძმადების მართლწინააღმდეგობას და ბრალეულობას. ქართული მეცნიერების დამსახურებას წარმოადგენს იმ ინსტიტუტების საფუძვლიანად დამუშავება, რომლებიც მოთავსებულია სსკ-ის მე-8 და მე-9 თავებში. ისინი დაკავშირებულია არა დანაშაულის ცნებასთან (დანაშაულის მოძღვრებასთან), არამედ სწორედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობასთან.

როგორც აღნიშნული იყო, ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა ჩვეულებრივ ახდენს მართლწინააღმდეგობის ინიცირებას. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა გარემოებები, რომლებიც გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას (საქართველოს სსკ-ს 28-ე-31-ე მუხლები). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთ დეტალს. კანონმდებელი არ იძლევა ამ გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს. საქართველოს სსკ-ს 32-ე მუხლი ნებას აძლევს მოსამართლეს, თვითონვე დაადგინოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არაა. ამით ხაზი გაესმევა გაკიცხვის მოძღვრების განვითარების მნიშვნელობას სწორედ გარემოებათა კლასიფიკაციის მიმართულებით (სამოქალაქო-სამართლებრივი უკიდურესი აუცილებლობა, პოლიტიკური წინააღმდეგობის უფლება, დაზარალებულის ნებართვა და ა. შ.), რომელიც თანდათანობით იქნება დადგენილი სწორედ სასამართლო პრაქტიკით.

საქართველოს სსკ-ს 33-38-ე მუხლებში გათვალისწინებულია გარემოებები, რომლებიც გამორიცხავს ბრალს. მნიშვნელოვანია ყურადღება მივაპყროთ იმ ფაქტს, რომ მოცემული მუხლები მოსამართლეს უფლებას აძლევს, თვითონვე დაადგინოს ბრალის გამომრიცხავი გარემოებები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული.

15 ტურავა მ., 2011. დანაშაულის მოძღვრება (ზოგადი ნაწილი). თბ. „მერიდიანი“, გვ. 410-416.

16 გამყრელიძე ო., 2006. შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული დასაბუთების ცდა – სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები. თბ. „მერიდიანი“, გვ. 8-46.

ყველა გამოკვლევის სუსტი რგოლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ ასაბუთებენ კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც განლაგდებიან მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ამის გარდა, დღემდე გაუგებარია, რატომაა ამ გარემოებათა ჩამონათვალში გათვალისწინებული მხოლოდ რამდენიმე გარემოება და რატომ იფარგლება ჩამონათვალი გარემოებათა აღნიშნული სიით. ამრიგად, ეს ხარვეზი ატარებს მეტოდოლოგიურ ხასიათს და საჭიროა მისი შევსება.

ამის გარდა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ტერმინოლოგიურ უზუსტობაზე. გაუგებრობას იწვევს ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორებიცაა: „ბრალისუნარიანობის გამომრიცხველი გარემოებები“ და „ბრალის გამომრიცხველი გარემოებები“. „ბრალის გამომრიცხველი გარემოებების“ ტერმინის გამოყენება არაკორექტულია. თუ ბრალი არის გაკიცხვა და ამ ორ შემთხვევაში პირს სასამართლო ვერ აკისრებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ როგორც მართლწინააღმდეგობის, ასევე ბრალის დროს გვაქვს ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. საკითხის არსს ამ შემთხვევაში უფრო ზუსტად ასახავს „ბრალისუნარიანობის გამომრიცხველი გარემოებების“ ტერმინი.

ბაკიძის (ბრალის) მოძღვრების მეორე ნაწილი

საკითხები, რომლებიც განეკუთვნება სასჯელის დანიშვნას

პირველ რიგში, თავს იჩენს დელიქტების სიმძიმის მიხედვით სასჯელების დიფერენციაციის პრობლემა. სისხლის სამართლის რეფორმის პროცესში ზოგიერთი მეცნიერის მიერ განიხილება დელიქტების ნაწილის გამოტანა ადმინისტრაციული

კოდექსიდან და სისხლის სამართლის კოდექსში მოთავსება. გარკვეულად ეს პოზიცია შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1984 წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილებას. მაშასადამე, დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველთან დაკავშირებული საკითხების ღრმა დამუშავების ამოცანა.

გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების ამ ნაწილის ქვაკუთხედს წარმოადგენს მეტრიკული პრობლემა. სასჯელის ვადები სისხლის სამართლის კოდექსში დასაბუთებულია უპირატესად პოლიტიკური მოსაზრებებით და არ შეესაბამება ჰუმანიზმის პრინციპებს. ამის შესახებ ბევრი აქვთ დაწერილი ქართველ მეცნიერებს. ამასთან დაკავშირებით დგება სხვა, უფრო რთული საკითხი, რომელიც ეხება თავისუფლების აღკვეთის ვადების დანაშაულთა სიმძიმის გათვალისწინებასთან შესაბამისობაში დაბალანსებულ მოყვანას. ამ მიმართულებით ასევე გადახედვას ექვემდებარება საქართველოს სსკ-ს ამა თუ იმ მუხლის ნაწილების კლასიფიკაციის კრიტერიუმები. საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლთან მიმართებით (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) ეს აზრი გამოთქვა ო. გამყრელიძემ. ვფიქრობ, იგი შეეხება სისხლის სამართლის ყველა მუხლს. საერთოდ, ნორმის დაყოფა სხვადასხვა ნაწილებად ჯერჯერობით მოკლებულია რაიმე კრიტერიუმს და უფრო მეტად წარმოადგენს კანონმდებლის თავნებობის ნაყოფს.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ სისხლის სამართლის დოქტრინა, რომელსაც იცავს ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, ერთმანეთში ურევს დანაშაულის ცნების ჩამომყალიბებელ საშუალებებს და თვით დანაშაულის ცნებას. საქართველოს სსკ-ს მე-7 მუხლში მოცემულია არა დანაშაულის ცნება, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის აგების კონს-

ტრუქცია. როგორც გვაჩვენებს ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, დანაშაულის ცნების აგების ლოგიკურ წესებს პასუხობს მისი განსაზღვრება: დანაშაულად მიიჩნევა კოდექსით გათვალისწინებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ჩადენილია წინასწარ განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. ეს მომენტი არის ცენტრალური დანაშაულის მოძღვრებაში. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრება. პრობლემატიკა, რომელიც ვლინდება მოცემულ მოძღვრებაში, პირდაპირ კავშირშია იმასთან,

თუ როგორ იქნება აგებული დანაშაულის მოძღვრების სისტემა.

ცხადია, რომ ამ პრობლემების ნაჩქარევი გადაწყვეტა შეუძლებელია. საჭიროა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ერთობლივი მონაწილეობა. წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევთავაზებთ საკითხთა ძალიან შეზღუდული წრე, რომლითაც არ ამოიწურება სისხლის სამართლის პრობლემატიკა. მიგვაჩნია, რომ შემდგომში უნდა გაგრძელდეს სისხლის სამართლის სისტემის, მისი ცალკეული ინსტიტუტების ლოგიკური ექსპერტიზა.

SOME LOGICAL PROBLEMS OF THE CRIMINAL JUSTICE SYSTEM IN GEORGIA

George Todria

Professor

T. Tsereteli State and Law Institute – I. Javakhishvili

Tbilisi State University

a member of the Union of Law Scientists

KEY WORDS: Law, state, society

RESUME

The author of the article titled „Some logical problems of the criminal justice system“ discusses the basis for determining the logical problems of criminal responsibility, which has been proposed in the edition of 1999 of the Criminal Code of Georgia. He analyzes the logical errors, which are typical for the German criminal normative theory and that are reflected in scientific and dogmatic studies, partly inherent in the Georgian criminal legislation. In the base of studies carried out by author, the new definition of the crime concept was developed which is more in line with the provisions of the Criminal Code of Spain.

NOTES:

1. For discussion of this approach see: Kutalia L., 2000. Guilt in the Criminal Law. Tbilis, TSU. 2000, p. 258-264. (In Georgian); Nachkebia G., 2011. Criminal Law (General Part). Tb., p. 327-340. (In Georgian)
2. Criminal Code of FRG (Translation from German). M. „Law Press Centre“, 2003. (In Russian)
3. Criminal Code of Austria (Translation from German). M. „Zertsalo“, 2001. (In Russian)
4. Criminal Code of the Republic of Poland. SPB. „Law Press Centre“, 2001. (In Russian)
5. Criminal Law of Norway (Translation Dzmeni A.V.) „Law Press Centre“, 2005. (In Russian)
6. Criminal Code of Sweden (Trans. S.S. Belaeva). M., 2000. (In Russian)
7. Criminal Code of Switzerland (Trans. From Germ. V. Serebrennikova). 2002. SPB. „Law Press Centre“. (In Russian)
8. Criminal Code of Netherlands (Trans. From Eng. I.V. Mironova) SPB. „Law Press Centre“, 2001. (In Russian)
9. Criminal Code of Spain (Edition N.F. Kyznetsova and F.M. Reshotnikova). M., 1998. (In Russian)
10. Analysis of the mentioned conceptual approach of German Scholars See: Dubber M., 2005. Theories of Crime and Punishment in German Criminal Law – Buffalo Law School Legal Studies Research. pp. 2-24. (In English); Dzalinskii A.E., 2004. Modern German Criminal Law. M., „Prospekt“, p. 145-155. (In Russian) ; Turava M., 2011. Doctrine of Crime (General Part) Tb. „Meridiani“, p. 232-233. (In Georgian)
11. Tsereteli T., Tkesheladze G., 1969. Doctrine of Crime. Tb. „Metsniereba“, p. 255-260. (In Georgian)
12. The overview of the specifics of problems related to the guilt theories in the German Law See: Dzalinskii A.E., 2004. Modern German Criminal Law. M. „Prospekt“, p. 219. (In Russian), Gamkrelidze O., 2006. The problem of imputing guilt in the Criminal Law and the attempt of the normative justification of the guilt – Reform of the Criminal Law and Modern Criminology problems. Tb., „Meridiani“, p. 8-46. (In Georgian); See: Kutalia L., 2000. Guilt in the Criminal Law. Tb. TSU. (In Georgian); Nachkebia G., 2011. Criminal Law (General Part). Tb., p. 327-360. (In Georgian)
13. Turava M., 2011. Doctrine of Crime (General Part) Tb. „Meridiani“, p. 449. (In Georgian)
14. Gamkrelidze O., 2013. Problems of Criminal Law. T.3. Tb. „Meridiani“, p. 173-174. (In Georgian)
15. Turava M., 2011. Doctrine of Crime (General Part) Tb. „Meridiani“, p. 410-416. (In Georgian)
16. Gamkrelidze O., 2006. The problem of imputing guilt in the Criminal Law and the attempt of the normative justification of the guilt – Reform of the Criminal Law and Modern Criminology problems. Tb., „Meridiani“, p. 8-46. (In Georgian)

დაგარაღებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა

მიხეილ ბიჭია

*სამართლის დოქტორი, თსუ-ის მონვეული ლექტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს
დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ასოც.
პროფესორი, ადვოკატი*

საკვანძო სიტყვები: დელიქტი, გარდაცვალება,
ანაზღაურება

შესავალი

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად დამუშავებულ საკითხად შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურება, მით უმეტეს, სპეციალური მონოგრაფიის ფარგლებში. საგულისხმოა, რომ კანონმდებელმა დამოუკიდებელი მუხლი მიუძღვნა დაზარალებულის გარდაცვალებისას წარმოშობილ დელიქტურ ვალდებულებას, რაც მისთვის დამახასიათებელი გარკვეული თავისებურებებით იყო განპირობებული. ამდენად, საკითხის არსის გასარკვევად დასადგენია, რომელია ამ დელიქტური ვალდებულების სპეციფიკური მახასიათებლები.

მართალია, საკითხი მრავალკომპონენტიანია, მაგრამ წინამდებარე სტატიის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა სსკ-ის 1006-ე მუხლის სტრუქტურულ ანალიზზე. შესაბამისად, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს დასახელებული მუხლის გამოყენების წინაპირობები და ხელყოფის იურიდიული შედეგები. ამასთან, პრობლემის შესწავლა საინტერესოა სასწავლო-აკადემიური თვალსაზრისითაც.

კვლევა საინტერესოა პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ამ გაგებით, შესასწავლია, ერთი მხრივ, გარდაცვალებით

დამდგარი ზიანის ანაზღაურების საკითხის შესახებ საქართველოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, მეორე მხრივ, დასაბუთებია, რა მოთხოვნები წარმოეშობა დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფ სუბიექტებს ამ პირის გარდაცვალების შედეგად. უფრო ზუსტად რომ აღინიშნოს, გასარკვევია, რამდენად შეიძლება სსკ-ის 1006-ე მუხლით როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ამ ასპექტებს, გარდა თეორიულისა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან შეიძლება შეეხოს კონკრეტული პირის ინტერესების დაცვას.

საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ის, რომ ყველა კანონისმიერი ვალდებულება, მათ შორის დელიქტური ვალდებულება, ემსახურება დამაბალანსებელი და კომპენსატორული ფუნქციის მიღწევას.¹ შესაბამისად, ამ გაგებით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სსკ-ის 1006-ე მუხლში ასახული დელიქტური ვალდებულების სპეციფიკური თავისებურებების გამოკვლევა.

ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტები შესწავლილია დოგმატურ-ნორმატიული, შედარებითსამართლებრივი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებზე დაყრდნობით, რომლებიც პრობლემის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა.

1. სსკ-ის 1006-ე მუხლის სტრუქტურული ანალიზი

სსკ-ის 1006-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დანესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა სარჩო ეხადა.

1 იხ. Staake M., 2014. Gesetzliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag, Berlin, Heidelberg, S. 5.

1.1. დაზარალებულის გარდაცვალება

ადამიანი შედგება სულისა და სხეულისგან. ფიზიკური პირის ინტერესების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ორივე (სხეულებრივი და არამატერიალური) სფეროს დაცვა.² სიცოცხლე უზენაესი სამართლებრივი სიკეთეა, რომლის ხელყოფაც დაუშვებელია.³ შესაბამისად, სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, ამ სიკეთეების მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ხელყოფა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს.⁴ ეს მუხლი კიდევ უფრო საინტერესოა, ვინაიდან სსკ-ის 1006-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნები მოიაზრებს სსკ-ის 992-ე მუხლის წინაპირობების არსებობას. სსკ-ის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სიცოცხლე ინცეპა დაბადების დასრულების მომენტიდან. თუმცა ემბრიონის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, თუ ის დედის საშვილოსნოშია (სსკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი)⁵, უკვე დაცვის ღირსია და შეიძლება აიღი ინფექციის გზით შეილახოს, როგორც დაცული სიკეთე. თუ მოქმედებას მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სხეულის ხელყოფა (ე. წ. „მიზგობრივი დანაშაულის“ მოძღვრება), ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ამ მოქმედების მართლწინააღმდეგობას. ამასთან, სამედიცინო მკურნალობამ (მაგალითად, ოპერაციამ ან სხვა ანალოგიურმა ჩარევამ) შეიძლება დააზიანოს სხეული და ჯანმრთელობა, რამდენადაც ილახება სხეულებრივი ხელშე-

2 იხ. Schnellhammer K., 2014. Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, samt BGB Allgemeiner Teil, 9. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, S. 706.

3 სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სხვა არაქონებრივი სიკეთეების დაცვასთან დაკავშირებით იხ. Werthwein S., 2009. Das Persönlichkeitsrecht im Privatrecht der VR China, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, S. 65-68, 165.

4 იხ. Kötz H., Wagner G., 2013. Deliktsrecht, 12. Auflage, München, S. 146.

5 მართალია, უშუალოდ მუცლადყოფნისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ქართულ სამართალში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ჩანასახისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაშიც უნდა იყოს გამოყენებული სსკ-ის 992-ე მუხლი, განვრცობითი განმარტების მიხედვით. გელაშვილი ი., 2012. ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, „მერიდიანი“, თბილისი, გვ. 38.

უხელობა. თუმცა ექიმს უფლება აქვს პაციენტის ჯანმრთელობას ან სხეულს ზიანი მიაყენოს მხოლოდ მაშინ, თუ აღნიშნულზე პაციენტმა თანხმობა გამოხატა. შესაბამისად, მისი თანხმობის გარეშე ადამიანის სხეულის ან ჯანმრთელობის ნებისმიერი საექიმო ჩარევა, ძირითადად, მართლსაწინააღმდეგოა.⁶

ზიანი, რომელიც ამ დელიქტური ვალდებულების წარმოშობის საფუძველია, ეხება სიცოცხლის ხელყოფას. თვით სიცოცხლის უფლება არის აბსოლუტური უფლება, ვინაიდან მას უპირისპირდება არა კონკრეტული პირის, არამედ ყველა მესამე პირის მოვალეობა, თავი შეიკავოს ამ უფლების ხელყოფისგან.⁷ შესაბამისად, საქმე ეხება აბსოლუტურ უფლებას, რომელიც უპირატესი მნიშვნელობისაა რელატიურ უფლებებთან შედარებით,⁸ აბსოლუტური უფლების ხელყოფის შემთხვევები კი განიხილება დელიქტურ ვალდებულებებზე.⁹ ამდენად, სიცოცხლის უფლების, როგორც აბსოლუტური უფლების, შელახვით წარმოიშობა დელიქტური ვალდებულება, რომელიც სსკ-ის 1006-ე მუხლშია გამყარებული.

კანონის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალება უკავშირდება უფლებაუნარიანობის შეწყვეტას. გარდაცვალების მომენტად მიიჩნევა თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა (სსკ-ის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი).

1.2 მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება

სსკ-ის 1006-ე მუხლის გამოყენების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ზიანის მიმყენებლის ქმედება იყოს არა-მართლზომიერი. ქმედების მართლ-წინააღმდეგობის შეფასების მიმართ ვრცელდება იგივე წესი, რომელსაც ითვალისწინებს ზოგადად ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი (სსკ-ის 992-ე მუხლი). საქმე ისაა, რომ ქმედება მაშინაა მართლსაწინააღმდეგო, როცა, ერთი მხრივ, პირი ხელყოფს სხვის უფლებებს და არა აქვს ამის უფლებამოსილება, მეორე მხრივ კი, არღვევს სამართლის ნორმებს.¹⁰

ქმედება, იურიდიული გაგებით, გულისხმობს უმოქმედობასაც. შესაბამისად, ვალდებულება შეიძლება წარმოშვას როგორც პოზიტიურმა ქმედებამ (=მოქმედება), ისე უმოქმედობამ.¹¹

ფაქტობრივად, სიცოცხლის ხელყოფა შეიძლება უკავშირდებოდეს განზრახ მკვლელობას,¹² რომელიც სისხლისსამართლებრივად შეიძლება დასჯადი იყოს. თუმცა თუ მოცემულ შემთხვევაში არაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება), პირი პასუხს არ აგებს სისხლის სამართლის წესით. შესაბამისად, თუ სიცოცხლის ხელყოფა კანონის ამ მოთხოვნას არ შეესაბამება, შეიძლება ის დაკვალიფიცირდეს კანონდარღვევად. ამასთან, თუ ზიანი მართლზომიერების, კერძოდ, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში დადგა, ის არ ანაზღაურდება, ვინაიდან ქმედების მართლწინააღმდეგობა გამოირიცხება.¹³ თუმცა გამონაკლისის სახით უკიდურესი აუცილებლობის დროს ზიანის ანაზღაურება ეკისრება იმას, ვინც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებდა, იმ საფრთხის თავიდან

ამ ორი მოსაზრების შესახებ იხ. Hampel M., 2009. Das private Bauvertragsrecht im russischen Recht, Ein bewertender Vergleich zum deutschen Recht, Frankfurt am Main, S. 411-412.

6 იხ. Ehmann H., 2013. Deliktsrecht mit Gefährdungshaftungsrecht, Lehrbuch, München, S. 52-53.

7 აბსოლუტურ უფლებაზე იხ. Иоффе О., 1958. Советское гражданское право, общая часть. право собственности. общее учение об обязательствах, Изд. Ленинградского Ун-та, Ленинград, стр. 75.

8 იხ. დუნდუა მ., 2009. დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმწიფო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი“, №1, გვ. 59.

9 იხ. Jousen J., 2008. Schuldrecht I, Allgemeiner Teil, W. Kohlhammer GmbH Stuttgart, Stuttgart, S. 17, 50; ასევე, იხ. Schmidt E., 2004. Das Schuldverhältnis, Eine systematische Darstellung des Allgemeinen Schuldrechts, C. F. Müller Verlag, Heidelberg, S. 23-24.

10 ამ ორი მოსაზრების შესახებ იხ. Hampel M., 2009. Das private Bauvertragsrecht im russischen Recht, Ein bewertender Vergleich zum deutschen Recht, Frankfurt am Main, S. 411-412.

11 Schmidt R., 2003. Das Schuldrecht Besonderer Teil II – Gesetzliche Schuldverhältnis, 1. Auflage, Grasberg bei Bremen, S. 190-191.

12 იხ. Fuchs M., Pauker W., 2012. Delikts- und Schadenersatzrecht, 8. Auflage, Heidelberg, S. 12.

13 სამართლებრივად აღიარებული მოცემული სპეციალური პიროვნული უფლებების შესახებ იხ. Werthwein S., 2009. Das Persönlichkeitsrecht im Privatrecht der VR China, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, S. 65-68, 165.

ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სხვა გზით ვერ იქნებოდა აცილებული და, თუ დამდგარი ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებმნიშვნელოვანია (სსკ-ის 117-ე მუხლი).¹⁴ არაა გამორიცხული, სამართალდარღვევა შეიქცავდეს დანაშაულის ნიშნებსაც, რაც შეიძლება სამართალდამრღვევისთვის როგორც სამოქალაქოსამართლებრივი, ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს (სანქციათა კუმულაცია).

რაც შეეხება ბრალს, დელიქტური ვალდებულების საერთო საფუძვლები ვრცელდება სსკ-ის 1006-ე მუხლზე ბრალთან დაკავშირებითაც. როგორც ცნობილია, ქართულ სამოქალაქო სამართალში უარყოფილია ბრალის საბჭოური კონცეფცია იმის თაობაზე, რომ ბრალი პირის ფსიქიკური დამოკიდებულებაა მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი. მოქმედი თეორიის მიხედვით, ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისთვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნათა გათვალისწინება. დღესდღეობით სამოქალაქო კოდექსი ეფუძნება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს.¹⁵ ამდენად, ბრალის დეფინიცია უნდა შეიცავდეს მართლწინააღმდეგობის არსებობაზე მითითებას.¹⁶ პირი მოქმედებს ბრალეულად, როცა პირს გაცნობიერებული აქვს და სურს, ან არ სურს რა სხვისთვის ზიანის მიყენება, ის სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინებისა და წინდახედულების გაუთვალისწინებლობით არღვევს კანონით თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას.¹⁷ ამდენად,

მოცემულ შემთხვევაშიც ზიანის მიყენებული შეიძლება მოქმედებდეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

1.3. მიზანობრივი კავშირი

სსკ-ის 1006-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია, რომ ხელმყოფის მართლწინააღმდეგო ქმედებით დადგეს დაზარალებულის გარდაცვალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნორმა არ გამოიყენება. სსკ-ის 1006-ე მუხლი არის სწორედ გამონაკლისი წესი იმ პრინციპიდან, რომლის თანახმად, მხოლოდ დაზარალებულია უფლებამოსილი, იდავოს ზიანის ანაზღაურებაზე, ვინაიდან უფლებას ანიჭებს დაზარალებულთან ახლოს მყოფ პირებს, რომლებმაც გარდაცვალებით მარჩენალი დაკარგეს. ამდენად, მოცემული მოთხოვნის წარდგენის წინაპირობა „გარდაცვალების სახით“ არსებობს, მაშინ როცა მარჩენალის გარდაცვალება უნებართვო მოქმედების ადეკვატური შედეგია.¹⁸

1.4. ზიანის ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირები

სსკ-ის 1006-ე მუხლის ფარგლებში პასუხისმგებლობის დაკისრება უკავშირდება, ასევე, იმ პირების დადგენას, რომლებიც უფლებამოსილი არიან, მიიღონ მარჩენალისთვის ზიანის მიყენების გამო კომპენსაცია.

მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მიღების უფლება აქვთ, უპირველეს ყოვლისა, მემკვიდრეებს, ასევე, იმ პირებს, რომლებიც გარდაცვლილის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. ესენი არიან სსკ-ის, საოჯახო სამართლის შესაბამისი მუხლებით უფლებამოსილი პირები, კერძოდ:

ა) მეუღლეები და ბავშვები (აყვანილი

14 იხ. ჩიკვაშვილი შ., 2001. წიგნში „სსკ-ის კომენტარი“, წ. II, ტ. II, „სამართალი“, თბილისი, გვ. 380, 382-383; მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე, ასევე, იხ. ცერცვაძე გ., 2014. სახელმეცრულებო სამართალი (რედ. ჯუღელი გ.), თბილისი, გვ. 685.

15 ზოიძე ბ., 2001. სსკ-ის კომენტარი (რედ. ჭანტურია ლ.), „სამართალი“, თბილისი, გვ. 370-371.

16 Романова Н. А., 2008. К вопросу о дефинициях вины в гражданском праве, в Научный журнал КубГАУ, № 41 (7), стр. 22.

17 იხ. ქოჩაშვილი ქ., 2009. ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, №1, გვ. 88-89.

18 იხ. Michael E. Zeising, 2004. Der Nasciturus im Zivilverfahren, Göttingen, S. 86.

ბავშვი, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი), ასევე, პირდაპირი ხაზის ნათესავები¹⁹, გარდაცვლილის მშობლები;

- ბ) არაშრომისუნარიანი პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ დაზარალებულის რჩენაზე;
- გ) პირები, მართალია, არ იყვნენ დამოკიდებული დაზარალებულის რჩენაზე, თუმცა მის სიკვდილამდე ჰქონდათ მისგან სარჩოს მიღების უფლება;
- დ) დაზარალებულის ბავშვი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა.²⁰

საქმე ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში აქცენტია გადატანილი სარჩოზე, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ ნაღდი ფორმით ხარჯების ანაზღაურებას, არამედ როგორც საოჯახო მეურნეობის წარმართვას, ისე ბავშვების სოციალურ დახმარებასა და მზრუნველობას.²¹

რაც შეეხება სარჩოს ოდენობის გამოანგარიშებას, ყოველთვის სარჩოს სახით ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმია ხელფასის ის ოდენობა, რასაც დაზარალებული დაწესებულებიდან ჯანმრთელობის დაზიანებამდე იღებდა და რასაც ის მიიღებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამასთან, სარჩოს ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 408-ე მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილის მიხედვითაც, იმ პირმა, რომელსაც ზიანის ანაზღაურება ევალეობოდა, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მოთხოვნები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვის

სარჩოს გადახდით.

ამდენად, სსკ-ის 1006-ე მუხლით განსაზღვრულია სარჩოს მიღების უფლება, ხოლო სარჩოს გადახდაზე ვალდებულ პირად მიიჩნევა ზიანის მიმყენებელი, ანუ პირი, რომლის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არის მიზეზობრივი კავშირი.²²

1.5. სარჩოს გადახდის ვალდებულების ხანმრძლივობა

სსკ-ის 1006-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალეობოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებულს უნდა ეხადა სარჩო. დაზარალებულს შეუძლია, სარჩოს სანაცვლოდ ერთჯერადი ანაზღაურება მოითხოვოს, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი (სსკ-ის 1006-ე მუხლის მე-2 ნაწილი). „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული სარჩო უნდა აანაზღაუროს დამსაქმებელმა ან მისმა უფლებამონაცვლემ. თუმცა აქედან არსებობს ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისი, როცა დამსაქმებლის გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს წყდება დანიშნული სარჩოს გაცემის ვალდებულება.²³

ამასთან, კანონმდებელი არ უთითებს იმაზე, რომ სარჩოს გადახდის ვალდებულება დაკავშირებულია დაზარალებულის სა-

19 იხ. Drees Jost-Detlef, 1994. Schadensberechnung bei Unfällen mit Todesfolge, 2. Auflage, Karlsruhe, S. 7, 16.

20 მაჭარაშვილი ო., 2000. დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, უსრნ. „ალმანახი“, №15, გვ. 24.

21 იხ. Drees Jost-Detlef, 1994. Schadensberechnung bei Unfällen mit Todesfolge, 2. Auflage, Karlsruhe, S. 18.

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-942-900-2013).

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება (№ას-363-342-2014).

პენსიო ასაკის მიღწევასთან. მხარის მიერ შრომისუნარიანობის დაკარგვა კი შეფასებითი კატეგორიაა. მოხმობილი ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც იცავს სარჩენი პირის ინტერესებს, სარჩოს გადახდის ვალდებულება არ უნდა შეეხოს მარჩენალის საპენსიო ასაკს, ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საამისო უნარის არსებობის შემთხვევაში საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე არ ისპობა პირის შესაძლებლობა, მიიღოს შემოსავალი.²⁴

2. დაზარალებულის გარდაცვალებით წარმოქმნილი იურიდიული შედეგები

2.1. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურება

სსკ-ის მე-19 მუხლით აღიარებულია, რომ სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გარდაცვალების შემდეგ დაუშვებელია.²⁵ დაზარალებულის პირადი სიკეთეების დასაცავად სხვა პირთა მხრიდან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამოიყენება. ფაქტობრივად, აღნიშნულის გამოძახილია სსკ-ის 1006-ე მუხლიც, ვინაიდან სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და სსკ-ის 1006-ე მუხლში ზიანის (და არა მორალური ზიანის) ანაზღაურებაზეა აქცენტი გაკეთებული. ამდენად, სსკ-ის 1006-ე მუხლი ეხება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც სარჩოს მიღებაში გამოიხატება.

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (№ას-942-900-2013).
25 იხ. ბიჭია მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, „ბონა კაუზა“, თბილისი, გვ. 250.

ის მოიცავს სარჩოს მიღების უფლებას, რომელიც გამოიყენება მატერიალური დახმარების სანაცვლოდ.²⁶

2.2. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურება

ცნობილია, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში ადამიანი მონაწილეობს პირისა და პიროვნების სახით. ისინი მიიჩნევა ადამიანის ორ ურთიერთგანსხვავებულ იპოსტასად. ადამიანს, როგორც პირს, ანუ სამართლის სუბიექტს, აქვს უფლება-მოვალეობანი. ფიზიკური პირი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, გარდაცვალებით ქრება. რაც შეეხება პიროვნებას, მასში მოიაზრება ადამიანის სულიერ ღირებულებათა ერთობლიობა და ის სამართლებრივი დაცვის საგანია. ადამიანი, როგორც პიროვნება, განიხილება განსაკუთრებულ სულიერ ღირებულებად, რომელიც შეიძლება გარდაცვალებით კი არ გაქრეს, არამედ, პირიქით, მისი სოციალური ზემოქმედება გაგრძელდეს. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებას საზოგადოებისთვის. ამ გაგებით, კანონით დაცულია პიროვნება, ვიდრე არ შეწყდება მისი სოციალური ზემოქმედება.²⁷ შესაბამისად, იბადება კითხვა: სსკ-ის 1006-ე მუხლის თანახმად, დაიშვება თუ არა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება?

სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ე.ი. ეს ნორმა გამოიყენება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, თუ კანონით პირდაპირ არ არის ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება დადგენილი.²⁸ მოქმედი კა-

26 იხ. Michael E. Zeising, 2004. Der Nasciturus im Zivilverfahren, Göttingen, S. 86.
27 იხ. ნინიძე თ., 2002. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ, წიგნში „სსკ-ის კომენტარი“, წ. I, „სამართალი“, თბილისი, გვ. 78-79.
28 იხ. ცისკაძე მ., 2008. სხეულის დაზიანებისთვის

ნონმდებლობა (სამოქალაქო კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კანონი „რეკლამის შესახებ“ და სხვ.), მართალია, ითვალისწინებს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას სხვადასხვა შემთხვევაში, მათ შორის სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების დროს, მაგრამ არა სიცოცხლის ხელყოფისას. ამასთან, სახელმწიფოებო თუ დელიქტური ურთიერთობის დროს (მით უმეტეს, პირის გარდაცვალებისას) შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს მორალური ზიანი, მაგრამ, თუ კანონით არაა გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, ის არ ანაზღაურდება. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ მატერიალური ზიანი (სსკ-ის 1006-ე მუხლი). აქ საგულისხმოა, რომ არაქონებრივი ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, სხვა პირი, ფაქტობრივად, არაა უფლებამოსილი, მოითხოვოს ანაზღაურება. არამატერიალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა გარდაცვალების შემდეგ დაუშვებელია. ეს კონცეფცია ეფუძნება სსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილ წესს, რომლითაც განისაზღვრება, რომ პირადი არაქონებრივი უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არაა სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას უფლება აქვს, მოითხოვოს სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსის განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. თუმცა გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დასაცავად აკრძალულია მორალური ზიანის, ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა. მოცემულ შემთხვევაში მატერიალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება გულისხმობდეს დაკრძალვის ხარჯების გადახდას.²⁹

29 არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, გვ. 17.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (№3კ-1218-01).

თუ სსკ-ის 1006-ე მუხლს ისე გავიგებთ, რომ სარჩენს შეუძლია მოითხოვოს მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან ზიანში მოიაზრება როგორც არაქონებრივი, ისე მატერიალური ზიანი, მაშინ ყველა იმ შემთხვევაში, სადაც კანონმდებელი უთითებს ზიანის ანაზღაურებაზე, უნდა იგულისხმობდეს არაქონებრივი ზიანიც. ეს თავისთავად არასწორია და სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის არსებობას აზრს უკარგავს. ამდენად, იქ, სადაც მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზეა აქცენტი გაკეთებული და პირდაპირ არაა მოხსენებული არაქონებრივი ზიანის კომპენსირება, სსკ-ის 413-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საუბარია მატერიალურ ზიანზე.³⁰ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის წარდგენა შეუძლია მხოლოდ იმ პირს, რომელსაც დარღვევის შედეგად უშუალოდ მიადგა ზიანი. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს თავად ამ უფლების სუბიექტს მისი პირადი ხასიათის გამო. სხვა პირი ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს მოკლებულია.³¹

ამდენად, ლოგიკურია საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში გაკეთებული დასკვნაც იმის თაობაზე, რომ გარდაცვლილი პირის სახელის, პატივის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, საკუთარი გამოსახულების უფლებების ხელყოფის საფუძველზე წარმოშობილი დელიქტური ვალდებულების დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ სიკეთეების „მფლობელ“ უფლებამოსილ პირს. როგორც გარდაცვლილის მემკვიდრეები, ისე სხვა დაახლოებული პირები, ვისთვისაც გარდაცვლილის პიროვნება მნიშვნელოვანი იყო, ახორციელებენ გარდაცვლილის პიროვნული უფლებების (და არა მემკვიდრეობით მიღებული უფლებების) დაცვას. შესაბამისად, მეუღლის, შვილის ან

30 იხ. ცისკაძე მ., 2008. სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, გვ. 17.

31 იხ. დოლონაძე ლ., 2010. მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, გვ. 190-196.

სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის შედეგად წარმოშობილი მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, ვინაიდან ეს პირდაპირ არაა გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. ამასთან, თუ დაზარალებულმა მიმართა სასამართლოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ გადანყვეტილების გამოტანამდე ის გარდაიცვალა, ამ შემთხვევაში არამატერიალური ზიანის ფულადი საზღაური შეიძლება ჩაითვალოს სამკვიდრო მასის შემადგენელ ნაწილად.³²

გარდაცვალების შემდეგ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაუშვებლობა თითქოს გარკვეულწილად უპირისპირდება პრინციპს, რომ ადამიანის ღირსების დაცვა ვრცელდება როგორც გვამზე, ისე გარდაცვლილის ხსოვნაზე,³³ ვინაიდან დასადგენია, მაშინ როგორ უნდა მოხდეს პირის პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ.

ნ. ბარაბაძის თქმით, თუ ახლობელი დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების ფაქტს ესწრებოდა, რამაც გამოიწვია მის მიმართ ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა, მას დაზარალებულისაგან დამოუკიდებლად უნდა წარმოეშვას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება. ხშირად ახლობელთა მხრიდან სულიერი ტანჯვის განცდის ხარისხი დაზარალებულთან შედარებით შეიძლება გაცილებით დიდი იყოს.³⁴ მოცემულ შემთხვევაში ეს პირი თვითონ ხდება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების

მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელი სუბიექტი. დაინტერესებულ პირთა წრეში შედიან გარდაცვლილის მემკვიდრეები, რადგან მემკვიდრეობის მიღებით მათ ხელში გადადის ქონებრივი უფლება-მოვალეობები, რომელთა განხორციელება ნაწილობრივ განსაზღვრულია გარდაცვალების რეპუტაციით. ასევე, ამ სუბიექტებად უნდა მოიაზრობდეს გარდაცვლილის პირველი და მეორე რიგის ნათესავები, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებელი სარჩელის საფუძველზე პირადად მათთვის მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაცია მოითხოვონ. ამასთან, თუ გარდაცვლილს არ ჰყავს ნათესავი, ოჯახის წევრი და მემკვიდრე, გარდაცვლილის ღირსების დაცვა შესაძლებელია განახორციელოს მისმა მეგობარმა.³⁵

საქართველოს უახლეს სასამართლო პრაქტიკაში მოიპოვება გადანყვეტილება, რომლითაც განიმარტა, რომ დედა შვილის ცხედრის პირველად ნახვისას განიცდის სულიერ ტკივილს. ასეთ ვითარებაში მყოფი პირისათვის შვილის ცხედრის ადგილსამყოფლისა და კონკრეტულ რეისზე ნეშტის არარსებობის მიზეზების დროულად შეუტყობინებლობისას მოქმედებს პრეზუმცია, რომ ავიაკომპანიის მხრიდან ვალდებულების დარღვევით განცდილი ზემოაღნიშნული ნეგატიური ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსარჩელის ჯანმრთელობას მიაღდა იმგვარი ზიანი, რასაც მოჰყვა პირის სულიერი ტანჯვა, ძლიერი ემოციური სტრესი. ამდენად, დადგენილად მიჩნეული ფაქტები (მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევა, ზიანის დადგომა, მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის) იძლევა სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემადგენლობას.³⁶

რაც შეეხება უშუალოდ გარდაცვლილის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას,

32 იხ. ნინიძის კომენტარები სსკ-ის მე-19 მუხლზე, 2002. წიგნში „სსკ-ის კომენტარი“, წ. I, „სამართალი“, თბილისი, გვ. 81; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება (№ას-14-1466-05); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (№3კ-1218-01); იხ. ცისკაძე მ., 2008. სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, გვ. 19-20.

33 Schweers St., 2006. Die vermögenswerten und ideellen Bestandteile des Persönlichkeitsrechts nach dem Tod des Trägers (Dissertation), Köln, S. 172-174.

34 იხ. ბარაბაძე ნ., 2006. მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, გვ. 101.

35 იხ. ჩიკვაშვილი შ., 2003. პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, „მერიდიანი“, თბილისი, გვ. 132-133, 161.

36 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება (№ას-979-940-2014).

აქ მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნეს უფლების კერძოსამართლებრივი დაცვის სხვა ფორმები, მაგალითად, უარყოფა, მოქმედების შეწყვეტა და სხვა.³⁷

ამასთან, შესაძლებელია მარჩენალის გარდაცვალებას მოჰყვეს მისი ახლობლის ჯანმრთელობის ხელყოფა, რაც ამ პირს აქცევს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლების დამოუკიდებელ სუბიექტად. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მიაღება რა სუბიექტის პირად სიკეთეს ზიანი³⁸, მან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე უნდა იდავოს არა სსკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან ის მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს იძლევა, არამედ საერთო საფუძველების, კერძოდ, სსკ-ის 413-ე და 992-ე მუხლებზე დაყრდნობით.

დასკვნა

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 1006-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოსაყენებლად უნდა შემოწმდეს შემდეგი წინაპირობები: ა) დაზარალებულის გარდაცვალება, ბ) სამართალდამრღვევის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, გ) დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი, დ) იმ პირის არსებობა, რომლის რჩენაც დაზარალებულს ვეალებოდა, ე) არის თუ არა სარჩოს გადახდის

ვალდებულება ძალაში. შესაბამისად, მხოლოდ ამ საფუძველების ერთდროულად (კუმულაციური წესით) არსებობის შემთხვევაში წარმოეშობათ სარჩოს მიღების უფლება იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ვეალებოდა.

აქვე საგულისხმოა, რომ სსკ-ის 1006-ე მუხლის ფარგლებში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება გამორიცხულია, ვინაიდან, სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება „კანონით ზუსტად დადგენილ შემთხვევებში“, ხოლო სსკ-ის 1006-ე მუხლში ხაზგასმულია „ზიანის ანაზღაურება“, რომელიც სარჩოს მიღებაში გამოიხატება.

ამასთან, შესაძლებელია პირის გარდაცვალებას მიზეზობრივად მოჰყვეს მისი ახლობლის ჯანმრთელობის ხელყოფა, რამაც შეიძლება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველი შექმნას, ვინაიდან სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი უშვებს ჯანმრთელობის დაზიანებისას მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. თუმცა ხაზგასასმელია, რომ აქ უკვე საქმე არ ეხება სსკ-ის 1006-ე მუხლზე დაყრდნობით არაქონებრივი ზიანის კომპენსირებას, არამედ შესაძლებელია გარდაცვლილის ახლობლის ჯანმრთელობის ხელყოფისთვის არამატერიალური ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის და სსკ-ის 992-ე მუხლის კუმულაციით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში გარდაცვლილი პირის ახლობელი საკუთარი ჯანმრთელობის შელახვის გამო ხდება დამოუკიდებელი მოთხოვნის სუბიექტი.

37 იხ. ბიჭია მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, „ბონა კაუზა“, თბილისი, გვ. 254-255.

38 იხ. ბიჭია მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, „ბონა კაუზა“, თბილისი, გვ. 252-253.

ბიბლიოგრაფია:

1. ბარაბაძე ნ., 2012. მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, „უნივერსალი“, თბილისი.
2. თოდუა მ., ქურდაძე შ., 2005. ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბილისი.

THE PROBLEM OF COMPENSATING THE DAMAGE IN CASE THE DEATH OF VICTIM OCCURS

Michael Bichia

*Doctor of Law, Visiting Lecturer of the TSU Law Faculty,
Associate Professor of European Teaching University and
David Aghmashenebeli University of Georgia, Advocate*

KEY WORDS: Tort, Death, Compensation

RESUME

Legislator has devoted CCG article 1006 (Civil Code of Georgia) to a tort liability for compensating the damage caused by the death of victim.

Study revealed that prerequisites of part 1 of CCG 1006 are: a) death of a victim, b) unlawful and culpable act committed by a delinquent, c) causal relationship between conduct and result, d) existence of a person, whose material support was responsibility of the victim and e) liability to material support must be valid. These details must be thoroughly studied to use CCG 1006. Because persons, receiving material support from the victim, will have the right on material support only if all these requirements are met (cumulatively).

Moreover, CCG 1006 does not relate to the case of compensating immaterial damage. Because it would contradict with the compensation defined by CCG 413 paragraph 1 about the „law on immaterial damage in specific cases“. CCG 1006 defines re-

ceiving subsistence, which substitutes compensation of damage. However, it is possible that death of the sufferer causes health damage for a relative and this may trigger the basis for compensating non-property damage, because under CCG 413, paragraph 2 (not under Article 1006) it is possible to compen-

sate moral damage caused by death of the victim. In this situation, it should be underlined that the case is about health damage of the relative of the victim, making the relative a separate party of demand, so this case is not about compensating non-property damage at the moment of death of the victim.

NOTES:

1. see Staake M., 2014. Gesetzliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag, Berlin, Heidelberg, S. 5. (In German)
2. see Schnellhammer K., 2014. Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, samt BGB Allgemeiner Teil, 9. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, S. 706. (In German)
3. about the protection of life, health and other non-property Goods see Werthwein S., 2009. Das Persönlichkeitsrecht im Privatrecht der VR China, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, S. 65-68, 165. (In German)
4. see Kötz H., Wagner G., 2013. Deliktsrecht, 12. Auflage, München, S. 146. (In German)
5. It is true that there is nothing about compensation of prenatal harm in Georgian law but in case of harm done to fetus CCG 992 must be used as well, according to expanded definition. Gelashvili I., 2012. Law position of embryo, „Meridiani“, Tbilisi, p. 38, (In Georgian)
6. see Ehmann H., 2013. Deliktsrecht mit Gefährdungshaftungsrecht, Lehrbuch, München, S. 52-53. (In German)
7. about absolute rights see Ioffe O., 1958. Soviet Civil law, general part, right of ownership. A common teaching of the obligations, ed. Leningrad University, Leningrad, p. 75 (RUS).
8. see Dundua M., 2009. The ratio of tort liability and contractual liability, „Journal of Law“, №1, p. 59. (In Georgian)
9. see Jousen J., 2008. Schuldrecht I, Allgemeiner Teil, W. Kohlhammer GmbH Stuttgart, Stuttgart, S. 17, 50 (In German); see Schmidt E., 2004. Das Schuldverhältnis, Eine systematische Darstellung des Allgemeinen Schuldrechts, C. F. Müller Verlag, Heidelberg, S. 23-24. (In German)
10. about this two mains see Hampel M., 2009. Das private Bauvertragsrecht im russischen Recht, Ein bewertender Vergleich zum deutschen Recht, Frankfurt am Main, S. 411-412. (In German)
11. Schmidt R., 2003. Das Schuldrecht Besonderer Teil II – Gesetzliche Schuldverhältnis, 1. Auflage, Grasberg bei Bremen, S. 190-191. (In German)
12. see Fuchs M., Pauker W., 2012. Delikts- und Schadenersatzrecht, 8. Auflage, Heidelberg, S. (In German)
13. about legally acknowledged given special human rights see Werthwein S., 2009. Das Persönlichkeitsrecht im Privatrecht der VR China, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, S. 65-68, 165. (In German)

14. see Chikvashvili Sh., 2001. In Book: Comment of Civil Code Georgia (Red. L. Chanturia), B. II, p. II, „SamarTali“, Tbilisi, p. 380, 382-383. (In Georgian); about exceptional circumstances of Unlawfulness see Cercvadze G., 2014. Contractual Law (Red. G. Jugeli), Tbilisi, p. 685. (In Georgian)
15. Zoidze B., 2001. Comment of Civil Code Georgia (Red. Chanturia L.), „SamarTali“, Tbilisi, 370-371. (In Georgian)
16. Romanova N. A., 2008. To a question on definitions of guilt in civil law, in scientific journal of KubGAY, № 41. (7), p. 22 (RUS).
17. see Qochashvili Q., 2009. Blame as a condition of civil law liability, „Journal of Law“, №1, p. 88-89. (In Georgian)
18. see Michael E. Zeising, 2004. Der Nasciturus im Zivilverfahren, Göttingen, S. 86. (In German)
19. see Drees Jost-Detlef, 1994. Schadensberechnung bei Unfällen mit Todesfolge, 2. Auflage, Karlsruhe, S. 7, 16. (In German)
20. Macharashvili O., 2000. Torts in International private law, Journal „Almanakhi“, №15, p. 24. (In Georgian)
21. see Drees Jost-Detlef, 1994. Schadensberechnung bei Unfällen mit Todesfolge, 2. Auflage, Karlsruhe, S. 18. (In German)
22. SCGD 16.12.2013 (Case No.as-942-900-2013). (In Georgian)
23. SCGD 15.05.2014 (Case No.as-363-343-2014). (In Georgian)
24. SCGD 16.12.2013 (Case No.as-942-900-2013). (In Georgian)
25. see Bichia M., 2012. Protection of Personal life, in accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi, p. 250. (In Georgian)
26. see Michael E. Zeising, 2004. Der Nasciturus im Zivilverfahren, Göttingen, S. 86. (In German)
27. see Ninidze T., Defence of private rights after death, 2002. In Book: „Comment of Civil Code Georgia, B. I, „Samartali“, Tbilisi, p. 78-79. (In Georgian)
28. see Ciskadze M., 2008. The problem of compensating non-property damage for physical harm in Legislation of Georgia, Journal „Justice and Law“, №2, p. 17. (In Georgian)
29. SCGD 24.04.2002 (Case No.3k-1218-01). (In Georgian)
30. see Ciskadze M., 2008. The problem of compensating non-property damage for physical harm in Legislation of Georgia, Journal „Justice and Law“, №2, p. 17. (In Georgian)
31. see Doghonadze L., 2010. The compensation of moral damage (Dissertation), Tbilisi, p. 190-196. (In Georgian)
32. see Ninidze T., Defence of private rights after death, 2002. In Book: „Comment of Civil Code Georgia, B. I, „Samartali“, Tbilisi, p. 81 (In Georgian); SCGD 09.11.2006 (Case No.as-14-1466-05). (GEO); SCGD 24.04.2002 (Case No.3k-1218-01). (In Georgian); Ciskadze M., 2008. The problem of compensating non-property damage for physical harm in Legislation of Georgia, Journal „Justice and Law“, №2, p. 19-20. (In Georgian)
33. Schweers St., 2006. Die vermögenswerten und ideellen Bestandteile des Persönlichkeitsrechts nach dem Tod des Trägers (Dissertation), Köln, S. 172-174. (In German)
34. see Barabadze N., 2006. Persons authorized for compensating moral damage, „Human and constitution“, №2, p. 101. (In Georgian)
35. see Chikvashvili Sh., 2003. Liability for moral damage, „Meridian“, Tbilisi, 132-133, 161. (In Georgian)
36. SCGD 10.09.2015 (Case No.as-979-940-2014). (In Georgian)

37. see Bichia M., 2012. Protection of Personal life, in accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi, p. 254-255. (In Georgian)
38. see Bichia M., 2012. Protection of Personal life, in accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi, p. 252-253. (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Barabadze N., 2012. Moral damage and the problem of compensating it, „Universali“, Tbilisi. (In Georgian)
2. Todua M., Qurdadze Sh., 2005. Peculiarities of decision-making in certain categories of civil cases, Tbilisi. (In Georgian)

საერთაშორისო საკვაჭრო გარიგებების სამართლებრივი ბუნება, როგორც დოკუმენტური აკრედიტივის წარმოშობის საფუძველი

გიორგი ამილახვარი

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის,
სოციალურ მეცნიერებათა და დიპლომატიის
სკოლის დოქტორანტი*

საკვანძო სიტყვები: ვაჭრობა, სავაჭრო გარიგება,
სამართლებრივი რეგულირება

დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში წარმოუდგენელია ნებისმიერი ქვეყნის არსებობა და მისი ეკონომიკური განვითარება სხვა სახელმწიფოებთან თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობების დამყარების გარეშე. მსოფლიო ქვეყნების ისტორიამ და არსებულმა თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების პრაქტიკამ ნათლად დაადასტურა, რომ დამოუკიდებლად, სხვა ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების გარეშე, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია განავითაროს თავისი ეკონომიკა. უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ ფულადი ნიშნების შემოღებამდე, სახელმწიფოებს შორის არსებობდა საქონლის გაცვლითი ურთიერთობები, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ვაჭრობაში ფულადი ანგარიშსწორების დამკვიდრებით. თავდაპირველად ჩამოყალიბდა მეზობელი ქვეყნების მონაწილეობით შიდაკონტინენტური ბაზრები, რომლებიც საზღვაო, სამდინარო, სარკინიგზო და შემდგომ

საჭაერო სატრანსპორტო საშუალებების აღორძინებასთან ერთად გაფართოვდა და საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები კონტინენტაშორისი გახდა.¹

ისტორიული მასალებით დადგენილია ბრინჯაოს ხანიდან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების დამყარება სხვა სახელმწიფოებთან, რომელსაც ხელს უწყობდა ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე სამშენებლო მასალების დიდი მარაგების არსებობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, ტანსაცმლის ქსოვილების დამზადება, მესაქონლეობის განვითარება და სხვა ნაკეთობების საქონლის დამზადება.² ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნეში გაიხსნა ტრანსკონტინენტური სავაჭრო მაგისტრალი, დიდი აბრეშუმის გზად წოდებული, რომლის მეშვეობით ჩინეთიდან და ინდოეთიდან აბრეშუმის და სხვა მოხმარების საქონელი შეჰქონდათ რომის (შემდეგ ბიზანტიის) იმპერიასა და სხვა ქვეყნებში.

უძველესი დროის საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ცნობები აღწერილია ძველი ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის, სტრაბონის, უცხოელი მოგზაურების: მარკო პოლოს, არქანჯელო ლამბერტის, ალექსანდრე დიუმას, კრისტოფორო კასტელის, ქართველი გეოგრაფის და ისტორიკოსის, ვახუშტი ბატონიშვილის, აკადემიკოსების: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პაატა გუგუშვილის და სხვათა ნაშრომებში.³

ძველ ქართულ სამართალსა და ისტორიულ წყაროებში გარიგების ცნება ფართო მნიშვნელობით იყო გამოყენებული.⁴ მე-14 საუკუნის ქართული

სამართლის ძველი სახელწოდებით – ხელმწიფის კარის გარიგება – აწესრიგებდა დარბაზობის წესს, სახელმწიფოს მოხელეთა უფლება-მოვალეობებს. ტერმინი გარიგება გამოყენებულია სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად. სიტყვა გარიგება არის გერმანული წარმოშობის „Rexsgeschapt“ – სამართლებრივი საქმე, რომელიც პირველად გამოიყენეს 1794 წელს გამოცემულ ნიგში-მთელი დღევანდელი ცივილური სამართლის სისტემა. მხითარ გომას სამართლის 241-ე მუხლში, სიტყვა გარიგება ნასყიდობის ცნებას ასახავს, სომხური სამართლის მე-40 მუხლში სიტყვა გარიგება განსაზღვრავს ანდერძის საკითხებს. მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი „დასტურლამალი“ დასტურს, გარიგებას ნიშნავს, თუ როგორ უნდა მოქმედებდნენ დარბაზის ხელისუფალნი და რიგოსანი „სახელითა თვსთა“.⁵

დღეისათვის მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-114-ე მუხლებით ტერმინი გარიგება ფართო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად არის გამოყენებული, რომლის უმთავრესი მნიშვნელობა გამოიხატება ნების გამოვლენაში. დადგენილია ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების ცნება, ვალდებულებითი (ქონებრივი, საავტორო, საოჯახო, მემკვიდრეობის და სხვა გარიგების ფორმის სახეები) გარიგებები. დაუშვებელი კანონსაწინააღმდეგო გარიგებები, მოჩვენებით, შეცდომით დადებული გარიგებები, ბათილი გარიგებების სახეები და გარიგებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების წარ-

1 ჯოლია გ., 2008. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები. სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი გვ. 14.

2 ჯავახიშვილი ი., 1966. ქართველი ერის ისტორია. წიგნი III. გამომცემლობა საქართველო. თბილისი, გვ. 458.

3 ლ. ყორღანაშვილი. 1998. საერთაშორისო ბიზნესი. სახელმძღვანელო. გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 120.

4 ჭანტურია ლ. 1997. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში.

გამომცემლობა სამართალი, თბილისი. გვ. 308.

5 ჯავახიშვილი ი. 1982. თხზულებანი, ქართული სამართლის ისტორია. ტ. VI. გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, გვ. 68.

6 ჭანტურია ლ., 2011. საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა სამართალი, თბილისი, გვ. 290

მოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. საერთაშორისო ვაჭრობაში გარიგება შესაძლებელია განხორციელდეს ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლენით. ორმხრივი გარიგების დროს მყიდველი და გამყიდველი თანხმდებიან კონკრეტული საქონლის რაოდენობისა და ღირებულების ყიდვა-გაყიდვაზე. ორმხრივი გარიგება პრაქტიკულად შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მცირე მოცულობის საქონელზე. თანამედროვე პირობებში საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები ხორციელდება მრავალმხრივი შეთანხმებებით.⁷ მყიდველთან და გამყიდველთან ერთად მასში მონაწილეობას იღებენ როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, საბანკო ინსტიტუტები ფინანსური ანგარიშსწორების, მათ შორის აკრედიტივის ფორმის გამოყენებით, ასევე გადაზიდვა კომპანიები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები-საგადასახადო-საბაჟო, სასაზღვრო სამსახურები, ფიტო და ვეტერინარული დანესებულებები და სხვადასხვა ნებართვისა და ლიცენზიის გამცემი სახელმწიფო სტრუქტურები.

კერძო საერთაშორისო სამართლის მეცნიერთა ნაწილი, აგრეთვე, საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების ცნებას მიაკუთვნებენ მონაწილე მხარეთა ქვეყნების მოქალაქეობას, საცხოვრებელ ადგილს და საქონლის დამამზადებელი საწარმოების რეგისტრაციას (რეზიდენტობას) მოცემულ სახელმწიფოში,⁸ რაც არასწორად მიგვაჩნია.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §104-144 ფართოდ განსაზღვრავს და აწესრიგებს ნების გამოვლენის სხვადასხვა კერძო სამართლებრივ მრავალმხრივ ურთიერთობებს, დადებული არასრულწლოვანი ქმედუნარო და სრულწლოვანი პირის მიერ ფართო

მიმართულებით.⁹ მათ შორის დადებული კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით არასრულწლოვანის მიერ სამენარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებლად, სასამსახურო ან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებისას და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივ ფართო საკითხებზე ქმედუნარიანი პირის მიერ.

საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები აშშ-ში ასევე რეგულირდება 1979 წელს მიღებული კანონით ექსპორტის მართვის შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნებში კორუფციის შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების სუვერენულ იმუნიტეტზე და სხვა საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე.¹⁰

ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე მიღებულია და მოქმედებს შემდეგი ძირითადი კანონები: 1) 1930 წ. მიღებულია კანონი – ტარიფების შესახებ, რომელიც შემუშავებული იყო სმუტისა და ხოლის მიერ. კანონით დანესებული დიდი სატარიფო ბარიერები დღეს შემცირებულია, მოქმედებაშია უცვლელად კანონის ბევრი ნორმა. 2) 1970 წელს მიიღეს ერთიანი სავაჭრო კოდექსი, რომლითაც განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადებაზე, სხვა ქვეყნებში აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობის დანესება, კონგრესისა და პრეზიდენტის ურთიერთთანამშრომლობა ვაჭრობის საკითხებზე. 3) 1979 წელს მიღებული კანონი – სავაჭრო შეთანხმებების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება ტოკიოს რაუნდზე GATT-ის მიერ მიღებული კოდექსების ნორმების ქვეყანაში დაცვის მიმართულებები, 1930 წელს მიღებული ტარიფის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა იმპორტის ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით. 4) 1984 წ. მიღებული კანონი – ვაჭრობისა და ტარიფის შესახებ, რომლითაც ცვლილებები შევიდა ვაჭრობასთან დაკავშირებით მიღებულ კანონში და განისაზღვრა ისრაელის

7 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. 2002. რედ., ჭანტურია ლ., თბილისი, გვ. 563.
 8 Канашевский В., 2005. Внешние экономические сделки. Правовое регулирование. Москва, издательство – «международные отношения», С. 17.

9 გერმანიის სამოქალაქო კოდექსი 2010. (BGB), თარგმანი ზ.ჭეჭელაშვილის გამომცემლობა – სიესტა. თბილისი გვ. 98.
 10 Folsom H., Gordon, W., & Panogle, A., 1992. International Business. St. Paul, Minn. Westpublishing.Co. P. 217.

სახელმწიფოსთან სავაჭრო ხელშეკრულების შემუშავების საკითხი. 5) 1988 წელს მიიღეს კანონი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოსილება GATT-ის ურუგვაის რაუნდზე.

აშშ-ს შტატებში აგრეთვე მიღებულია და მოქმედებს საკუთარი სამოქალაქო კოდექსები. კალიფორნიის შტატში დღეისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსი მიღებულია 1873 წელს. საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების მარეგულირებელ ჩამოთვლილ საკანონმდებლო აქტებთან ერთად სამოქალაქო კოდექსებით რეგულირდება გარიგებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები. კალიფორნიის შტატის სამოქალაქო კოდექსის §39-112 ითვალისწინებს ნებისმიერი გარიგების შეწყვეტას, რომელიც დადებულია ქმედუნარო ან არასრულწლოვანი პირის მიერ. §1227-1230 ითვალისწინებს მოტყუებით დადებული გარიგებების გაუქმებასა და მის ბათილობას.¹¹

საფრანგეთის რესპუბლიკაში სამოქალაქო კოდექსის თანახმად ნებისმიერი გარიგება, მათ შორის საერთაშორისო, ხორციელდება ქმედუნარიანი (18 წლის ასაკიდან) პირის მიერ. 1582 მუხლის თანახმად საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომლის დროს ერთი მხარე ყიდის კუთვნილ საქონელს და მეორე მხარე იხდის დადგენილ და შეთანხმებულ ღირებულებას.¹²

პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 217-ე მუხლით განსაზღვრულია ნების თავისუფლება და მათი გამოვლენა გარიგების განხორციელების დროს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ზეპირი, წერილობითი, სანოტარო დამონშებით ან სხვა ფორმებით. კოდექსის 280-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ბათილი, თუ ის დადებული არის კანონმდებლობის დარღვევით, არ შეესაბამება საზოგადოებრივ ტრადიციებსა და დამკვიდრებულ წეს-

ჩვევებს. გარიგების განხორციელებისას მხარეები ვალდებული არიან, სრულად შეასრულონ აღებული ვალდებულებები. კოდექსით დადგენილია საქონლის ყიდვა-გაყიდვის ცნება, მათი შედეგი, საქონლის გადაცემის და ღირებულების გადახდის ვალდებულებები.¹³

საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად რეგულირდება ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია 1980 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „UNCITRAL“-ის სამართლის კომისიის მიერ მიღებული ვენის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ – CISG, რომლის თანახმად საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელი პირობების საფუძველზე არის სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებისათვის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი.¹⁴ ვენის 1980 წლის მითითებულ კონვენციასთან ერთად საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები რეგულირდება, ასევე, სხვა საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. 1966 წელს გაეროს ასამბლეის მიერ საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, შეიქმნა საერთაშორისო სავაჭრო კომისია, – UNCITRAL (United Nations Commission on International Trade Law).¹⁵ რომლის მთავარ ამოცანად დაისახა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა. 1955 წელს

13 Гражданский кодекс Португалии. www.twirpx.com/file/409022

14 1980 წლის ვენის კონვენცია – საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 თებერვლის პარლამენტის დადგენილებით) კომპიუტერული პროგრამა -კოდექსი, შემდგენელი მაისურაძე ა.

15 ალექსიძე ლ., 2001. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, გვ. 98.

11 Гражданский кодекс штата Калифорния. www.twirpx.com/file/409022

12 Гражданский кодекс Франции. 1997. Издательство-юридическая литература. www.twirpx.com/file/409022

მიღებული იქნა ჰააგის კონვენცია – მოძრავი მატერიალური ნივთების საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ. 1988 წელს მიღებულია კონვენცია – საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ. 1974 წელს ნიუ-იორკში მიღებულ იქნა ასევე კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისას სარჩელის ხანდაზმულობის ვადის შესახებ. 1983 წელს მიღებული იქნა უენევის კონვენცია – საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვაში წარმომადგენლობის შესახებ. 1986 წელს აგრეთვე მიღებულია შეთანხმება საქონლის წარმოშობის წესების შესახებ. 1994 წელს მიღებული იქნა შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ და სხვა.

საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივ რეგულირებაში, მის განვითარებასა და სხვადასხვა ქვეყნების ერთგვაროვან მიდგომაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციას – ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (United Nations Conference on Trade and Development) (UNCTAD), რომლის პირველ სესიაზე 1964 წელს განხილული იქნა საკითხი საქონლის საერთაშორისო ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის გამოყენების შესახებ. ამ სესიაზე მიღებული იქნა აგრეთვე დოკუმენტი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობისა და სავაჭრო პოლიტიკის განვითარების პრინციპების შესახებ, რომლის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობა უნდა განვითარდეს ეროვნული ურთიერთხელსაყრელი უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით და თავისუფალი უნდა იყოს ისეთი ღონისძიებებისაგან, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვა ერს.

გარდა გაეროს ამ სპეციალიზებული ორგანოებისა „UNCITRAL“-ის და „UNCTAD“-სა საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივ რეგულირებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვა ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორებიცაა: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, 1955 წლის ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია, საერთაშორისო სავაჭრო

პალატა (მდებარეობს პარიზში), კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტი (UNIDROIT) (განთავსებულია რომში) რომლის მიერ 2010 წელს მიღებულია საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები. საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები რეგულირდება, ასევე, სხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმებით.

საერთაშორისო სავაჭრო სამართლის სპეციალისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამართლის ეს დარგი აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სამართლებრივი სტატუსი, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საერთაშორისო გარიგების ყიდვა-გაყიდვა, საერთაშორისო ფულად-საკრედიტო, საკუთრების მარეგულირებელი, გადაზიდვა, დაზღვევა, სავაჭრო არბიტრაჟის და სხვა საკითხები. სპეციალისტთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის წყაროდ მიჩნეულია მხოლოდ ამ სფეროს მარეგულირებელი კონვენციები და ტიპური კანონები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის მსგავსად, საერთაშორისო დონეზეა შემუშავებული და მიღებული, აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობაში დამკვიდრებული ჩვეულებები.¹⁶

საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების ცნება. კერძო სამართლის ქართველი სპეციალისტების მიერ ლ. ჭანტურია, ზ. ახვლედიანი, ზ. გაბისონია, ს. გამყრელიძე, თ. ზამბახიძე, ბ. ზოიძე, დ. კერესელიძე, თ. ლილუაშვილი, რ. შენგელია, ზ. ძლიერიშვილი და სხვების მიერ განხილულია საერთაშორისო გარიგებების როგორც სამოქალაქო სამართლებრივი, ასევე კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული საკითხები.

ძირითადად ქართველი და უცხოელი

16 ჭანტურია ლ., 2011. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა სამართალი, თბილისი, გვ. 290.

კერძო სამართლის სპეციალისტების მიერ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების ცნება განისაზღვრება შემდეგი ძირითადი ნიშნებით: საქონლის გატანით სხვა ქვეყანაში ან შემოტანით, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებით, ფიზიკური ან იურიდიული პირების არსებობით სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე კომერციული საწარმოებისა და ორგანიზაციების არსებობის ადგილის მიხედვით. საერთაშორისო კერძო სამართლის სპეციალისტთა უმრავლესობის მიერ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებად ითვლება:

- სახელმწიფო საზღვარზე (საბაჟო საზღვარზე და სახელმწიფო საბაჟო ტერიტორიაზე) საქონლის გადაადგილება, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ერთად რეგულირდება ეროვნული საბაჟო (საგადასახადო) კანონმდებლობით. აღნიშნულთან ერთად საერთაშორისო სავაჭრო გარიგებად არ ჩაითვლება ერთ ქვეყანაში უცხოური კომპანიის ან სხვა უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიერ ქვეყნის შიგნით განხორციელებული სავაჭრო გარიგება;
- სავაჭრო გარიგება საერთაშორისოდ ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის პირები და საქონელი დამზადებულია სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე;
- საერთაშორისო სავაჭრო გარიგების განსახორციელებლად ხშირ შემთხვევაში ფინანსური ანგარიშსწორება ხორციელდება უცხოური ვალუტით. გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნებს შორის განხორციელებული საერთაშორისო სავაჭრო გარიგება, რომლის დროს გამოიყენება ევრო.¹⁷

ბოლო წლებში საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების ინტენსიური ზრდა დააჩქარა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეროვნული საგარეო-ეკონომიკური სისტე-

მის ჩამოყალიბებამ. განხორციელდა სამართლებრივი, ადმინისტრაციული, ორგანიზაციულ-ტექნიკური წესებისა და სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სავაჭრო გარიგების პრაქტიკის თავისებურებების უნიფიკაცია და სამართლებრივი მონესრიგება დღევანდელი პირობებისა და არსებული ვითარების გათვალისწინებით.¹⁸ ყოველივე აღნიშნულმა საფუძველი შეუქმნა ერთიანი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას.¹⁹ დღეისათვის, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულია მსოფლიო ეკონომიკა, რომლის საფუძველს წარმოადგენს შრომისა და პროდუქციის წარმოების საერთაშორისო გადანაწილება.²⁰

საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშსწორების უზრუნველყოფა შეთანხმებულ დროში და სრული მოცულობით. სავაჭრო გარიგებებში მხარეთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება და, შესაბამისად, როგორც ექსპორტიორის, ისე საქონლის იმპორტიორის უფლებების დაცვა გარანტირებულია დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორებით.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ 2006 წელს მიღებული იქნა დღეისათვის მოქმედი „უნიფიცირებული წესები და ჩვეულებანი დოკუმენტური აკრედიტივის შესახებ“ (ძალაშია 2007 წლის 1 იანვრიდან). საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ გარიგებებში ანგარიშსწორების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს აკრედიტივი, რომელიც არის აკრედიტივის გამსხნელი ბანკის ვალდებულება კრედიტის ანუ აკრედიტივის დავალების მიმღების თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტების საფუძველზე გადაუხადოს მესამე პირს „ანუ რემიტენტს, ფულადი თანხა იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს შორის მიღწეული შეთანხმების პირობებით.

18 Delaume G., 1988. Law and Practice of Transnational Contracts oceana Publications, NEW YORK. p 120.

19 ამილახვარი ზ., 2003. ბიზნესის სამართლის საფუძვლები. გამომცემლობა ინოვაცია. თბილისი გვ. 5.

20 ჯოლია გ., 2008. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმძღვანელო. გამომცემლობა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, გვ.130.

17 Покровский И., 1998. Основные проблемы гражданского права. Издательство международные отношения, М. Стр 24.

აკრედიტივი არის უძველესი ინსტიტუტი, რომელიც, მიუხედავად მრავალწლიანი ისტორიისა, დარჩა გამოყენებაში მისი საიმედოობის, ხელმისაწვდომობისა და ეკონომიურობის ფორმებით. ზოგადი ცნებით, აკრედიტივი არის ნდობის წერილი (მონაწილეობა), რომელიც გაიცემა ბანკის მიერ და რომლის წარმდგენი კრედიტს იღებს მითითებულ სხვა ბანკში. საერთაშორისო აკრედიტივით ანგარიშსწორებაში მონაწილეობას იღებს ორი ან მეტი სხვადასხვა ბანკი, რომლებიც ფუნქციონირებს სხვადასხვა ქვეყანაში. აკრედიტივი გარანტიას იძლევა თანხის არა მარტო გადახდაზე, არამედ ანგარიშსწორების განხორციელებაზე შეთანხმებულ ვადაში. ფართო გაგებით აკრედიტივით ხორციელდება თანხის გადარიცხვა, რომელშიც მონაწილეობს რამდენიმე ბანკი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან საკორესპონდენტო ანგარიშსწორებით.

დღეისათვის საქონლის საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდ გამოიყენება აკრედიტივით ანგარიშსწორება, რომლის დროს საქონლის მყიდველი (იმპორტიორი) წერილობითი ფორმით დავალებას აძლევს თავის მომსახურე ბანკს, გადარიცხოს გამყიდველისათვის (ექსპორტიორი) შეთანხმებული თანხა აკრედიტივით დადგენილი პირობების დაცვით.²¹ სასაქონლო აკრედიტივის ოპერაციის დროს ბანკი აძლევს დავალებას თავის საკორესპონდენტო ბანკს, გამყიდველის მიერ საქონლის გადაზიდვის დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ გადაუხადოს მას მხარეთა ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა იმპორტიორის საკორესპონდენტო ანგარიშშიდან.

საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში აკრედიტივით ანგარიშსწორებას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ექსპორტიორისათვის ნათელი ხდება იმპორტიორის ფინანსური მდგომარეობა და სავაჭრო ურთიერთობებში მისი კეთილსინდისიერება, ამავე დროს ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ბანკების მიერ. ყოველივე აღნიშნული დადებითად მოქმედებს საქონლის

ექსპორტის ზრდაზე. ექსპორტიორისთვის უარყოფით მხარეს წარმოადგენს საბანკო მომსახურების შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი და დოკუმენტების სრულყოფილად წარდგენის დროს გადაუხდელობის გარკვეული რისკი. იმპორტიორი გარანტირებულია საქონლის შეთანხმებული რაოდენობით და დადგენილ დროში მიწოდებაში. უარყოფით მხარეს წარმოადგენს საქონლის ხარისხის კონტროლის შეუძლებლობა მისი გაგზავნის მომენტში და ასევე მომსახურების შედარებით დიდი საბანკო ხარჯები.

აკრედიტივით ანგარიშსწორება დაკავშირებულია რამდენიმე სამართლებრივ გარიგებასთან, მათ შორისაა მრავალმხრივი შეთანხმება (ხელშეკრულება) ექსპორტიორს (ბენეფიციარს) და იმპორტიორს (აპლიკანტს) შორის ყიდვა – გაყიდვებზე, გადაზიდვებზე, დაზღვევაზე და სხვა ოპერაციებზე, ასევე იმპორტიორის ბანკ-ემიტენტსა და სავიზო ბანკს შორის,²² ამასთან ძირითად მხარედ ითვლება საქონლის ექსპორტიორი და იმპორტიორი, რომელთა თანხმობით, მითითება – ბრძანებით ბანკები ახორციელებენ აკრედიტივით ანგარიშსწორებას.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებამ საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. ბოლო 20 წლის (1995 წლიდან) განმავლობაში საქართველოში ექსპორტი 155,2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებიდან გაიზარდა 2 მილიარდ 861,2 მილიონი დოლარის ღირებულებამდე, ანუ თითქმის 19-ჯერ. იმპორტის მოცულობა 488,7 მილიონი ამერიკული დოლარიდან გაიზარდა 8 მილიარდ 596,3 მილიონ აშშ დოლარამდე, ფაქტობრივად, თითქმის 18-ჯერ.

მსოფლიოს სახელმწიფოები ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, განსაკუთრებით ბოლო სამი ასწლეულის განმავლობაში, იღებდნენ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების

21 Cook A., 1923. Financing Export and Import. p. 32.

22 Комментарий законодательства и арбитражная практика. 2000 . Издательство – инфра. М. Стр. 196.

მარეგულირებელ სხვადასხვა შემზღუდავ გადანყვეტილებას.²³ აღნიშნულ შემზღუდავებს იმპორტზე მსოფლიოს სახელმწიფოები ძირითადად მიმართავდნენ XVI-XVII საუკუნეებში, რომელიც ცნობილია მერკანტილიზმის (ფრანგულად: mercantilisme – მერკანტილიზმი, იტალიურად: mercante – ვაჭარი, ლათინურად: mercanti – ვაჭრობა) ეპოქად.²⁴ საქონლის ექსპორტის ხელშეწყობით ხდებოდა იმპორტის შემზღუდავა. ასეთმა მიდგომამ და გადანყვეტილებებმა ადგილი დაუთმო ფრიტრედერობას და ფიზიოკრატიზმს, რომელთა მიხედვით, ითვლება, რომ უმჯობესია სახელმწიფოებმა დაუშვან საერთაშორისო ვაჭრობის სრული თავისუფლება, გააუქმონ ყველა შემზღუდავა, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების განხორციელებას.²⁵

შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა, რომელიც აღიარებულია მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლად, 1776 წელს თავის ნაშრომში – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრისა, ბუნებისა და მიზნების შესახებ“²⁶ – მიუთითა, რომ ქვეყნებს შორის ვაჭრობაში მერკანტილიზმი, პროტექციონიზმი ასუსტებს ეკონომიკას, რადგან არ არსებობს თავისუფალი ვაჭრობა და ყიდვა-გაყიდვის საქონლის გაცვლის პროცესი.

მე-19 საუკუნის დასაწყისში დავით რიკარდო ინგლისელ მემამულეებს მოუწოდებდა, ხელი შეეწყოს ქვეყნებს შორის თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის, რომლის მონაწილე ორივე მხარე მიიღებდა გარკვეულ სარგებელს. მერკანტილიზმის მიმდევრები კი თვლიდნენ, რომ საქონლის იმპორტზე უნდა დაწესებულიყო მაღალი გადასახადები და შემოღებული ყოფილიყო სხვადასხვა აკრძალვა და შემზღუდავა, რომლებიც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების გაზრდას და

შეამცირებდა ქვეყნიდან ფულის (ოქრო, ვერცხლი) გადინებას.²⁷

ცნობილია ასევე შვედი ეკონომისტების ელი ჰექშერისა და ბერტონ ოლინის თეორიები (მე-19, მე-20 საუკუნე), რომლებიც თვლიდნენ, რომ ქვეყნიდან უნდა განხორციელდეს იმ საქონლის ექსპორტი, რომელთა დასამზადებლად გამოიყენება შედარებით იაფი შრომითი რესურსი და მათ დასამზადებლად ამ სახელმწიფოში არსებობს შედარებით ჭარბი ფინანსური კაპიტალი. შემუშავებულია ასევე რიბჩინსკის თეორემა, პორტეჩის კონკურენციის თეორია, სამუელსონ-სტოლპერის კონცეფცია, ლეონტიევის პარადოქსი, კრუგმანის ახალი თეორია (მასშტაბის ეფექტის თეორია), ვერჩინორის სასიცოცხლო ციკლის თეორია, და სხვა, რომელთა თანახმად უნდა განხორციელდეს საქონლის ექსპორტი-იმპორტზე სხვადასხვა სახის შემზღუდავები და/ან სახელმწიფოს მხრიდან მიღებული იქნეს წახალისებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები.²⁸

მიუხედავად დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობისა, შეიქმნა პირობები და ქვეყნის ბუნებრივი, ეკოლოგიური, ისტორიულ-კულტურული ღონისძიებების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარება. დღეისათვის საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა აქვს დამყარებული ბევრ ქვეყანასთან, მათ შორის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორები არიან: აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, უკრაინა, აშშ, კანადა, ბულგარეთი, გერმანია, რუმინეთი, რუსეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ინდოეთი, იორდანია და სხვა სახელმწიფოები. აღნიშნულთან ერთად საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების განსახორციელებლად შეიქმნა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან

23 წყარო: <http://www.geostat.ge>

24 ლინდერტი პ., 2011. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა-სიახლე, თბილისი, გვ.65.

25 ლინდერტი პ., 2011. საერთაშორისო ეკონომიკა თბ. გამომცემლობა სიახლე, თბილისი, გვ.12.

26 Griffin R., Pusty M., 2006. International Business. Upper Saddle River, New Jersey, P. 167.

27 Стровский А., 1999. Внешнеэкономическая деятельность предприятия. издательство-прогресс, М. Стр. 58.

28 მესხია ი., 2011. საერთაშორისო ვაჭრობა. გამომცემლობა თსუ. თბილისი გვ. 40.

შესაბამისი ეროვნული სამართლებრივი ბაზა, საქართველომ აღიარა და მიუერთდა მრავალ საერთაშორისო კონვენციას და შეთანხმებას, რომლებითაც რეგულირდება სხვა ქვეყნებთან სავაჭრო გარიგებები.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან-ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა.²⁹ შეთანხმების თანახმად, საქართველოს უფლება მიეცა, 2014 წლის 1 სექტემბრიდან განახორციელოს თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობების რიგი მიმართულებები. ევროკავშირის სახელმწიფოში ჩამოყალიბებულია საბაჟო კავშირი და ტარდება ერთიანი სავაჭრო პოლიტიკა. შექმნილია ასევე ერთიანი შიდა ბაზარი. შემოღებულია ერთიანი საგარეო ტარიფები იმპორტირებულ საქონელზე. ცალკეული მიმართულებით ტარდება პროტექციონისტული პოლიტიკა შიდა ბაზრის დასაცავად.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე ივარაუდება ექსპორტის გაზრდა დაახლოებით 12%-ით და მთლიანი შიდა პროდუქტის 4,3%-მდე. პირველ რიგში, გაიზრდება ქართული ღვინისა და სხვა საქონლის ექსპორტი. ამასთანავე, განხორციელდება ქვეყანაში ინვესტიციები და დახმარება. 2014 წელს მარტო სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩადებული იქნა 14 მილიონი ევრო. ყოველი აღნიშნული ხელს შეუწყობს საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების გაზრდას და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე 1994 წელს ევროკავშირის ქვეყნების მიერ მიღებული ხელშეკრულება-ენერგეტიკული ქარტიის შესახებ, რომლითაც გაღრმავდა ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. საქართველო აღნიშნული ხელშეკრულების მონაწილე გახდა 1995 წელს. შემუშავდა ერთიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა. დაგეგმილია, შეიქმნას პან-

ევროპული ენერგეტიკული გაერთიანება (pan-European energy community).³⁰

საქართველოს გეოპოლიტიკური, ეკოლოგიური და ბუნებრივ-რესურსული მდგომარეობა საშუალებას იძლევა, განვითარდეს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი წარმოება, მკვეთრად გაიზარდოს ელექტროენერჯის გამომუშავება. საქართველოს გააჩნია ბუნებრივი წიაღისეულის გარკვეული მარაგი. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობს წიაღისეულის 70-ზე მეტი სახეობა 450-ზე მეტ საბადოში. მათ შორისაა სათბობ-ენერგეტიკული დარგის განვითარებისათვის ტყიბულ-შაორის, სამხრეთ საქართველოს (ახალციხის მახლობლად) საბადოები, რომელთა საერთო მარაგი 420 მილიონ ტონას აღწევს. ნავთობის საბადოები განლაგებულია სამგორ-პატარძელში, მირზანში, შირაქის და ელდარის ველზე. მიმდინარეობს მუშაობა ქართლის, გურიის, კახეთის და სხვა ტერიტორიებზე. მეცნიერთა გაანგარიშებით, მათი პოტენციური მარაგი 340 მილიონ ტონას აღემატება. სპეციალისტთა ვარაუდით, შავი ზღვის აჭარის სანაპიროზე არსებობს ბუნებრივი აირის საკმაო რაოდენობა, რომლის მოძიებაზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

საქართველოს გააჩნია შავი მეტალურჯის განვითარებისათვის მანგანუმის, რკინის საბადოები, აგრეთვე ოქროს, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, მოსაპირკეთებელი ქვების, ცემენტის წარმოებისა და სხვა სამშენებლო მასალების მარაგი. ქვეყანა მდიდარია თერმული და გეოთერმული წყლებითა და აგრეთვე მინერალური წყლებით, რომელთა 200-ზე მეტი წყარო 130 მილიონ ლიტრზე მეტს იძლევა დღე-ღამეში.

საქართველოს მიწის საერთო ტერიტორია 7,3 მილიონი ჰექტარია, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულია 3 მილიონ ჰექტარზე მეტი, ტყით დაფარულია 2,7 მილიონი ჰექტარი. მსოფლიო ქვეყნებს შორის საქართველო ფლობს მიწისზედა და მიწისქვეშა მტკნარი წყლების უდიდეს

29 Web page: <http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement.2013>

30 Reducing European Dependence on Russian Gas, Oxford Institute for Energy studies, OlesNG 92, October 2014.

მარაგს. მდინარეთა რაოდენობა აღწევს 26 ათასს, არის 350 ტბა. ქვეყანას გააჩნია ჰიდროენერგეტიკული რესურსების დიდი მარაგი. მეცნიერთა გათვლებით, შეიძლება გამოიმუშავებული იყოს 60 მილიარდი კილოვატ საათი ელექტროენერგია, დღეისათვის კი გამოიმუშავდება მხოლოდ ამ მაჩვენებლის 15%, რაზედაც ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ახალი ელექტროსადგურებისა და ასევე ნახშირის რესურსების გამოყენებით თბოსადგურების ასაშენებლად.³¹

ბოლო წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთისა და სხვა ქვეყნების მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიდი აბრეშუმის გზის სრულყოფას და მის განვითარებას. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ასევე ტერიტორიის გამოყენებით საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელება ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის მილსადენებით.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ასრულებს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნის როლს. საქართველო-ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკას პროექტი-TRACECA-Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) მონაწილე ქვეყანაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან პროექტს განეკუთვნება.³²

საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ აგრეთვე განაპირობა ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავება, შესაბამისი ჰარმონიზებული სატარიფო სისტემისა და სამართლებრივი ბაზის შექმნა. „ტრასეკას“ პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სატრანზიტო სისტემის განვითარებას და მისი ინფრასტრუქტურის

სრულყოფას. გერმანელი სპეციალისტების მიერ დამუშავდა „ტრასეკას“ რეგიონული პროექტი „საქართველო-აზერბაიჯანის სარკინიგზო ინფრასტრუქტურული სრულყოფა“. აგრეთვე, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის საკონტინენტო გადაზიდვის ახალი ტექნოლოგია – „ლოგისტიკური ექსპრესი ფოთი-ბაქო-ფოთი და ფოთი-ერევანი-ფოთი“, რომელიც დღეისათვის ექსპლუატაციაშია.³³

აღნიშნულთან ერთად საქართველოში მიმდინარეობს საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო და საავტომობილო გადაზიდვების სისტემის სრულყოფა. უცხოური ინვესტიციებით ხორციელდება ახალი აეროპორტების, ავტობანებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ძველი ტრანსპორტი იცვლება თანამედროვე, მაღალი სიჩქარის, კომფორტული და საიმედო სატრანსპორტო საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს მის ეფექტიანობას.

გარდა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა, ხელსაყრელი პირობებია შექმნილი მილსადენი ტრანსპორტით ნავთობისა და ბუნებრივი აირის გადასაზიდად. 1999 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს და აზერბაიჯანის შირაქის ნავთობი მიწოდება საერთაშორისო ბაზარს საქართველოს გავლით ბაქო-სუფსის ნავთობსადენით. 2006 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლითაც შესაძლებელი ხდება აზერბაიჯანის, შირაქისა და გუნემლის ნავთობის გატანა ხმელთაშუაზღვისპირეთის პორტ ჯეიჰანამდე, რომლითაც დღეში ტარდება 1 მილიონ ბარელამდე ნავთობი და მისი გაზრდა ამ მილსადენის გამოყენებით შეიძლება 1,8 მილიონ ბარელამდე. 2006 წლიდან მუშაობს თბილისი-ერზრუმის სატრანზიტო გაზსადენიც, რომლითაც შაჰდენიზის საბადოდან გაზი მიწოდება თურქეთს. დაგეგმილია აგრეთვე სხვა მილსადენების მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას. საქართველოს გავლით

31 ჯოლია გ., 2007. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 65.

32 Сергеев В, Григорьев М., Уваров С., 2008. Логистика–Информационные системы и технологии. Издательство - Альфа–Пресс, стр.32.

33 ყორღანაშვილი ლ., 2003. ოფორული ბიზნესი. გამომცემლობა თსუ, თბილისი, გვ 138.

ასევე ფუნქციონირებს საბჭოთა პერიოდიდან გამსაღვნი, რომლითაც რუსეთიდან სომხეთს მიენოდება ბუნებრივი აირი.

საქართველოს ბუნებრივი, ეკოლოგიური და კლიმატური პირობები, ქვეყნის ტერიტორიაზე უამრავი უნივერსალური ისტორიული ძეგლის არსებობა, მრავალი სამკურნალო რეკრეაციული რესურსი ყოველგვარ საფუძველს ქმნის მსოფლიო ტურისტულ სივრცეში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად, რისთვისაც აუცილებელია ტურისტული დანიშნულების ადგილების მარკეტინგული საშუალებებით (გამოფენა, რეკლამა და სხვა) პოპულარიზაცია, ტურიზმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, კონკურენტუნარიანი ხარისხითა და ფასებით უზრუნველყოფა. გადასაწყვეტია ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის, გასვლისა და დაყოვნების ლიბერალური წესების დამკვიდრება, სამართლებრივი ბაზის, მათ შორის საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფა. საბოლოო ჯამში ტურიზმის განვითარება დადებითად იმოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, რაც თავისთავად გაზრდის ქვეყნის საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების რაოდენობრივ დონეს.

ქმედითი ზომებია მისაღები ქვეყანაში არსებული ბუნებრივი წყლის მდიდარი რესურსების გამოსაყენებლად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მოზიდული ინვესტიციებით გაფართოვდა ელექტროსადგურების მშენებლობა, დამატებით ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი ჭარბი რაოდენობის ელექტროენერჯის მისაღებად და მათი ექსპორტირებისათვის მსოფლიო ქვეყნების მოთხოვნად ბაზარზე.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია პრომითი რესურსები და მათი კვალიფიკაცია თანამედროვე ტექნიკური და სხვა მოთხოვნები. საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის განვითარება პირდაპირ კავშირშია საე-

რთაშორისო სავაჭრო გარიგებების დინამიკასთან, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების საღვრისთან. ქვეყნის საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ექსპორტის გაზრდა, რომლის ღირებულება თითქმის სამჯერ ნაკლებია, ვიდრე ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის. მათ შორის ისეთის, როგორებიცაა: ბოსტნეული, მარცვლეული, ტანსაცმელი და ფართო მოხმარების საგნები, რომელთა საწარმოებლად ქვეყანაში არსებობს ყოველგვარი კლიმატური, ეკოლოგიური, სხვა ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსები. ქმედითი ღონისძიებებია აგრეთვე გასატარებელი ქვეყანაში საქონლის იმპორტის შესამცირებლად და საექსპორტო პროდუქციის წარმოების განსავითარებლად, რომლის ღირებულება უნდა გაუტოლდეს იმპორტირებული საქონლის ღირებულებას და მომავალში გადააჭარბოს მას. სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ხელშეწყობასა და დახმარებას საჭიროებს ადგილობრივი საწარმოები, სახელმწიფო დაბალპროცენტიანი კრედიტების დაფინანსებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, აგრეთვე, გარდა ექსპორტირებული პროდუქციის გადასახადებისაგან გათავისუფლებისა (დღგ, აქციზი), გასატარებელია სტიმულირების სხვა ღონისძიებები. საწარმოებში დასაწერვია ახალი თანამედროვე ტექნოლოგიები და დასამყარებელია სხვა ქვეყნებთან ახალი სავაჭრო კავშირები. ნებისმიერი საერთაშორისო სავაჭრო გარიგება, მათ შორის საქონლის ყიდვა-გაყიდვა, შეუძლებელია ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე. დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო ვაჭრობის გაღრმავების ტენდენციამ თავისთავად ჩაუყარა საფუძველი და მოითხოვა საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების გაფართოება, გაცვლითი რთული სავალუტო პროცესების წარმოება და ანგარიშსწორებით ინტერესების დაცვა აკრედიტივის, ფინანსური ლიზინგისა და სხვა ოპერაციების გამოყენებით.

LEGAL NATURE OF INTERNATIONAL TRADE TRANSACTIONS AS A BASIS FOR THE PAYMENT WITH A LETTER OF CREDIT

Giorgi Amilakhvari

*Georgian-American University
School of Law, Social Sciences and Diplomacy
PhD Student*

KEY WORDS: Trade, commercial deals, legal regulations

RESUME

In the article there are discussed the meaning of international commercial deals, the history of Georgia's trade relations with neighbor and other countries, that took place since Bronze Age started from the exchange of goods and followed by opening of the Great Silk Road. There are also discussed issues related to the Legal Regulation of International Trade according to the international law norms and national legislation. Comparative analysis is made between the national legislation and the legislations of USA, Germany and France.

Also, it is very important for parties to make an agreement in order to conduct international trade deals with the Payment by a Letter of Credit that will provide the fulfilment of existing obligations.

It should be considered that in many countries the special legislation acts are adopted and enacted regarding the international trade deals, particularly about export and import issues. Acts like those still are not drafted or adopted in Georgia. The main goal of

the government should be the regulation of the misbalance between export and import in the international trade relations. Import should fill up the nonexistent goods according to the demands of the population and export should be used for money income in the state. For these reasons a united trade policy should be developed and arrangements

should be made in order to coordinate the activities of the state and private bodies.

In order to increase and fulfil the scales of international trade deals it is recommended to fill the gaps in the Georgian legislation by introducing and adopting new legislative acts.

NOTES:

1. Jolia G., 2008. International Economic Relations of Georgia. Technical University Publishing House, Tbilisi, p.14. (In Georgian)
2. Javakhishvili Iv., 1966. History of Georgia Nation. Book 3. Georgia Publishing Tbilisi, p.458 (In Georgian)
3. Korganashvili L., 1998 International Business. Tbilisi State Publishing, Tbilisi p.120. (In Georgian)
4. Chanturia L., 1997. Introduction to the General Part of the Georgia Civil Law. Samartali Publishing Tbilisi, p. 308. (In Georgian)
5. Javakhishvili Iv., 1982. Essays in Georgia Legal history, Book 6. Metsniereba Publishing Tbilisi, p. 68. (In Georgian)
6. Chanturia L., 2011. General Part of the Georgia Civil Law. Samartali Publishing Tbilisi, p. 290. (In Georgian)
7. Commentary to the Civil Code of Georgia. 2002. Book. 1. Editor L. Chanturia. Tbilisi, p. 563 (In Georgian)
8. Kanashvili V., 2005. Foreign trade transactions. Legal regulation. International Relation Publishing Moscow, p.17. (In Russian)
9. Civil Code of Germany 2010. (BGB), Translation of Z. Chechelashvili, Publishing House Siesta, Tbilisi, p. 98. (In Georgian)
10. Folsom H., Gordon, W., & Panogle, A. 1992. International Business. St. Paul, Minn. Westpublishing.Co. P. 217. (In English)
11. Civil Code of the State California. (RUS) www.twirpx.com/file/409022 (In English)
12. Civil Code of France.1997. Legal Literature Publishing House. www.twirpx.com/file/409022 (In Russian)
13. Civil Code of Portugal. www.twirpx.com/file/409022 (In Russian)
14. author – Maisuradze A., Vienna convention of 1980 on Contracts of the International sale-purchase of goods (enacted by the ordinance of the Parliament of Georgia of February 3, 1994), digital software – codex. (In Georgian)
15. Aleksidze L., 2001. Modern International Law, Tbilisi State Publishing House, Tbilisi, p. 98. (In Georgian)
16. Chanturia L., 2011. General Part of the Georgia Civil Law. Samartali Publishing Tbilisi, p. 290. (In Georgian)
17. Pokrovski I. A., 1998. Basic problems of civil law. International Relation Publishing Moscow, p.24. (In Georgian)
18. Delaume G., 1988. Law and Practice of Transnational Contracts oceana Publications, NEW YORK. p 120. (In English)
19. Amilakhvari Z., 2003. Basic in Business Law. Publishing House Inovatsia, Tbilisi, p. 5. (In Georgian)
20. Jolia G., 2008. International Economic Relations of Georgia. Technical University Publishing House, Tbilisi, p.130. (In Georgian)

21. Cook A., 1923. Financing Export and Import. p. 32. (In English)
22. Commentary to the Legislation and Arbitration practice of Azerbaijan, 2000. Publishing House – Infra. M. p.196. (In Russian)
23. Source: <http://www.geostat.ge> (In Georgian)
24. Lindert P., 2011. International Economy. Publishing house – Novelty. Tbilisi, p. 65. (In Georgian)
25. Lindert P., 2011. International Economy. Publishing house – Novelty. Tbilisi, p. 12. (In Georgian)
26. Griffin R, Pusty M., 2006. International Business. Upper Saddle River, New Jersey, P. 167. (In Russian)
27. Strovski A., 1999. Foreign Trade Company. Progress Publishing, Moscow, p.58. (In Russian)
28. Meskhia I., 2011. International Trade. Tbilisi State Publishing, Tbilisi P. 40. (In Georgian)
29. Web page: <http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement.2013> (In English)
30. Reducing European Dependence on Russian Gas, Oxford Institute for Energy studies, OlesNG 92, October 2014. (In English)
31. Jolia G., 2007. International Economic Relations of Georgia. Technical University Publishing House, Tbilisi, p.65. (In Georgian)
32. Sergeev V. I., Grigorev M. N & Yvarov C. A., 2008. Logistics: Information Systems and Technology. Infra Publishing Moscow, p. 32 (In Russian)
33. Korganashvili L., 2003. Offshore Business. Tbilisi State Publishing, Tbilisi, p.138 (In Georgian)

მომედიუმი ტექნიკური საფრთხის მქონე საწარმოებში დასაქმებულთა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების სამართლებრივი საკითხები

დავით ომსარაშვილი

სამართლის მაგისტრი, ადვოკატი

გიორგი გ. თუმანიშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი,
ევროპის აკადემია (საქართველო),
მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი),
სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

საკვანძო სიტყვები: გარემო, უფლება, ჯანმრთელობა

ღირსეული სამუშაო უნდა იყოს უსაფრთხო სამუშაო¹
ხუან სომასია

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი

ყველას აქვს შრომის უფლება, სამუშაოს თავისუფალი არჩევის,
შრომის სამართლიანი და დაცული სამუშაო პირობების ქონის უფლება²

საქართველოს შრომის კოდექსით დასაქმებულებს ენიჭებათ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს ქონის უფლება.³ ამ უფლების რეალიზება ზოგჯერ საერთოდ ვერ, ხოლო ხშირად ხარვეზებით ხორციელდება.

1 ILO's report – Decent work/safe work (2005). (2016). *Ohsa.org.mt*. Retrieved 26 March 2016, from [http://ohsa.org.mt/Home/UsefulInformation/Reports/LO%E2%80%99sreportDecent-worksafework\(2005\).aspx](http://ohsa.org.mt/Home/UsefulInformation/Reports/LO%E2%80%99sreportDecent-worksafework(2005).aspx)
2 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 23.(3).
3 საქართველოს შრომის კოდექსი (2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით), მუხლი 35, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება, ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567#!>

საქართველოში შსს-სა და პროფკავშირების ერთობლივი მონაცემებით,⁴ 2010 წელს სამუშაოს შესრულებისას 168 ადამიანი დაშავდა, 21 კი დაიღუპა, 2011 წელს დაშავდა 51 ადამიანი, 21 კი გარდაიცვალა, 2012 წელს დაშავდა – 118, ხოლო გარდაიცვალა – 29. 2013 წელს სამსახურებრივი მოვალეობისას დაიღუპა 30 ადამიანი, 42 კი დაშავდა. რაც შეეხება 2014 წელს, სამუშაო პროცესის დროს 41 ადამიანი გარდაიცვალა, 66 კი დაშავდა.

ყოველწლიურად სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების ან დაავადებების გამო მსოფლიოში ორ მილიონამდე ადამიანი იღუპება.⁵ ეკონომიკის თვალსაზრისით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გათვლებით პროფესიული დაავადებებისა და სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევების შედეგად მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის ყოველწლიური დანაკარგი 4%-ს შეადგენს.⁶

მნიშვნელოვანია, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნისთანავე აღნიშნული თემა იყო ერთ-ერთი ძირითადი განსახილველი საკითხი და ამ პრობლემასთან ბრძოლა დღესაც რჩება ორგანიზაციის ფუნდამენტურ მიზნად. როგორც წესი, კანონმდებლობა შრომის უსაფრთხოების შესახებ ძალზე ფართო და დეტალურია. აღნიშნული საკითხი აუცილებლად ამომ-

წურავად უნდა იქნეს დარეგულირებული იმისათვის, რომ თვითნებობისა და სხვისი სიცოცხლის გაუმართლებლად გარისკვის შესაძლებლობა არ მიეცეს დამსაქმებელს.

სამწუხაროდ, გარდა შრომის კოდექსში არსებული მუხლისა (35), რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი, ასევე იგი ვალდებულია, გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე. ასევე განაწესისა, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი ვალდებულია, დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ ალტერნატივებსთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი ალტერნატივით, სახიფათო მონაცემები ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.⁷ შრომის უსაფრთხოების კუთხით საქართველოს კანონმდებლობა ძალიან ღარიბია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არ არსებობდა შრომის ინსპექცია და ამ პრობლემასთან ბრძოლის ხელისუფლების ერთიანი პოლიტიკა. თუმცა 2012 წელს ძალაში შევიდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის

4 რეზონანსი, (2015). შარშან სამუშაო პროცესის დროს 41 ადამიანი გარდაიცვალა. *Resonancedaily.com*. Retrieved 26 March 2016, from http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=24383

5 თამაშის წესები – მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში., შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია; შესწორებული რედაქცია 2009: შსო., უსაფრთხოება ციფრებში: სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების დაცვის გლობალური კულტურის მაჩვენებლები (ქენევა, პროგრამა InFocus/ უსაფრთხო შრომა, 2003). ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია აქ: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---normes/documents/publication/wcms_226313.pdf ISBN 978-92-2-822182-4 (ნაბეჭდი გამოცემა) ISBN 978-92-2-822183-1 (ვებ-გამოცემა pdf) ასევე ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: /RulesoftheGame. Brief Introduction to International Labour Standards, Geneva, International Labour Office, Revised edition 2009/ ISBN 978-92-2-122182-1 (ნაბეჭდი გამოცემა) ISBN 978-92-2-122183-8 (ვებ-გამოცემა pdf) პირველი გამოცემა 2005 წ. შესწორებული რედაქცია 2009 წ.

6 იქვე.

7 საქართველოს შრომის კოდექსი (2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით), მუხლი 35, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება, ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567#/>

კოდექსი“, რომელშიც ასევე მოქცეულია მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი საწარმოების უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმები.⁸

ასევე შეიქმნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო,⁹ მიუხედავად ამისა, მრავალი განსახილველი, პრობლემური საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია. წარმოდგენილ კვლევაში დეტალურად შევხებით იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც განხორციელდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებულ/მარეგულირებელ სამართალმდგომარეობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო არ არის მიერთებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის არც ერთ კონვენციას, რომლებიც შრომის უსაფრთხოებას და სამუშაო გარემოს შეეხება. (მაგალითად, როგორებიცაა: შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ხელშემწყობი ჩარჩოს სისტემის შესახებ კონვენცია, 2006 წლის (№187)¹⁰; სამშენებლო სფეროში შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ კონვენცია, 1988 წლის (№167)¹¹ და ა.შ. ასე რომ, გახშირებული უბედური შემთხვევების მიზეზი სხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზებთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ასევეა მოცემული სფეროს მოუწესრიგებელი

საკანონმდებლო ბაზა, რაც დამსაქმებელს შესაძლებლობას აძლევს, არ შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები: „უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი ანდა გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.“¹²

აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ საქართველო ევროპის სოციალური ქარტიის მესამე მუხლს¹³ სავალდებულოდ შესასრულებლად არ აღიარებს. მოცემულ მუხლში სწორედ უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო პირობებით სარგებლობის უფლებაზეა საუბარი. ამ მუხლით ქარტიაზე ხელშემკვერელი მხარეები ვალდებულებას იღებენ უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო პირობების სარგებლობის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებთან კონსულტაციების გზით: „უზრუნველყონ შრომის უსაფრთხოების, სამუშაო ჰიგიენისა და შრომითი გარემოს შესახებ შესაბამისი ეროვნული პოლიტიკის ფორმულირება, განხორციელება და პერიოდული გადახედვა, ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანია შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის გაუმჯობესება და ავარიებისა და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილება, შრომით გარემოში არსებული საფრთხის მინიმიზაციის გზით მიიღონ უსაფრთხოებისა და ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებული ნორმები; დააწესონ ზედამხედველობა ასეთი ნორმების შესრულებაზე; ხელი შეუწყონ პრევენციული და საკონსულტაციო ფუნქციების მქონე შრომითი ჰიგიენის სამსახურების განვითარებას.“¹⁴

8 პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419>
9 იხ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ გვერდი <http://www.economy.ge/ge/minister/ministris-moadgile-327/technical-and-constructions-supervision-agency> ნანახია 03.2016, ასევე ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ვებ გვერდი <http://www.tacsa.gov.ge>
10 *Convention C187 – Promotional Framework for Occupational Safety and Health Convention, 2006 (No. 187)*. (2016). *Ilo.org*. Retrieved 26 March 2016, from http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_INSTRUMENT_ID:312332
11 *Convention C167 – Safety and Health in Construction Convention, 1988 (No. 167)*. (2016). *Ilo.org*. Retrieved 26 March 2016, from http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:12100:0::NO:12100:P12100_INSTRUMENT_ID:312312

12 საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 35.
13 ევროპის სოციალური ქარტია; (შესწორებული) სტრასბურგი 3.V.1996; რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N 1876 – რს დადგენილებით.
14 ევროპის სოციალური ქარტია; (შესწორებული) სტრასბურგი 3.V.1996; რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის

დ. ოსასარაშვილი, გ. თუშანაშვილი

დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვისა და გაძლიერებისთვის საჭიროა სამხრეთი ვალდებულებების გამოკვეთა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოების პრევენციული მიდგომა, საზოგადოებაში კულტურის ჩამოყალიბება, რათა მიგნებულ იქნეს დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და დაცვის მექანიზმების გრძელვადიანი და ფართომასშტაბიანი გზები.

შრომის უსაფრთხოება სამართლის მეცნიერებისთვის – ეს არის საკანონმდებლო აქტების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობის, შრომისუნარიანობის შენარჩუნებას და უსაფრთხოების დაცვას მოსალოდნელი დაავადებებისგან და ტრავმებისგან.

თითქმის ყველა სამუშაო შეიცავს გარკვეულ რისკს ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების კუთხით, თუმცა წარმოდგენილ კვლევაში განვიხილავთ ე.წ. მომეტებული საფრთხის მქონე საწარმოების უსაფრთხოების საკითხებს. საუბარი გვექნება სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და საერთაშორისო ნორმებზე როგორი უნდა იყოს კანონმდებლობა და რა ღირს (დაუჯდება) სახელმწიფოს და საწარმოს დასაქმებულის უსაფრთხოება?

კვლევაში გამოყენებული თერმინების შეხახვა*:

სამუშაო ადგილი – დასაქმებულთა მუდმივი ან პერიოდული ყოფნის ადგილი, რომელიც საჭიროა საწარმოო პროცესების ჩატარებისა და მათზე დაკვირვებისთვის.^{15**}

N 1876 – რს დადგენილებით.

* ნაშრომში გამოყენებული ტერმინები ზოგ შემთხვევაში სცდება (სიტყვასიტყვით) გამოყენებას მოქმედ ნორმატიულ აქტებში (ზოგ შემთხვევაში კი მოქმედი ნორმატიული აქტები საერთოდ არ იცნობენ მოცემულ ტერმინებს), ამიტომ ტექსტის ადეკვატური აღქმა-გააზრებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ტერმინთა იმ ზუსტი შინაარსის განსაზღვრა, რა შინაარსითაც ისინი გამოყენებულნი არიან მოცემულ ტექსტში.

15 ჩხეიძე ლ., ჯვარელია ნ., 2009. „საწარმო სანიტარია და შრომის ჰიგიენა“; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

** უნდა ითქვას, რომ ეს განმარტება არ არის

კონკრეტული ადგილი, სადაც დასაქმებული და სხვა პირ(ებ)ი უშუალოდ ასრულებენ თავის სამუშაოს.

სამუშაო მარეგულირება/სივრცე – სამუშაო ადგილი თავისი ნებისმიერი ფიზიკური, ქიმიური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და სხვა ფაქტორებით, რომლებსაც თანამშრომელი ექვემდებარება, როდესაც ასრულებს მასზე დაკისრებულ საქმიანობას; ესე იგი, სამუშაო გარემოსათვის კონკრეტული ფიზიკური საზღვრების დადგენა ძალზე ძნელია, რადგან იგი შეიძლება ცვალებადი იყოს. *საინტერესოა, რომ ამ მხრივ სინგაპურის კანონი „WORKPLACE SAFETY AND HEALTH ACT“¹⁶ უფრო შორსაც მიდის და თვითდასაქმებული პირის სამუშაო გარემოსაც არეგულირებს.* ტერმინში ასევე მოიაზრება ყველა სამუშაო ადგილისა და მასთან დაკავშირებული ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებულები და სხვა პირ(ებ)ი იმყოფებიან/გადაადგილდებიან სამსახურებრივი დანიშნულებით და რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არიან დამქირავებლის კონტროლის ქვეშ.

იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის სიცოცხლისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ქონის უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, საჭიროა შემუშავდეს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების სისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს სამართლებრივ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარულ და სოციალ-ეკონომიკურ ღონისძიებებს. ამ ღონისძიებების ერთობლიობას, შესაძლოა, ეწოდოს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკა.

16 ამომწურავი. სამუშაო ადგილი არის ადგილი, სადაც დასაქმებულს უწევს ყოფნა გეგმიური ან არაგეგმიური შრომითი სამუშაოს შესრულებისას. WORKPLACE SAFETY AND HEALTH ACT; (CHAPTER 354A); (Original Enactment: Act 7 of 2006); REVISED EDITION 2009; (31st July 2009). <http://statutes.agc.gov.sg/aol/search/display/view.w3p?page=0;query=CompId:b-f57dbec-f1a0-451c-8d71-9e1a341b22d3;rec=0> ნანახია /; 11/12/13.

შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა – სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციონალური შესაძლებლობების დაცვის სისტემა, რომელიც ქმნის პირობებს ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის და რომელიც მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, საორგანიზაციო-ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს.

საფრთხე – მანქანა-დანადგარების, მასალების, ნივთიერებების, სამუშაო მეთოდების, გარემო პირობების ან შრომის ორგანიზების თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დასაქმებულ(ებ)ის ან სხვა პირ(ებ)ის დაზიანება, დაავადება ან ჯანმრთელობის სხვა პრობლემები.

რისკი – დასაქმებულ(ებ)ისთვის ან სხვა პირ(ებ)ისათვის ჯანმრთელობის ან სხვაგვარი ზიანის მიყენების ალბათობა და მოსალოდნელი შედეგების ხარისხი.

მოქმედი ტერმინი საფრთხე – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის მაღალი ალბათობა, საწარმოო საშიშროება.

საწარმოო საშიშროება – დასაქმებულის ჯანმრთელობაზე საშიში და მავნე ზემოქმედების შესაძლებლობა. შრომის პირობები საწარმოო ფაქტორთა ერთობლიობაა, რომლის ინტეგრირებული მაჩვენებელია დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა.¹⁷

ერთმანეთისგან განასხვავებენ მავნე და საშიშ საწარმოო ფაქტორებს. მავნე ფაქტორი – რომელმაც, შესაძლოა, ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვიოს და საშიში ფაქტორი, რომელმაც, შესაძლოა, სიკვდილი გამოიწვიოს. თუმცა ეს დაყოფა პირობითია, რადგან, როგორც წესი, უსაფრთხოების ერთმა და იმავე დარღვევამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ორივე შემთხვევა. მაგალითად: საწარმოში გამოყოფილმა

მტვერმა ადამიანის ფილტვებში მოხვედრისას, შესაძლოა, გამოიწვიოს მისი დაავადება, ხოლო თვალში მოხვედრისას – მისი დასახიჩრება ან სიკვდილი.¹⁸

პროფესიული მავნეობანი რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ესენია:

ფიზიკური ფაქტორები – ვიბრაცია, ხმაური, ატმოსფერული წნევა, არახელსაყრელი მიკროკლიმატი და სხვა.

ქიმიური ფაქტორები – სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მხამები;

ბიოლოგიური ფაქტორები – ინფექცია, პარაზიტები, სოკოები.

პროფესიულ მავნეობას მიაკუთვნებენ ასევე ადამიანის ორგანიზმის გადატვირთვას და დაძაბვას.

საქართველოს კანონი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“, რომელიც ამჟამად ძალადაკარგულია, ტექნიკურ საფრთხეს შემდეგნაირად განმარტავდა: „საფრთხე, რომელსაც შეიცავს სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ობიექტი, ასევე მის შექმნასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პროცესი, რომლის წარმოება, მშენებლობა, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის საფრთხეს და წარმოადგენს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსათვის;“ იმავენაირად განმარტავს ამ ტერმინს ამჟამად მოქმედი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.¹⁹

სიტყვა-ტერმინი „მომეტებელი“ თავის თავში მოიცავს მაღალ რისკს. რისკი, განსახილველ შემთხვევაში, ეს არის არასასურველი შედეგის ალბათობა. ე.ი. მაღალი რისკი პირდაპირპროპორციულია

17 ჩხეიძე ლ., ჯვარელია ნ., 2009. „საწარმოო სანიტარია და შრომის ჰიგიენა“; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბილისი.

18 ჩხეიძე ლ., ჯვარელია ნ., 2009. „საწარმოო სანიტარია და შრომის ჰიგიენა“; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბილისი.

19 საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი: ძალაშია 2012 წლის 8 მაისიდან; მუხლი 15.

არასასურველი შედეგის დადგომის ალბათობასთან. არასასურველი შედეგი კი შეიძლება იყოს ობიექტის ნგრევა, რღვევა, აფეთქება ან ემისია, რომელიც ინვესტს ადამიანის ინტოქსიკაციას, მისი სიცოცხლის მოსპობას ან ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოს და მატერიალურ ფასეულობებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად,²⁰ ობიექტები დაიყო რისკების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით იმის გათვალისწინებით, თუ დროის რა პერიოდში ხორციელდება საწარმოს გეგმიური ტექნიკური ინსპექტირება. მაგალითად, ობიექტები, რომელთა გეგმიური ტექნიკური ინსპექტირება ხორციელდება ყოველ მეხუთე წელს, განეკუთვნება I რისკის კატეგორიას, ობიექტის, რომლისაც ხორციელდება ყოველ მეოთხე წელს, განეკუთვნება II კატეგორიას და ა.შ. სულ ექვსი კატეგორიაა. რისკის მეექვსე კატეგორიაში შემავალი ობიექტები ყველაზე მაღალი რისკის მქონე საწარმოებია. ამ უკანასკნელთ განეკუთვნება შახტი და მალარო. მათი გეგმიური ტექნიკური ინსპექტირება უნდა განხორციელდეს ყოველ მეექვსე თვეს.

რისკზე დაფუძნებული მიდგომა ეფუძნება სამ ძირითად ასპექტს: რისკების გამოთვლას, კალკულაციას, რაოდენობრივ შეფასებას, ფულადი და სხვა სახის ზიანის ანალიზს, ალბათობისა და გვერდითი მოვლენების გამოთვლას. ნებისმიერი ქვეყნის მთავრობისა და საწარმოსათვის სამუშაო გარემოს რისკების ნულამდე დაყვანა, ალბათ, შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი მაქსიმალურად შემცირება.

საქართველოს კანონმდებლობა მომეტებული ტექნიკური საფრთხის მქონე საწარმოს მოიხსენებდა, როგორც „საშიშ საწარმო ობიექტს“.²¹ აღნიშნული კანონის მიხედვით, საშიში საწარმო იყო ობიექტი,

20 საქართველოს მთავრობის დადგენილება; N173; 2013 წლის 10 ივლისი; ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1967275>

21 საქართველოს კანონი „საშიში საწარმო ობიექტების უსაფრთხოების შესახებ“ – ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29992>

სადაც მიმდინარეობდა „საშიში საქმიანობა“. „საშიში საქმიანობა“ კი გულისხმობდა ისეთ საქმიანობას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ავარია.²²

ამ ტერმინის შეცვლა მოქმედ კანონმდებლობაში, ვფიქრობთ, სწორი ნაბიჯია. ვინაიდან 21-ე საუკუნეში ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ არ არსებობდეს „საშიში საწარმოები“. ზოგიერთ საწარმოს, შესაძლოა, ჰქონდეს სხვა საწარმოებთან შედარებით მომეტებული ტექნიკური საფრთხე. შესაბამისად, ტერმინი „საშიში საწარმო“ თავიდანვე არასწორ მიდგომად გვევლინებოდა.

აქვე ორი სიტყვით შევხვით ტერმინს – **შრომის უსაფრთხოება**. ეს არის სამუშაო გარემოს ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც დასაქმებულზე სახიფათო საწარმოო ფაქტორების ზემოქმედების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი. ტერმინში შრომის დაცვა წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში ჩვენ მოვიაზრებთ დასაქმებულთა უსაფრთხოების დაცვას სამუშაო გარემოში.

სიტყვა-ტერმინ დასაქმებულთან ერთად კვლევის ფარგლებში იდენტური მნიშვნელობით გამოყენებული იქნება ტერმინი – **მუშაკი/მომუშავე**, მართალია, ეს უკანასკნელი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით არ გვხვდება საქართველოს მოქმედ შრომის კანონმდებლობაში, მაგრამ ამ ტერმინს იცნობს და იყენებს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა და არაერთი კონვენცია, ამ მიზნით არის განპირობებული ორივე ტერმინით აპელირება წარმოდგენილ კვლევაში

ისტორიული დისკურსი

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)²³ შექმნა და მისი მიდგომა შრომის უსაფრთხოების საკითხებზე პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. საერთაშორისო საზოგადოებაში

22 იქვე.

23 დეტალურად ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: About the ILO. (2016). ilo.org. Retrieved 26 March 2016, from <http://www.ilo.org/global/about-the-ilo/lang--en/index.htm>

აქტუალურობა შეიძინა ჰუმანიტარულმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოსაზრებებმა, მათ შორის დასაქმებულთა უსაფრთხოების დაცვა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც იმდროინდელი მსოფლიოს წინაშე იდგა. სწორედ ასეთი გარემო იყო მამოძრავებელი ძალა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ILO – ინგ. ან შსო – ქართ.) ჩამოყალიბებისათვის. ამ ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულა ამტკიცებს ხელშემკვრელი მხარეების სურვილს, განამტკიცონ სამართლიანობა და ჰუმანურობა და დაამყარონ მსოფლიოში მშვიდობა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა 1919 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. მისი სადამფუძნებლო დოკუმენტი ასახავს იმ რწმენას, რომ საყოველთაო მშვიდობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ეფუძნება სოციალურ სამართლიანობას.²⁴ 1919 წლიდან შსო ქმნის და ავითარებს საერთაშორისო ნორმების სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მსოფლიო მოსახლეობის უფლებების განხორციელება, იმუშაონ თავისუფლების, თანასწორობის, დაცულობისა და ღირსების უზრუნველყოფის პირობებში. შრომის საერთაშორისო ნორმების შექმნის მიზანი არის ის, რომ ყველამ შეძლოს გლობალური ეკონომიკური ზრდით მიღებული სიკეთით სარგებლობა.²⁵

შსო-ს სხვა ფუნქციებთან ერთად, როგორებიცაა, მაგალითად, დასაქმებულთა იძულებით შრომასთან ბრძოლა, მშრომელთათვის სოციალური პოლიტიკის განსაზღვრა, პროფესიული ორიენტაციის და განვითარებაში ხელის შეწყობა და სხვა, ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს მსოფლიოში დასაქმებულთა უსაფრთხო სამუშაო გარემოზე ზრუნვა. შსო-ს წესდება აყალიბებს პრინციპს, რომ აუცილებელია მუშაკთა დაცვა მათი დასაქმებით განპირობებული ავადმყოფობის, დაავადების,

ან ტრავმისგან.²⁶ სწორედ ამისათვის 2003 წელს შეიმუშავეს შრომის უსაფრთხოების და ჰიგიენაზე ზრუნვის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს შრომის დაცვის პრევენციული კულტურის დანერგვას, შესაბამისი ნორმების სრულყოფას და პოპულარიზაციას.²⁷

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას მიღებული აქვს დაახლოებით 40-ზე მეტი სტანდარტი შრომის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ შსო-ს თითქმის პრაქტიკულად ყველა ნორმა პირდაპირ თუ ევენტუალურად ეხება შრომის უსაფრთხოებას ან/და ჰიგიენას.

ერთ-ერთი პირველი კონვენცია, რომელიც დასაქმებულის სამუშაო გარემოზე ზრუნვას შეეხებოდა, იყო 1964 წლის კონვენცია ჰიგიენის შესახებ (N120). აღნიშნული კონვენციის ამოცანას წარმოადგენდა სავაჭრო ორგანიზაციებსა, სანარმო-დანესებულებებსა და ადმინისტრაციულ სამსახურებში მომუშავე პირთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შენარჩუნება მათ სამუშაო გარემოში ელემენტარული ჰიგიენის დაცვის გზით.²⁸ ამას შემდეგ მოჰყვა 1988 წლის სამშენებლო სფეროში შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ კონვენცია, 1995 წლის შახტებში შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ კონვენცია (N176)²⁹ და სხვა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო არც ერთ ზემოხსენებულ კონვენციაზე მიერთებული არაა.

შსო ასევე გამოსცემს დარგობრივი პრაქტიკის ინსტრუქციებს, რომლებშიც არის პრაქტიკული მითითებები სახელმწიფო ორგანოებისთვის, დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისთვის. ეს ინსტრუქციები არ წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონდე დოკუმენტებს და მათი მიზანი

24 იქვე.
25 თამაშის წესები., შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია: შესწორებული რედაქცია 2009 წელი; ISBN 978-92-2-822182-4 .

26 თამაშის წესები., შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია: შესწორებული რედაქცია 2009 წელი; ISBN 978-92-2-822182-4.

27 იქვე.

28 *Convention C120 – Hygiene (Commerce and Offices) Convention, 1964 (No. 120).* (2016). *Ilo.org*. Retrieved 26 March 2016, from http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_INSTRUMENT_ID:312265

29 *Convention C176 – Safety and Health in Mines Convention, 1995 (No. 176).* (2016). *Ilo.org*. Retrieved 26 March 2016, from http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO:12100:P12100_ILO_CODE:C176

არ არის ეროვნული კანონმდებლობის ჩანაცვლება. ისინი უბრალოდ რეკომენდაციის ხასიათს ატარებენ.³⁰

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები და რეკომენდაციები საკმაოდ მოქნილია და ისინი მიზნად ისახავენ მსოფლიოში ერთანი პოლიტიკის შემუშავებას შრომითი გარემოს უსაფრთხოების ჩამოყალიბებისათვის. შრომითი გარემოს უსაფრთხოება აუცილებელია განმტკიცებული იყოს ქვეყნების შიდა კანონმდებლობებით, აქტებით, ცალმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებებით დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. შსო-ს არაერთი კონვენციის მიხედვით ქვეყნების შიგნით აუცილებლად უნდა არსებობდეს სახელმწიფო ორგანო, რომელიც ინსპექტირებას გაუწევს შრომის გარემოს, რომ არ მიეცეს დამსაქმებელს თვითნებობისა და დასაქმებულთა ჩავჯვრის შესაძლებლობა, რაც გამოხატული იქნება მათი არაადამიანური და სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში სამუშაო პირობებით. ქვეყნების შიდა (ლოკალურმა) კანონმდებლობამ, შესაძლოა, გაითვალისწინოს მომეტებული ტენიკური საფრთხის მქონე საწარმოთა ვალდებულება, ორგანიზაციის შიგნით შექმნან სტრუქტურული ერთეული, რომელიც გააკონტროლებს დასაქმებულთა შრომით გარემოს. ხოლო სახელმწიფო ორგანოს მიერ აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისროს სწორედ ამ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შრომის კანონთა კრებით გათვალისწინებული შრომის დაცვა

2006 წლამდე, სანამ საქართველოში ძალაში შევიდოდა ახალი შრომის კოდექსი, 1978 წლიდან ჩვენს ქვეყანაში შრომითი

ურთიერთობები რეგულირდებოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შრომის კანონთა კრებით,³¹ თუმცა, რაღა თქმა უნდა, მასში უამრავი ცვლილება შეიტანეს მისი მიღების დღიდან ძალის დაკარგვამდე.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა შრომის კანონთა კრების XI თავი, რომელიც შრომის დაცვას შეეხება, უფრო ვრცელი და მრავლისმომცველია, ვიდრე დღევანდელ შრომის კოდექსში არსებული ჩანაწერები მშრომელთა უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით. მაგალითად, შრომის კანონთა კრების 140-ე მუხლში საუბარი იყო შრომის დაცვის მოთხოვნათა შესრულებაზე საწარმოო შენობების, ნაგებობების და მონყობილობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს. აღნიშნულ საკითხზე საქართველოს დღევანდელი შრომის კოდექსი არაფერს ამბობს. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები 140-ე მუხლის მიხედვით კი საწარმო შენობა-ნაგებობები, მონყობილობები, ტექნოლოგიური პროცესები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო იმ მოთხოვნებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ჯანსაღ და უსაფრთხო პირობებს. მანქანების, დაზგების და სხვა საწარმოო მონყობილობების პროექტები შექმნილი უნდა ყოფილიყო უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების შესაბამისად. შრომის კანონთა კრების 143-ე მუხლი კი არეგულირებდა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ჩასატარებელ სავალდებულო ინსტრუქტაჟის წესებს, რომელთა მიხედვითაც საწარმოს ადმინისტრაციას ეკისრებოდა მუშათა და მოსამსახურეთა ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმო სანიტარიის, ხანძარსა და ალმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ.

კვლევის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ საბჭოთა შრომის კანონთა კრების 145 მუხლი (სახსრები შრომის დაცვის ღონისძიებებისთვის). ამ მუხლის

30 თამაშის წესები., შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია: შესწორებული რედაქცია 2009 წელი; ISBN 978-92-2-822182-4 გვ 57.

31 კრების ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30376>

მიხედვით, შრომის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის დადგენილი წესით სავალდებულო იყო გარკვეული სახსრებისა და საჭირო მასალების გამოყოფა. ამ სახსრების და მასალების ხარჯვა სხვა მიზნებისთვის კანონდარღვევას წარმოადგენდა. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს კანონი იწერებოდა მაშინ, როდესაც ყველა საწარმო სახელმწიფო საკუთრებაში იყო. ახლა კი, როდესაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითქმის ყველა საწარმოს კერძო სამართლის იურიდიული პირები ფლობენ, ძნელია მათ გარკვეული სახსრების გამოყოფა დაავალდებულო. მით უმეტეს, როდესაც ბიზნესი უმეტეს შემთხვევაში რისკიანია და, შესაძლოა, გარკვეულმა საწარმომ მოგება ვერ ნახოს. მაშინ როგორ გამოყოფს ის უსაფრთხოებისთვის ხარჯებს? ამ წესის შემოღება ხომ არ ჩააყენებდა ბიზნესმენებს ცუდ მდგომარეობაში? თუმცა ვფიქრობთ, რომ არსებობს სხვა გზებიც: სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს, სავალდებულო სახსრების გამოყოფა მოგებიდან დააწესოს. მაგალითად, თითოეულმა საწარმომ თავისი მოგების გარკვეული პროცენტი შრომის დაცვის ღონისძიებებისთვის სავალდებულოდ გამოყოფს, რამაც, შესაძლებელია, გარკვეულწილად გამოიწვიოს ბაზარზე ფასების მატება.

მოქმედი სამართლებრივი რეგულირება

დღეისათვის მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ საწარმოში დასაქმებულთა უსაფრთხოებას იცავს, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუცია, რომელსაც განამტკიცებს ასევე შრომის კოდექსის VIII თავი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. თუმცა, აქ ჩნდება კითხვა: როგორ უნდა გავიგოთ, ესა თუ ის საწარმო უსაფრთხოა თუ არა?

მით უმეტეს, მაშინ, როდესაც გარკვეული სახის რისკი, შესაძლოა, ზოგიერთი ტიპის საწარმოსთვის ჩვეული და დაშვებული მოვლენა იყოს, ხოლო ზოგისთვის – საშიში. როდის და რა პერიოდში უნდა შემოწმდეს საწარმოს უსაფრთხოება? საჭიროა თუ არა მომეტებული ტექნიკური საფრთხის მქონე საწარმომ სახელმწიფოს რომელიმე ორგანოში გაიაროს რეგისტრაცია?

განსახილველ საკითხთან მიმართებით საქართველოში შრომის კოდექსის მუხლები ძალზე ზოგადია. სწორედ ამიტომ საჭიროა სპეციალური კანონი (ვინაიდან შრომის კოდექსში სპეციალური თავის დამატება საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, შესაძლოა, გაუმართლებელი იყოს), რომელიც შრომის დაცვის საკითხებს უფრო დეტალურად მოაწესრიგებს პირობითი სახელწოდებით „საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

დღეისათვის მომეტებული ტექნიკური საფრთხის მქონე საწარმოებში დასაქმებულთა უსაფრთხოების დაცვა უნდა უზრუნველყოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსმა. ამ კოდექსის IV თავი მთლიანად ტექნიკური საფრთხის კონტროლს შეეხება და მისი მიზანია, დაარეგულიროს ასეთი ობიექტები და მასთან დაკავშირებული პროცესები, რომელთა წარმოება, მშენებლობა, მონტაჟი, შენახვა და სხვა სახის გამოყენება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიის და ინტოქსიკაციის შესაძლებლობას და არის მომეტებული რისკი ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, საკუთრებისა და გარემოსთვის. ამ კოდექსამდე აღნიშნული საკითხები ჯერ რეგულირდებოდა საქართველოს კანონით „საშიში საწარმოო ობიექტების უსაფრთხოების შესახებ“, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ საქართველოს კანონით „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“. არსებულ (მოქმედ) კოდექსში³²

32 საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი; ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419>

დ. ოსასარაშვილი, გ. თუშანაშვილი

არის ჩამოყალიბებული ტექნიკური და ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებებიც. ეს ორგანო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა და რომელიც ახორციელებს ობიექტების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას.

ზღვრული ტექნიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც ობიექტები ჩაითვლებიან მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველად, დგინდება ტექნიკური რეგლამენტით³³. ტექნიკური ინსპექტირების განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს: ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული გეგმიური შემოწმება, ამის გარდა: საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, შესაძლო საფრთხის შესახებ შეტყობინების საფუძველზე, ორგანოლექტიკური შეგრძნების საფუძველზე; ფორსმაჟორის შემთხვევაში; ავარიის შემთხვევაში; უბედური შემთხვევების დროს, რომელსაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება ან სიკვდილი, ან სამშენებლო საქმიანობაზე სანებართვო პირობების შესრულების შემოწმებისას.³⁴

მაკონტროლებელი ორგანო შეუსაბამობის ხარისხს ადგენს რეგლამენტებსა და სანარმოების უსაფრთხოებას შორის. კანონი გამოყოფს სამი სახის შეუსაბამობას: არაარსებითს, არსებითს და კრიტიკულს. ამის მიხედვით განისაზღვრება, გაკეთდება უბრალო ჩანაწერი, დაეკისრება სანარმოს ჯარიმა თუ გამოიყვება ობიექტის მთლიანად ან მხოლოდ მისი ნაწილის ექსპლუატაციის შეჩერების შესახებ აქტი ინსპექტირებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.³⁵

როგორც ზემოთ ვახსენეთ, საქართველოს მთავრობის დადგენილების³⁶ შესაბამისად, ობიექტები დაიყო რისკების სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, თუ დროის რა პერიოდში ხორციელდება სანარმოს გეგმიური ტექნიკური ინსპექტირება. მაგალითად, ობიექტები, რომელთა გეგმიური ტექნიკური ინსპექტირება ხორციელდება ყოველ მეხუთე წელს, განეკუთვნება I რისკის კატეგორიას, ობიექტის, რომლისაც ხორციელდება ყოველ მეოთხე წელს, განეკუთვნება II კატეგორიას და ა.შ. სულ ექვსი კატეგორიაა. მეექვსე რისკის კატეგორიაში შემავალი ობიექტები ყველაზე მაღალი რისკის მქონე სანარმოებია. ამ უკანასკნელს განეკუთვნება შახტი და მაღარო. მათი გეგმიური ტექნიკური ინსპექტირება უნდა განხორციელდეს ყოველ მეექვსე თვეს.

დღევანდელ დღეს განსახილველ საკითხთან მიმართებით არსებული ჯარიმები საკმაოდ დაბალია, თუ გავითვალისწინებთ ამ ობიექტების შემოსავლიანობის ხარისხს. მაგალითად: საქართველოს კანონის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად ობიექტის მფლობელის მიერ კარიერზე, მაღაროში, შახტში, ნავთობბაზაზე, მაგისტრალურ ნავთობსადენზე, მაგისტრალურ გაზსადენზე, ჰიდროენერგეტიკულ ნაგებობაზე მომხდარი ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დაუყოვნებლივ (24 საათის განმავლობაში) შეუტყობინებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით, ხოლო 72 საათის შეუტყობინებლობის გამო – 2000 ლარით.³⁷

33 რეგლამენტის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1967275#DOCUMENT:1;>

34 საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი – მუხლი 20; 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419>

35 საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი – მუხლი 19, მე-4 ქვეპუნქტი; 2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

36 საქართველოს მთავრობის დადგენილება; N173; 2013 წლის 10 ივლისი. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=1967275&lang=ge ნანახია: 2013/12/8.

37 საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი., 2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

დასკვნა

შესწავლილი ქართული და უცხოური კანონმდებლობისა და გამოცდილების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვისა და გაძლიერებისთვის, ერთი მხრივ, აუცილებელია სამმხრივი ვალდებულებების გამოკვეთა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოების პრევენციული მიდგომა, რაც, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება შესაბამისი, სპეციალური სამართლებრივი რეგულაციების არსებობას.

კვლევაში დასმული საკითხების გადაჭრისათვის გადასადგმელ ნაბიჯებად ჩვენ გვევლინება:

1. აუცილებლად უნდა შეიქმნას სპეციალური კანონი, შრომის უსაფრთხოებისა და შრომითსამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, რომლის მიზანიც იქნება საბაზისო, ძირითადი მოთხოვნების და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, სამუშაო ადგილზე არსებულ და მოსალოდნელ რისკებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას. ამასთან, აუცილებლად უნდა შეიქმნას ნორმატიული აქტი, რომელიც დაადგენს და ასევე სამართლებრივად დაარეგულირებს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს, რომელთა უგულებელყოფაც არ შეეძლება დამსაქმებელს. გემოხსენებულთან ერთად აუცილებლად უნდა შეიქმნას დასაქმებულების მიერ სამუშაო ადგილზე სამუშაო ალჭურვილობის გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

2. სახელმწიფომ, განსახილველ შემთხვევაში კი – საქართველომ, მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.
3. უნდა გაიზარდოს შრომის უსაფრთხოების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმების ოდენობა, ხოლო შრომის ინსპექტირების ორგანომ აქტიურად განახორციელოს საქართველოში არსებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების კონტროლი.
4. ევროკავშირთან დაახლოების გზაზე ჩვენს კანონმდებლობაში უნდა გავითვალისწინოთ შრომის უსაფრთხოებასა და ჰიგიენაზე ევროკავშირის ე.წ. „ჩარჩო დირექტივები“, რომლებიც 1989 წელს შეიქმნა.
5. საქართველომ უნდა აღიაროს ევროპის სოციალური ქარტიის მესამე მუხლი სავალდებულოდ შესასრულებლად და ასევე შეუერთდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის უამრავ კონვენციას შრომის დაცვასთან დაკავშირებით.
6. იმ საწარმოებს, რომლებშიც მინიმუმ 100 კაცია დასაქმებული, შესაძლოა, დაეკისროს ვალდებულება, შექმნას უწყებრივი ქვედანაყოფი, რომელიც შრომის უსაფრთხოებასა და ჰიგიენაზე იქნება პასუხისმგებელი. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, დაწესდეს ფულადი ჯარიმა პირველადი სახით, ხოლო განმეორების შემთხვევაში საწარმოს ექსპლუატაციის შეჩერება. ასევე შესაძლებელია, გარკვეული ტიპის საწარმოებისათვის სავალდებულო გახდეს ყოველწლიურად განსაზღვრული სახსრების გამოყოფა მოგებიდან. ამ და სხვა პრევენციული საშუალებებით როგორც სახელმწიფომ, ისე დამსაქმებლებმა და დასაქმებულებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ არსებული ტექნიკური საფრთხეები საწარმოებში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

კვლევაში წარმოჩენილი პრობლემის ეკონომიკური ღირებულება მაღალია, თუმცა საზოგადოებრივი თვითშეგნება – დაბალი. მოცემულ პრობლემასთან ბრძოლა უნ-

დ. ომსარაშვილი, გ. თუშანაშვილი

და იქნეს სტიმულირებული როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალურ დონეზე.

კვლევის ავტორებს გვესმის, რომ შრომის უსაფრთხოების პრობლემების მოგვარება საწარმოში საკმაოდ მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული (შესაძენია სათანადო ტექნიკა-საშუალებები, მონიტორინგისთვის საჭიროა კვალიფიციური

პერსონალი) და ეს ყველაფერი, როგორც წესი, წარმოების ხარჯების გაზრდაზე აისახება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დამსაქმებლებს არ აქვთ უფლება, დანახარჯების შემცირებით დასაქმებულთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დააყენონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

A. სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები:

1. ჩხეიძე, ლ. ჯვარელია, ნ., 2009 წ. „საწარმო სანიტარია და შრომის ჰიგიენა“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
2. თამაშის წესები – მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში, შესწორებული რედაქცია, 2009. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.
3. ILO's report – Decent work/safe work (2005). (2016). Ohsa.org.mt. Retrieved 26 March 2016.

B. ნორმატიული აქტები:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. გაეროს გენერალური ასამბლეა. 1948 წლის 10 დეკემბერი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
2. ევროპის სოციალური ქარტია; (შესწორებული) სტრასბურგი 3.V.1996, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N 1876 – რს დადგენილებით, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
3. საქართველოს შრომის კოდექსი, 2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
4. საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, 2016 წლის 1 პრილის მდგომარეობით; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
5. საქართველოს კანონი „სამიში საწარმოო ობიექტების უსაფრთხოების შესახებ“; 2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება, N173, 2013 წლის 10 ივლისი; მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი საწარმოების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
7. Convention C120 – Hygiene (Commerce and Offices) Convention, 1964 (No. 120). (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016.
8. WORKPLACE SAFETY AND HEALTH ACT; (CHAPTER 354A); (Original Enactment: Act 7 of 2006);REVISED EDITION 2009. (31st July 2009).
9. Convention C167 – Safety and Health in Construction Convention, 1988 (No. 167). (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016.
10. Convention C187 – Promotional Framework for Occupational Safety and Health Convention, 2006 (No. 187). (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016.

LEGAL ISSUES ON LABOR PROTECTION AND SAFETY OF EMPLOYEES AT ENTERPRISES WITH INCREASED TECHNICAL HAZARD

Davit Omsarashvili

LLM, Lawyer

George G. Tumanishvili

PhD, Professor

European Academy (Georgia)

Masaryk University (Czech Republic)

a member of the Union of Law Scientists

KEY WORDS: labor, protection, safety

RESUME

Legal issues on employee labor protection and safety has been a topic of continuous discussion in many countries despite their political and social-economic development. Even within the boundaries of a country, taken separately, there is no homogeneous attitude among scholars of this field of law regarding the legal ways of protecting and ensuring the safety of employees by the law as much as possible.

This article discusses legal regulations regarding the protection of health and life of employees who work at enterprises with increased hazard. The article follows the principles of comparative law and is based on the legislation of Georgia and other foreign countries as well.

BIBLIOGRAPHY:

Books, publications:

1. Chkheidze L., Jvarelia N., 2009. „Enterprise sanitary and occupational health“; Georgian Technical University; Tbilisi.
2. Rules of the Game – a brief introduction to international labor standards; International Labor Organization; Revised edition, 2009: ILO: Safety in numbers: the workplace safety culture in the global indices.
3. ILO’s report – Decent work/safe work (2005). (2016). Ohsa.org.mt. Retrieved 26 March 2016.

Normative acts:

1. Human Rights. UN General Assembly. On 10 December 1948, Georgian legislative herald;
2. European Social Charter; (Revised) Strasbourg, 3.V.1996, ratified by the Parliament of July 1, 2005 N 1876 – rs decree, Georgian legislative herald.
3. Labour Code of Georgia, 2016, April 1, Georgian legislative herald.
4. The Law of Georgia – Product Safety and Free Movement code, 2016, 1 prilis condition; Georgian legislative herald.
5. The Law of „hazardous industrial facilities safety“; 2016 April 1, Georgian legislative herald.
6. Ordinance of the Government of Georgia – Increased technical risks, technical regulations on inspection of facilities, The Georgian legislative herald.
7. Convention C120 – Hygiene (Commerce and Offices) Convention, 1964 (No. 120). (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016.
8. Workplace Safety And Health Act; (CHAPTER 354A); (Original Enactment: Act 7 of 2006); REVISED EDITION 2009;(31st July 2009).
9. Convention C167 – Safety and Health in Construction Convention, 1988 (No. 167). (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016.
10. Convention C187 – Promotional Framework for Occupational Safety and Health Convention, 2006 (No. 187). (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016.

NOTES:

1. ILO’s report – Decent work/safe work (2005). (2016). Ohsa.org.mt. Retrieved 26 March 2016, from [http://ohsa.org.mt/Home/UsefullInformation/Reports/ILO%E2%80%99sreportDecentworksafework\(2005\).aspx](http://ohsa.org.mt/Home/UsefullInformation/Reports/ILO%E2%80%99sreportDecentworksafework(2005).aspx) (In English)
2. The Universal Declaration of Human Rights, Article 23 (3). (In English)
3. The Labor Code of Georgia (April 1, 2016), Article 35, the right of a safe and healthy working environment, text is available here: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567#> (In Georgian)
4. Resonance (2015); Last year died 41 people during the working process. *Resonancedaily.com*. Retrieved 26 March 2016, from http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=24383 (In English)
5. Rules of the Game – a brief introduction to international labor standards; International Labor Organization; Revised edition, 2009: ILO: Safety in numbers: the workplace safety culture in the global indices (Geneva, client InFocus / safe labor, 2003). In electronic form is

- available here: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---normes/documents/publication/wcms_226313.pdf ISBN 978-92-2-822182-4 (Printed edition) ISBN 978-92-2-822183-1 (web edition pdf) is also available in English: / Rules of the Game. Brief Introduction to International Labor Standards, Geneva, International Labor Office, Revised edition 2009 / ISBN 978-92-2-122182-1 (print edition) ISBN 978-92-2-122183-8 (web edition pdf) First edition 2005. Revised edition, 2009. (In English)
6. Ibid.
 7. Labor Code of Georgia (April 1, 2016), Article 35, the right of a safe and healthy working environment, is available here: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567#> (In Georgian)
 8. The Law of Georgia – Product Safety and Free Movement code; text is available here: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419> (In Georgian)
 9. Official web page of the Ministry of Economy and Sustainable Development <http://www.economy.ge/ge/minister/ministris-moadgile-327/technical-and-constructions-supervision-agency> 03.2016 as well as the web page of the agency of the technical and construction supervision <http://www.tacsa.gov.ge> (In Georgian)
 10. Convention C187 – Promotional Framework for Occupational Safety and Health Convention, 2006 (No. 187). (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016, from http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_INSTRUMENT_ID:312332 (In English)
 11. Convention C167 – Safety and Health in Construction Convention, 1988 (No. 167). (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016, from http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:12100:0::NO:12100:P12100_INSTRUMENT_ID:312312 (In English)
 12. Labor code of Georgia, article 35. (In Georgian)
 13. The European Social Charter., (Revised) Strasbourg, 3.V.1996; Ratified by the Parliament of July 1, 2005 regulation N1876. (In English)
 14. Ibid.
 15. L.chkheidze, N.jvarelia., „Enterprise sanitary and occupational health“; Georgian Technical University; Tbilisi; 2009. (In Georgian)
 16. WORKPLACE SAFETY AND HEALTH ACT; (CHAPTER 354A); (Original Enactment: Act 7 of 2006); REVISED EDITION 2009;(31st July 2009) <http://statutes.agc.gov.sg/aol/search/display/view.w3p?page=0;query=C-ompld:bf57dbec-f1a0-451c-8d71-9e1a341b22d3;rec=0> seen; 11/12/13. (In English)
 17. L.chkheidze, N.jvarelia., „Enterprise sanitary and occupational health“; Georgian Technical University; Tbilisi; 2009. (In Georgian)
 18. Ibid.
 19. Law of Georgia – Product safety and free movement code; Valid from May 8, 2012: Article 15; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419> (In Georgian)
 20. Ordinance of the Government of Georgia N173; July 10, 2013; The text is available here: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1967275> (In Georgian)
 21. Law of Georgia – „About safety of Hazardous industrial facilities“ – is available here: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29992> (In Georgian)
 22. Ibid.
 23. The detailed information about organization is available here: About the ILO. (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016, from <http://www.ilo.org>

- [org/global/about-the-ilo/lang--en/index.htm](http://www.ilo.org/global/about-the-ilo/lang--en/index.htm) (In English)
24. Ibid.
 25. Rules of the game; ILO: Revised edition, 2009; ISBN 978-92-2-822182-4. (In English)
 26. Ibid.
 27. Ibid.
 28. Convention C120 – Hygiene (Commerce and Offices) Convention, 1964 (No. 120). (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016, from http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_INSTRUMENT_ID:312265 (In English)
 29. Convention C176 – Safety and Health in Mines Convention, 1995 (No. 176). (2016). Ilo.org. Retrieved 26 March 2016, from http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO:12100:P12100_ILO_CODE:C176 (In English)
 30. Rules of the game; ILO: Revised edition, 2009; ISBN 978-92-2-822182-4. (In English)
 31. The text of the collection is available here: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30376> (In Georgian)
 32. Law of Georgia – Product safety and free movement code. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419> (In Georgian)
 33. Ordinance of the Government of Georgia – Increased technical risks, technical regulations on inspection of facilities. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1967275#DOCUMENT:1> (In Georgian)
 34. The Law of Georgia – Product Safety and Free Movement code ; Article 20; data of December 2013; is available here: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419> (In Georgian)
 35. The Law of Georgia – Product Safety and Free Movement code ; Article 19 paragraph 4; Data of December 2013; is available here: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419> (In Georgian)
 36. Ordinance of the Government of Georgia N173; July 10, 2013. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1967275&lang=ge seen: 2013/12/8 (In Georgian)
 37. The Law of Georgia – Product Safety and Free Movement code; Data of December 2013; is available here: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419> (In Georgian)

დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა

პაპუნა გურული

*სამართლის მაგისტრი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი, ადვოკატი*

**საკვანძო სიტყვები: პროვოკატორი,
სისხლისსამართლებრივი, პასუხისმგებლობა**

დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობის ზედმინევით განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს. მეცნიერული თვალსაზრისით ეს დაგვეხმარება დავადგინოთ: წამქეზებლობის ნაირსახეობაა პროვოკაცია თუ *delictum sui generis*? კონკრეტულად რა უნდა შეერაცხოს პროვოკატორს ბრალად და რისთვის ისჯება ის? პრაქტიკული კუთხით კი საჭიროა პროვოკაცია გავმიჯნოთ ისეთი მოსაზღვრე ცნებებისაგან, როგორებიცაა: საკონტროლო შესყიდვა, კონტროლირებადი მინოდება და სხვა. ამისათვის აუცილებელია ჩამოვაცალიბოთ ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანთა სისტემა, რომელიც ზუსტად აღწერს ამ ქმედებას.¹ წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამას ისახავს მიზნად. ამჯერად მიმოვიხილავთ ქმედების იმ ელემენტებს, რომლებიც შემადგენლობის დამფუძნებელ ნიშნებს წარმოადგენენ. ხოლო დამამძიმებელ და შემამასუბუქებელ გარემოებებზე მომდევნო პუბლიკაციებში ვისაუბრებთ.

¹ ასე ესმის ქმედების შემადგენლობის არსი პროფ. თინათინ წერეთელს. იხ: წერეთელი თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. I ტომი. თბ., გვ 103; 107-111.

დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური მხარე

დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური მხარე გულისხმობს სხვის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად. ამ თვალსაზრისით, პროვოკატორის ქმედება არსებითად არ განსხვავდება წამქეზებლის ქმედებისგან.² ამიტომ პროვოკაციის ობიექტური მხარის განხილვისას, ნაწილობრივ მოვიხმობთ იმ მოსაზრებებსაც, რომლებიც გამოთქმულია წამქეზებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ მიესადაგება პროვოკაციასაც.

საკუთრივ ქმედება: დაყოლიების ფორმა, გულისხმობს გარკვეულ ზემოქმედებას დასაყოლიებელი პიროვნების ფსიქიკაზე. პროვოკატორმა მსხვერპლს უნდა მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მას დანაშაულის ჩადენის შესახებ გადანყვეტილებას მიაღებინებს. ზემოქმედება შესაძლებელია ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი ფორმით, აგრეთვე მიმანიშნებელი ქმედებითაც. საჭიროა იმის დამტკიცება, რომ მინიშნებაში გამოიხატება პირის ნება და იგი უცვლელად იქნა აღქმული ადრესატის მიერ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ პროფ. წერეთელი,³ პროფ. აბესაძე⁴ და პროფ. ხეიფეცი.⁵ მე ვეთანხმები აღნიშნულ მოსაზრებას.

პროფ. სპასოვიჩს მიაჩნია, რომ დაყოლიება არ შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობაში.⁶ პროფ. ტაგანცევს კი მიაჩნია, რომ განსაკუთრებულ გარემოებებში კონკრეტულმა პირმა წინმსწრები პირობების წყალობით ღუმილიდან შეიძლება გამოიტანოს ქმედებისაკენ პირდაპირი მონოღება. ასეთი ვითარებაში ღუმილი არის ნების

გამომხატველი აქტი.⁷ საკმარისია პირმა განაპირობოს სხვის მიერ დანაშაულის ჩადენა, მიუხედავად იმისა, თუ რა გზით გააკეთებს ამას.⁸ იმავე მოსაზრებას აყალიბებს პროფ. აბესაძე.⁹ პროფ. გამყრელიძე მიიჩნევს, რომ დაყოლიება ფსიქიკაზე აქტიურ ზემოქმედებას გულისხმობს და უმოქმედობით წაქეზება შეუძლებელია.¹⁰ მსგავს მოსაზრებას ავითარებენ პროფესორები: იესხევი, ვაიგენდი, ოტტო, თიდემანი, ვალტერი, ანდერსი, ბლუა და სხვები.¹¹ მოვიშველიებთ პროფ. თინათინ წერეთლის აზრს იმის შესახებ, რომ უმოქმედობა, შესაძლოა, გახდეს მოტივაციის ფაქტორი მოქმედებისთვის.¹² პროფ. აბესაძე, ერთი, მხრივ, უარყოფს უმოქმედობით დაყოლიების შესაძლებლობას,¹³ ამასთან მიუთითებს, რომ თავად დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა, თუკი იგი მიმართულია იქითკენ, რომ პირი ეცდუნოს, ჩაიდინოს დანაშაული, რათა შემდეგ მხილებულ იქნას, თუ არსებობს ვარაუდი, რომ პირი ცდუნებას ვერ გაუძლებს და ჩაიდენს დანაშაულს, მაშინ ადგილი აქვს დანაშაულის პროვოკაციას.¹⁴ თავად პროფ. გამყრელიძეს მოჰყავს მაგალითი, როდესაც სადგურის მოსაცდელში პოლიციელები დებენ ჩემოდანს. გამვლელი პირი რამდენჯერმე გადაახტება მას, რაზეც პოლიციელები განზრახ არ რეაგირებენ. გამვლელი ეცდება ჩემოდნის მოპარვას, რა დროსაც მას აკავებენ. ამ მაგალითში გვაქვს მოტივაციის ორი ფაქტორი: პოლიციელების მიერ ჩემოდნის სადგურში მიტანა (მოქმედება) და პოლიციელების მიერ განზრახ არრეაგირება (უმოქმედობა)

2 Хейфецъ И. Я., 1914. Подстрекательство къ преступлению. Изданіе юридическаго книжнаго магазина «Правовѣдѣніе» И. К. Голубева, Москва, стр. 116.

3 წერეთელი თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. II ტომი. თბ., გვ. 162.

4 აბესაძე გ., 2010. დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია. თბ., გვ. 49.

5 Хейфецъ И. Я. Op. cit., стр. 37.

6 იბ.: Ibid., стр. 38.

7 Таганцевъ Н.С., 1902. Русское уголовное право. Часть общая. Том I. С-петербург, стр. 776.

8 Ibid., стр. 773.

9 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია... გვ. 53.

10 გამყრელიძე ო., 2008. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. პირველი წიგნი. მეორე შევსებული გამოცემა. თბ., გვ. 198.

11 იბ: ვესელსი, ბოილკე, 2010. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ., გვ. 326.

12 წერეთელი თ., I ტომი. გვ. 278-279.

13 აბესაძე გ., 2013. დანაშაულის პროვოკაცია. «იურისტების სამყარო». თბ., გვ. 159.

14 Ibid., გვ. 119.

გამვლელის მიერ ჩემოდანზე გადახტომის დროს. სადგურში ათეულობით ჩემოდანი დევს, მაგრამ გამვლელი გადანყვეტს მოიპარიოს მხოლოდ ის, რომელზეც, მისი დაკვირვებით, მეთვალყურეობა არ ხორციელდება. გამოდის, რომ მოტივაციის გადამწყვეტი ფაქტორი სწორედ უმოქმედობა ყოფილა. შესაბამისად, მე მიმაჩნია, რომ დაყოლიება შესაძლებელია უმოქმედობითაც.

დაყოლიების დროს აუცილებელი არაა, პროვოცირებულმა იცოდეს იმ დანაშაულის ზუსტი კვალიფიკაცია, რომლის ჩასადენადაც მას იყოლიებენ,¹⁵ მაგრამ იგი უნდა აცნობიერებდეს ჩასადენი ქმედების მართლსაწინააღმდეგობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვექნება შუალობით ამსრულებლობასთან.¹⁶ დაყოლიების ადრესატი პროვოცირებული დანაშაულის ამსრულებელი ან მასში თანამონაწილეა¹⁷ და უნდა აკმაყოფილებდეს პროვოცირებული დანაშაულის სუბიექტის ყველა მოთხოვნას.¹⁸ წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე ასევე გვექნება შუალობით ამსრულებლობასთან.¹⁹ ამ მოსაზრებას ეთანხმება პროფ. ნონა თოდუა²⁰ და პროფ. ირაკლი დვალიძე.²¹ ამ მოსაზრებას მეც ვიზიარებ.

გარდა ამისა, პროფ. წერეთელი მიუთითებს, რომ დასაყოლიებელი პირი ან პირთა წრე მაინც წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.²² თუმცა, პროფ. ტრაინინის მოსაზრებით, შეიძლება მოხდეს პირთა ჯგუფის

პროვოცირებაც, სადაც განსაზღვრულია არა პიროვნება, არამედ – პირთა წრე.²³ პროფ. წერეთლის მოსაზრებით, ასეთი რამ შესაძლოა დამოუკიდებელი დელიქტის დროს. მე მიმაჩნია, რომ დანაშაულის პროვოცირება შეიძლება ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართაც. მაგალითად, როცა პროვოკატორი მშვიდობიანი მანიფესტაციის წევრებს მოუწოდებს ძალადობრივი ქმედებებისკენ. მას არ ჰყავს კონკრეტული მსხვერპლი, არ იცის, კონკრეტულად რომელი მონაწილე წამოეგება პროვოკაციას. ან მეტიც, პროვოკატორმა შეიძლება გამოიყენოს ტელევიზია ან სულაც ინტერნეტი და ამ გზით მოახდინოს დანაშაულის ჩადენისაკენ მოწოდება. ამ დროს მან მიახლოებითაც არ იცის, ვინ მიიღებს მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ბუნებრივია, ასეთი ქმედება უნდა შეფასდეს დანაშაულზე დაყოლიებად.

ხმრხი: პროვოკაცია იმთავითვე გულისხმობს მოტყუებას (შეცდენას),²⁴ ვინაიდან პროვოკატორი თავის მსხვერპლს არ უმხელს პროვოკაციულ მიზანს.²⁵ პროფ. კოვალის მიუთითებს, რომ თუ ტყუილი ქმედების შემადგენლობის ნიშნებს შეეხება, მაშინ საქმე გვექნება შუალობით ამსრულებლობასთან.²⁶ პროფ. აბესაძე მოტყუების ხერხს უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს და მიუთითებს, რომ პროვოკაციის ხერხს შემადგენლობის განხილვისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, პროვოცირებულს გაცნობიერებული არ ჰქონდეს პროვოკატორის მიზანი.²⁷ პროვოკატორმა, შესაძ-

15 წერეთელი თ., II ტომი. გვ. 164.
 16 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., 2014. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. (წიგნი I). მეხუთე გამოცემა. „მერიდიანი“ თბ., გვ. 294.
 17 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება... გვ. 195. აბესაძე გ., 2010. დანაშაულისათვის წაქეზების გამიჯვნა დანაშაულის პროვოკაციისაგან. — ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე.“ #2, თბ., გვ. 113-115. Хейфец И. Я., Op. cit., Стр. 17.
 18 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., Op. cit., გვ. 294.
 19 წერეთელი თ. II ტომი. გვ. 157.
 20 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., Op. cit., გვ. 294.
 21 დვალიძე ი., 2007. მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. სადისერტაციო ნაშრომი. თბ., გვ. 115.
 22 წერეთელი თ., II ტომი. გვ. 164.

23 Траинин А.Н., 1941, Учение о соучастии. Москва, стр. 102.
 24 ებრალიძე თ., 2008. დანაშაულის პროვოკაცია – სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. „მერიდიანი.“ თბ., გვ. 237.
 25 აბესაძე გ., დანაშაულისათვის წაქეზების გამიჯვნა ... გვ. 110-113. გამყრელიძე ო., 1989. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. „მეცნიერება.“ თბ., გვ. 14.
 26 Ковалев М. И., 1962. Соучастие в преступлении. Ч. 2; Свердловск, стр. 19.
 27 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. «იურისტების სამყარო»... გვ. 55.

ლებელია, გამოიყენოს დაპირება,²⁸ მუქარა,²⁹ სამსახურებრივი მდგომარეობა.³⁰ თუმცა, როგორც აღნიშნავს პროფ. ოლსჰაუზენი, თუ დამყოლიების ძალაუფლება პროვოცირებულის მიმართ vis absoluta-ს აღწევს, მაშინ პროვოცირებული უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.³¹ ამ მოსაზრებას ეთანხმებიან პროფ. წერეთელი³² და პროფ. აბესაძე.³³ ეს მოსაზრება სავსებით გასაზიარებელია.

პროვოკატორმა ასევე შეიძლება გამოიყენოს შეგონება, დარწმუნება, რჩევა, თხოვნა და სხვ.³⁴ პროფ. კოვალევიჩის მოსაზრებით, დაყოლიების ხერხთა ასეთი ნაირსახეობა სისტემატურ ფსიქიკურ დამუშავებას გულისხმობს, რათა დაიდლოს დანაშაულის კონტრმოტივები³⁵. თუმცა, პროფ. ლოხვიცკის აზრით, თხოვნის დაყოლიებაში გაერთიანება არასწორია, ვინაიდან ის გაუმართლებლად აფართოებს დაყოლიების ფარგლებს.³⁶ პროფ. ტაგანცევს მიაჩნია, რომ ზოგჯერ თხოვნა შეიძლება იყოს დაყოლიების საშუალება.³⁷ პროფ. ნონა თოდუა მიუთითებს, რომ დაყოლიება არ შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ პირობების შექმნაში.³⁸ რომ დაყოლიება, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს აქტიური ზემოქმედებით. გარდა ამისა, მხოლოდ წინადადების მიცემა ჩვეულებრივი მოქალაქის მიმართ პროვოკაციად უნდა ჩაითვალოს, ხოლო საჯარო მოხელის მიმართ – არა. თუ მოხელე ქრთამის აღებაზე უპრობლემოდ დათანხმდა, ესე იგი, ქრთამის აღება მისი ცხოვრების წესია და მოქალაქეს მისი დათანხმება არ გასჭირვებია.³⁹ ამ მოსაზრებას

ენინააღმდეგება პროფ. აბესაძე.⁴⁰ მისი აზრით, ფსიქიკური ზემოქმედების ხარისხს მნიშვნელობა არა აქვს.⁴¹

ფსიქიკური ზემოქმედების ძალა და მნიშვნელობა დამოკიდებულია პროვოკატორსა და პროვოცირებულს შორის მანამდე არსებულ ურთიერთობაზე. პროფ. ჟირიავეის აზრით, დაყოლიების ის ხერხი, რომელიც ერთ შემთხვევაში ძალიან ძლიერია, მაგალითად, მუქარით განმტკიცებული ბრძანება, შეიძლება მეორე შემთხვევაში უსუსური აღმოჩნდეს.⁴² ამ მოსაზრებას იზიარებს პროფ. გაიერი.⁴³ მე ვიზიარებ მოსაზრებას, რომ დაყოლიების ფაქტის დასამტკიცებლად უნდა გაიზომოს დაყოლიებულის ფსიქიკაზე მომხდარი ზემოქმედების ხარისხი საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

პროფ. გარრო მიუთითებს, რომ დაყოლიების ხერხთა ჩამონათვალი კანონით წინასწარ ამომწურავად უნდა განისაზღვროს.⁴⁴ პროფ. ხეიფეცი მიუთითებს, რომ დაყოლიების ხერხები, რომელთა მეშვეობითაც ერთმა პირმა შეიძლება მეორეს უბიძგოს დანაშაულის ჩასადენად, მეტად მრავალფეროვანია და მათი ამომწურავად ჩამოთვლა a priori შეუძლებელია.⁴⁵ არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად კანონში მოცემული უნდა იყოს დაყოლიების ხერხთა სანიმუშო ჩამონათვალი. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ პროფ. ლისტი,⁴⁶ პროფ. ბინდინგი,⁴⁷ პროფ. მაიერ-ალფელდი,⁴⁸ პროფ. წერეთელი.⁴⁹ უფრო შორს მიდის პროფ. მაურახი. იგი მიუთითებს, რომ კანონში დაყოლიების ხერხთა სანიმუშო ჩამონათვალიც არ უნდა იყოს.⁵⁰

28 Kellner, 1909. Die Mittel der Anstiftung in ihrer materiell rechtlichen und prozessualen Bedeutung., S. 11.

29 Хейфецъ И. Я., Op. cit., стр. 36.

30 იბ.: *Ibid.*, стр. 36.

31 *Ibid.*, стр. 36.

32 წერეთელი თ., II ტომი. გვ. 161.

33 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. «იურისტების სამყარო»... გვ. 157.

34 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., Op. cit., გვ. 293.

35 Ковалев М.И., Op. cit., стр. 84-85.

36 იბ.: Хейфецъ И. Я., Op. cit., стр. 37.

37 Таганцевъ Н.С., Op. cit., стр. 775.

38 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., Op. cit., გვ. 295.

39 *Ibid.*, გვ. 294-295.

40 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია... გვ. 53.

41 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. «იურისტების სამყარო»... გვ. 58.

42 იბ.: Хейфецъ И. Я., Op. cit., стр. 38.

43 იბ.: *Ibid.*, стр. 38.

44 იბ.: *Ibid.*, стр. 39.

45 *Ibid.*, стр. 39.

46 Liszt, 1911. Lehrbuch des deutschen strafrechts. 18 Aufl. Berlin, S. 228.

47 იბ.: Хейфецъ И. Я., Op. cit., стр. 40.

48 Meyer-Allfeld., 1907. Lehrbuch des deutschen Strafrechts. 6 Aufl. S. 201.

49 წერეთელი თ., II ტომი. გვ. 160.

50 Maurach R., 1954. Deutsches Strafrecht. Allgemeiner

პროვოკატორის მიზანია, პროვოცირებულს დანაშაულის ჩადენის შესახებ გადანყვეტილება მიაღებინოს. ამისათვის იგი ცდილობს, მსხვერპლს შეუქმნას შესაბამისი მოტივი (მოტივები) და დაძლიოს საწინააღმდეგო – კონტრმოტივები. ზოგჯერ ამისთვის სუსტი ზემოქმედებაც საკმარისია, ზოგჯერ კი – ძლიერი ზეწოლაა საჭირო. ეს დამოკიდებულია თითოეული კონკრეტული ადამიანის ფსიქიკაზე, მის მოტივაციის ფაქტორებზე. შესაბამისად, ხერხი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი და მისი ქმედების შემადგენლობით წინასწარ შეზღუდვა მიზანშეუნონლად მიმაჩნია.

შედეგი: ზოგადად არის ადამიანის მოქმედებით გამოწვეული ცვლილება გარესამყაროში.⁵¹ საჭიროა, პირობითად ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პირველადი და მისი მომდევნო შედეგი. ეს გვჭირდება, ვინაიდან პროვოკატორის ქმედებას, შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს პროვოცირებული დანაშაულის ჩადენა. მაშასადამე, პირველად შედეგზე უნდა ვისაუბროთ უშუალოდ პროვოკაციის ფარგლებში, ხოლო მომდევნო შედეგზე – პროვოცირებული დელიქტის ფარგლებში.

პროფ. ბირკმაიერის აზრით, როცა პიროვნებაზე ზემოქმედება ხორციელდება გადანყვეტილების მიღებამდე – სახეზეა დაყოლიება, ხოლო გადანყვეტილების მიღების შემდეგ – დაყოლიება სახეზე არ არის.⁵² არსებობს მეორე შეხედულებაც, რომლის თანახმად, დაყოლიება შეიძლება განხორციელდეს არა მარტო გადანყვეტილების მიღებამდე, არამედ მის შემდეგაც. მთავარია, ზემოქმედება აღწევდეს საკმარის ინტენსივობას. პროფ. ლიპმანის აზრით, დამყოლიებელი არის ის, ვინც გადანყვეტი პირობა შეუქმნა ამსრულებელს გადანყვეტილების მისაღებად.⁵³ პროფ. ნერეთლის მოსაზრებით, დაყოლიების შედეგი გამოიხატება ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის გადანყვეტი მოტივის შექმნაში. შეიძლება ამსრულებელს დანა-

შაულის ჩადენის სურვილი ადრეც დაეხადოს, მაგრამ საბოლოო გადანყვეტილება მას მიღებული ჯერ არ ჰქონდეს. ასეთ პირს დამყოლიებელმა უნდა შეუქმნას საბოლოო გადანყვეტილებისთვის საკმარისად ძლიერი მოტივი.⁵⁴ ამავე მოსაზრებას იზიარებენ პროფ. ოთარ გამყრელიძე⁵⁵ და პროფ. გელა აბესაძე.⁵⁶

დანაშაულის პროვოკაციის შედეგი პირდაპირ უკავშირდება დანაშაულის სტადიებს. პროფ. თოდუა მიიჩნევს, რომ პროვოკაცია დამთავრებულია მაშინ, როდესაც პროვოცირებული დაიწყებს დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას.⁵⁷ მანამდე მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა გამართლებული არ არის, რადგან პროვოკატორმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, ვერ დაიყოლია მსხვერპლი დანაშაულის ჩასადენად. პროფ. გამყრელიძის აზრით, მნიშვნელობა არა აქვს, პროვოცირებულმა დაასრულა თუ არა დანაშაული.⁵⁸ იმავე აზრზეა პროფ. ლომსაძე.⁵⁹ პროფ. აბესაძე მიიჩნევს, რომ დანაშაულის პროვოკაციის შედეგია პროვოცირებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა.⁶⁰ პროფ. დვალიძე თვლის, რომ დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებულია დაყოლიების მომენტიდან.⁶¹ ამ მოსაზრებას ავითარებს პროფ. აბესაძე.⁶² მას მოჰყავს მაგალითი, როდესაც პროვოკატორის მიერ ზემოქმედების მიუხედავად, ადამიანებმა დანაშაულის ჩადენაზე უარი განაცხადეს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულის პროვოკაციის მცდელობას.⁶³

Teil, Ein Lehrbuch. Karlsruhe, S. 548.
 51 წერეთელი თ., I ტომი. გვ. 164.
 52 იბ.: *Ibid.*, გვ. 158.
 53 იბ.: *Ibid.*, გვ. 159.

54 *Ibid.*, გვ. 159.
 55 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება... გვ. 196.
 56 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. «იურისტების სამყარო»... გვ. 157.
 57 ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., *Op. cit.*, გვ. 295.
 58 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება... გვ. 197.
 59 ლომსაძე მ., 2015. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (47), თბ., გვ. 66.
 60 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია... გვ. 156; 163.
 61 დვალიძე ი., *Op. cit.*, გვ. 117-118.
 62 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია... გვ. 54-55.
 63 *Ibid.*, გვ. 62.

ჩემი აზრით, დანაშაულის პროვოკაციის შედეგი, როგორც ობიექტური მხარის ნიშანი, არის დანაშაულის ჩადენის შესახებ გადანყვეტილება, რომელსაც პროვოცირებული იღებს. იგი შეიძლება გამოაშკარავდეს განზრახვის დაფიქსირების, პროვოცირებული დანაშაულის მომზადების, მცდელობის ან/და სხვა გამოვლინების წყალობით. აქ ჩვენ ვეყრდნობით იმ მოსაზრებას, რომ დანაშაულის პროვოკაციის ობიექტი არის ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა.⁶⁴ შესაბამისად, დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც მოხდება დანაშაულის ობიექტის ხელყოფა, ანუ განხორციელდება პროვოცირებულის პიროვნული ან/და სოციალური დეზინტეგრაცია. წმინდა დოგმატიკური თვალსაზრისით, ეს გამართლებულია. მაგრამ აქვე შეიძლება გაჩნდეს კითხვა – ძალიან ადრეულ ეტაპზე ხომ არ ვთვლით დანაშაულის პროვოკაციას დასრულებულად? განა პროვოცირებულის მიერ გადანყვეტილების მიღება საკმარისია, რომ პროვოკაცია დამთავრებულად ჩავთვალოთ? იქნებ პროვოცირებულმა საერთოდ ვერ ან არ ჩაიღინოს დანაშაული? საქმე ის გახლავთ, რომ ამას თავად დეზინტეგრაციის ბუნება განაპირობებს. ერთ შემთხვევაში დეზინტეგრაცია შეიძლება თავად უკვე წარმოადგენდეს შედეგს. ეს ხდება მაშინ, როდესაც პროვოცირებულს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი. მაგრამ, ზოგ შემთხვევაში, დეზინტეგრაცია, სისხლისსამართლებრივი (და არა მორალური) გაგებით, წარმოადგენს საფრთხეს და არა შედეგს. ეს ხდება მაშინ, როდესაც პროვოცირებულს, მართალია, არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ ხდება მისი ფსიქიკური დეგრადაცია, მას უვითარდება კრიმინალური ბუნება, ერღვევა სამართლებრივი და დემოკრატიული

საზოგადოების წევრისათვის დამახასიათებელ ღირებულებათა სისტემა, იგი ეთიშება და უპირისპირდება სამართლებრივად მონესრიგებულ საზოგადოებას. ეს, მართალია, თავისთავად ჯერ კიდევ არ არის შედეგი, მაგრამ არის საფრთხე, რომელიც ემუქრება მართლწესრიგს. პროვოკატორიც ამ დროს, ფაქტობრივად, ასეთი საფრთხის შექმნისთვის უნდა გაიკიცხოს.

მამასადაამე, ობიექტური მხარის თვალსაზრისით, გამოიკვეთა პროვოკატორის გაკიცხვის ორი დონე. პირველი, როდესაც პროვოკატორი ახდენს პროვოცირებულის პიროვნულ ან/და სოციალურ დეზინტეგრაციას, რითიც, სისხლისსამართლებრივ თვალსაზრისით, ქმნის საფრთხეს. მეორე, როდესაც პროვოკატორი ახდენს პროვოცირებულის პიროვნულ ან/და სოციალურ დეზინტეგრაციას, რითიც, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, აყენებს პირველად შედეგს (პროვოცირებულს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი, მაგრამ პროვოცირებული დანაშაულის შედეგი არ დგება). თუმცა არსებობს მესამე, კიდევ უფრო მძიმე შემთხვევა, როდესაც დგება თავად პროვოცირებული დანაშაულის შედეგი. მისი შერაცხვის საკითხს ქვემოთ განვიხილავთ.

მიზანმოტრივი კავშირი: მეცნიერთა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს დანაშაულის ჩასადენად დაყოლიების დროს მიზნობრივი კავშირის არსებობას. ამ მიდგომის მომხრენი მიუთითებენ, რომ დაყოლიებული პირის ნების თავისუფლება გამორიცხავს მიზნობრივ კავშირს დამყოლიებლის მიერ ფსიქიკურ ზემოქმედებასა და დაყოლიებულის მიერ დანაშაულის ჩადენას შორის;⁶⁵ რომ დაყოლიებული თავისუფალი ნების საფუძველზე იღებს გადანყვეტილებას და ამით განყვეტს მიზნობრივ კავშირს დამყოლიებლის მიერ მასზე განხორციელებულ ზემოქმედებასა და მის მიერ დანაშაულის ჩადენას შორის.⁶⁶ ამ

64 გურული პ., 2014. დანაშაულის პროვოკაციის ობიექტი – სიცხადე ძირეულ საკითხში. „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, №7 თბ., გვ. 60-66.

65 იხ: წერეთელი თ., II ტომი. გვ. 14.

66 Хейфецъ И. Я., Op. cit., Стр. 4. იხ: წერეთელი თ., II ტომი. გვ. 14.

მოსაზრებას მხარს უჭერენ პროფ. შუტცე,⁶⁷ პროფ. ბირკმაიერი,⁶⁸ პროფ. ბირლინგი,⁶⁹ პროფ. სპასოვიჩი,⁷⁰ პროფ. ვიშინსკი⁷¹ პროფ. ბრაინინი,⁷² პროფ. მიშუნინი⁷³ და სხვა.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება პროფ. ხეიფეცი,⁷⁴ რომელიც აცხადებს, რომ ადამიანის ნება არ წარმოადგენს დახშულ სივრცეს, იგი ადვილად შეიძლება დაექვემდებაროს გარე ზემოქმედებას; რომ დამყოლიების ქმედებასა და დაყოლიების ქმედებას შორის არსებობს ფსიქიკური კაუზალობა.⁷⁵ მიზგობრივი კავშირის არსებობას ეთანხმება პროფ. ტაგანცევი.⁷⁶ პროფ. ბელოგრაც-კოტლიარევსკი მიუთითებს, რომ დამყოლიებელი უქმნის დაყოლიებულს მოტივებს, რომელიც მათ ზემოქმედების გამო თანხმდება დანაშაულის ჩადენაზე. ამ მოტივების შექმნაში კი ძვეს დამაკავშირებელი რგოლი დამყოლიების ქმედებასა და დანაშაულს შორის, რომელიც აყალიბებს კიდევ მიზგობრივ კავშირს.⁷⁷ დაყოლიების დროს მიზგობრიობის არსებობას აღიარებს პროფ. ოთარ გამყრელიძე, და ამას ფსიქიკურ მიზგობრიობას უწოდებს.⁷⁸ პროფ. თინათინ წერეთელი მიუთითებს, რომ საკუთარ თავზე ბატონობის უნარი არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ნებელობითი ქმედება აბსოლუტურად არ არის დეტერმინებული. იგი ისევეა მიზგობრივად განპირობებული, როგორც მისი სხვაგვარი მოქმედება, მაგრამ

ამ მიზგობრიობას განსაკუთრებული, სპეციფიკური ხასიათი აქვს, ვინაიდან იგი გაშუალებულია ცნობიერების მომენტით.⁷⁹ ამდენად, ადამიანი თავისი ნებელობითი მოქმედებით კი არ იწყებს მიზგობრიობის ახალ ჯაჭვს, არამედ განაგრძობს უკვე არსებულს და შემატებს მას ახალ რგოლებს.⁸⁰ პროფ. აბესაძეც ეთანხმება აღნიშნულ პოზიციას.⁸¹ მიზგობრივი კავშირის არსებობას ეთანხმება პროფ. თოდუა.⁸²

ვიზიარებ იმ პოზიციას, რომ დამყოლიების მიერ დაყოლიებულზე ზემოქმედებასა და დაყოლიების მიერ დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილების მიღებას, ხოლო შემდგომ დანაშაულის ჩადენას შორის არის მიზგობრივი კავშირი და საჭიროა დავადგინოთ იგი „ჰიპოთეტური ელიმინაციის“ მეთოდის გამოყენებით.

დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური მხარე

დანაშაულის პროვოკაციის წამქეზებლობისგან გამოცალკევება და დამოუკიდებელ იურიდიულ კატეგორიად ჩამოყალიბება სწორედ მისი სუბიექტური მხარის თავისებურებებმა განაპირობა. ამიტომ სუბიექტური მხარის თითოეულ ნიშანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვკვიდოთ.

მიზანი: დანაშაულის პროვოკაციის უმთავრესი ნიშანი არის პროვოცირების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზანი. ამ საკითხზე იურიდიულ მეცნიერებაში, ფაქტობრივად, სრული თანხმობაა. ამიტომ ამ საკითხზე დიდხანს აღარ შეეჩერდებით და გადავალთ დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური მხარის პრობლემატური ასპექტების განხილვაზე.

67 იხ: Хейфец И. Я., *Op. cit.*, Стр. 3.
68 Birkmeyer K., 1908. Die Lehre von der Teilnahme am Verbrechen und die Rechtsspechung des Reichsgerichts. S. 116.
69 იხ: წერეთელი თ., II ტომი. გვ. 12.
70 Спасович В., 1863. Учебник уголовного права. Том I. Выпуск Первый. Типография Гошафага Огризко. С.-Петербург, Стр. 170.
71 Вышинский А. Я., 1949. Вопросы теории государства и права. Москва, Стр. 119-120.
72 იხ: წერეთელი თ., II ტომი. გვ. 260.
73 იხ: *Ibid.*, გვ. 260.
74 Хейфец И. Я., *Op. cit.*, Стр. 4.
75 *Ibid.*, Стр. 16.
76 Таганцев Н. С., *Op. cit.*, Стр. 739; 771-772; 777.
77 Българичъ-Котляревский Л. С., 1904. Учебник русскаго уголовного права. Киевъ, Стр. 204.
78 გამყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა ... გვ. 29. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება... გვ. 196.

79 წერეთელი თ., I ტომი. გვ. 133.
80 წერეთელი თ., II ტომი. გვ. 16.
81 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. «იურისტების სამყარო»... გვ. 157.
82 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., *Op. cit.*, გვ. 293.

მანზრახვა/მაუფროსილებლობა: ვინაიდან დანაშაულის პროვოკაცია მიზნით დაფუძნებული დელიქტია,⁸³ მისი გაუფრთხილებლობით ჩადება შეუძლებელია. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ოთარ გამყრელიძე: მიზანი გამზრახვის გარეშე არ არსებობს.⁸⁴ რაც შეეხება განზრახვის სახეს, პროფ. ნონა თოდუა მიუთითებს, რომ დანაშაულის პროვოცირება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.⁸⁵ ამავე აზრს იზიარებენ პროფ. ოთარ გამყრელიძე,⁸⁶ პროფ. კოვალიოვი,⁸⁷ პროფ. აბესაძე,⁸⁸ პროფ. ირაკლი დვალაძე.⁸⁹ მე მხარს ვუჭერ აღნიშნულ მოსაზრებას, ოღონდ საჭიროა მივუთითოთ, რომ პროვოკატორს პირველადი შედეგის მიმართ შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვა, ხოლო მომდევნო შედეგზე დამატებით ვისაუბრებთ.

პროფ. კრიგერი, ავითარებდა რა პროფ. ტაგანცევის თვალსაზრისს, მიუთითებდა, რომ წამქეზებელი შეიძლება ხელმძღვანელობდეს სურვილით, გამოააშკარაოს წაქეზებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.⁹⁰ ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებდა პროფ. პიონტოვსკი, რომელიც აღნიშნავდა, რომ წამქეზებლისაგან განსხვავებით, პროვოკატორის სურვილია, გამოააშკარაოს დამნაშავე და გადასცეს იგი სახელმწიფო ხელისუფლებას.⁹¹ პროფ. თოდუა მიუთითებს, რომ პროვოკატორს არ სურს პროვოცირებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, სამართლებრივი სიკეთის დაზიანება.

მას სურს, რომ ამსრულებელი ამხილონ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე და მისცენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში. სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენა პროვოკატორისთვის მიზნის მიღწევის საშუალებაა.⁹² მსგავს მოსაზრებას ავითარებს პროფ. გამყრელიძე.⁹³ ამ მოსაზრებას ეთანხმებიან პროფ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი⁹⁴ და პროფ. აბესაძე.⁹⁵ პროფ. გლაზერის აზრით, თუ პროვოკატორს სურს პროვოცირებული დელიქტის დასრულება, იგი პასუხისმგებლობაში უნდა მიეცეს, როგორც ჩვეულებრივი წამქეზებელი.⁹⁶

პროფ. თამარ ებრალიძის მოსზრებით, მაშინ, როცა პროვოკატორს პროვოცირებული დელიქტის დასრულების მიმართ გაუფრთხილებლობა ახასიათებს და ეს მძიმე შედეგი დადგება, მაგალითად, სიცოცხლის მოსპობა, მან პასუხი უნდა აგოს ერთობლიობით – დანაშაულის პროვოკაციისა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის.⁹⁷ მაგრამ თუ პროვოკატორს სიცოცხლის მოსპობის მიმართ არაპირდაპირი განზრახვა ჰქონდა, გაუმართლებელია პროვოკატორის პასუხისმგებლობაში მიცემა ერთობლიობით დანაშაულის პროვოკაციისა და მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის, ვინაიდან პროვოკატორსა და პროვოცირებულს საერთო განზრახვა და ერთიანი მიზანი არ აქვთ, თანაც არაპირდაპირი განზრახვით თანამონაწილეობა შეუძლებელია. ამ საკითხის გადწყვეტას ავტორი საკანონმდებლო

83 ტერმინი ნასესხებია ნაშრომიდან – უგრეხელიძე მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში (სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 19.

84 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება... გვ. 81.

85 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., Op. cit., გვ. 298.

86 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება... გვ. 198-199.

87 იხ.: წერეთელი თ., II ტომი. გვ. 165.

88 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. «იურისტების სამყარო»... გვ. 69; 160. აბესაძე გ., დანაშაულისათვის წაქეზების გამიჯვნა ... გვ. 120-121.

89 დვალაძე ი., Op. cit., გვ. 71.

90 იხ.: აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია... გვ. 24.

91 იხ.: Ibid., გვ. 24.

92 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., Op. cit., გვ. 293, 296.

93 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება... გვ. 197. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა ... გვ. 14.

94 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., 2011. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი II. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. „მერიდიანი“, თბ., გვ. 229.

95 იხ.: აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია... გვ. 69. აბესაძე გ., დანაშაულისათვის წაქეზების გამიჯვნა ... გვ. 110.

96 Glaser, 1868. Gesammelte kleinere Schriften über Strafrecht, Civil-u. Strafprocess I. Wien, S.120.

97 იხ.: აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია... გვ. 40.

ცვლილებებში ხედავს,⁹⁸ რომლებსაც მოგვიანებით მიმოვიხილავთ.

ლიტერატურაში უთანხმოებას იწვევს საკითხი, უნდა შეერაცხოს თუ არა პროვოკატორს პროვოცირებული დელიქტი მაშინ, როცა მას უნდოდა მხოლოდ პროვოცირებული დანაშაულის მცდელობა ან მისი ფორმალური დასრულება. პროფ. ნოვიკოვმა წამოაყენა მოსაზრება, რომ პროვოკატორად უნდა ჩაითვალოს ყველა, ვინც აქვებს სხვას დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად ხელისუფლებისათვის დასასჯელად მისი გადაცემის მიზნით, მაგრამ ამასთან სურს დაუშვას პროვოცირებულის დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარება, მაგრამ არა მცდელობაზე შორს.⁹⁹ ამასთან დაკავშირებით, პროფ. ნაბოკოვი მიუთითებდა, რომ საერთოდ განზრახვა შეიძლება მიმართულ იქნეს მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. მცდელობის განზრახვა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით არ შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან დანაშაულის მცდელობის ელემენტს წარმოადგენს ის, რომ იგი ვერ დამთავრდა დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. შეუძლებელია დამნაშავის განზრახვა მიმართული იყოს მცდელობაზე. ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა, რომ ეს განზრახვა მოიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც დამნაშავის ნებაზე დამოკიდებული არ არის. ეს არის *contradictio in adjecto*.¹⁰⁰ პროფ. ლუბლინსკის აზრით, სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ „დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის განზრახვას“, ხოლო ეს ცნება ორივე სტადიას გულისხმობს. მცდელობის ჩადენის განზრახვა თავისი არსით ისეთივე დანაშაულებრივი განზრახვაა, როგორც დამთავრებული ქმედების ჩადენის განზრახვა. პროვოკატორი, იმისდა მიუხედავად, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდა, როდესაც

აქვებდა ვინმეს დანაშაულის ჩასადენად, თუნდაც ეს დანაშაული მხოლოდ მცდელობის სტადიამდე მივიდეს, უნდა დაისაჯოს მოქმედი კანონის ზუსტი აზრის შესაბამისად¹⁰¹

პროფ. ლევენჰაიმი ასკვნის, რომ თუ პროვოკატორმა პროვოცირებულში გამოიწვია დანაშაულის ჩადენის შესახებ გადანყვეტილება, რომლის გამოწვევაზეც იყო მიმართული მისი განზრახვა, იგი პასუხს აგებს ყველა ქმედებისათვის, რომლებიც ამ გადანყვეტილების საფუძველზე იქნება ჩადენილი. თუ ეს ქმედებები წარმოადგენს დასჯად მცდელობას, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს მცდელობის გამოწვევისთვის, ხოლო თუ პროვოცირებული განხორციელებს დასრულებულ დელიქტს, პროვოკატორს უნდა შეერაცხოს დასრულებული დელიქტი, მიუხედავად იმისა, სურდა თუ არა მას მისი დასრულება.¹⁰² ასევე მსჯელობს პროფ. ბორჰერტი. მისი აზრით, საჭიროა არაა, რომ წამქვებელმა განიზრახოს დასრულებული დელიქტის განხორციელება. აუცილებელი არაა, იგი მოქმედებდეს ისეთივე განზრახვით, რომელსაც კანონი ითხოვს ამსრულებლის შემთხვევაში. თუ საქმე ეხება მცდელობაზე დაყოლიებას, საკმარისია განზრახვა მიმართული იყოს მცდელობის განხორციელებაზე, რადგან განზრახვა— მიმართული დამთავრებული დელიქტის ჩასადენად, საჭიროა ამსრულებლისთვის მცდელობის შესარაცხად და საჭირო არაა დამყოლიებისთვის შესარაცხად.¹⁰³ ასევე წყვეტს პროვოკატორის პასუხისმგებლობის საკითხს ჰეილბორნი. მისი აზრით, დამყოლიების განზრახვამ არ უნდა მოიცავს დაყოლიების მიერ დანაშაულის ჩადენა იმდენად, რამდენადაც იგი მას არ ჩადის. დამყოლიების განზრახვა მიმართულ უნდა იქნეს ამსრულებელში მტკიცე გადანყვეტილების ჩამოყალიბებისკენ, აგრეთვე იმისკენ, რომ დაყოლიებულმა იმოქმედოს, ხოლო ამ ქმედების შედეგზე არ უნდა ვრცელდებოდეს პროვოკატორის განზრახვა. ამდენად, დამყოლიებელს

98 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. «იურისტების სამყარო»... გვ. 47.

99 იბ.: აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია... გვ. 15.

100 Труды юридического общества при Императорском С.-Петербургском университете. 1910. Т. 1. С.-Петербург, стр. 242.

101 Ibid., стр. 272.

102 იბ.: Хейфецъ И. Я., Op. cit., стр. 117-118.

103 იბ.: Ibid., стр. 117-118.

უნდა სურდეს დაყოლიებულის მიერ ქმედების განხორციელება, მაგრამ არა ამ ქმედების დასრულება.¹⁰⁴ დამყოლიებლის განზრახვაზე ასეთი შეხედულების მიხედვით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას მხოლოდ მცდელობის განხორციელება სურს, პროვოკატორი დამნაშავეა ამ მცდელობაში, რადგან მას დაყოლიებულში მოტივების გამოწვევასთან ერთად სურს დაყოლიებულის მიერ ქმედების ჩადენა. ჰეილბორნს უერთდება პროფ. ბინდინგიც.¹⁰⁵

გლაზერი ასახულებს, რომ თუ აგენტ-პროვოკატორს მხოლოდ დანაშაულის მცდელობის გამოწვევა უნდა, მაშინ წამქეზებლობა სახეზე არაა, რადგან აქ არ გვაქვს წამქეზებლისათვის აუცილებელი დანაშაულებრივი განზრახვა. მისი ნება არ არის მიმართული დანაშაულთან დაკავშირებულ მძიმე შედეგზე, რომელიც არც სჭირდება პროვოკატორს. გლაზერის აზრით, სწორედ ამაზე უნდა იყოს მიმართული წამქეზებლის განზრახვა. როგორც არ შეიძლება მცდელობად ჩაითვალოს ამსრულებლის ქმედება, თუკი მას შესაბამისი აქტის განხორციელებისას არ ჰქონდა იმის განზრახვა, რომ მისი ქმედებიდან განვითარებულიყო დანაშაულის სრული ობიექტური შემადგენლობა, ასევე ამას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულის ჩასადენად წაქეზების დროს. თუ ამ დროს მოვითხოვთ აგენტ-პროვოკატორის პასუხისმგებლობას, იმ გადანყვეტილებამდე მივალთ, რომ წამქეზებლობა დამოუკიდებელი დელიქტია.¹⁰⁶ ამავე მოსაზრებას იზიარებენ პროფ. შუტცი,¹⁰⁷ პროფ. ლისტი,¹⁰⁸ პროფ. კატცენშტაინი,¹⁰⁹ პროფ. კოლერი,¹¹⁰ პროფ. ზინგელვალდი.¹¹¹

მაგრამ გლაზერის სწავლება უფრო შორს მიდის. აგენტ-პროვოკატორს კიდევაც რომ სურდეს პროვოცირებული დელიქტის

დასრულება, საჭიროა განვასხვავოთ – სურს მას მისი მხოლოდ ფორმალური დასრულება, თუ ის მძიმე შედეგი, რომელიც მოაქვს ამ დანაშაულს.¹¹² ამ მოსაზრებას შეუერთდა პროფ. გეიერიც. მისი აზრით, როგორც წესი, აგენტ-პროვოკატორს მაქსიმუმ სურს დელიქტის ფორმალური, მაგრამ არა მატერიალური დამთავრება.¹¹³ ეს თვალსაზრისი გაიზიარა კოლერმაც. მაგალითად, ქურდობის დროს პროვოკატორის განზრახვა ვრცელდება მხოლოდ ნივთის აღებაზე, ხოლო მისაკუთრება სულაც არ შედის მის ინტერესებში; ხოლო თუ დელიქტი შედგება მხოლოდ ერთი აქტისგან, პროვოკატორი დამნაშავეა დანაშაულის წაქეზებაში, როგორც ეს, მაგ., ხდება მკვლელობების დროს.¹¹⁴ ამავე აზრზე დგას პროფ. მაიერ-ალფელდიც.¹¹⁵ პროფ. გელა აბესაძე მიუთითებს, რომ პროვოცირებული დანაშაულის შედეგს მნიშვნელობა არა აქვს.¹¹⁶ იგი ამტკიცებს, რომ პროვოკაციის შედეგისა და პროვოცირებული დანაშაულის შედეგის ერთმანეთში არევა არ შეიძლება; რომ პროვოკატორი და პროვოცირებული არაერთ, არამედ სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფენ.¹¹⁷ მას აგრეთვე ალოგიკურად მიაჩნია, რომ პროვოკატორს პირველადი შედეგის მიმართ პირდაპირი განზრახვა ჰქონდეს, ხოლო მომდევნო შედეგისადმი კი – არაპირდაპირი.¹¹⁸ თუმცა აღიარებს, რომ მძიმე ან განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის პროვოკაცია უფრო მძიმედ უნდა დაისაჯოს.¹¹⁹

განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს პროფ. ხეიფცი. იგი ამტკიცებს, რომ ზემოაღნიშნული კრიმინალისტები, განიხილავენ რა აგენტ-პროვოკატორს, ყურადღების მიღმა ტოვებენ ევენტუალურ განზრახვას, რომელიც სწორედაც რომ

104 იხ.: *Ibid.*, სტრ. 118.

105 იხ.: *Ibid.*, სტრ. 118.

106 Glaser, Op. cit., S. 122.

107 Schütze, 1874. Lehrbuch des Strafrechts. 2 Aufl. S.152-153.

108 Liszt, Op. cit., S. 233.

109 Katzenstein, 1901, Der agent provocateur. Zeitschrift für gesammte Strafrechtswissenschaft. Breslau, S. 398-430.

110 Kohler, 1890, Studien aus dem Strafrecht I. Mannheim, S. 122.

111 Singewald, Der agent provocateur. Breslau, 1908, S. 98-107.

112 *Ibid.*, S. 114-115.

113 იხ.: Хейфецъ И. Я, Op. cit., სტრ. 119.

114 Kohler, Op. cit., S. 122-126.

115 Meyer-Allfeld, Op. cit., S. 188.

116 აბესაძე გ., დანაშაულის პროვოკაცია. «იურისტების სამყარო»... გვ. 47.

117 *Ibid.*, გვ. 63.

118 *Ibid.*, გვ. 69.

119 *Ibid.*, გვ. 161.

აქვს აგენტ-პროვოკატორს. იგი ეთანხმება ოლსჰაუზენს იმაში, რომ, პროვოკატორს მხოლოდ მაშინ არა აქვს ევენტუალური განზრახვა პროვოცირებული დელიქტის მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ, თუ მას ხელში აქვს საშუალება, არ დაუშვას დანაშაულებრივი ქმედების გასვლა დასჯადი ქმედების საზღვრებს მიღმა.¹²⁰ მაგრამ ეს თითქმის არასდროს ხდება. პროვოკატორი ყოველისშემძლე არაა და მას არ შეუძლია ზუსტად დაადგინოს მომენტი, როდესაც დელიქტი მცდელობიდან გადავა დამთავრებული დანაშაულის სტადიაზე. მით უმეტეს, რომ მას უნევს მუდმივად მობილიზებული იყოს, რათა თავი არ გასცეს დროზე ადრე. ამსრულებლის მიერ დელიქტის აღსრულებისას ყოველთვის შესაძლებელია სხვადასხვაგვარი კომბინაცია და შემთხვევითობა.¹²¹ არ შეიძლება იმის იმედად ყოფნა, რომ პოლიცია მიუსწრებს ზუსტად მაშინ, როდესაც პროვოცირებული ჩადის თავდასხმას ობიექტზე და არა მაშინ, როდესაც იგი დაასრულებს დელიქტს. პროვოკატორი აკონტროლებს მსხვერპლს, მაგრამ იმისი უზრუნველყოფა, რომ მისი ქმედება მცდელობის სტადიას არ გასცდეს, მის ძალას აღემატება. შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც პროვოკატორს არც უნდა თავად პროვოცირებული დელიქტის ჩადენა, მაგრამ უშვებს ამას. ანუ, მას გააჩნია პირდაპირი განზრახვა პროვოცირებული დელიქტის მცდელობის მიმართ და ევენტუალური განზრახვა ამ დელიქტის დასრულების მიმართ. ანუ, განზრახვა სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ მას შეერაცხოს დასჯადი (პროვოცირებული – პ.გ.) ქმედება, თუკი ამსრულებელი უფრო შორს არ წავიდა.¹²²

ხშირად პროვოკატორს პირდაპირი განზრახვაც კი აქვს პროვოცირებული დანაშაულის ჩადენის მიმართ. პროვოკატორის ინტერესებში შედის, დააცადოს ამსრულებელს დელიქტის დასრულება,

ვინაიდან, რაც უფრო შორს შეტოპავს დამნაშავე, მით უფრო მკაცრი იქნება მისი სასჯელი და მით უფრო დიდი იქნება აგენტ-პროვოკატორის ღვანლი უფროსობის მიმართ. პროვოკატორის მიზანი დანაშაულის თავიდან აცილება კი არა არის, არამედ დამნაშავეების შექმნა და მართლმსაჯულებისათვის მათი გადაცემა. მსგავს მოსაზრებას ავითარებს პროფ. ტაგანცევი. მისი აზრით, პროვოკატორს შეგნებული აქვს პროვოცირებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესაძლებლობა, სურს ეს უკანასკნელი ან, უკიდურეს შემთხვევაში, გულგრლად ეკიდება მას.¹²³

პროფ. ხეიფეცი ეხება დელიქტის ფორმალურ და მატერიალურ დასრულებას. მისი აზრით, დანაშაულის ერთიანი შედეგის დაყოფა ფორმალურ და მატერიალურ დასრულებად წარუმატებელი და არასწორია არსებითად. კატცენშტაინი ამ დაყოფის შესახებ კითხულობს, თუ როგორ მივიდნენ ამ შეხედულების მიმდევრები მართლსაწინააღმდეგო შედეგის დაყოფამდე, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება განზრახვის ყველა თეორიას?¹²⁴ სამართლიანად შენიშნავს პროფ. პოზნიშევი, რომ დანაშაულის ფორმალური დასრულება, რომელიც შემოტანილია ამ შეხედულების მომხრეების მიერ, საკმაოდ გაურკვეველია და შემოაქვს უხერხული გაორება დამთავრებული დანაშაულის ცნებაში. იმის გამო, რომ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი ჩათვითქვნილია ისე, რომ თავიდან აცილებულ ან ანაზღაურებულ იქნეს, დანაშაული მაინც დამთავრებულია და თან არა რაღაც „ფორმალურად დამთავრებული“, არამედ უბრალოდ დამთავრებული. თუ „ა“ დაჭრის „ბ“-ს იმ განზრახვით, რომ ამის შემდეგ ჭრილობა მოუშუშოს კიდევაც, მისი დანაშაული მაინც დამთავრებულად ჩაითვლება. შეიძლება შეგვეწინააღმდეგონ, რომ ზიანი ამ შემთხვევაში უკვე დამდგარია, მაგრამ ზიანი უკვე დამდგარია ქურდობის

120 Хейфець И. Я., *Op. cit.*, стр. 120.
 121 მსგავს მოსაზრებას ავითარებს პროფ. ურისონი. Урысон И.С., 1907. Агент-провокатор по действующему уголовному праву. „Право“, №32.
 122 Хейфець И. Я. *Op. cit.*, стр. 120-121.

123 Таганцевъ Н.С. *Op. cit.*, стр. 770.
 124 Katzenstein. *Op. cit.*, S. 420.

დროსაც, თუნდაც დამყოლიებელს სურდეს ნივთის დაბრუნება ან მისი ფულადი ეკვივალენტის დაბრუნება“.¹²⁵ ამიტომ, თუ პროვოკატორს პროვოცირებული დელიქტის მხოლოდ ფორმალური დასრულება სურს და თუ საბოლოოდ იგი დასრულდა, იგი უნდა შეერაცხოს პროვოკატორს.¹²⁶

ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ პროვოკატორსა და პროვოცირებულს აქვთ განსხვავებული განზრახვა და მიზანი, ისინი ჩადიან სხვადასხვა უმართლობას. ცხადია, უმთავრესად განსხვავებას წარმოშობს პროვოცირებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზანი. ვეთანხმები პროფ. ლუბლინსკის აზრს იმ თვალსაზრისით, რომ დანაშაულის მცდელობის პროვოკაცია შესაძლებელია. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ პროვოკატორს პროვოცირებული დანაშაულის დასრულების მიმართ შეიძლება გააჩნდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვა. მართლაც, არაპირდაპირი განზრახვა უმრავლეს შემთხვევაში სახეზეა. კერძოდ, უმეტესად პროვოკატორი დარწმუნებული ვერ იქნება, რომ პროვოცირებული დანაშაული მცდელობის ეტაპზე შეწყდება. მაშასადამე, იგი უშვებს, რომ შეიძლება დადგეს პროვოცირებული დანაშაულის შედეგი და გულგრილად ეკიდება მას. რაც შეეხება პირდაპირ განზრახვას, ხშირად ისიც სახეზეა. ზოგიერთ შემთხვევაში, პროვოკატორი აცნობიერებს პროვოცირებული დანაშაულის დამთავრების გარდუვალობას. მაგალითად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, რომლებიც ქმედების განხორციელების მომენტიდანვე დამთავრებულად ითვლება. მაგ: ცრუ ჩვენების პროვოცირების შემთხვევაში პროვოკატორი ითვალისწინებს, რომ ცრუ ჩვენების დელიქტი ნებისმიერ შემთხვევაში დამთავრდება; ზოგიერთ შემთხვევაში პროვოკატორი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი. ეს შეიძლება მოხდეს იქიდან გამომდინარე, რომ დასრულებული დელიქტის ჩამდენი

პროვოცირებული უფრო მკაცრად დაისაჯოს. აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა პროვოკატორი „ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავს“, მაგალითად, აღწევს პროვოცირებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ანგარიშს უსწორებს პროვოცირებული დელიქტის მსხვერპლს. მაშასადამე, პროვოკატორის ქმედებით შეიძლება შეილახოს არა მხოლოდ პროვოცირებულის პიროვნული და სოციალური ურღვევობა,¹²⁷ არამედ პროვოცირებული დანაშაულის ობიექტიც.

ზემოთ უკვე დავასაბუთე, ობიექტური თვალსაზრისით, მიზეზობრივი კავშირის არსებობა პროვოკატორის მიერ პროვოცირებულის ფსიქიკაზე ზემოქმედებასა და პროვოცირებულის მიერ დანაშაულის ჩადენას შორის. ვინაიდან პროვოკატორის განზრახვა, შესაძლოა, მოიცავდეს პროვოცირებულის მიერ დანაშაულის დამთავრებასაც, პროვოკატორის უმართლობა მოიცავს პროვოცირებულ დანაშაულსაც მართლსაწინააღმდეგო შედეგით ასეთის არსებობის შემთხვევაში. ეს სულაც არ ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ პროვოკატორი და პროვოცირებული სხვადასხვა უმართლობას ჩადიან. მათ უმართლობათა განსხვავებას განაპირობებს პროვოკატორის პროვოცირებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზანი და, აგრეთვე, ხელყოფის ობიექტი – პროვოცირებულის პიროვნული და სოციალური ურღვევობა. სხვა მხრივ, პროვოკატორსა და პროვოცირებულ დელიქტს შორის როგორც ობიექტური (მიზეზობრივი კავშირი), ისე სუბიექტური (განზრახვა) კავშირი არსებობს და, ჩემი აზრით, ამ დელიქტის ობიექტის ხელყოფა უნდა შეერაცხოს პროვოკატორს.

125 Познышев С. В., 1912. Основные начала науки уголовного права. Москва, стр. 391.

126 Хейфец И. Я., Op. cit., стр. 123.

127 გურული პ. Op. cit., გვ. 60-66.

დასკვნები

1. დაყოლიება გულისხმობს გარკვეულ ზემოქმედებას დასაყოლიებელ პიროვნებაზე, მათ შორის ე.წ. კონკლუდენტურ ქმედებებსაც; შესაძლებელია დაყოლიება უმოქმედობითაც; დაყოლიების შინაარსი უნდა გულისხმობდეს დანაშაულის ჩადენას;
2. დაყოლიება შეიძლება მიმართული იყოს ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართაც.
3. დაყოლიების ფაქტის დასადგენად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ამსრულებელზე განხორციელებული ფსიქიკური ზემოქმედების ხარისხი.
4. დაყოლიების ხერხი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ მოტყუების გარეშე პროვოკაცია საერთოდ წარმოუდგენელია.
5. დაყოლიებამ შეიძლება წარმოშვას:
 - 1.1. კონკრეტული საფრთხე – როდესაც პროვოკატორი ახდენს პროვოცირებულის პიროვნულ ან/და სოციალურ დეზინტეგრაციას, რითიც, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ქმნის საშიშროებას.
 - 1.2. პირველადი შედეგი – როდესაც პროვოკატორი ახდენს პროვოცირებულის პიროვნულ ან/და

- სოციალურ დეზინტეგრაციას, რითაც, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს პირველად შედეგს (პროვოცირებულს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი, მაგრამ პროვოცირებული დანაშაულის შედეგი არ დგება).
- 1.3. მომდევნო შედეგი – როდესაც დგება თავად პროვოცირებული დანაშაულის შედეგი.
 6. საჭიროა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი დამყოლიებლის მიერ დაყოლიებულზე ზემოქმედებასა და დაყოლიებულის მიერ გადაწყვეტილების მიღებასა, ხოლო შემდგომ – დანაშაულის ჩადენას შორის.
 7. პროვოკატორის მიზანს წარმოადგენს პროვოცირებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.
 8. პროვოკატორს პროვოცირებულის დაყოლიებისა და მისი მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილების მიმართ შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვა. ხოლო პროვოცირებულის მიერ დანაშაულის ჩადენის და განსაკუთრებით დამთავრების მიმართ შეიძლება ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვაც.

პაპუნა ბურული

CORPUS DELICTI OF ENTRAPMENT

Papuna Guruli

*Master of Law, PhD Student, Caucasus International
University, Attorney at Law*

KEY WORDS: provocateur, criminal, liability

RESUME

Every single element of each particular offence requires to be considered with great care and precision. Entrapment is no exception. From the theoretical point of view it will allow us to determine whether Entrapment is kind of instigation or just delictum sui generis? From the practical point of view, it will allow to separate entrapment from resembling concepts such as the test purchase, controlled delivery etc. We will be able to grasp exactly what should be imputed to the provocateur. But before doing that we need to determine what exactly Entrapment is. What are the elements of crime that establish entrapment. That is the objective of the present article. After analyzing the views expressed by legal experts both from Georgia and abroad, we came to conclusions:

1. Incitement means some kind of influence upon the victim, including implied actions; Incitement may be committed by omission as well;
2. Incitement may be directed also to individually indefinite group;
3. Means of entrapment may vary, but the all of them are accompanied with deception;
4. The result of incitement is the decision on committing a crime made by the victim.
5. Incitement may bring about:

- 1.1. Concrete danger – when the provocateur personally or/and socially disintegrates the victim causing criminal danger.
- 1.2. Initial result – when the provocateur personally or socially disintegrates the victim causing the initial result (the victim is accused of criminal charge, while the incited offence is not accomplished);
- 1.3. Secondary result – when provoked offence has been completed;
6. It is necessary to establish causation between incitement and the victim's decision to commit a crime.
7. The aim of provocateur is to initiate criminal persecution against the victim.
8. The provocateur may have direct intent as to the fact of bringing about the victim's decision to commit a crime and direct or indirect intent to provoke commitment of the incited crime by victim, particularly its final effect.

NOTES:

1. A Concept of Corpus Delicti by prof. Tina Tin Tsereteli. see: Tsereteli T., 2007. Problems of Criminal Law. Vol. I., Tbilisi, pp. 103; 107-111. (In Georgian)
2. Kheifets I., 1914. Instigation to a Crime. Edition of Legal Book Shop „Jurisprudence“, Moscow, p. 116. (In Russian)
3. Tsereteli T., 2007. Problems of Criminal Law. Vol. II., Tbilisi, p. 162. (In Georgian)
4. Abesadze G., 2010. Entrapment. Doctoral thesis. Tbilisi, p. 49. (In Georgian)
5. Kheifets I., Op. cit., p. 37. (In Russian)
6. see: *Ibid.*, p. 38. (In Russian)
7. Tagantsev N., 1902. Russian Criminal Law. General Part. Vol. I. Saint Petersburg, p. 776. (In Russian)
8. *Ibid.* p. 773. (In Russian)
9. Abesadze G., Entrapment. Doctoral thesis... p. 53. (In Georgian)
10. Gamkrelidze O., 2008. Commentaries of the Penal Code of Georgia. General Part. First Book. Second Supplemented Edition. Tbilisi, p. 198. (In Georgian)
11. See: Wessels, Beulke, 2010. General Part of criminal law. Tbilisi, p. 326. (In Georgian)
12. Tsereteli T., Vol. I. pp. 278-279. (In Georgian)
13. Abesadze G., 2013. Entrapment. „lawyers universe“. Tbilisi, p. 159. (In Georgian)
14. *Ibid.*, p. 119. (In Georgian)
15. Tsereteli T., Vol. II. p. 164. (In Georgian)
16. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., 2014. Special Part of Criminal Law. (Book I). Fifth Edition. „Meridiani“, Tbilisi, p. 294. (In Georgian)
17. Gamkrelidze O., Commentaries of the Penal Code of Georgia... p. 195. (In Georgian)
- Abesadze G., 2010. Separation of Instigation from Entrapment – „Caucasus International University Herald“, №2, Tbilisi. pp. 113-115. (In Georgian)
- Kheifets I. Y., Op. cit., p.17. (In Russian)
18. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., Op. cit., p. 294. (In Georgian)

19. Tsereteli T., Vol. II. p. 157. (In Georgian)
20. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., Op. cit., p. 294. (In Georgian)
21. Dvalidze I., 2007. The Influence of the Motive and the Aim on Classification of the Criminal Behavior and Liability. Doctoral thesis. Tbilisi, p. 115. (In Georgian)
22. Tsereteli T., Vol. II. p. 164. (In Georgian)
23. Trainin A. N., 1941. The Concept of Complicity. Moscow, p. 102. (In Russian)
24. Ebralidze T., 2008. Entrapment – the Comments on the Judicial Practice in Criminal Law: offences against human being. „Meridiani,“ Tbilisi, p. 237. (In Georgian)
25. Abesadze G., Separation of Instigation from Entrapment... pp. 110-113. (In Georgian)
- Gamkrelidze O., 1989. Problem of Criminal Wrongdoing and the Basis for Criminalisation of Complicity. „Science.“ Tbilisi, p. 14. (In Georgian)
26. Kovaliov M., 1962. Complicity in the Crime. Part 2; Sverdlovsk, p. 19. (In Russian)
27. Abesadze G., Entrapment. „Lawyers Universe“... p. 55. (In Georgian)
28. Kellner, 1909. Die Mittel der Anstiftung in ihrer materiell rechtlichen und prozessualen Bedeutung. S. 11. (In German)
29. Kheifets I., Op. cit., p. 36. (In Russian)
30. see: *Ibid.*, p. 36.
31. *Ibid.* p. 36.
32. Tsereteli T., Vol. II. p. 161. (In Georgian)
33. Abesadze G., Entrapment. „Lawyers Universe“... p. 157. (In Georgian)
34. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., Op. cit., p. 293. (In Georgian)
35. Kovaliov M., Op. cit., pp. 84-85. (In Russian)
36. See: Kheifets I., Op. cit., p. 37.. (In Russian)
37. Tagantsev N., Op. cit., p. 775. (In Russian)
38. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., Op. cit., p. 295. (In Georgian)
39. *Ibid.* pp. 294-295. (In Georgian)
40. Abesadze G., Entrapment. Doctoral thesis... p. 53. (In Georgian)
41. Abesadze G., Entrapment. „Lawyers Universe“ ... p. 58. (In Georgian)
42. see: Kheifets I. Y., Op. cit., p. 38. (In Russian)
43. See: *Ibid.* p. 38.
44. See: *Ibid.* p. 39.
45. *Ibid.* p. 39.
46. Liszt, 1911. Lehrbuch des deutschen strafrechts. 18 Aulf. Berlin, S. 228. (In German)
47. see.: Kheifets I., Op. cit., p. 40. (In Russian)
48. Meyer-Allfeld, 1907. Lehrbuch des deutchen Strafrechts. 6 Aufl. S. 201. (In German)
49. Tsereteli T., Vol. II. p. 160. (In Georgian)
50. Maurach R, 1954. Deutsches Strafrecht. Allgemeiner Teil, Ein Lehrbuch. Karlsruhe, S. 548. (In German)
51. Tsereteli T., Vol. I. p.164. (In Georgian)
52. See: *Ibid.* p. 158. (In Georgian)
53. See: *Ibid.* p. 159. (In Georgian)
54. *Ibid.*, p. 159. (In Georgian)
55. Gamkrelidze O., Commentaries of the Penal Code of Georgia... p. 196. (In Georgian)
56. Abesadze G., Entrapment. „lawyers universe“... p. 157. (In Georgian)
57. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., Op. cit., p. 295. (In Georgian)
58. Gamkrelidze O., Commentaries of the Penal Code of Georgia... p. 197. (In Georgian)
59. Lomsadze M., 2015. Perpetration and Complicity in the Crime. „Justice and Law“, №4 (47), p. 66. (In Georgian)
60. Abesadze G., Entrapment. Doctoral thesis... pp. 156; 163. (In Georgian)

61. Dvalidze I., Op. cit., pp. 117-118. (In Georgian)
62. Abesadze G., Entrapment. Doctoral thesis... pp. 54-55. (In Georgian)
63. *Ibid.* p. 62. (In Georgian)
64. Guruli p., 2014. The Object of Entrapment – Clarity upon the Basic Issue. „Caucasus International University Herald,“ №7, Tbilisi. pp. 60-66. (In Georgian)
65. See: Tsereteli T., Vol. II. p. 14. (In Georgian)
66. Kheifets I. Y., Op. cit., p. 4. (In Russian)
See: Tsereteli T., Vol. II. p. 14. (In Georgian)
67. See: Kheifets I., Op. cit. p. 3. (In Russian)
68. Birkmeyer K., 1908. Die Lehre von der Teilnahme am Verbrechen und die Rechtssprechung des Reichsgerichts. S. 116. (In German)
69. See: Tsereteli T., Vol. II. p. 12. (In Georgian)
70. Spasovich V., 1863. Textbook of criminal law. Volume I. Issue One. Printing Safaga Ogrizko. St. Petersburg, p. 170. (In Georgian)
71. Vyshinsky A.Y. 1949. Reflections on the theory of state and law. Moscow., pp. 119-120. (In Russian)
72. See: Tsereteli T., Vol. II. p. 260. (In Georgian)
73. See: *Ibid.* p. 260. (In Georgian)
74. Kheifets I. Y., Op. cit., p. 4. (In Russian)
75. *Ibid.* p. 16.
76. Tagantsev N.S. Op. cit., pp.739; 771-772; 777. (In Russian)
77. Belogritys-Kotlyarevsky. 1904. Manual of Russian criminal law. Kiev, p. 204. (In Russian)
78. Gamkrelidze O., Problem of Criminal Wrongdoing ... p. 29. (In Georgian)
Gamkrelidze O., Commentaries of the Penal Code of Georgia... p. 196. (In Georgian)
79. Tsereteli T., Vol. I. p. 133. (In Georgian)
80. Tsereteli T., Vol. II. p. 16. (In Georgian)
81. Abesadze G., Entrapment. „lawyers universe“... p. 157. (In Georgian)
82. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., Op. cit., p. 293. (In Georgian)
83. The term proposed by prof. Mindia Ugrekheldidze – Ugrekheldidze M., 1982. Guilt in Hazzard offences (Analysis of Criminal Legislation). Tbilisi University Publishing House, Tbilisi, p. 19. (In Georgian)
84. Gamkrelidze O., Commentaries of the Penal Code of Georgia... p. 81. (In Georgian)
85. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., Op. cit., p. 298. (In Georgian)
86. Gamkrelidze O., Commentaries of the Penal Code of Georgia... pp. 198-199. (In Georgian)
87. See: Tsereteli T., Vol. II. p. 165. (In Georgian)
88. Abesadze G., Entrapment. „lawyers universe“... pp. 69;160. (In Georgian)
Abesadze G., Separation of Instigation from Entrapment ... pp. 120-121. (In Georgian)
89. Dvalidze.Op. cit., p. 71. (In Georgian)
90. See: Abesadze G., Entrapment. Doctoral thesis... p.24. (In Georgian)
91. See: *Ibid.* p. 24. (In Georgian)
92. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., Op. cit., pp. 293, 296. (In Georgian)
93. Gamkrelidze O., Commentaries of the Penal Code of Georgia... p. 197. (In Georgian)

- Gamkrelidze O., Problem of Criminal Wrongdoing ... p. 14. (In Georgian)
94. Mchedlishvili – Hedrich Q., 2011. Criminal Law. General Part II. Specific forms of Manifestation of Crime. „Meridiani,“ Tbilisi, p. 229. (In Georgian)
95. See: Abesadze G., Entrapment. Doctoral thesis... p. 69. (In Georgian)
Abesadze G., Separation of Instigation from Entrapment ... p. 110. (In Georgian)
96. Glaser, 1868. Gesammelte kleinere Schriften über Strafrecht, Civil-u. Strafprocess I. Wien, S. 120. (In German)
97. See: Abesadze G., Entrapment. Doctoral thesis... ... p. 40. (In Georgian)
98. Abesadze G., Entrapment. „lawyers universe“... p. 47. (In Georgian)
99. See: Abesadze G., Entrapment. Doctoral thesis... p. 15. (In Georgian)
100. Law Society Proceedings of the Imperial St. Petersburg University. 1910. Vol. I. St. Petersburg, p. 242. (In Russian)
101. *Ibid.*, p. 272.
102. See: Kheifets I., Op. cit., pp. 117-118. (In Russian)
103. See: *Ibid.* pp. 117-118.
104. See: *Ibid.* p. 118.
105. See: *Ibid.* p. 118.
106. Glaser.Op. cit., S. 122. (In German)
107. Schütze. Lehrbuch des Strafrechts. 2 Aufl. 1874, S.152-153. (In German)
108. Liszt. Op. cit., S. 233. (In German)
109. Katzenstein. 1901. Der agent provocateur. Zeitschrift für gesammte Strafrechtswissenschaft. Breslau, S. 398-430. (In German)
110. Kohler. 1890. Studien aus dem Strafrecht I. Mannheim, S. 122. (In German)
111. Singewald. 1908. Der agent provocateur. Breslau, S. 98-107. (In German)
112. *Ibid.*, S. 114-115.
113. see: Kheifets I., Op. cit., p. 119. (In Russian)
114. Kohler. Op. cit., S. 122-126. (In German)
115. Meyer-Allfeld. Op. cit., S. 188. (In German)
116. Abesadze G., Entrapment. „lawyers universe“... p. 47. (In Georgian)
117. *Ibid.* p. 63.
118. *Ibid.* p.69.
119. *Ibid.* p. 161.
120. Kheifets I., Op. cit., p. 120. (In Russian)
121. Similar point by prof. Urison: Uryson I.S. 1907. Agent Provocateur by the criminal law. «Right», №32. (In Russian)
122. Kheifets I., Op. cit., pp. 120-121. (In Russian)
123. Tagantsev N., *Ibid.*, p. 770. (In Russian)
124. Katzenstein. Op. cit., S. 420. (In German)
125. Poznyshhev S., 1912. Basic Principles of Criminal Law. Moscow, p. 391. (In Russian)
126. Kheifets I., Op. cit., p. 123. (In Russian)
127. Guruli p., Op. cit., pp. 60-66(In Georgian)

სასამართლო ემსპერტიზის საკანონმდებლო პრობლემები

გურამ როსტიაშვილი

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსტეტის
ასოცირებული პროფესორი/სადისერტაციო საბჭოს წევრი,
საქართველოს სასამართლო მეცნიერებათა აკადემიის
აღმასრულებელი დირექტორი/ბორდის წევრი*

დავით ხომერიკი

*საქართველოს სასამართლო მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი/ბორდის წევრი,
შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-
კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მთავარი ექსპერტი*

ვანო ბოლქვაძე

*საქართველოს სასამართლო მეცნიერებათა აკადემიის
ბორდის წევრი.
შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-
კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მთავარი ექსპერტი*

საკვანძო სიტყვები: სამართალწარმოება, რეგულაცია,
სისტემატიზაცია

სასამართლო ექსპერტიზის საკანონმდებლო რეგულაციების წინა პლანზე წამოწევა და აქტუალურობა მისი მნიშვნელობიდან არის გამომდინარე. ექსპერტის დაკვნა მტკიცებულების რთული ფორმაა, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერული კვლევის შედეგებზე. სწორედ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე

დავუთმეთ ყურადღება და მივუძღვენი კვლევა სასამართლო ექსპერტიზის საკანონმდებლო პრობლემებს.

სასამართლო ექსპერტის დასკვნა მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელების პროცესში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებითი დოკუმენტია და მეცნიერული საფუძვლების წყალობით, იგი ფაქტობრივად მაინც გამოირჩევა სხვა სასამართლო მტკიცებულებებისგან ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით. თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ, ისე, რომ სასამართლო ექსპერტის დასკვნა უტყუარი მტკიცებულებაა. სწორედ, ამიტომ რეგულირდება სასამართლო ექსპერტიზის რიგი საკითხები კანონმდებლობით. თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასამართლო ექსპერტიზის საქმიანობა საჭიროებს კიდევ, უფრო მკაცრ და ზუსტ რეგლამენტირებას. ამან განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული საკითხებით.

სასამართლო ექსპერტიზის მოქმედების სფერო გასცდა სამართალწარმოების ფარგლებს და დიდი აქტუალურობით დაინერგა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დროთა განმავლობაში, სასამართლო ექსპერტის დასკვნამ, როგორც სამართალწარმოებაში, ასევე თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მტკიცებულებითი ხასიათი შეიძინა და დიდ როლს ასრულებს საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში.

თანამედროვე მოთხოვნები გვიბიძგებს, რომ სამართლებრივ ჩარჩოებში მოვაქციოთ და შევქმნათ საქსპერტო სისტემის ერთიანი საკანონმდებლო სივრცე, რითიც დარეგულირდება სასამართლო ექსპერტიზასთან დაკავშირებული ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხები.

ჩვენი კვლევა ეხება სასამართლო ექსპერტიზის საქმიანობის საკანონმდებლო სისტემის ანალიზს და შეფასებას. ნაშრომში განხილულია, თუ რამდენად ერთგვაროვანია საერთაშორისო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და რა პრობლემებია საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის კანონმდებლობის კუთხით,

რამდენად მნიშვნელოვანია სასამართლო ექსპერტიზის საკანონმდებლო რეგულაცია-თა ერთიანი საკანონმდებლო სივრცეში მოქცევა და რამდენად აპრობირებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელი.

თუმცა პირველ რიგში განვიხილავთ საქართველოს კანონმდებლობიდან, იმ საკითხებს, რითიც რეგულირებულია სასამართლო ექსპერტიზის საკითხები, არსებული მდგომარეობით.

დიდ დროს არ დავუთმობთ იმის განხილვას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სასამართლო ექსპერტის დასკვნა სამართალწარმოებაში. უმჯობესია პირდაპირ გადავიდეთ სასამართლო ექსპერტიზის კანონმდებლობის კვლევაზე, არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენასა და მათი გადაჭრის გზების განხილვაზე.

საკითხის სწორად გასაგებად, თავდაპირველად გავეცნოთ იმ რეგულაციებს, რომლებიც დღესდღეობით მოქმედებენ სასამართლო ექსპერტიზის განხორციელებისას. ჩვენი შეფასებით არსებული რეგულაციები არასრული და დასახვეწია, რაც იწვევს საქსპერტო საქმიანობის გაუმართავ და არაჯეროვან მუშაობას. მოგეხსენებათ აღნიშნული საკითხი დიდ პრობლემას უქმნის, როგორც მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელებას, ასევე საზოგადოების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლო ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობით, თუმცა ისინი ქაოტურად არიან განაწილებულნი სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში (კანონებში). მეტიც, მათი უმრავლესობა არასრული და დასახვეწია.

პრობლემები, რომლებიც ვლინდება საქსპერტო სისტემის საკანონმდებლო რეგულირების კუთხით, შეიძლება პირობითად გავყოთ ორი მიმართულებით: პრობლემა საკანონმდებლო ნორმების შინაარსობრივი თვალსაზრისით, (არსებული ნორმები არასრული და დაუხვეწავია) და პრობლემა საკანონმდებლო ნორმათა

სისტემატიზაციის კუთხით (არსებული საკანონმდებლო ნორმები არ არის სისტემატიზირებული).

წინამდებარე ნაშრომი მიეძღვნება სწორედ ამ უკანასკნელი პრობლემის კვლევას. ქვემოთ განვიხილავთ, მხოლოდ, არსებულ საკანონმდებლო რეგულაციათა სისტემურ პრობლემებს და მათი სისტემატიზაციის პრიორიტეტულობას; რაც შეეხება რეგულაციათა შინაარსობრივ მხარეს მათი დახვეწა და სწორი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს, ამ პროცესის პარალელურად ან მას შემდეგ, რაც მოხდება სასამართლო ექსპერტიზის საკანონმდებლო ნორმათა სისტემატიზაცია (ერთ სივრცეში მოქცევა);

იმისათვის, რომ სასამართლო ექსპერტიზის საკანონმდებლო პრობლემები გამოვკვეთოთ, უპირველესად უნდა განვიხილოთ მათი ადგილი სამართლის სფეროში და შევაფასოთ მათი რელევანტურობა იმ საკანონმდებლო ნორმებთან, სადაც ასახულნი არიან ისინი.

ნაშრომში განვიხილავთ რამოდენიმე ნორმატიულ აქტს, რომელთა გარკვეული მუხლებიც არეგულირებს სასამართლო ექსპერტიზასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს.

სასამართლო ექსპერტიზის წარმოშობა უკავშირდება დანაშაულს და მისი მეცნიერული საწყისებიც, სწორედ კრიმინალისტიკის მეცნიერებიდან მომდინარეობს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საექსპერტო მოქმედებათა პროცესუალური მხარე, ძირითადად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს ეფუძნება. თუმცა აღსანიშნავია, რომ საექსპერტო საქმიანობა სისხლის სამართლის კოდექსით არ შემოიფარგლება და მის გარდა საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებიც არეგულირებს, ზოგ შემთხვევაში კი ცალკეული ექსპერტიზებისთვის კანონმდებელი გვაძლევს ინდივიდუალურ რეგლამენტაციებს და ინდივიდუალურ საკანონმდებლო აქტებსაც კი. ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რას ეფუძნება ექსპერტიზების ასეთი გრადაცია, რატომ არსებობს ცალკეული კანონები ცალკეული

ექსპერტიზებისთვის და რატომ არ არიან ისინი მოქცეულნი ერთიან სისტემაში? ჩვენ ვერ დავეთანხმებით მიდგომას, რომელშიც ვლინდება სასამართლო ექსპერტიზებისადმი არაერთგვაროვანი ხედვა, რადგან ყველა საექსპერტო დასკვნას თანაბარი მტკიცებულებითი ძალა გააჩნია. ასევე გაუგებარია რიგი სხვა საკანონმდებლო მიდგომებიც სასამართლო ექსპერტიზასთან მიმართებაში, რომელსაც ქვევით განვიხილავთ.

ნაშრომი ემყარება საქართველოს მოქმედი, ძველი და საერთაშორისო პრაქტიკის კანონმდებლობის კვლევას. კვლევის მიზანია, შევადაროთ და გავანალიზოთ მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოვარკვიოთ ხარვეზები, მნიშვნელოვანი პრობლემები და წარმოვადგინოთ რეკომენდაციები.

ვინაიდან, სასამართლო ექსპერტიზის საწყისები მოდის სისხლის სამართლიდან, სწორედ ამიტომ, კვლევა დავიწყეთ მოქმედი და მისი წინამორბედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის მდგომარეობით) შედარებით.

მათი შედარება ცხადყოფს, რომ საექსპერტო საქმიანობის რეგულაციის კუთხით, ეს უკანასკნელი მეტად დახვეწილია. მასში უფრო დანერგულია და სწორად არის რეგულირებული სასამართლო ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები, რაც უფრო კომპეტენტურს ხდის ექსპერტის დასკვნას, როგორც მტკიცებულებას. ჩვენდა სამწუხაროდ კანონმდებელი მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაუდევრად აფასებს სასამართლო ექსპერტიზის საკითხებს, რაც დაუშვებელია სასამართლო ექსპერტიზის დაკვნის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

თავისი მნიშვნელობით ექსპერტის დასკვნას მტკიცებულებითი ბუნება გააჩნია და მისი დანიშნულება სამართალწარმოებაში მტკიცებულებად გამოყენებაა, ამიტომ მისი შედგენის და კვლევის პროცესი უნდა იყოს მკაცრად რეგლამინტირებული საკანონმდებლო ნორმებით. არსებულ პრაქტიკაში კი სასამართლო ექსპერტიზას-

ბ. როსტიაშვილი, დ. სომარიანი, ვ. ბოლქვაძე

თან დაკავშირებული საკითხები არასრულად წესრიგდება. ზოგიერთ შემთხვევაში კი, რომელიმე ნორმა გვაძლევს ქმედების განხორციელების რეგლამენტაციას, ქმედების განმახორციელებელი სუბიექტის მითითებით და არ გვაძლევს სუბიექტის საკანონმდებლო განმარტებას.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, არ არსებობს ერთიანი საექსპერტო საკანონმდებლო სისტემა, რომლის საფუძველზეც დარეგულირდება სასამართლო საექსპერტო მოქმედებები მათი განხორციელების პროცესში. კერძოდ: არ არსებობს საექსპერტო დაწესებულების დეფინიცია, არ არის განსაზღვრული მისი ფუნქციები, საქმიანობა, იურიდიული სტატუსი და სხვა, ასევე დაურეგულირებელია მეთოდები და მეთოდიკები, რაზე დაყრდნობითაც ხდება სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება, არ არის განსაზღვრული და რეგულირებული ექსპერტის ლიცენზირების საკითხი. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ისიც რომ, ზუსტად არ არის ჩამოყალიბებული და განსაზღვრული სასამართლო ექსპერტის ცნება, რადგან სხვადასხვა იურიდიული ნორმა იძლევა ექსპერტის სხვადასხვაგვარ განმარტებას და სხვა.

საქართველოს მოქმედი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 21-ე ნაწილი, ექსპერტს განმარტავს შემდეგნაირად: „ექსპერტი – სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში“.

საქართველოს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილი კი, ასე განმარტავს: „ექსპერტი – ორგანო (თანამდებობის პირი), რომლის წარ-

მოებაში იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ექსპერტს მოიწვევს იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სპეციალური ცოდნა. თუ ექსპერტი მოიწვევა შესაბამისი დაწესებულებიდან, მაშინ დაწესებულების ხელმძღვანელი გასცემს განკარგულებას იმის თაობაზე, თუ ამ დაწესებულების თანამშრომელთაგან რომელი უნდა გაიგზავნოს ექსპერტად, რასაც აცნობებს იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომლის წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი კი იძლევა ექსპერტის შემდეგ რეგლამენტაციას: „საზოგადოებრივ ექსპერტად ჩაითვლება: ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო (საექსპერტო) ორგანოები. ექსპერტად ჩაითვლება აგრეთვე საზოგადოებრივი საექსპერტო დაწესებულების წევრი“.

როგორც, ზემოთ აღვნიშნეთ, საკანონმდებლო სივრცეში არსებობს სპეციალური ნორმები ცალკეული ექსპერტიზებისთვის. ასეთია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №245/6 ბრძანება, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესების შესახებ, სადაც სასამართლო სამედიცინო ექსპერტი განმარტებულია შემდეგნაირად: „სასამართლო სამედიცინო ექსპერტი შეიძლება იყოს უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და შესაბამისი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის („სასამართლო მედიცინაში“) მქონე პირი“.

ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №142/6 ბრძანება არეგულირებს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის

ჩატარების წესს და ამავე ბრძნების მე-10 პუნქტი ექსპერტ-ფსიქიატრის განმარტებას გვაძლევს შემდეგნაირად: „ექსპერტი-ფსიქიატრი შეიძლება იყოს:

- ა) ექიმ-ფსიქიატრი, რომელიც მუშაობს ექსპერტიზის ჩამტარებელ დაწესებულებაში;
- ბ) ექიმ-ფსიქიატრი, რომელიც აწარმოებს კონკრეტულ სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანოს (მხარის) პერსონალური დავალებით“.

პრობლემაა სამოქალაქო სამართლებრივ სივრცეშიც. არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ გვაძლევს ექსპერტის დეფინიციას, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს ექსპერტიზის ჩატარების წესს და პროცედურებს საექსპერტო და არასაექსპერტო დაწესებულებებში.

კვლევა ცხადყოფს, რომ სახეზე გვაქვს სამართლის ნორმათა კოლიზია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში რიგი ნორმები ცდება საკუთარ კომპეტენციას და არეგულირებს ისეთ საკითხებს, რომლებიც არ განეკუთვნება მისი რეგულირების სფეროს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლი „ექსპერტიზის ჩატარების ადგილი“ და 170-ე მუხლი „ექსპერტის დასკვნა და შინაარსი“ სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს ექსპერტს, თუ სად და როგორ განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. ეს, კი ზღუდავს, როგორც ექსპერტის უფლება მოვალეობებს, ასევე მის საქმიანობას.

იგივე შეიძლება ითქვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146 მუხლის შინაარსზეც – „1. საჭირო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ ექსპერტი იძლევა დასკვნას. წერილობით დასკვნას იგი ადასტურებს ხელმოწერით.

2. ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და

სამეცნიერო წოდება, სამუშაო ადგილი და თანამდებობა), ის, რომ ექსპერტი გააფრთხილეს განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ვინ ესწრებოდა მას, რა მასალები გამოიყენა, რა საგანი, დოკუმენტი, ნიმუში ან სხვა ობიექტი გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩაატარა და რა მეთოდები გამოიყენა ექსპერტმა, დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე, ექსპერტის ინიციატივით დადგენილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებანი.

3. ექსპერტის დასკვნას უნდა დაერთოს გამოკვლევის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ნივთები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები და სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებს ექსპერტის დასკვნას“.

განხილული ნორმები ცხდყოფს, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადგილი აქვს ნორმატიული აქტების კომპეტენციათა გადამეტებას. ეს, იგივე იქნებოდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დარეგულირებული იყოს თარჯიმნის საქმიანობა (რა მეთოდები და/ან რა საშუალებები გამოიყენოს მან, მისი საქმიანობის განხორციელების პროცესში) ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დარეგულირებული იყოს გამომძიებლის ან სხვა სისხლის სამართლის საპროცესო სუბიექტის უფლება მოვალეობები და ა.შ. ყველა დაგვეთანხმება, რომ სამართლებრივად ეს არ იქნებოდა სწორი, რადგან აღნიშნული საკითხების სხვადასხვა კანონებით რეგულირება (გარდა საექსპერტო კანონმდებლობისა) წარმოადგენს ექსპერტის პროფესიულ საქმიანობაში პირდაპირ ჩარევას, რომელიც საფრთხეს უქმნის ექსპერტიზის კომპეტენტურად ჩატარებას.

კანონთა ასეთი ლაფსუსები გაუგებარს ხდის, საექსპერტო მოქმედებათა სწორად გაგების და განხორციელების შესაძლებლობას. ამაზე მიუთითებს არსებული პრაქტიკაც, რადგან კანონი ბუნდოვანია და არ არსებობს სისტემაში მოყვანილი

ბ. როსტიაშვილი, დ. სოჰრაიანი, ვ. ბოლქვაძე

საექსპერტო საკითხების სპეციალური, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, კერძო სამართლის პრინციპის გათვალისწინებით: „რაც აკრძალული არ არის, ის დაშვებულია“¹ სრულიად კანონიერია, როცა ნებისმიერ პირს (ფიზიკურ თუ იურიდიულს) აქვს ექსპერტიზის წარმოების უფლება. ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს სურვილი საექსპერტო დანესებულების დაფუძნების ან ექსპერტად მუშაობის, სრული და კანონიერი უფლება აქვს, განახორციელოს აღნიშნული საქმიანობა, რადგან არ არის კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო და/ან სალიცენზიო პირობები, როგორც ექსპერტისთვის, ასევე საექსპერტო დანესებულებისთვის და სხვა. ეს, კი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ექსპერტის კვალიფიციურობას და ექსპერტის დასკვნის ობიექტურობას.

აღნიშნული, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სასამართლო ექსპერტიზის სფეროში საკანონმდებლო სისტემა მოუნესრიგებელია.

კვლევა ცალსახად გვაჩვენებს, რომ სასამართლო ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები ქაოტურად და უნესრიგოდ არის განაწილებული სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში და ამ მოქმედებებს სამართლის სხვადასხვა სფერო არეგულირებს, რაც მოუქნელს ხდის სასამართლო ექსპერტიზის პრაქტიკულ განხორციელებას და საკანონმდებლო სისტემის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

გამოვლენილი პრობლემები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ კანონმდებლის მიდგომა სასამართლო ექსპერტიზის საკითხებთან დაკავშირებით ინდივიდუალურია და არ განიხილავს მას, როგორც ერთიან, განყენებულ და დამოუკიდებელ სისტემას.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მსოფლიოში აპრობირებულია სასამართლო ექსპერტიზის რეგულაციითა სისტემები, რომლებიც მიღებულია ცალკეული კანონების

ნების სახით (კანონი სასამართლო ექსპერტიზის საქმიანობის შესახებ). თუმცა საერთაშორისო პრაქტიკა სასამართლო ექსპერტიზის საკანონმდებლო საკითხებზე საკმაოდ განსხვავებულია, იმდენად რამდენადაც განსხვავებულია ხედავს სასამართლო ექსპერტიზის მიმართ.

სასამართლო ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები კარგად არის რეგულირებული ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთი რესპუბლიკის კანონმდებლობით, კერძოდ: რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის და სხვა კანონმდებლობით², სადაც არსებობს კანონი „სასამართლო ექსპერტიზის საქმიანობის შესახებ“. ამ კანონებით რეგულირდება სასამართლო ექსპერტიზის საკითხები, რომლებიც ეხება უშუალოდ სასამართლო ექსპერტიზის საქმიანობას, კერძოდ: ექსპერტის კომპეტენციას, ლიცენზირებას, უფლება მოვალეობებს და სხვა.

რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებას, აქაც გვხვდება კანონთან გათანაბრებული, ერთიან სისტემაში მოყვანილი დოკუმენტები, რომლებიც, ასევე ახდენენ ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას და განსაზღვრავენ მათი ჩატარებისთვის საჭირო პროცესუალურ საკითხებს. მაგალითად: დიდი ბრიტანეთი³.

მნიშვნელოვანია სასამართლო საექსპერტო საქმიანობა განვიხილოთ, როგორც განყენებული, დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი მიზნები და ამოცანები. მიგვაჩნია, რომ საჭიროა სასამართლო ექსპერტიზის საპროცესო ნორმათა სისტემატიზაცია, სპეციალური ნორმატიული აქტის შექმნა „სასამართლო ექსპერტიზის შესახებ“, რომელიც გააერთიანებს სასამართლო ექსპერტიზის საკითხებს, სადაც ყველა საკითხი შეესაბამება სასამართლო ექსპერტიზის მიზნებს და ამოცანებს, რომელიც მოგვცემს ზუსტ

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე 2007წ. № ბს-919-878(კ-06) 24 აპრილი, 2007 წ., გვ. 12.

2 Федеральный закон от 31 мая 2001 г. N 73-ФЗ «О государственной судебно-экспертной деятельности в Российской Федерации. ЗАКОН УКРАИНЫ. О судебной экспертизе от 25 февраля 1994 года №4038-XII. ЗАКОН РЕСПУБЛИКИ КАЗАХСТАН. О судебно-экспертной деятельности в Республике Казахстан от 20 января 2010 года № 240-IV.

3 Codes of Practice and Conduct. Version 2.0. August 2014.

დეფინიციებს, სასამართლო ექსპერტიზის სხვადასხვა საკითხებზე, ისევე როგორც ეს რეგულირებულია მსოფლიოს რიგ ქვეყნებში. ცხადია სპეციალური კანონი იქნება მეტად მოქნილი, მოგვცემს საშუალებას უფრო დეტალურად დარეგულირდეს სასამართლო ექსპერტიზის საკითხები და გამარტივდეს პრაქტიკა.

თუმცა, როგორც საქართველოში, ისე-ვე ბევრ სხვა ქვეყანაშიც, სასამართლო ექსპერტიზის საკანონმდებლო რეგულაციები,

არ არის სისტემატიზირებული და არ არის მოცემული ერთიანი საკანონმდებლო ნორმატიული აქტის სახით, რის გამოც სამართალწარმოებაში წარმოიშვება მთელი რიგი პრობლემები.

როგორც ნაშრომიდან ჩნას, ჩვენს მიერ მოკვლეულ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა, სადაც აღნიშნული პრობლემები, გადანყვეტილია იმ მოდელის მსგავსად, რომელიც ჩვენს მიერ არის შეთავაზებული.

ბ. როსტიაშვილი, დ. სოჰრაიანი, ვ. ბოლქვაძე

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (15/12/1984). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216>
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (14/11/1997). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (09/10/2009). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 1998 წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31882>
5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (25/06/1999). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე №ბს-919-878(კ-06) 24 აპრილი, 2007 წ. ქ.თბილისი. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/admin2007-9.pdf>
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №245/6 (21/08/2007). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/72610>
8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №142/6. 19/06/2008 . <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/78214>
9. Codes of Practice and Conduct. Version 2.0. August 2014. https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/351197/The_FSR_Codes_of_Practice_and_Conduct_-_v2_August_2014.pdf
10. Закон Республики Казахстан от 20 января 2010 года № 240-IV «О судебно-экспертной деятельности в Республике Казахстан». http://online.zakon.kz/Document/?doc_id=30560032
11. Федеральный закон от 31 мая 2001 г. N 73-ФЗ „О государственной судебно-экспертной деятельности в Российской Федерации“. <http://rg.ru/2001/06/05/sudeks-dok.html>
12. Законов Украины. О судебной экспертизе от 25 февраля 1994 года №4038-XII. http://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=12090

LEGISLATIVE PROBLEM OF FORENSIC EXAMINATION

Guram Rostiashvili

*Associate Professor, Member of the Dissertation Board of Grigol Robakidze University
Executive Director, Board Member of the Georgian Academy of Forensic Sciences*

Davit Khomeriki

*President, Boarding Member of the Georgian Academy of Forensic Sciences
Main Forensic Expert of Forensic Criminalistic Department of the Ministry of Internal Affairs*

Vano Bolqvadze

*Boarding Member of the Georgian Academy of Forensic Sciences
Main Forensic Expert of Forensic Criminalistic Department of the Ministry of Internal Affairs*

KEY WORDS: Litigation, Regulation, Systematization

RESUME

In the given paper the research of legislative regulations of forensics is presented. As the problem is rather difficult and complex, we have singled out that range of problems which is the main backbone of the forensic system.

The research has showed that regulation of issues related to forensics is accomplished on the basis of regulatory legal acts and different legal norms.

As a result of fundamental study and research of the issue, there was revealed a systemic problem of legal regulations in the field of forensics that requires taking necessary measures and

complex processing of the issue. That is why we consider that in the legislative sphere of Georgia there should be one more normative act „on forensics“ which will regulate such important issues related to forensics.

The abovementioned legal acts may regulate such important issues which are very vague at present time, and are scattered in different normative acts or which are not regulated legally at all. The following issues can be regulated and determined by the law: forensic organization, the form of forensic or-

ganization, the sphere of activities of the forensic organization, structure, function, rights and obligations of the forensic organization, forensic activities and their principles, forensic methods, expert, licensing of an expert, the rule of appointing an expert, an expert's rights and obligations, the rule of making an expert's conclusion, the form of an expert's conclusion, expert's legal defense and other significant issues which are necessary to effectively carry out forensic activities.

NOTES:

1. The decision of the Supreme Court of Georgia in affairs administrative and in other categories cases. 2007. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/admin2007-9.pdf> (In Georgian)
2. Federal law of 31 May 2001. N 73-FZ „On State Forensic Expertise Activities in The Russian Federation“. <http://rg.ru/2001/06/05/sudeks-dok.html> (In Russian). Laws of Ukraine on Forensic Expertise of February 25, 1994 №4038-XII“. http://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=12090 (In Russian). The Law of the Republic Of Kazakhstan on Forensic Expertise Activities in the Kazakhstan Federation of January 20, 2010. № 240-IV“. http://online.zakon.kz/Document/?doc_id=30560032 (In Russian)
3. Codes of Practice and Conduct. Version 2.0. August 2014. https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/351197/The_FSR_Codes_of_Practice_and_Conduct_-_v2_August_2014.pdf (In English)

BIBLIOGRAPHY:

1. Code on administrative offences of Georgia. (15/12/1984). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216> (In Georgian)
2. Civil Procedural code of Georgia. (14/11/1997). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962> (In Georgian) Procedural criminal code of Georgia. 2009. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> (In Georgian)
3. Procedural criminal code of Georgia. 1998. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31882> (In Georgian)
4. General administrative code of Georgia. (25/06/1999). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270> (In Georgian)
5. The decision of the Supreme Court of Georgia in affairs administrative and in other categories cases. №BS-919-878(K-06) 24 April 2007. Tbilisi. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/admin2007-9.pdf> (In Georgian)
6. The Order №245/N of Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia (21/08/2007).
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/72610> (In Georgian)
8. The Order №142/N of Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia

- gia (19/06/2008). <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/78214> (In Georgian)
9. Codes of Practice and Conduct. Version 2.0. August 2014. https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/351197/The_FSR_Codes_of_Practice_and_Conduct_-_v2_August_2014.pdf (In English)
 10. The Law of the Republic of Kazakhstan on Forensic Expertise Activities in the Kazakhstan Federation of January 20, 2010. №240-IV“. http://online.zakon.kz/Document/?doc_id=30560032 (In Russian)
 11. Federal law of 31 May 2001. N 73-FZ „On State Forensic Expertise Activities in The Russian Federation“. <http://rg.ru/2001/06/05/sudeks-dok.html> (In Russian)
 12. Laws of Ukraine. „On Forensic Expertise of February 25, 1994 № 4038-XII“ http://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=12090 (In Russian)

დირექტორის დამოუკიდებლობის ფარგლები სააქციო საზოგადოებაში

დავით დოლიძე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი.
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
მონვეული სპეციალისტი

საკვანძო სიტყვები: ხელმძღვანელობა, პასუხისმგებლობა,
ეფექტურობა

დირექტორის გადაწყვეტილების შეზღუდვის ფარგლები

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმად სააქციო საზოგადოების დირექტორებს (გამგეობის წევრებს) და საწარმოს აქციონერთა შორის ურთიერთობების მიმართ ე.წ. „პრინციპალი-აგენტის“ თეორია (principal-agent theory) მოქმედებს.¹ ამ დროს საზოგადოების დირექტორები წარმოადგენენ ამავე ორგანიზაციის აქციონერთა (პრინციპალთა) აგენტებს, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ბიზნესის მართვას აქციონერთა სახელით ახორციელებენ.² ანუ, ხელმძღვანელები განიხილებიან, როგორც აგენტები, ხოლო აქციონერები კი მათი პრინციპალები, როგორც ფირმის მფლობელები.³

1 Eulerich M., Velte P., Van Uum C., 2014. The impact of management board diversity on corporate performance – an empirical analysis for the German two-tier system. Problems and Perspectives in Management, Volume 12, Issue 1, P. 26.
2 Eulerich M., Velte P., Van Uum C., 2014. The impact of management board diversity on corporate performance – an empirical analysis for the German two-tier system. Problems and Perspectives in Management, Volume 12, Issue 1, P. 26.
3 Baums Th., Birkenkaemper A., 1998. Corporate Governance in Germany – System and Current

როგორც წესი, მიუხედავად იმისა, თუ ვისი წარმომადგენელია იგი, დირექტორატს, გამგეობას, საზოგადოების საკუთარი პასუხისმგებლობით მართვა უნდა აიძულებდეს, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებით იმოქმედოს. ანუ, საკუთარი პასუხისმგებლობით საქმიანობის გაძლიერება ნიშნავს, რომ გამგეობა არ არის დამოკიდებული საზოგადოების სხვა ორგანოების, მათ შორის აქციონერების მითითებებზე.⁴ ამ მხრივ გერმანული სააქციო სამართალი ევროპული მონესრიგების მსგავსია. კერძოდ, დირექტორი ასევე საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე ხელმძღვანელობს სააქციო საზოგადოებას „ევროპის სააქციო საზოგადოების შესახებ სტატუტის“ მიხედვითაც.⁵ გერმანულ კომენტატორულ ლიტერატურაში „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ გერმანიის კანონის §76 განმარტებისას აღნიშნავენ, რომ მიუხედავად საზოგადოებაში საკუთარი მდგომარეობისა, არც სამეთვალყურეო საბჭოს და არც აქციონერთა საერთო კრებას არა აქვს უფლება, მითითებები მისცეს გამგეობას იმ საკითხებში, რომლებიც ხელმძღვანელობით საქმიანობას განეკუთვნება.⁶ საკუთარი პასუხისმგებლობით საზოგადოების მართვა სწორედ ის ამოსავალი წერტილია, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს გამგეობის წევრთათვის თავისუფლების სათანადო გარანტიებს. ანუ, გამგეობის წევრისთვის, რომელიც საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში წარმართავს საზოგადოების ხელმძღვანელობას, ამ საქმიანობის ავტონომიურად, სრულიად თავისუფლად და დამოუკიდებლად წარმართვის ფარგლებიც უნდა იყოს უზ-

რუნველყოფილი, რათა ქმედების მასშტაბი შესაბამისობაში მოვიდეს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების ფარგლებთან.⁷ გამგეობის მხრიდან საზოგადოების საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე დამოუკიდებლად ხელმძღვანელობის პრინციპი ასევე აღიარებულია გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსით.⁸ როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში, როგორც ორსაფეხურიანი კორპორაციული მართვის მიმდევარ სისტემაში აქციონერთა მხრიდან საწარმოს მართვა-გამგეობას, ხოლო კონტროლი კი სამეთვალყურეო საბჭოს გადაეცემა,⁹ აქ სააქციო სამართალი მაქსიმალურად ცდილობს, უზრუნველყოს გამგეობის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ გამგეობის უფლება, იმოქმედოს დამოუკიდებლად, ასევე აკისრებს მას ვალდებულებას, რომ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა განახორციელოს კეთილსინდისიერად.¹⁰ გამგეობის წევრთა კეთილსინდისიერების ვალდებულება ძირითადად განისაზღვრება მათი ურთიერთობით სააქციო საზოგადოებასთან და არა მათი ურთიერთობით აქციონერებთან ან მესამე პირებთან.¹¹ გერმანული გამგეობის კეთილსინდისიერების მასშტაბი საკმაოდ ფართოა. იგი მოიცავს როგორც გამგეობის წევრთაგან მათზე დაკისრებული ამოცანების სათანადოდ შესრულების

Developments. J.W. Goethe University, Frankfurt/Main, European Corporate Governance Institute (ECGI), P. 6.

4 ჭანტურია ლ., 2006. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. გამომცემლობა სამართალი, თბილისი გვ. 127.

5 Council Regulation (EC) No 2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European company (SE), TITLE III, Section I, Article 39.(1). <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32001R2157>

6 Hüffer U., 2004. Aktiengesetz. Verlag "C.H. BECK", München S.442.

7 ბურდული ი., 2013. სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II. გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი გვ. 357.

8 German Corporate Governance Code (amended and changes), Berlin, 2015. 4.1.1. <http://www.dcgk.de/en/code.html>

9 ჰოპტი კ., 2009. კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და რბილი სამართალი. სამართლის ჟურნალი, #1, გვ. 232.

10 Aktiengesetz Deutschland (geändert und veränderungen), Berlin, 1965. §93(1). <http://www.gesetze-im-internet.de/aktg/>

11 კორტი მ., 2003. სააქციო საზოგადოების გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება. კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით (II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში). გამომცემლობა: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, თბილისი გვ. 279.

ვალდებულებას, ასევე აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრისას სხვადასხვა ინტერესის გათვალისწინების მოვალეობას. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ საზოგადოების, აქციონერთა და თანამშრომელთა ინტერესეთა პარალელურად გამგეობას მართვისა და ხელმძღვანელობის დროს მოეთხოვება აგრეთვე საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება.¹²

ამდენად, როგორც ვხედავთ, გერმანული დოქტრინის მიხედვით, სააქციო საზოგადოების ორგანოთა არც ერთ შტოს, მათ შორის არც აქციონერებს, არა აქვთ უფლება, პირდაპირ ჩაერიონ გამგეობის საქმიანობაში და მიუთითონ მათ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების შესახებ ე.წ. „პრინციპალ-აგენტის“ თეორიის მიუხედავად კი.* თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ აქციონერებს არავითარი ინტერესი არ უნდა გააჩნდეთ გამგეობის საქმიანობასთან დაკავშირებით. როგორც „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ გერმანიის კანონი, ისე გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი ავალდებულებს გამგეობას, ხელმძღვანელობითი საქმიანობისას სხვა ინტერესებთან ერთად ასევე გაითვალისწინ-

ონ საზოგადოების აქციონერთა ინტერესები. ამდენად, აქციონერებს ისლა დარჩენიათ, რომ მიენდონ გამგეობის კეთილსინდისიერებას და აღიჭურვონ რწმენით, რომ გამგეობა საკუთარ საქმიანობას მათთვის და საზოგადოებისათვის კეთილდღეობის მიღების მიზნით განახორციელებს. მით უმეტეს, აღსანიშნავია ისიც, რომ აქციონერები საერთო კრების მეშვეობით თავად განსაზღვრავენ საწარმოს ძირითად პოლიტიკას,¹³ გამგეობის წევრებს კი ამ პროცესში მხოლოდ აღმასრულებლის ადგილი უკავიათ.

სააქციო საზოგადოების მართვისას დირექტორს (დირექტორატს) შესაძლოა დაეკისროს სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება. ამ დროს ეჭვს არ იწვევს ის, რომ დირექტორის აღნიშნული მოვალეობა სრულად გამომდინარეობს მისი, როგორც საზოგადოების წარმომადგენლის, ფუნქციიდან. თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია თუ არა ითქვას, რომ დირექტორები ყოველთვის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებით როდი ხელმძღვანელობენ? ანუ, რამდენად მართებულა ვისაუბროთ დირექტორზე, როგორც მხოლოდ ერთგვარი გამტარი რგოლის როლის მქონე სუბიექტზე საზოგადოებაში, რომელიც აქციონერთა ხელთ არსებული ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც ისინი საკუთარი იდეების რეალიზაციას ახდენენ?

აღნიშნული საკითხები რომ რეალობად იქცეს, მაშინ დირექტორატი, როგორც ცალკე მდგომარეობის ორგანო, საერთოდ მნიშვნელობას დაკარგავს და ის უბრალოდ მარიონეტულ განმტოებად ჩამოყალიბდება, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების შიგნით ორგანოთა შორის ხელისუფლების დანაწილების აღრევას გამოიწვევს და უთუოდ ნეგატიურ ზეგავლენას იქონიებს კორპორაციული მართვის ეფექტურობაზე. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ,

12 კორტი მ., 2003. სააქციო საზოგადოების გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება. კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით (II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში). გამომცემლობა: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, თბილისი გვ. 283.

* გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში პრინციპალ-აგენტის თეორიის საფუძველზე მენეჯერებსა და აქციონერებს შორის ურთიერთობათა შინაარსის დადგენა საკმაოდ პრობლემატურ საკითხად მიიჩნევა. პრინციპალსა და აგენტს შორის კომპეტენციათა გამიჯვნისას ხშირად წარმოიშობა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: ინტერესთა კონფლიქტები, ე.წ. „პოზიციონალური კონფლიქტები“, რა დროსაც მენეჯერები სხვადასხვა ბარიერის დაწესებით პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიან მათი საქმიანობის გაკონტროლებას. იხ. Hopt K.J., 2011. Comparative Corporate Governance: The State of The Art and International Regulation. Law Working Paper #170, P. 1-5. იხ. აგრეთვე Baums Th., Birkenkaemper A., 1998. Corporate Governance in Germany – System and Current Developments. J.W. Goethe University, Frankfurt/Main, European Corporate Governance Institute (ECGI), P. 6-7

13 Aktiengesetz Deutschland (geändert und veränderungen), Berlin, 1965. §119. <http://www.gesetze-im-internet.de/aktg/>

რომ დირექტორატი სააქციო საზოგადოების ავტონომიური და დამოუკიდებელი ორგანოა.¹⁴ სწორედ დირექტორები ასრულებენ ყველაზე მნიშვნელოვან როლს სააქციო საზოგადოების პრაქტიკულ საქმიანობაში. ფაქტობრივად, მათგან დამოუკიდებელი სს-ის ავკარგიანობა, მისი რენტაბელობა და კონკურენტუნარიანობა.¹⁵

განსხვავებით „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ გერმანიის კანონისაგან, რომელშიც საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე საზოგადოების ხელმძღვანელობაა მიზნული გამგეობის წევრთა ფუნქციონალური ავტონომიის საფუძველად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში არ გვხვდება გერმანული სააქციო კანონის მსგავსი ჩანაწერი. თუმცა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ: „უნდა ვივარაუდოთ, რომ მართვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, მით უმეტეს სს-ში, დირექტორატი სწორედ საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში მართავს საწარმოს“...¹⁶ აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ, მართლაც, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა საქართველოშიც დირექტორატის ფუნქციაა და დაუშვებელი უნდა იყოს მასში სამეთვალყურეო საბჭოსა თუ აქციონერთა კრების ჩარევა. მოქმედებს რა საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე, დირექტორი (დირექტორატი) არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ აქციონერთა საერთო კრების მიერ მიცემული დავალებების შესრულებით. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობითი საქმიანობის სათანადოდ განხორციელებისათვის დირექტორებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების ავტონომიურად დასახვის, ობიექტურად შეფასებისა და

მათი გადაჭრისათვის საზოგადოების საუკეთესო მიზნებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების სრული ლეგიტიმური შესაძლებლობა უნდა გააჩნდეთ. ამდენად, აუცილებელია, მსგავსად გერმანული კორპორაციული სამართლისა, ქართული მოდელიც მაქსიმალურად შეეცადოს მინიმუმამდე დაიყვანოს დირექტორის ხელმძღვანელობით საქმიანობაზე საზოგადოების მართვის სხვა ორგანოთა მხრიდან არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის საშიშროება.*

გერმანული სააქციო კანონის მსგავსად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტით დირექტორს ეკისრება საზოგადოების კეთილსინდისიერად ხელმძღვანელობის მოვალეობა. საზოგადოების დაფუძნებისას დამფუძნებელი აქციონერები წესდებით განსაზღვრავენ საქმიანობის მიზანს, კერძოდ იმას, თუ რას უნდა ემსახურობდეს საზოგადოება და ის კაპიტალდაბანდება, რომლებიც დამფუძნებლებმა გაიღეს. ამიტომ დირექტორების უპირველესი მოვალეობაა, მთელი ძალისხმევა მოახმარონ საქმიანობის მიზნის მიღწევას.¹⁷ ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ საზოგადოების მართვისას დასახული მიზნის მისაღწევად დირექტორს აქვს ასევე უწევს სხვადასხვა ინტერესის მხედველობაში მიღება. შესაბამისად ისე, როგორც გერმანულ სააქციო სამართალში, საქართველოს რეალობაშიც დირექტორთა მიერ ხელმძღვანელობითი საქმიანობის

14 ჭანტურია ლ., ნინიძე თ., 2002. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი (მესამე გამოცემა). გამომცემლობა სამართალი, თბილისი გვ. 423.

15 ჭანტურია ლ., ნინიძე თ., 2002. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი (მესამე გამოცემა). გამომცემლობა სამართალი, თბილისი გვ. 423.

16 ბურდული ი., 2013. სააქციო სამართლის საფუძვლები ტომი II. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი გვ. 356.

* მართალია, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ არ უთითებს, რომ დირექტორი საზოგადოებას ხელმძღვანელობს საკუთარი პასუხისმგებლობით, თუმცა კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტში საუბარია დირექტორთა პასუხისმგებლობაზე, რომელიც მათ დაეკისრებათ მოვალეობათა სათანადოდ შეუსრულებლობის გამო.

17 ჭანტურია ლ., სააქციო საზოგადოების დირექტორის კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში. კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით (II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში). გამომცემლობა: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, თბილისი გვ. 327.

პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას სანარმოს აქციონერთა ინტერესები და საქმიანობა მათი და საზოგადოების ინტერესთა ურთიერთბალანსის საფუძველზე უნდა წარიმართოს. დირექტორთა მხრიდან აქციონერთა და საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებაზე მიუთითებს კომერციული ბანკების შესახებ ქართული კორპორაციული მართვის კოდექსიც, რომლის მიხედვითაც: „დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ფასეულობების, პოლიტიკისა და სტრატეგიის ფარგლებში, უნდა მოქმედებდეს ყველა აქციონერის, ბენეფიციარის, კრედიტორისა და უშუალოდ ბანკის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე“.¹⁸

ამდენად, უნდა ითქვას, რომ დირექტორის გადანყვეტილების შეზღუდვა პირდაპირ კავშირშია დირექტორის საქმიანობაში ჩარევასთან და აღნიშნული ჩარევის ნეგატიურ შედეგს წარმოადგენს. გერმანული კორპორაციული სამართლის დამოკიდებულება გამგეობის გადანყვეტილების შეზღუდვასთან უარყოფითია, გერმანული დოქტრინა გამგეობის წევრის საქმიანობაში ჩარევას არალეგიტიმურად მიიჩნევს. აღნიშნული თვალსაზრისით, მსგავსი მიდგომაა გაზიარებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც. თუმცა, საკითხის მეტი დამატარებლობისათვის აუცილებელია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა უფრო მეტად უზრუნველყოს სააქციო საზოგადოების დირექტორთა დამოუკიდებლობის არეალი.

დირექტორის პიროვნული უნარები

მიუხედავად იმისა, თუ დამოუკიდებლობის რა ხარისხით სარგებლობს სააქციო საზოგადოების დირექტორი, მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს გარკვეული პიროვნული უნარები, რომელთა გამოყენებითაც იგი შეძლებს მასზე და-

კისრებული ამოცანების სათანადოდ და ეფექტურად შესრულებას.

აღნიშნული უნარები „soft skills“ ანუ ე.წ. „რბილი უნარების“ სახელწოდებით არიან ცნობილნი და ისინი სოციალურ უნართა კატეგორიას განეკუთვნებიან.¹⁹ ეს ისეთი უნარებია, რომლებიც პირს აძლევს საშუალებას, ეფექტურად და ჰარმონიულად იურთიერთობოს სხვა ადამიანებთან.²⁰ შესაძლოა ითქვას, რომ „soft skills“ ინდივიდის ის პირადი უნარებია, რომელთა მეშვეობითაც განისაზღვრება მისი სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ხარისხი, კარიერული პერსპექტივები და სამუშაოს შესრულების ეფექტურობა.

ამდენად, დირექტორის პიროვნული უნარები ამავედროულად ისეთი სოციალური ხასიათის უნარებია, რომელთა გამოყენებითაც დირექტორები ეფექტურად ახორციელებენ დაგეგმვასთან, კოორდინაციასა და ორგანიზებასთან დაკავშირებულ საქმიანობას საზოგადოების შიგნით. ადვილად ერგებიან ორგანიზაციის მართვას.

მანამ, სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ დირექტორის პირადი უნარების განხილვაზე, საინტერესოა უნარის თვისებასთან მიმართების საკითხი. აღსანიშნავია, რომ უნარი ეს იგივე შესაძლებლობაა,²¹ მაშინ, როდესაც თვისება განიმარტება, როგორც ვისამე, რისამე დამახასიათებელი ნიშანი, თავისებურება.²² ანუ, ისეთი შესაძლებლობები, როგორებიცაა: კომუნიკაცია, ლიდერობა, მოსმენა და ა.შ. დირექტორის უნარებს უნდა მივაკუთვნოთ, განსხვავებით ისეთი კატეგორიებისაგან, როგორებიცაა: კეთილსინდისიერება, გულმოდგინება, ერთგულება, ეს უკანასკნელნი დირექტორთა თვისებებს წარმოადგენს და

19 <http://www.mental-skills.ru/synopses/6981.html>
 20 <http://www.oxforddictionaries.com/definition/english/soft-skills>
 21 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1986. გამომცემლობა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი გვ. 430.
 22 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1986. გამომცემლობა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი გვ. 430.

18 კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თბილისი, 2009. 4.(ბ)6.

მათ ჩვენ შემდგომ კვლევებში დავუთმობთ ყურადღებას.*

დირექტორის პიროვნულ უნართაგან შესაძლოა გამოვყოთ შემდეგი სახის ძირითადი უნარები:*

- ა) კომუნიკაცია – კომუნიკაციის უნარი უნდა მივიჩნიოთ ერთ-ერთ ძირითად უნარად, რომელიც აუცილებელია კომპანიის ეფექტური მართვისათვის. დირექტორებს უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა, საკუთარი აზრი ჩამოაყალიბონ თანამშრომლებთან, კოლეგებთან, კლიენტებთან აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე. ეფექტური კომუნიკაცია იძლევა ცოდნის გარანტიას, თუ ვინ რა საქმიანობის ეტაპზეა კომპანიაში და რა შეიძლება იყოს მოსალოდნელი მათგან.
- ბ) ლიდერობა – დირექტორი საკუთარი მმართველობითი ფუნქციის განხორციელებისას უნდა ამჟღავნებდეს ლიდერის უნარს, ანუ დირექტორებს აუცილებელია გააჩნდეთ ლიდერობის უნარები. მაშინ, როდესაც კომპანიის მართვა გულისხმობს ხელმძღვანელობასა და რესურსების კონტროლს, ლიდერობა ახდენს სხვა თანამშრომელთა მთავონებას კორპორაციის წარმატებებისაკენ მიმავალ გზაზე.
- გ) მოსმენა – დირექტორთა სხვა, ასევე მნიშვნელოვან უნარს წარმოადგენს მოსმენის შესაძლებლობა. მოსმენა დირექტორს საშუალებას აძლევს, დაადგინოს ორგანიზაციაში პრობლემური სფეროები, აამაღლოს კლიენტების მომსახურების დონე და შექმნას ერთობლივი სამუშაო

* იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ თვისებებს კორპორაციის ხელმძღვანელთა ვალდებულებათა ჭრილშიც განიხილავენ. იხ. ჭანტურია ლ., 2006. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. გამომცემლობა სამართალი, თბილისი გვ. 202, 302.

* დირექტორთა ჩამოთვლილი უნარების შესახებ იხ. შემდეგი რესურსები: <http://everydaylife.global-post.com/top-10-soft-skills-managers-15114.html>, ასევე <http://compasspartnership.co.uk/knowledge/leadership/5-skills-for-effective-directors/>

გარემო. მოსმენის კულტურის ქონა ასევე ანახვებს თანამშრომლებს, რომ დირექტორი აფასებს იმას, რაც მათ ეხებათ.

- დ) დელეგირება – ეფექტურად მოქმედ დირექტორებს ესმით, რომ მათ არ შეუძლიათ ყველა სამუშაოს თვითონ შესრულება. დელეგირების უნარის ქონა აუცილებელია ეფექტური გუნდის ჩამოსაყალიბებლად. დირექტორებმა უნდა იცოდნენ, როგორ დაავალონ ამოცანები შესაბამის, საჭირო პირებს და ასევე, როგორ განახორციელონ მათთან კომუნიკაცია იმის მოლოდინით, რომ დასახული მიზნები შესრულებული იქნება.
- ე) კრიტიკული აზროვნება – დირექტორთა დროის უდიდესი ნაწილი ეთმობა პრობლემათა გადაჭრას, ამიტომაც კრიტიკულად აზროვნების უნარი არის ერთ-ერთი ძირითადი უნარი, რომელიც დირექტორს უნდა გააჩნდეს. კრიტიკულად აზროვნება დირექტორს საშუალებას აძლევს, შეაფასოს და გააანალიზოს პრობლემები მათი დაძლევის ეფექტური გზების მოძებნის მიზნით.
- ვ) სტრატეგიული აზროვნება – დირექტორებმა უნდა შეძლონ და ისწავლონ სტრატეგიულ დონეზე აზროვნება. აღნიშნული მოითხოვს მათი მხრიდან ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის მიღმა ორგანიზაციასა და მის გარემოზე გრძელვადიანი და კონცეპტუალური შეხედულებების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. კომპანიის მმართველთა სტრატეგიული აზროვნება სტრატეგიულ ამოცანათა გადაჭრას და ამ მიზნით შესაბამისი პოტენციალის დაგროვებას უნდა ემსახურებოდეს. დირექტორთათვის ეს ყოველივე ადვილი არ არის, რამეთუ ისინი დღეისათვის აუცილებელი მოქმედების შესრულებაზე არიან ორიენტირებულნი, ხოლო ხვალინდელზე

- ფიქრს კი მისი დადგომის შემთხვევაში იწყებენ.
- ბ) **გარე ფაქტორების შეფასება** – დირექტორები ფართოდ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მათი ორგანიზაციის გარემო არსებული ცვალებადი სოციალური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური გარემოს შესახებ. ცვლილებები სოციალურ სფეროში, პოლიტიკურ სფეროში, სამთავრობო დონეზე, დირექტორთათვის მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს. მოვლენათა ასეთი განვითარება შესაძლოა მოითხოვდეს მოხერხებულ ცვლილებებს ორგანიზაციის საქმიანობის გზაზე. სწორედ ამიტომ აუცილებელია, დირექტორებმა მუდმივად აკონტროლონ გარე ტენდენციათა მაჩისცემა.
 - თ) **გადაწყვეტილებათა მიღება** – გადაწყვეტილების სწრაფად მიღების შესაძლებლობა დირექტორის წარმატებულობის გადამწყვეტი ფაქტორია. გადაწყვეტილების მიღების უნარი ძირითად როლს თამაშობს ისეთ შემთხვევებში, როგორებიცაა: თანამშრომლების აყვანა, მომწოდებლებთან მუშაობა, კომპანიის სტრატეგიის განხორციელება. სარგებლის, რისკებისა და გადაწყვეტილების შედეგების გააზრება შესაძლებელს ხდის დირექტორთა მხრიდან ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას.
 - ი) **დროის მენეჯმენტი** – დირექტორები ვალდებული არიან საკუთარი დრო გონივრულად გამოიყენონ. გარდა იმისა, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან საკუთარი ინდივიდუალური ვალდებულებების შესრულებაზე, ისინი ასევე აუცილებელია დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ სხვა თანამშრომლებიც სათანადოდ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს. პრიორიტეტების განსაზღვრისა და ვალდებულებათა

- განაწილების უნარი დაეხმარება დირექტორებს დროის ეფექტურად მართვაში.
 - კ) **დისციპლინის მენეჯმენტი** – სხვადასხვა სამუშაო გარემოში კონფლიქტები მაინც წარმოიშობა, მიუხედავად დირექტორთა მთელი ძალისხმევისა. კონფლიქტების ოპერატიულად აღმოფხვრის უნარი ამცირებს სამუშაო ადგილზე ნეგატიური ზეგავლენის მქონე პრობლემათა წარმოქმნის რისკებს. ორგანიზაციაში დისციპლინის არარსებობამ შესაძლოა შეამციროს მოტივაცია და წარმოების ხარისხი თანამშრომლებში.
 - ლ) **მოტივაცია** – როგორც წესი, მოტივირებული თანამშრომლები უფრო მაღალი პროდუქტიულობის ხარისხით გამოირჩევიან. თანამშრომელთა მოტივირება ითვლება სრულყოფილი, შეკრული გუნდის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად. მოტივაციის მიზნები დასაქმებულთა მიხედვით განსხვავებულია, ამიტომაც მნიშვნელოვანია, დირექტორებმა იცოდნენ თავიანთი თანამშრომლებისა და მათი პირადი მოტივაციის შესახებ.
- ასე წარმოგვიდგება საზოგადოების დირექტორის ძირითადი პიროვნული უნარები.* ზემოთ ჩამოთვლილი უნარები შესაძლოა მოცემული იყოს როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე საწარმოთა წესდებებსა და დირექტორებთან ინდივიდუალურად გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ დირექტორის მიერ აღნიშნული უნარების შექმნა არა სამუშაოს განხორციელებისას ხდებოდეს, არამედ მას ისინი თანამდებობაზე დანიშვნამდე უნდა გააჩნდეს. ანუ, ამ შემთხვევაში დირექტორთა

* რა თქმა უნდა, ჩამოთვლილი თვისებები ამომწურავი არ არის. თავად კომპანიის სპეციფიკიდან და მისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, მათი რაოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს.

მხრიდან უნარების „შეცდომებზე სწავლის“ საფუძველზე გამოიმუშავება საზოგადოებისათვის შესაძლებელია წამგებიანი აღმოჩნდეს. სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს ამ უნარების დახვეწა.

ასევე აღსანიშნავია, რომ განხილულ უნარებს სისტემური სახე აქვს. ანუ, მასში არსებული დირექტორის თითოეული უნარი დაკავშირებულია ერთმანეთთან. განვითარებული კორპორაციული მართვის სისტემები ცდილობენ პრაქტიკაში მაქსიმალურად დანერგონ ასეთი მოთხოვნები დირექტორთა მიმართ. შესაბამისად, აღნიშნული მიდგომის გაზიარება ქართული კორპორაციული მართვისთვისაც მომგებიანი იქნება. დირექტორთა მხრიდან მოცემული უნარების გამოვლენის შემთხვევაში საზოგადოების ხელმძღვანელობის ეფექტურობის ხარისხი ნამდვილად ამაღლდება.

ამდენად, საბოლოოდ დასკვნის სახით შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი. კერძოდ, პირველ რიგში, კარგი იქნება, თუ დირექტორის დამოუკიდებლობის საკითხებთან დაკავშირებით კორპორაციული მართვის ქართული მოდელი უფრო

მეტ კონკრეტიკას შემოგვთავაზებს. ამ მიზნით აუცილებელია, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ადგენდეს დირექტორის მხრიდან საზოგადოების საკუთარი, პერსონალური პასუხისმგებლობის საფუძველზე მართვის მოვალეობას. ასევე განსაზღვრავდეს, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ პასუხისმგებლობაში, რამეთუ სწორედ საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე საზოგადოების ხელმძღვანელობაა დირექტორთა ფუნქციონალური ავტონომიის უმნიშვნელოვანესი საფუძველი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ქართულ სააქციო საზოგადოებათა კორპორაციული მართვის პრაქტიკაში მაქსიმალურად იქნას გაზიარებული და დანერგილი სტატიაში განხილული დირექტორთა ის პიროვნული უნარები, რომელთა გამოყენებითაც იზრდება დირექტორის მიერ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის ხარისხი. აღნიშნული საკითხების სათანადოდ მოწესრიგების გზაზე განვითარებულ სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა (გერმანია, ევროკავშირი) მიდგომების მიზანმიმართული გაზიარება უთუოდ წაადგება ქართულ კორპორაციულ მართვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრეგვაძე ლ., ზოიძე ბ., ლილუაშვილი გ., ბურდული ი., ლაზარაშვილი ლ., ქირია გ. და ჭანტურია ლ., 2009. თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
2. ბურდული ი., 2010. სააქციო სამართლის საფუძველები, I ტომი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
3. მახარობლიშვილი გ., 2015. კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი.
4. ხარაიშვილი ა., კიკვაძე გ., ბაზლაძე თ., ჰოპტი ვ., 2015. საკორპორაციო სამართლის კრებული III. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

LIMITS OF DIRECTOR'S INDEPENDENCE IN A JOINT STOCK COMPANY

David Dolidze

*PhD student, Georgian American University (GAU),
Gori State Teaching University. Invited specialist*

KEY WORDS: Leadership, Responsibility, Effectiveness

RESUME

Using a comparative legal study based on the example of Georgian and German systems of corporate governance this article reviews the issues connected to the independence of directors. On the background of the study carried out in the article, we may conclude that Georgian corporate governance model faces some problems in this regard, meaning that here we do not meet legislative order, which normatively defines standards of independence of directors of joint stock company, adopts provisions needed for provision of independence in real situation. But these are the issues, which are necessary to be arranged in order to set an effective model of corporate governance. Thus, it is important to define the question how to limit decisions made by directors, meaning whether they shall be given free choice in the field of company management. For this purpose, Georgian law on Entrepreneurs should directly define the issues of personal liability of a director, as of company manager and based on this, should ensure guarantees of relevant independence. As well as for the effective management of joint stock companies it will be better to implement, as far as possible, requirement for personal skills of a director, by applying of which the director will be able to fulfill assigned tasks in an effective manner.

To resolve the abovementioned problems, it is important to share experience of foreign developed states (Germany) and international organizations (EU) in a well-planned and goal-seeking manner. This surely will positively impact on the Georgian corporate governance.

NOTES:

1. Eulerich M., Velte P., Van Uum C., 2014, The impact of management board diversity on corporate performance – an empirical analysis for the German two-tier system. Problems and Perspectives in Management, Volume 12, Issue 1, p. 26. (In English)
2. Eulerich M., Velte P., Van Uum C., 2014, The impact of management board diversity on corporate performance – an empirical analysis for the German two-tier system. Problems and Perspectives in Management, Volume 12, Issue 1, p. 26. (In English)
3. Baums Th., Birkenkaemper A., 1998, Corporate Governance in Germany – System and Current Developments. J.W. Goethe University, Frankfurt/Main, European Corporate Governance Institute (ECGI), p. 6. (In English)
4. Chanturia L., 2006, Corporate Governance and Liability of Directors in Corporation Law. Publisher Samartali, Tbilisi, p. 127. (In Georgian)
5. Council Regulation (EC) No 2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European company (SE), TITLE III, Section I, Article 39.(1). <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32001R2157> (In English)
6. Huffer U., 2004, German Stock Corporation Act, Publisher "C.H. BECK", Munich p. 442 (In German)
7. Burduli I., 2013, Foundations of Corporate Law II Volume. Publisher Meridiani, Tbilisi, p. 357. (In Georgian)
8. German Corporate Governance Code (including amendments and changes), Berlin, 2015, 4.1.1. <http://www.dcgk.de/en/code.html> (In English)
9. Hopt K., 2009, Corporate Governance in Europe: New Model of Regulation and "Soft Law". Journal of Law, #1, p. 232. (In Georgian)
10. German Stock Corporation Act (including amendments and changes), Berlin, 1965. §93(1). <http://www.gesetze-im-internet.de/aktg/> (In German)
11. Kort M., 2003, Liability of honesty of board of joint stock company: Liability and responsibility of honest management in joint stock company in Georgian and German law (II German-Georgian symposium in corporate law). Publisher German Technical Cooperation Agency, Tbilisi P. 279. (In Georgian)
12. Kort M., 2003. Liability of honesty of board of joint stock company; Liability and responsibility of honest management in joint stock company in Georgian and German law (II German-Georgian symposium in corporate law). Publisher German Technical Cooperation Agency, Tbilisi P. 283. (In Georgian)
13. German Stock Corporation Act (including amendments and changes), Berlin, 1965. §119. <http://www.gesetze-im-internet.de/aktg/> (In German)
14. Chanturia L., Ninidze T., 2002, Comments on Georgian law on Entrepreneurs (Third edition). Publisher Samartali, Tbilisi, p. 423. (In Georgian)
15. Chanturia L., Ninidze T., 2002, Comments on Georgian law on Entrepreneurs (Third edition). Publisher Samartali, Tbilisi, p. 423. (In Georgian)
16. Burduli I., 2013, Foundations of Corporate Law II Volume. Publisher Meridiani, Tbilisi, p. 356. (In Georgian)
17. Chanturia L., Liability of honest management by the company director in Georgian law; Liability and responsibility of honest management in joint stock company in Georgian and German law (In German-Georgian symposium in corporate law). Publisher German Technical Cooperation Agency, Tbilisi, p. 327. (In Georgian)
18. Corporate Governance Code for Commercial Banks, Tbilisi, 2009. 4. (B) 6. (In Georgian)
19. <http://www.mental-skills.ru/synopses/6981.html> (In English)

20. <http://www.oxforddictionaries.com/definition/english/soft-skills> (In English)
21. Georgian Explanatory Dictionary 1986. Publisher Georgian Soviet Encyclopedia, Publishing House. The main scientific edition, P. 430. (In Georgian)
22. Georgian Explanatory Dictionary 1986. Publisher Georgian Soviet Encyclopedia, Publishing House. The main scientific edition, P. 430. (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Bregvadze L., Zoidze B., Liluashvili G., Burduli I., Lazarashvili L., Kiria G. and Chanturia L., 2009, Theoretical and practical issues of the modern Corporate Law. Publisher Meridiani Tbilisi. (In Georgian)
2. Burduli I., 2010. Foundations of Corporate Law I Volume, Publisher Meridiani, Tbilisi. (In Georgian)
3. Makharoblishvili G., 2015. General Review of Corporate Governance, Publisher World of Lawyers, Tbilisi. (In Georgian)
4. Kharashvili A., Kikvadze G., Bazgadze T., Hopt K., 2015, Collection of corporate law III, Publisher Meridiani, Tbilisi. (In Georgian)

წამება როგორც დანაშაული და სასჯელი როგორც სახელმწიფოს ლეგიტიმური გეგმის მექანიზმი

(ინიცირებული პროექტის მიმოხილვა)

თამარ გვახალია

კავკასიის უნივერსიტეტი, კავკასიის სამართლის სკოლა,
მაგისტრი, საქართველოს გარემოსა და
ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო,
მთავარი სპეციალისტი, იურისტი

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო, ამსრულებელი,
ჰარმონიზაცია

ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, ცემისა და ძალადობის როგორც სისხლისსამართლებრივად ინკრიმინირებულ ქმედებათა რეგულირების ტრანსფორმირებას.

პროექტის ავტორთა ხედვით, ცვლილების ძირითადი მიზანია აღნიშნული მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულებრივ ქმედებად წამების (სსკ – 144¹), წამების მუქარის (სსკ-144²), დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის (სსკ

144³⁾ აღიარება 2005 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად განხორციელდა, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად ედო საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვალდებულება „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის 25 ნოემბრის კონვენციასთან.

სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლის დღეს მოქმედი რედაქციით, წამება განიხილება, როგორც პირისათვის ან მისი ახლო ნათესავისათვის, ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ, ან მორალურ ტანჯვას. ამასთან, კანონმდებელმა წამების დეფინიცია დაუქვემდებარა კონკრეტული მიზნებით მოქმედებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ზემოთ განხილული ქმედება უნდა ხორციელდებოდეს კონკრეტული მიზნების მისაღწევად იმისთვის, რომ მან შექმნას წამების შემადგენლობა. ნორმის დღეს მოქმედი რედაქციით შეგვიძლია გამოვყოთ წამების შემადგენლობისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე ძირითადი მიზანი, ესენია: ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასჯა მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი, ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის. მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ იმ აქტზე, რომ აღნიშნული ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქმედების განმახორციელებელი სუბიექტი ზუსტდება და ნორმის ობიექტური შემადგენლობის განმახორციელებლად გვევლინება სპეციალური სუბიექტი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის სახით. აღნიშნული სუბიექტების მიერ წამების განხორციელება არის ქმედების დამამძიებელი გარემოება. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ქმედებაზე სახელმწიფო რეაქცია უფრო მკაცრია, ვიდრე

ქმედების მარტივი შემადგენლობის დროს. რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება კანონმდებლის მიერ მისთვის შერჩეულ სასჯელის ზომაში.

მნიშვნელოვანია წამების ქართულ საკანონმდებლო სივრცეში დამკვიდრებული განსაზღვრება შევადაროთ „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1994 წლის 25 ნოემბრის კონვენციის დეფინიციას. ამისთვის აუცილებელია, გამოვყოთ წამების ძირითადი მახასიათებლები კონვენციის შესაბამისად.

1. წამება კონვენციის მიზნებისთვის ყოველთვის წარმოადგენს წინასწარ განზრახულ ქმედებას;
2. წამების კონვენციური დეფინიციით მასში მოიაზრება პირისთვის ძლიერი ფიზიკური და ზნეობრივი ტკივილის ან ტანჯვის მიყენება;
3. კონვენციის თანახმად, მიზნობრივად წამება ყოველთვის მიმართულია მსხვერპლისგან ან მესამე პირისგან ცნობების მიღების ან აღიარებისკენ, მსხვერპლის დასჯისკენ იმ ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია.
4. კონვენცია ყურადღებას ამახვილებს მსხვერპლის წამების დისკრიმინაციის საფუძველზე და, რაც მთავარია, კონვენციის მიზნებისთვის წამების შემადგენლობის განმახორციელებელი სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური (სახელმწიფო თანამდებობის ან სხვა ოფიციალური პირი). თუმცა ჩვეულებრივი სუბიექტი წამებაში შესაძლებელია მოგვევლინოს, როგორც თანამონაწილე.¹

როგორც ჩანს, ძირითადი სხვაობა წამების ქართულ რეგულირებასა და კონვენციის მოცემულ განსაზღვრებას შორის არის

1 იხ. „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1994 წლის 25 ნოემბრის კონვენციის პირველი მუხლი.

დანაშაულებრივი ქმედების ამსრულებელში – ქმედების სუბიექტში. სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლის პირველი ნაწილის ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი, 14 წლის ასაკს მიღწეული პირი, ე.ი. აქ სახეგვა საერთო სუბიექტი.² კონვენცია კი წამების ამსრულებლად მიიჩნევს მხოლოდ სპეციალურ სუბიექტს. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული სხვაობა ქმნის შიდა კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პრობლემას. საკანონმდებლო ცვლილების ძირითადი მიზანს, ცვლილების ინიციატორთა მიდგომით, წარმოადგენს კონვენციასთან სისხლის სამართლის ნორმების ჰარმონიზება და აღნიშნული ქმედების გამო სასჯელის გამკაცრება. შემოთავაზებული რედაქციის მიხედვით, წამების დისპოზიცია შემდეგნაირად გამოიყურება:

„წამება, ესე იგი პირისთვის ან მესამე პირისთვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ, ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებებისთვის, თუ წამება მიყენებულია საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, ან ოფიციალური სამსახურებრივი უფლებამოსილებით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი ნაქმეებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით...“

აღნიშნულ რეგულაციაში, გარდა იმისა, რომ წამების ამსრულებლად გვევლინება მხოლოდ სპეციალური სუბიექტი – მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის სახით და სხვა ნებისმიერი პირი შესაძლებელია იყოს მხოლოდ თანამონაწილე, ამ ქმედებაში ყურადსაღებია სასჯელის საკითხი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ცვლილების ერთ-ერთი მიზანია წამებაზე სასჯელის გამკაცრება. შემოთავაზებული ვერსიით წამებისთვის

(პირველი ნაწილი) გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან ათ წლამდე და ჯარიმა. ამ მხრივ ინიცირებულ ვერსიასა და წარმოდგენილ პროექტს შორის სხვაობა არ არსებობს, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციითაც, წამებისთვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა შვიდიდან ათ წლამდე და ჯარიმა. ნათელია, აღნიშნული რეგულაციით არა თუ მკაცრდება პასუხისმგებლობა წამებისთვის, არამედ, პირიქით, მსუბუქდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, დღეს მოქმედი რედაქციით, ნორმის პირველი ნაწილი ითვალისწინებს აღნიშნული ქმედების განხორციელებას საერთო სუბიექტის მიერ, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ წამების შემადგენლობის განხორციელება დამამძიმებელ გარემოებად არის მიჩნეული, რაც, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად მართებულია, ვინაიდან მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი იღებს მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, ვინაიდან საჯარო სამსახური საზოგადოების ინტერესებს ემსახურება და მისი საქმიანობა აისახება საზოგადოების ცხოვრების დონეზე. საჯარო სამსახურის თითოეული თანამშრომელი არის არა კერძო ინტერესის გამტარებელი, არამედ ერის, სახელმწიფოს მსახური და მისი პირადი ინტერესები სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას არის საჯარო ინტერესებით დაჩრდილული. სისხლის სამართლის კოდექსის მიერ კონკრეტული ქმედებების საჯარო მოხელეთა მიერ განხორციელება დამამძიმებელ გარემოებად შემთხვევით არ არის მიჩნეული. შესაბამისად, მარტივია კანონმდებლის ნების მიგნება წამების შემადგენლობაში. მან სპეციალური სუბიექტის მიერ წამების ჩადენა უკიდურესად გასაკაცხ ქმედებად მიიჩნია, რის გამოც გაამკაცრა პასუხისმგებლობის ზომებიც. სასჯელი, თავის მხრივ, წარმოადგენს პიროვნულ თავისუფლებაზე სახელმწიფოს რეაქციას, თავისუფლებაზე

² ლევკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., 2011. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 24.

მის „ლეგიტიმურ ზენოლას“, რომელიც მიმართულია საზოგადოების ინტერესების მიზანშეწონილი და ოპტიმალური დაკმაყოფილებისკენ. წამების დღეს მოქმედი დისპოზიცია, ისევე როგორც სანქციის ნაწილი, არათუ წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო მოთხოვნებთან, არამედ ადგენს წამებისგან პირთა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს სწორედ იმ კუთხით, რომ შესაძლებლად მიიჩნევა ქმედების განხორციელებას როგორც ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტის მიერ, ასევე საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ (როგორც დამამძიმებელი გარემოება).

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურდღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებაზე. თუ წამების ნორმის მოდიფიცირება ისე მოხდება, რომ ამსრულებელი სუბიექტი შესაძლებელია იყოს მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, რა ლეგიტიმური რეაქცია ექნება სახელმწიფოს, თუ აღნიშნული შემადგენლობა განხორციელდება საერთო სუბიექტის მიერ, დარჩება თუ არა ქმედება სისხლის სამართლებრივი რეგულირების მიღმა? იმ მიზნით, რომ საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი ქმედებისგან სახელმწიფო დაცვის მექანიზმი შენარჩუნდეს, აღნიშნული ცვლილებების პარალელურად იურიდიულ ლიტერატურაში აუცილებლად მიიჩნევენ სისხლის სამართლის კოდექსის 125-126-ე მუხლების გაერთიანებას. ამ ცვლილების ლოგიკურ გამართლებად მიჩნეულია ის გარემოება, რომ წამებისა და ძალადობის შემადგენლობა ისედაც თითქმის იდენტურია, რაც შეიცავს დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციის რისკს, რაც, თავის მხრივ, დაუშვებელია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ამასთან, 126-ე მუხლით გათვალისწინებული ძალადობისთვის სასჯელის სახე ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელებისთვის. აქვე

ავტორი სვამს კითხვას, თუ რა პრინციპული განსხვავებაა ამ ორ მუხლს შორის დღეს არსებული რედაქციით, როცა სასჯელთა ზომა ამდენად დიფერენცირებულია. აღნიშნული დისპოზიციების ანალიზის საფუძველზე სხვაობა მათ შორის არ ვლინდება.³

ზემოაღნიშნული დამოკიდებულების გასაბათილებლად მნიშვნელოვანია მოვახდინოთ 144-ე¹ მუხლისა და 126-ე მუხლების შედარებითი ანალიზი. სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის მიხედვით, ძალადობად მიიჩნევა სისტემური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი. ხოლო 144-ე¹ მუხლის მიხედვით, წამება გულისხმობს პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნას ან ისეთ მოპყრობას, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ, ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი, ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

მიგვაჩნია, რომ მოცემული დეფინიციებიდან არა თუ არ იკვეთება პრინციპული სხვაობა აღნიშნული ქმედებების შემადგენლობაში, არამედ მათი დისპოზიციები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ამ მუხლებისა იმაში მდგომარეობს, რომ წამების შემადგენლობაში, მისი მნიშვნელობიდან და იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რასაც საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს, ძირითად განმასხვავებელ

3 ბესელია ე., 2015. წამების მსხვერპლის უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში: სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი გვ. 204.

ნიშნად კანონმდებელმა ჩადო სპეციალური მიზანი. სპეციალური მიზანი არის ის მიზანი, რომელიც 144-ე¹ მუხლს 126-ე მუხლისგან განასხვავებს. სპეციალური მიზნის გარეშე ამ ქმედების განხორციელება გვაძლევს საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებად საფრთხის შემცველ ქმედებას, სწორედ ამას ეფუძნება სანქციის ნაწილში აღნიშნულ მუხლებს შორის არსებული ძირეული სხვაობაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია მსჯელობა ამ ორი მუხლის თანხვედრასა და იმ რისკებთან დაკავშირებით, რომლებზეც მითითებას აკეთებენ იურიდიულ ლიტერატურაში. ამასთან, მნიშვნელოვანია ყურადღება გვამახვილოთ იმ მომენტზე, რომ 126-ე და 125-ე მუხლების გაერთიანება პრობლემას ვერ გადაჭრის და საერთო სუბიექტის მიერ დღეს არსებული წამების შემადგენლობის განხორციელება მაინც დაუსჯელი დარჩება იმ არგუმენტის გათვალისწინებით, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ. 126-ე მუხლს სპეციალური მიზანი არ აქვს, რაც იმას გულისხმობს, რომ ის შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების, მტკიცებულების მოპოვების მიზნით. თუ ამ კონკრეტული მიზნისთვის პირის დასჯადობას ასევე 126-ე მუხლში მოვაქცევთ, ეს გამოიწვევს ნორმის გაფართოებას და წარმოშობს სამართლებრივი უსაფრთხოების პრობლემებს. ნორმა ვერ უზრუნველყოფს წინასწარი განჭვრეტადობის სტანდარტის დაკმაყოფილებას, რადგან ის აბსოლუტურად დამოკიდებული გახდება სუბიექტურ შეფასებებზე, რაც არათუ ამაღლებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს, არამედ შექმნის სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის დაცვის კრიზისს. რასაკვირველია, კანონმდებელი თავდაპირველ ეტაპზე რეაგირების გარეშე ვერ დატოვებს ქმედებას, რომელიც მიმართული იქნება ინდივიდუალურ-სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ, ხოლო უკვე მართლმსაჯულების განხორციელების სტადიაზე მოსამართლეს მოუწევს, „მოიძიოს“ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი, რომლითაც

შესაძლებელი გახდება საერთო სუბიექტის მიერ დღეს მოქმედი წამების შემადგენლობის განხორციელებაზე ლეგიტიმური სანქცირება. შემოთავაზებული ვერსიის მიხედვით, ვინაიდან 144¹-ე და 126-ე მუხლების დესკრიფციული ნაწილი (მიზნების გარეშე) თანხვედრია, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის სტატუსის არმქონე სუბიექტის მიერ წამების შემადგენლობის განხორციელებას რომ შესაბამისი რეაქცია მოჰყვეს, ერთადერთი გზაა, გამოძიება დაიწყოს 126-ე მუხლით, რაც მიგვიყვანს იმ რეალობამდე, რომ სხვადასხვა სუბიექტის მიერ ერთისა და იმავე შინაარსის დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება სხვადასხვა მუხლით გახდება დასჯადი.

წამების, როგორც დანაშაულებრივი ქმედების მიმართ პოლიტიკის ცვლილებას, რა—საკვირველია, საფუძვლად უდევს არა მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზანი, არამედ სოციალური რეალობა, რაც გამოიხატება ახლო წარსულში საჯარო სექტორში წამების მეთოდების გამოყენების არაერთ შემთხვევაში. იურიდიული მეთოდების მოძღვრებაში ერთსულოვნად აღიარებენ, რომ თანამედროვე სამართლის გამოყენების ლეგიტიმური საფუძველი უნდა ვეძიოთ არა წარსულში, არამედ აწმყოში, ნორმა მუდმივ კავშირშია სოციალურ ურთიერთობებთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შესედელებებთან, რომლებზედაც მან, თავის მხრივ, უნდა მოახდინოს ზეგავლენა.⁴ ჩვენს შემთხვევაში, ნათელია, რომ წამება ძირითადად ხორციელდებოდა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ და საზოგადოება სახელმწიფოსგან მოელის გონივრულ რეაგირებას აღნიშნული ფაქტებისადმი, თუმცა ეს უკანასკნელი კანონმდებელს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, საკანონმდებლო ცვლილებებისას დაიცვას სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი და არ შექმნას მართლწესრიგის კრიზისი.

4 ციპელიუსი რ., 2006. იურიდიული მეთოდების მოძღვრება. ბუკის გამომცემლობა, მიუნხენი გვ. 32.

TORTURE AS A CRIME AND PENALTY AS STATE'S LEGITIMATE PRESSURE MECHANISM

(Review of initiated draft law)

Tamar Gvasalia

*Caucasus University, School of Law, Ministry of Environment
and Natural Recourses Protection of Georgia, Chief specialist,
Lawyer, Master of Law*

KEY WORDS: international, perpetrator, harmonization

R E S U M E

In this work we have considered one of the acute problems in the Georgian Criminal law – the problem of torture perpetrator, the foremost demands of international conventions and the main issues of the draft law. We have separated negative and positive aspects of the code initiated by the Parliamentary committee of human rights protection and social integration.

The main idea of these changes in criminal law is to harmonize Georgian regulations with the UNHCR convention against torture and other cruel inhuman or degrading treatment or punishment. In accordance with the abovementioned convention, the Perpetrator of this crime may only be the public servant, in contrast to this regulation the perpetrator of torture according to the Georgian Criminal Code may be person in general, and torture committed by public servant is an offence for which Georgian Criminal Code foresees high penalty.

In line with the draft law, punishment regulation for the torture

will be changed, only the public servant may commit it and person in general may only be a co-perpetrator of criminal action in this offence. What is more important, the level of penalty is lower than it is in acting law. Therefore, we strongly believe that, the

Georgian regulation does not contradict with international requirements, but determines the highest standards of human rights protection. Thus, we regard that initiated draft law does not satisfy the main admissibility criteria.

NOTES:

1. UNHCR convention against torture and other cruel inhuman or degrading treatment or punishment, Article 1. (In Georgian)
 2. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., 2011. Privet part of Criminal law, Published by Meridiani, Tbilisi p. 246. (In Georgian)
 3. Beselia E., 2015 Problem of Protection the Rights of the torture victim in Georgia: Criminal and Criminological aspects. Grigol Robaqidze University Press, Tbilisi P.204. (In Georgian)
- Cipelius R., 2006. Legal Methods Doctrine. Beck Publication, Munich p. 32. (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Criminal Code of Georgia 22.07.1999 (Redaction of 12.04.2016). (In Georgian)
2. UNHCR convention against torture and other cruel inhuman or degrading treatment or punishment 10.12.1984 (Redaction of 12.04.2016). (In Georgian)
3. Lekveishvili m., Todua N., Mamulashvili g., 2011. Privet part of Criminal law. Tbilisi: Published by Meridiani, Tbilisi. (In Georgian)
4. Beselia E., 2015. Problem of Protection the Rights of the torture victim in Georgia: Criminal and Criminological aspects. Grigol Robaqidze University Press, Tbilisi. (In Georgian)
5. Cipelius R., 2006. Legal Methods Doctrine. Beck Publication, Munich. (In Georgian)

მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში

ნინო ხარიტონაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი
სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“, იურისტი

საკვანძო სიტყვები: სასამართლო, ინტერესი, უფლება

შესავალი

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არსებული მესამე პირების ინსტიტუტი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებას.¹ იგი ხელს უწყობს იმ პირების მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების განხორციელებას, რომლებიც არ მონაწილეობენ ორ მხარეს შორის სასამართლოში მიმდინარე

სამოქალაქო დავაში, მაგრამ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე, შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. მეცნიერებს შორის მესამე პირებთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა: „თანამედროვე პირობებში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში მონაწილეობამ შესაძლოა არსებითად გაართულოს სასამართლო დავის მიღება, ამიტომ, განსაკუთრებული აუცილებლობა ამ მონაწილეობისათვის არ არსებობს.“²

1 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 04.11.1950. რომი, მუხლი 6. www.matsne.gov.ge

2 Приходько И.А., 2005. Доступность правосудия в арбитражном и гражданском процессе. СПб.: Изд-во С.-Петербургского гос. ун-та, N3, С. 345 – 347.

მითითებულ მოსაზრებას აბათილებს ის, რომ მოცემული საპროცესო ინსტიტუტის საშუალებით უზრუნველყოფილია საქმის დასასრულისადმი ყველა დაინტერესებული პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვა. „მესამე პირების საქმეში მონაწილეობა იძლევა ერთსაქმეში ყველა მტკიცებულებითი მასალის გაერთიანების საშუალებას, ვინაიდან, მესამე პირები დაინტერესებულნი არიან მათ მიერ წამოყენებული მოსაზრებების დადასტურებაში და შესაძლოა, ხელთ ჰქონდეთ სათანადო მტკიცებულებებიც (ფაქტობრივი მონაცემები). მათი საქმეში მონაწილეობა უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების უფრო სრულყოფილად გამოკვლევის შესაძლებლობას და სასამართლოს თავიდან აცილებს ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანას“.³ მესამე პირთა მონაწილეობა უზრუნველყოფს საქმეში მონაწილე პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების უფრო სწრაფ და სწორ გადაწყვეტას, სასამართლო ორგანოების დროის დაზოგვას და განამტკიცებს სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საპროცესო ეკონომიკის პრინციპს. ამასთან, მესამე პირების ინსტიტუტი, ფაქტობრივად, წარმოადგენს ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი კულტურის განსაზღვრელ ერთ-ერთ საზომს. ვინაიდან, იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის განსაზღვრული მათი უფლებათა მოცულობა, შესაძლებელია მსჯელობა, თუ როგორ იცავს კანონმდებელი მოქალაქეთა უფლებებს.

უძველესი დროიდან მესამე პირების სამართლებრივი სტატუსის განვითარებას ახასიათებდა განსხვავებული უფლებრივი სტატუსი, მუდმივად ხდებოდა მესამე პირების საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების მოცულობის გაფართოება. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მესამე პირების ინსტიტუტი ცნობილი იყო

3 ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., 2012. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი; გვ. 126.

სამართლის განვითარების ადრეულ ეტაპზე, რაც გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ მესამე პირების, როგორც დამოუკიდებელი საპროცესო ინსტიტუტის წარმოშობის სამშობლოდ რომის სამოქალაქო საპროცესო სამართალი მივიჩნიოთ.⁴ თუმცა, როგორც რუს სწავლულს, დ.ს. ფლექსორს აქვს აღნიშნული, „რომის სამართლის ნორმები, რომლებიც ეძღვნება მესამე პირების სამართლებრივ მდგომარეობას რომის სამართლის სამოქალაქო პროცესში, გამოირჩევა უკიდურესად მწირი შინაარსით.“⁵ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზი მდგომარეობდა რომის სამოქალაქო პროცესის მკაცრად ფორმალურაგებულებაში ე.ი. მისი შედეგები წარმოადგენდა მხარეთა კერძო მოლაპარაკების რეზულტატს, რომელიც არ უშვებდა სამოქალაქო პროცესში არასანქცირებულ ჩარევას. მხოლოდ პროცესის დასაწყისში იყო შესაძლებელი, მესამე პირი შეერთებოდა მოსარჩელეს ან მოპასუხეს.

სამოქალაქო პროცესში მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული კანონიკური სამართლის სწავლულების მიერ. ამ პერიოდში გამოიკვეთა საქმეში მესამე პირების ისეთი მონაწილეობა, რომლის დროსაც ისინი პროცესის მონაწილე მხარეთაგან დამოუკიდებლად აცხადებენ თავიანთ დამოუკიდებელ უფლებას სადავო ქონებაზე. თავად ასეთი უფლების წარდგენამ ამ დროს მიიღო ზუსტი სამართლებრივი განსაზღვრების სახე და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული საპროცესო ინსტიტუტი «intervention principal is», რაც უდავოდ ადასტურებს ამ ინსტიტუტის მნიშვნელოვან განვითარებას. შუა საუკუნეების გერმანიის სამოქალაქო პროცესი, ისევე, როგორც რომის სამოქალაქო პროცესი, არ უშვებდა მესამე პირების მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრებას. მესამე პირების ინტერესები

4 Горелов М.В., 2012. Третьи лица в гражданском процессе: из глубины веков // Арбитражный и гражданский процесс. №2. С. 41.

5 Флексор Д.С. 1894. Отмена решений по просьбе третьих лиц, не участвующих в деле. СПб., гв. 15.

და უფლებები საკმარისად იყო დაცული, ერთი მხრივ, მათთვის მინიჭებული უფლებებით სასამართლოს მიერ გადანყვეტილების გამოტანამდე საქმეში ჩართვის თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, სრული შესაძლებლობით წარედგინათ დამოუკიდებელი სარჩელი იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადანყვეტილება, რომელიც მათს უფლებებს არღვევდა, შევიდოდა კანონიერ ძალაში.⁶ დღესდღეობით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსები ყველა გერმანულენოვან ქვეყანაში გვაძლევს თითქმის ერთნაირ რეგულაციებს პროცესში მესამე პირების მონაწილეობის თაობაზე: პირს, რომელსაც აქვს მოთხოვნა უკეთეს უფლებებზე დავის საგნის ან უფლების მიმართ, რაზეც მიმდინარეობს სამართალწარმოება სხვა პირებს შორის, უფლება აქვს ამტკიცოს თავისი მოთხოვნა მიმდინარე პროცესში ორივე მხარის წინააღმდეგ. (hauptintervention – principal intervention)⁷. თუ მესამე პირს აქვს იურიდიული ინტერესი მიმდინარე სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარის წარმატებისაკენ, ამ პირს შეუძლია შეუერთდეს დავას იმ მხარის დასახმარებლად, რომლის წარმატებაშიც დაინტერესებულია (Nebenintervention – auxiliary intervention). ასევე მესამე პირების რეგულაცია (Streitverkündung) ცნობს შემთხვევებს, როდესაც მხარეს განზრახული აქვს მოთხოვნის წაყენება მესამე პირის მიმართ.⁸ აღნიშნული ბოლო ორი ინტერვენციის სახეს ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აერთიანებს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე “მესამე პირების” ცნებაში.

მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში

საზღვარგარეთის ქვეყნები მესამე პირების საქმის განხილვაში მონაწილეობას შემდეგი ტერმინით გამოხატავენ „intervention“ (ჩართვა/შეჭრა). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სისტემაში თავად ქმედება ცალკე ტერმინით არ არის განსაზღვრული, ხოლო პირებს, რომლებიც მხარეების მიერ დაწყებულ საქმის წარმოებაში ერთვებიან, „მესამე პირები“ ეწოდებათ. ტერმინს „მესამე პირი“ სუფთა ტექნიკურ ხასიათი აქვს, ვინაიდან იგი რიგითობის მიხედვით მოსარჩელისა და მოპასუხის შემდეგ არის მესამე.⁹ ვინაიდან მესამე პირების დაინტერესების ხარისხი და კავშირი პროცესის ობიექტთან – დავის საგანთან – შესაძლოა იყოს განსხვავებული, შესაბამისად, მესამე პირების დაინტერესების ხასიათიდან გამომდინარე, კანონი განასხვავებს მათი მონაწილეობის ორ ფორმას: მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, რომელიც მონაწილეობს რა პროცესში თავდაპირველ მოდავე მხარეებთან ერთად, აცხადებს დამოუკიდებელ პრეტენზიას დავის საგანზე და მესამე პირი – დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, რომელიც საქმეში ერთვება მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე და არ გააჩნია დამოუკიდებელი პრეტენზია დავის საგანზე. ორივე ფორმით პროცესში მონაწილეობისათვის საერთოა მესამე პირების ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თავისებურება – სხვა პირების მიერ უკვე დაწყებულ დავაში ჩართვა, რის გამოც, მიუხედავად კოდექსით დადგენილი განსხვავებულ უფლებათა მოცულობისა, ისინი გაერთიანებულნი არიან საერთო ცნების – „მესამე პირების“ ქვეშ.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო პროცესის ქვაკუთხედად ცივილისტები მიიჩნევენ შემდეგ პრინციპებს:

6 Горелов М.В. 2012. Третьи лица в гражданском процессе: из глубины веков // Арбитражный и гражданский процесс. №2. С. 41-43.
 7 C. H. van Rhee, European Traditions in Civil Procedure, edited by C.H. van Rhee, 2005 Interseria Antwerpen – Oxford, P. Oberhammer; T. Domej, P. 103-106
 8 Braun/Grunsky, 2000. Zivilprozessrecht, Germany, გვ. 102-104

9 Мельников А.А., 1981. Курс Советского Гражданского Процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство „наука“, Москва, с 236.

სასამართლოსა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის რეგულირება; პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფა; სწრაფი და ეფექტური პროცესის უზრუნველყოფა; ზუსტი და ეფექტური შედეგების მიღწევა,¹⁰ მიუხედავად დასკვნამდე, რომ მესამე პირების ინსტიტუტი წარმოადგენს ზემოაღნიშნული პრინციპების რეალიზაციის აუცილებელ კომპონენტს. კერძოდ, ის, რომ გარეშე პირს აქვს შესაძლოლობა, ახალი დავის დაწყების გარეშე ჩაერთოს მხარეთა შორის მიმდინარე დავაში თავისი უფლებების რეალიზაციის მიზნით, წარმოადგენს ერთ-ერთ გარანტს პირველი პრინციპის – მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის განხორციელებისათვის. ამასთან, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის, აუცილებლობას წარმოადგენს დავაში მესამე პირების მონაწილეობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესის სამართლიანობა. რაც შეეხება მესამე პრინციპს, სწრაფი და ეფექტური პროცესის უზრუნველყოფას, შეგვიძლია გავეცნოთ განსხვავებულ მოსაზრებებსაც, კერძოდ, იმას, რომ მესამე პირების საქმეში მონაწილეობამ შესაძლოა შეაყოვნოს პროცესის სისწრაფე, თუმცა თუ ჩავუღრმავდებით, საქმეში მესამე პირების მონაწილეობის მიზანშეწონილობა სწორედ სწრაფი და ეფექტური შედეგის მიღწევისათვის არის განპირობებული. მესამე პირების ინსტიტუტი, წარმოადგენს რა საპროცესო ეკონომიის გარანტს, თავიდან აცილებს მხარეებს შემდგომში გადაწყვეტილების გაუქმების ალბათობას, პარალელური პროცესების გამართვას და ამით უზრუნველყოფს ეფექტურ გადაწყვეტილებებს. ხოლო საქმის ყოველმხრივ განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება უზრუნველყოფს ზუსტ და ეფექტურ შედეგებს.

საერთაშორისო რეგულაციები და ადგილობრივი პრაქტიკა

მესამე პირების ინსტიტუტის განხილვისას შეუძლებელია ყურადღების გარეშე დარჩეს 1997 წელს – ამერიკის სამართლის ინსტიტუტის (ALI) მიერ დაწყებული პროექტი „საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის პრინციპები და წესები“, რომელსაც 2000 წელს შეუერთდა კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (UNIDROIT)¹¹. ALI/(UNIDROIT)-ის პრინციპები გვთავაზობს მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის, საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის დაბალანსებულ ნაზავს. პროექტი ოსტატურად წყვეტს ურთიერთსაწინააღმდეგო საპროცესო აქსიომების თაობაზე არსებულ განსხვავებულ შუალედურ მიდგომებს. საქმეში მესამე პირების ჩართვისა და თანამონაწილეობის წესებს არეგულირებს აღნიშნული პრინციპებიდან მეთორმეტე წესი – „სარჩელთა და მხარეთა სიმრავლე. ჩართვა“, რომლის მე-2 ნაწილის მე-საბამისად პირს, რომელსაც აქვს დავის საგანთან არსებითად დაკავშირებული ინტერესი, შეუძლია მოითხოვოს ჩართვა. თუ მოვახდენთ სამოდელო პრინციპებით შემოთავაზებულსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ მესამე პირებს შორის შედარებას, საკმარის განსხვავებებს აღმოვაჩინოთ, კერძოდ: სამოდელო წესებით განსაზღვრულია, რომ საქმეში ჩართვის ინტერესი უნდა იყოს არსებითი მაშინ, როდესაც ჩვენს კანონმდებლობაში ინტერესის ხარისხზე მითითება არ არის. ასევე, საყურადღებოა სამოდელო კოდექსის დათქმა, რომლის შესაბამისადაც სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით შეუძლია მოითხოვოს შეტყობინება პირისათვის, რომელსაც აქვს ჩართვის ინტერესი. ჩართვისათვის მოწვევა წარმო-

10 Gottwald P. 2005. Comparative civil procedure, Ritsumeikan Law Review, N22; p. 25.

11 ALI/UNIDROIT Working Group, 2005. ALI/UNIDROIT Principles of Transnational Civil Procedure Appendix: Rules of Transnational Civil Procedure (A Reporters' Study), Rome, <http://www.unidroit.org>, p. 37.

ადგენს ხელსაყრელ შესაძლებლობას მესამე პირებისათვის, ჩაერთონ მიმდინარე პროცესში. მითითებული წესების 5.3 მუხლით, სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით შეუძლია მოსთხოვოს ჩასართავად მონვეულ პირს ინტერესის დასაბუთება. ჩართვისათვის მონვევამდე სასამართლომ კონსულტაცია უნდა გამართოს მხარეებთან. აღსანიშნავია, რომ სამოდელო კოდექსი ზემოაღნიშნული დათქმით იცავს სასამართლოს გადანყვეტილების საბოლოობის პრინციპს, ვინაიდან, „სამართლებრივი უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია, ერთი მხრივ, ეფექტური მართლმსაჯულებით, რომლის საბოლოო მიზანი არის სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადანყვეტილების მიღება ნებისმიერ საქმეზე; მეორე მხრივ, სასამართლოს ასეთი გადანყვეტილებისადმი სანდოობით, რომელსაც ორი მთავარი საფუძველი (ასპექტი) აქვს: სასამართლოს ავტორიტეტი და სასამართლოს გადანყვეტილების საბოლოობა – სადავო საკითხის საბოლოოდ გადანყვეტა და ამით სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობა.¹² სასამართლო გადანყვეტილების საბოლოობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საქმის განხილვა მოხდეს სრულყოფილად, ყოველმხრივ და მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ პირმა, რომლებიც დაკავშირებული არიან დავის საგანთან, რათა არ მოხდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადანყვეტილების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ მესამე პირი არ მონაწილეობდა სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში. შესაბამისად, სასამართლო კონტროლის ის მექანიზმი, რომელიც სასამართლოს უტოვებს უფლებას საკუთარი ინიციატივით საქმის განხილვაში მონაწილეობისათვის მოიწვიოს სავარაუდო დაინტერესებული პირი, წარმოადგენს გადანყვეტილების საბოლოობის პრინციპის დაცვისათვის სწორ გადანყვეტას. ამასთან, აღნიშნული ინიციატივა არ ეწინააღმდეგება

დისპოზიციურობის პრინციპს, ვინაიდან მითითებულ უფლებას ექნება ინფორმაციული ხასიათი იმ პირებისათვის, რომლებმაც არ იციან სასამართლოში მიმდინარე იმ დავის თაობაზე, რომლის გადანყვეტილების ფარგლებიც შესაძლოა გავრცელდეს მათ უფლებებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მესამე პირების საქმეში ჩართვა აუცილებელია მოითხოვონ ამ პირებმა ან მხარეებმა. რაც შეეხება სასამართლოს, მისი კომპეტენცია მესამე პირების საქმის განხილვაში ჩართვასთან მიმართებით შეზღუდულია. მით უმეტეს, თუ მხარეები მიზანმიმართულად არ განაცხადებენ აღნიშნულის თაობაზე. მაშინ, როდესაც ევროპული საპროცესო სამართალი გამოირჩევა მოსამართლის ფართო უფლებებით, ქართველი მოსამართლე, მესამე პირების საქმეში ჩართვასთან მიმართებით პასიური როლითაა განსაზღვრული. ასეთივე მოსაზრება აქვს ცივილისტ მარსელ შტორმს: „ეფექტური კონტროლის გარეშე შეჭიბრებითი პროცესი წააგავს განსხვავებული კულტურების შეჭიბრებისათვის ხელშეწყობას, რაც გენერირდება ისეთ გარემოში, რომელშიც სამართალწარმოების პროცესი აღიქმება ბრძოლის ველად წესების გარეშე. ასეთ აქტივობას უნდა მივყავდეთ სასამართლოსა და მხარეების ძალზე მკაფიო შრომის დანაწილებამდე: დავა ეკუთვნის მხარეებს, სადაც კვლევა ეკუთვნის მოსამართლეს. ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ ფაქტები და არგუმენტები, სადაც მოსამართლე ახდენს განკარგვას – მან უნდა გადანყვეტოს დროითი ლიმიტები, მოიწვიოს მესამე პირები და განსაზღვროს დავის სამართლებრივი საფუძვლები“.¹³ როგორც ვხედავთ, საერთაშორისო მიდგომის შესაბამისად, მესამე პირების მონვევის კომპეტენცია სასამართლოს აქვს მინიჭებული, რაც გვაძლევს საფუძველს, რომ კანონმდებელს გაუწიოთ რეკომენდაცია საქართველოს მოსამართლეებისათვის

12 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, 05.11.2013, გადაწყვეტილება №3/1/531, გვ. 9.

13 Storme M. 2005. A Single Civil Procedure for Europe: A Cathedral Builders’ Dream, *Ritsumeikan Law Review*, N22; p. 96-97.

აღნიშნულის მინიჭების თაობაზე. აღნიშნული ნორმის არსებობა შეამცირებს ისეთ შემთხვევებს, როგორცაც ადგილი ჰქონდა 2013 წლის 5 ნოემბერის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის №3/1/531 საქმის შემთხვევაში – ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. როგორც მითითებული გადანწყვეტილების გაცნობიდან ირკვევა, სასამართლო პრაქტიკაში პრობლემატურია მესამე პირების მიერ დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა მაშინ, როდესაც დავის საგანთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანწყვეტილება. „არსებობს საკმაოდ მაღალი ალბათობა იმისა, რომ პირი, რომლის უფლებებს და მოვალეობებსაც ეხება კონკრეტული საქმე, არ მონაწილეობდეს საქმის განხილვაში. არსებობს თეორიული შესაძლებლობა, რომ მესამე პირმა კანონიერ ძალაში შესული გადანწყვეტილების გაუქმების გარეშე დაიწყოს დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოება, რადგან სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის პირდაპირი საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს, თუმცა პრაქტიკაში ასე არ ხდება და საერთო სასამართლოები არილებენ ასეთ სარჩელებს. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სასამართლოები თავიდან იცილებენ ერთი დავის საგანზე ორი გადანწყვეტილების არსებობას.“¹⁴ მითითებული მოსაზრებით თუ ვიმსჯელებთ, საქმე გვაქვს არასწორ პრაქტიკასთან, რაც იწვევს არამართებულად მესამე პირების კონსტიტუციით დადგენილი და გარანტირებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვას. მოცემული მიდგომით პოტენციურ მესამე პირებს, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ საქმის განხილვაში, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისათვის რჩებათ ერთადერთი გზა: მიმართონ სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადანწყვეტილების გაუქმებისა

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, 05.11.2013. გადაწყვეტილება №3/1/531, გვ. 9.

და საქმის ხელახალი განხილვისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა #531 კონსტიტუციური განიხილა სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით და არაკონსტიტუციურად სცნო სსკ-ს 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის (სათანადო მოპასუხე და მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით) გადანწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადანწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. აღნიშნული გადანწყვეტილებით საპროცესო კოდექსით დაწესებული ვადის შეზღუდვა მოიხსნა, რამაც, შესაძლოა, სამომავლოდ გამოიწვიოს აღნიშნული უფლების ბოროტად გამოყენება ამ პირების მიერ. თუმცა მითითებული პრობლემატური საკითხის გადაჭრა ასევე შესაძლებელი იქნებოდა კანონმდებლის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანითა და სასამართლოსათვის მესამე პირების მოწვევის უფლების მინიჭებით. სასამართლოს რომ შეეძლოს საკუთარი ინიციატივით ყველა იმ პირის მოწვევა მესამე პირად, რომელთა უფლებებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლო გადანწყვეტილება, შემდეგ უკვე ამ პირთა გადასაწყვეტი იქნება საქმეში მესამე პირად მონაწილეობის საკითხი და მათი საქმეში არ მონაწილეობა ვერ გახდება საფუძველი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლებისა.

აღსანიშნავია, რომ მესამე პირების საქმეში არ მონაწილეობის გამო გადანწყვეტილების ბათილად ცნობის საკითხთან დაკავშირებით არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეორე სექციის 2010 წლის 27 მაისის განჩინება N 18156/05

საქმეზე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“.¹⁵ ამ საჩივარში საქმე ეხებოდა იმ სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, როგორც ზენოლის შედეგად დადებული. სასამართლოს მიერ სადავო ხელშეკრულების დამმონმებელი ნოტარიუსის განცხადების საფუძველზე, იმ მოტივით, რომ არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში, როგორც მესამე პირი, და სასამართლოს გადაწყვეტილებით ხელშეკრულების გაუქმებით შეილახა მისი რეპუტაცია, გაუქმდა სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სასამართლოსათვის ყველაზე სამწახარო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ნოტარიუსმა, რომელიც პირველი სამოქალაქო საქმის მხარე არც ყოფილა, მიაღწია საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1 (ბ) პუნქტის საფუძველზე. სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა, რომ აღნიშნული დებულება შეეხებოდა პროცესის რეალურ მხარეებს და უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ნოტარიუსის პროფესიული რეპუტაციის დაზარალების შემთხვევაშიც კი ისეთი რადიკალური ზომა, როგორიც იყო საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, არ წარმოადგენდა მართებულს. სასამართლოს მხრიდან უფრო შესაფერისი ქმედება იქნებოდა, ნოტარიუსისათვის, როგორც სავარაუდო მესამე პირისათვის, მიეცა რჩევა განმცხადებლის წინააღმდეგ ახალი სარჩელის შეტანის შესახებ. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით და პირველი დამატებით ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას. აღნიშნულ

გადაწყვეტილებათა შედარებისა და ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი მიმართულია იმ პირთა საკუთრებისა და სასამართლოსათვის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვისაკენ, რომლებიც წარმოადგენდნენ სავარაუდო მესამე პირებს, მაგრამ არ მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ შემთხვევაში საქართველოს სასამართლოს მიერ არ განხორციელდა სასამართლოს გადაწყვეტილების იმ გავლენის შეფასება, რაც მესამე პირების საქმეში ჩართვის საფუძველს წარმოადგენდა. ნოტარიუსს არ გააჩნდა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად საქმეში ჩართვისათვის საჭირო სათანადო იურიდიული ინტერესი. ევროსაბჭოს სასამართლოების პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „ინტერესი სასამართლოში განსახილველი საქმის შედეგებისადმი“ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია „ჩამრთველის“ სამართლებრივ პოზიციაზე ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე არსებითი გავლენა მოახდინოს. პროცესში ჩართვის ნების დართვისათვის ჩამრთველმა უნდა დაამტკიცოს, რომ აქვს არაპირდაპირი ინტერესი სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი. პირის ინტერესი ერთ-ერთი მხარის მიერ წამოყენებული სარჩელის წარმატების ან წაგებისათვის არასაკმარისია, თუ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენს მხარის სამართლებრივ ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე.¹⁶ რაც შეეხება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობას, ევროპული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, სამართლებრივი ინტერესის არსებობა საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ქართველი ცივილისტების მოსაზრებით, „იურიდიული ინტერესი“ შეფასებითი მსჯელობაა. ამიტომ იგი განეკუთვნება არა გნოსეოლოგიის

15 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 27.05.2010. მეორე სექცია, განჩინება N 18156/05, <http://www.supremecourt.ge>

16 European Parliament, 2012 Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen’s Rights and Constitutional Affairs, Standing up for your right(s) in Europe, p. 55.

(შემეცნების) სფეროს, არამედ აქსიოლოგიის (ღირებულების, შეფასების) სფეროს. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის „დადგენა-დადასტურება“ მტკიცებულებების მეშვეობით, მათ შორის უშუალო (გრძნობის ორგანოებით) აღქმის გზით – შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა უპირატესობა მიანიჭა მესამე პირის საქმეში ჩაბმის ისეთ კრიტერიუმს, რომელიც უფრო გასაგები იქნებოდა როგორც მხარეებისათვის, ისე სასამართლოსთვის¹⁷. თუმცა, იქვე აღსანიშნავია, რომ ამავე მოსაზრების ავტორი არ უარყოფს სამართლებრივი ინტერესის არსებობის აუცილებლობას: „იურიდიული ინტერესი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობითაც აუცილებელია, მაგრამ იგი არსებობს მაშინ, როდესაც სასამართლოს გადანყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე.“¹⁸ ამიტომ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ კოდექსში ზოგადი დათქმის „გავლენის მოხდენის“ ნაცვლად დაკონკრეტდეს თავად ამ გავლენის სახე. ამ ლოგიკით, ყველა პროცესში, რომელიც სანოტარო აქტს ეხება, საქმეში უნდა ჩაერთოს მისი დამმონშებელი ნოტარიუსი, რაც გამოიწვევს ქაოსს როგორც სანოტარო, ისე სასამართლო სისტემაში.

საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ხდება დამოუკიდებელი სასარჩლო მოთხოვნის გარეშე ისეთი პირების ჩართვა, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია საქმის განხილვისათვის და რათა პროცესის მონაწილის სტატუსი გააჩნდეს, ერთგვრიან მესამე პირებად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადანყვეტილებას არ შეუძლია გავლენის მოხდენა მათ უფლებებზე. მაგალითად, ასეთ პირს წარმოადგენს

ნოტარიუსი, რომლის მიერ დამონშებულ სანოტარო აქტთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს სამოქალაქო დავა მხარეებს შორის. ჩვენ მიერ განხილულ სამოქალაქო სამოქალაქო საპროცესო პრინციპების მე-13 წესში საუბარია პროცესის ისეთ ინსტიტუტზე, როგორცაა *amicus curiae* brief, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს. საქართველოში, მსგავსად სხვა კონტინენტური სამართლის ქვეყნებისა, აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება, კერძოდ, დავის არსისადმი იურიდიული ინტერესის არმქონე მესამე პირებისათვის პროცესში მონაწილეობის ნების დართვა, არ წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას. თუმცა, ზოგიერთ მათგანში, კერძოდ, საფრანგეთის პრეცედენტულ სამართალში განვითარებულ იქნა აღნიშნული ინსტიტუტი და ის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს განსაკუთრებით საჯარო მნიშვნელობის საქმეებში. მე-13 პრინციპი არ უშვებს მათ მიერ წერილობით განცხადებას დავასთან დაკავშირებულ ფაქტებზე. ის უშვებს მხოლოდ მონაცემების, საფუძვლის, აღნიშვნების, სამართლებრივი ანალიზის და სხვა მსჯელობის წარდგენას, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს სამართლიანი და ზუსტი გადანყვეტილებებისათვის. აღსანიშნავია, რომ მითითებული ინსტიტუტის დანერგვა განხორციელდა 2015 წლის ივლისის კანონით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, რომელსაც დაემატა 16¹ მუხლი – სასამართლოს მეგობარი (*amicus curiae*). სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ისეთი მექანიზმის დანერგვა, როგორცაა „amicus curiae“-ს მიზანშეწონილი იქნებოდა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ გამოიწვევდა იმ არასათანადო მესამე პირების რიცხვის შემცირებას, როგორებადაც ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან სხვადასხვა ორგანიზაციები – მაგალითად, სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“ რომელიმე კონკრეტული ნოტარიუსის მიერ დამონშებული სანოტარო აქტის სამოქალაქო წესით გასაჩივრებისას. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3

17 ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. 2014. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი. გვ. 160-161.

18 ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. 2014. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი. გვ. 161.

მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ყველა ნოტარიუსი დამოუკიდებელია სანოტარო მოქმედების შესრულებისას, უფლებამოსილებაშენწყვეტილი ნოტარიუსების მიერ ნაწარმოები სანოტარო არქივი ინახება საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში და მოთხოვნის შემთხვევაში ამონაწერები დამონმებული სახით გაიცემა დაინტერესებულ პირზე. მიუხედავად იმისა, რომ ერთმნიშვნელოვნადაა განმარტებული, რომ პალატა არ წარმოადგენს ნოტარიუსების უფლებამონაცვლეს, ხშირია შემთხვევები, როდესაც პალატა მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ერთვება მიმდინარე საქმისწარმოებაში, მიუხედავად იმისა, რომ გამოტანილი გადანწყვეტილება ვერ მოახდენს გავლენას პალატის უფლებებზე კანონმდებლობიდან გამომდინარე. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო მექანიზმის „amicus curiae“-ს დანერგვის შემთხვევაში უფრო დაზუსტებული იქნებოდა მხარეთა პროცესში მონაწილეობის სამართლებრივი საფუძველი და სტატუსი.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, განვითარების ყველა საფეხურზე მუდმივად ხდებოდა მესამე პირების საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების მოცულობის გაფართოება. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მესამე პირების ინსტიტუტს გააჩნია დიდი მნიშვნელობა და რთულია დავეთანხმოთ იმ ავტორთა მოსაზრებებს, რომელთა თანახმადაც მესამე პირების ინსტიტუტი ითვლება ზედმეტად და მავნებლად, რადგან ის გამოიყენება პროცესის გაჭიანურების მიზნით: პირიქით, მესამე პირების ინსტიტუტი სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთ ფასეულ რესურსს წარმოადგენს და მის ობიექტურ მოქმედებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული ადამიანის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზაცია.

ნიკო ხარბიანაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 25 აგვისტო. www.matsne.gov.ge
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი. www.matsne.gov.ge
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 16, 1999 წლის 23 ივლისი. www.matsne.gov.ge
4. ლილუაშვილი თ., 2005. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი.
5. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., 2007. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი.
6. ლილუაშვილი თ., 2002. სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, (ნაწილი I), თბილისი.
7. ქურდაძე შ., 2006. სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში. თბილისი.

THE SIGNIFICANCE OF INTERVENTION IN THE CIVIL PROCEDURE

Nino Kharitonashvili

*PhD student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
LEPL Notary Chamber of Georgia, Legal specialist*

KEY WORDS: Court, interest, right

RESUME

The Article considers the origin of the third-party institute in civil procedure, its development and value for implementation of the right of access to the court. It also includes comparative analysis of the regulations related to third parties stipulated in the project „The International Rules of Civil Procedure“ of the American Law Institute (ALI) and the International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT) and the third persons envisaged in the Civil Code of Georgia.

The Article analyzes problems of implementation of the third-party institute in judicial practice adducing two judicial decisions which obviously demonstrate results of inappropriate application of the third-party institute. The Article emphasizes the role of third parties in reopening cases in view of newly discovered facts provided that they had not participated in the legal proceedings.

As a recommendation the Article offers to assign the court with an authority to subpoena third persons according to the judge's initiative, which would promote strengthening of the principle of finality of judgments and advancing the principle of procedural economy.

The Article includes recommendations to concretize in the Civil Procedure Code of Georgia the type and the quality of influence to be exerted by the judgment on parties' rights in order

to involve them in the trial.

Considering the international practice article also recommends introducing the „amicus curiae“ procedural mechanism in civil

procedure legislation to avoid involvement of such parties in the civil procedure, whose rights and obligations are not influenced by the judgment.

NOTES:

1. European Convention on Human rights, 4.11.1950, art. 6. www.matsne.gov.ge (In Georgian)
2. Prikhodko I., 2005, Accessibility of justice in arbitration and civil proceedings. Pub: St. Peterburg state University №3. P. 345-347. (In Russian)
3. Qurdadze Sh., Khunashvili N., 2012. Civil Procedure Law, Meridian Publishing, Tbilisi, P. 126. (In Georgian)
4. Gorelov M., 2012. Third parties in Civil Procedures from immemorial time // the code of Arbitration and civil procedure. №2. P. 41. (In Russian)
5. Fleksor D., 1894. Cancellation of decisions with the request of third parties, not involved in the case. СП6.Р. 15. (In Russian)
6. Gorelov M., 2012. Third parties in Civil Procedures from immemorial time // the code of Arbitration and civil procedure. №2. p.41-43. (In Russian)
7. van Rhee C., 2005. European Traditions in Civil Procedure. edited by C.H. van Rhee, Interseria Antwerpen – Oxford, P. Oberhammer; T. Domej, p.103-106. (In English)
8. Braun/Grunsky, 2000. Zilprozessrecht, Germany; 102-104. (In German)
9. Melnikov A., 1981. The course of the Soviet Civil Procedural Law, V. 1. Theoretical bases of justice on civil cases, publishing house „science“, Moscow, p. 236. (In Russian)
10. Gottwald P., 2005. Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review, N22, p.25. (In English)
11. ALI/UNIDROIT Working Group on Principles and Rules of Transnational Civil Procedure, 2005. ALI/UNIDROIT Principles of Transnational Civil Procedure Appendix: Rules of Transnational Civil Procedure (A Reporters' Study), Rome, <http://www.unidroit.org/>; p. 37. (In English)
12. Constitutional Court Plenum, 5.11.2013. Decision №3 / 1/531, p. 9. (In Georgian)
13. Storme M., 2005. A Single Civil Procedure for Europe: A Cathedral Builders' Dream, Ritsumeikan Law Review, N22; p.96-97. (In English)
14. Constitutional Court Plenum, 5.11.2013. Decision №3 / 1/531, p. 9. (In Georgian)
15. European Court of Human Rights, 27.05.2010. Second section, Decision N18156/05, <http://www.supremecourt.ge> (In Georgian)
16. European Parliament, 2012 Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen's Rights and Constitutional Affairs, Standing up for your right(s) in Europe, p. 55. (In English)
17. Liluashvili T., Liluashvili G., Khustali V., Dzlierishvili Z., 2014. the Civil Procedure Law of Georgia, I part, Tbilisi, p.160-161. (In Georgian)
18. *Ibid.*, p.160-161. (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Constitution of Georgia. 1995. 25.08.version of June, 2015. www.matsne.gov.ge (In Georgian)
2. Civil Procedural Code of Georgia.14.11.1997. Version of June, 2015. www.matsne.gov.ge (In Georgian)
3. The Administrative Procedure Code of Georgia, 23.07.1999. www.matsne.gov.ge (In Georgian)
4. Liluashvili T., 2005. Civil Procedure Law. II edition, Tbilisi. (In Georgian)
5. Liluashvili T., Khrustali V. 2007. The comments to the Civil Procedure Code of Georgia. (In Georgian)
6. Liluashvili T., 2002. Issues of civil proceedings in the courts practice. (Part I), Tbilisi. (In Georgian)
7. Qurdadze Sh., 2006. Review of civil affairs by higher courts. Tbilisi. (In Georgian)

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„სისხლის სამართლის მეცნიერების
თანამედროვე ტენდენციები“

INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE
“Modern tendencies of Criminal
Law Science”

კონფერენციის შრომები
ARTICLES PRESENTED TO THE CONFERENCE



ორგანიზატორი:
ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი

ORGANIZER:
THE LAW SCIENTIFIC RESEARCH
INSTITUTE OF THE EUROPEAN
UNIVERSITY

14.05.2016

სამართლის ნორმაშეფარდებისა და მისი მეთოდების პრობლემა

გურამ ნაჭყებია

*სამართლის დოქტორი, ემერიტუსი,
საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი*

საკვანძო სიტყვები: მოქმედება, მოსამართლე, ნორმა

სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა არაა მონყვეტილი სამართლის ნორმაშემოქმედების პრობლემისაგან. თუ კანონმდებელი ქმნის სამართლის ნორმას ნორმაშემოქმედების მეშვეობით, ბუნებრივია, მოსამართლე ვერ შეიზღუდება მხოლოდ კანონის ფორმით დადგენილი ნორმის შეფარდებით. ჯერ ერთი, აქ აპრიორი იგულისხმება, რომ სამართლის ნორმის შეფარდებას ახდენს არა გამომძიებელი ან პროკურორი, როგორც ამას მიიჩნევდნენ ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ მხოლოდ მოსამართლე.* მეორეც, ყოველი ფაქტი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ნორმაშეფარდების საგანია, მკაცრად ინდივიდუალურია, რის გამოც ქმნის ამ

* რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია ტერმინი „სამართლის ნორმის გამოყენება“ („Применение норм права“). ასეთივე ტერმინია გაბატონებული გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც („Anwendung einer Rechtsnorm“). ტერმინი „სამართლის ნორმის გამოყენება“ იმდენად აბსტრაქტულია, რომ იგი არსებითად ვერ გამოხატავს სამართლის ნორმის შეფარდების არც სუბიექტს და არც ობიექტს. ამიტომაც ჩნდება ცდომილება, რომ სამართლის ნორმის შეფარდებას ახდენს გამომძიებლის ორგანოც, მაშინ, როცა ნორმაშეფარდების აქტი საქმის საბოლოო გადაწყვეტას გამოხატავს. ქართული ტერმინი „სამართლის ნორმის შეფარდება“, მით უმეტეს, სისხლის სამართლის პროცესის სფეროში, უფრო ზუსტად გამოხატავს სამართლის ნორმის შეფარდების როგორც სუბიექტს, ისე ობიექტს. კერძოდ, სამართლის ნორმის შეფარდებას ახდენს მხოლოდ მოსამართლე (სასამართლო); ნორმაშეფარდების ობიექტია ქმედებისა და მოქმედის ერთიანობა, რომელსაც

ინდივიდუალობიდან ზოგადშემფასებლურ ნორმაზე გადასვლის პრობლემას. ამის გამო დგება ამ კონკრეტული ინდივიდუალური ფაქტის შესატყვისი ნორმის გამოძებნისა და შექმნის პრობლემაც კი. მესამეც, ამა თუ იმ კონკრეტული ფაქტის გადანყვეტაში მოსამართლეთა მიხედულობის პრობლემა ქმნის ე. წ. სამოსამართლო სამართლის პრობლემას. მეოთხე, ეს გარემოება, თავის მხრივ, ქმნის ხელისუფლებათა განაწილების შესაბამისად საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრობლემას: აქვს თუ არა უფლება სასამართლოს, რომ რაიმე „შეუსწოროს“ კანონმდებელს? მეხუთე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სამართლის ნორმის მოქმედება და შეფარდება. სამართლის ნორმა, როგორც წესი, მოქმედებს სამართლებრივი ურთიერთობის ფორმაში სამართლის სუბიექტის მართლზომიერი ქმედებით. სამწუხაროდ, იმ ტრადიციაში, რომელშიც სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, უცნობია, სამართლის ნორმის მოქმედებისა და შეფარდების გამიჯვნა შეუძლებელია. მაგალითად, გუსტავ რადბრუხის მტკიცებით, „მოსამართლის პროფესონალური მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედებაში მოიყვანოს კანონში ჩადებული „ნება მოქმედებისა“.¹ ამ პოზიციიდან სისხლის სამართალი სისხლის სამართლის პროცესზე დაყვანილი. გ. რადბრუხის აზ-

რით, სისხლის სამართლის პროცესის მიზანი ისაა, რომ მატერიალურ სისხლის სამართალს რეალიზაციაში დაეხმაროს“.² გამოდის, რომ სისხლის სამართალი სისხლის სამართლის პროცესის მეშვეობით ხორციელდება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა სისხლის სამართლის პროცესზე სისხლის სამართლის დაყვანა. აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართლის ნორმა სისხლის სამართლის პროცესისაგან დამოუკიდებლად არ მოქმედებს. ამიტომაც ტერმინი „სისხლის სამართლის ნორმის მოქმედება“ უსაფუძვლო ჩანს. თუ სისხლის სამართლის ნორმა არ მოქმედებს, მაშინ სისხლის სამართლის ნორმის მოქმედების შეჩერება შეუძლებელია და მაშინგაუგებარია, რატომაა გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართალს ნორმაშეფარდების აქტი? რატომაა საჭირო ნორმის შეფარდება, თუ არა ბრალეული პირის აღდგენა სახელმწიფოსთან ობიექტურ (ნორმატიულ) კავშირში? ამას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სისხლის სამართლის ნორმის მოქმედების ცნების გარეშე მართლწინააღმდეგობის ცნება არ არსებობს.

ამრიგად, სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა, როგორც ჩანს, სამართლის ნორმის მოქმედების პრობლემის გადაჭრას მოითხოვს. ეს საკითხი, თავის მხრივ, სამართლის ნორმის მოქმედების ცნებას უნდა დაემყაროს. ის ფაქტი, რომ სამართლის ნორმა მის ადრესატს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას აკისრებს, სადავო არ უნდა იყოს. მართლაც, საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ „საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს“. სამწუხაროდ, უფრო გაურკვეველია ის საკითხი, თუ როგორ სრულდება ეს ვალდებულება ან სრულდება თუ არა იგი საერთოდ? ეჭვი ამ მხრივ არაერთია. ჯერ ერთი, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მართლზომიერ ქმედებას მართლზომიერი ქმედების ვალდებულების

მოსამართლე „მიზომავს“ ხოლმე კანონისმიერ ან მის მიერვე შექმნილ ნორმას. იმის მიუხედავად, რომ მატერიალური სამართლის ნორმა აბსოლუტურად დასრულებული მოდელია ქცევისა, სისხლის სამართლის პროცესის სფეროშიც, ალბერტ აინშტაინის „ფარდობითობის თეორია“ თითქოს მუშაობს: სისხლის სამართლის ნორმის შეფარდებას ქმედებისა და მისი ჩამდენი პირის მიმართების შეფარდებითობა განსაზღვრავს, ხოლო ამ მიმართების გაზომვა ნორმის ფორმაში იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე, აფასებს რა საქმის ვითარების ძირითად ასპექტებს, სასწორზე დანაშაულისა და სასჯელის ზომა-ნონას, დანიშნავს ხოლმე თანაზომიერ, პროპორციულ, სამართლიან სასჯელს, რომლმაც მსჯავრდებული, დანიშნული სასჯელის მოხდის შესაბამისად, ახალ პირობებში უნდა აღადგინოს იმ პირვანდელ მდგომარეობაში, როცა იგი მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე იმყოფებოდა: მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდებოდა პასუხისმგებლურად.

1 Раджбрух Г. , 2004. Философия прва. М., стр. 195.

2 იქვე, გვ. .100.

შეგნება განაპირობებს. თუ ამ დებულებას გავიზიარებთ, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ სუბიექტი მართლზომიერ ქმედებას ჩაიდენს ყველა იმ შემთხვევაში, როცა მას მართლზომიერი ქმედების ვალდებულება შეგნებული აქვს. საკითხავია: როდის შეიძლება პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინოს? პასუხი ერთია: როცა მას მართლზომიერი ქმედების ვალდებულება შეგნებული არა აქვს. თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეგნებულად ანუ განზრახ ჩადენა შეუძლებელია.

ამრიგად, მართლზომიერი ქმედების ვალდებულების შეგნება მართლზომიერი ქმედების ერთ-ერთ აუცილებელ, მაგრამ საკმარის პირობას არ წარმოადგენს. იქნებ ამ საკითხის დასმასა და გადაჭრას ემსახურება გ. რადბუხის მიერ გაშლილი მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოვალეობის დაკისრებას შეუძლია გამოიწვიოს იძულება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – მოვალეობის გრძნობა?³ ავტორის აზრით, პირი შეიძლება აიძულო დაემორჩილოს, მაგრამ ვალდებულება არასოდეს არ გამოიწვევს მოვალეობისადმი ნებაყოფლობით დამორჩილების გრძნობას. ეს იმისი მსგავსი რამ იქნებოდა, როგორც მერკელი შენიშნავს, ქაღალდის უბრალო ნაგლეჯს, რომელიც პისტოლეტის ტყვიის გულაზეა შემოხვეული, საგადასახადო დოკუმენტის მნიშვნელობა იძულების ქვეშ მიენიჭოს.⁴

ამრიგად, ადამიანზე ვალდებულების დაკისრება ამ ვალდებულების აღსრულების გრძნობას მართლაც ვერ გამოიწვევს, მაგრამ ვალდებულების აღსრულების გრძნობა, ცხადია, ფსიქოლოგიურად არ უნდა იქნეს გაგებული, რადგან გამორიცხული არაა, რომ ვინმეს მოვალეობის აღსრულება სურდეს. ცხადია, ეს ფსიქოლოგიური გადახვევა საქმეს ვერ შევლის. უფრო ლოგიკურია, თუ მართლზომიერი ქმედების ვალდებულების აღსრულება ადამიანის სოციალური ბუნების პრობლემას დავეკავშიროთ. ამ პოზიციიდან კი ბუნებრივად დგება პასუხისმგებლობის

პრობლემა, რადგან ადამიანის პიროვნება პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე არ არსებობს. პასუხისმგებლობა მისი პოზიტიური ასპექტით გულისხმობს ურთიერთობას, როგორც ამ პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმას. პასუხისმგებლობა შინაარსია, ხოლო ურთიერთობა მისი გამოვლენის ფორმას წარმოადგენს. ცხადია, „ურთიერთობა“ აქ არაა მხოლოდ გარეგანი, პასიური რამ, არამედ, თავის მხრივ, განსაზღვავს პასუხისმგებლობის ბუნებას. მაგალითად, სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტის ურთიერთობა, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანს ემსახურება, განპირობებულია სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობით მართლზომიერი ქმედებისთვის, რისთვისაც ეს სუბიექტია დანიშნული.

ამრიგად, აშკარაა, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულება მართლზომიერი ქმედების ჩადენას უშუალოდ ვერ გამოიწვევს, მაგრამ არც იმისი დავიწყება გვმართებს, რომ იქ, სადაც „ვალდებულება“ არსებობს, იქვე ივარაუდება ის ინსტანცია, ვის წინაშეც ეს სუბიექტია ვალდებული. აქედან გამომდინარე, იგულისხმება „ურთიერთობა“, ხოლო ამ ურთიერთობის შინაარსი არის „პასუხისმგებლობა“. მაშასადამე, მართლზომიერი ქმედების აუცილებელ და საკმარის პირობას მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, საკითხავი ისიცაა, თუ რატომ ეკიდება სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას პასუხისმგებლურად? ცხადია, ეს მისი მოვალეობა კი არაა, არამედ მხოლოდ დანიშნულებაა, მოწოდებაა, მისთვის არსებისეულია. სამწუხაროდ, გ. რადბუხი არც ურთიერთობას განიხილავს და არც პასუხისმგებლობას, რის გამოც მან უპასუხოდ დატოვა მართლზომიერი ქმედების მექანიზმის პრობლემა. მან უპასუხოდ დატოვა სისხლის სამართლის ნორმის მოქმედების პრობლემაც, რის გამოც უპასუხოდ დარჩა მთელი რიგი ისეთი

3 რადბუხის დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

4 იქვე, გვ. 95.

ფუნდამენტური პრობლემა, როგორცაა, მაგალითად, სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის დამოუკიდებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ნორმა მართლწესრიგში სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფორმაში გადადის. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ნორმის ამოქმედებას სასამართლო კი არ იწვევს, როგორც ამას გ. რადბრუხი ამტკიცებს, არამედ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფორმაში მართლწესრიგის ქმედების ვალდებულებისადმი სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობა.

ამრიგად, სისხლის სამართლის ნორმის მოქმედება ხდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფორმაში, როცა სისხლის სამართლის სუბიექტი პასუხისმგებლურად ეკიდება მართლწესრიგის ქმედების ვალდებულებას და ქმნის მართლწესრიგს. დანაშაულის ჩადენა კი, პირიქით, აჩერებს სისხლის სამართლის ნორმის გადასვლას მართლწესრიგში, რის გამოც ქმედება მართლწესრიგისაა და დანაშაულის ჩამდენი პირი სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ გადის, ხოლო ეს ფაქტი ქმნის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემას. მართლწესრიგის ქმედების ვალდებულება და ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება, როგორც მართლწესრიგის ქმედების საკმარისი და აუცილებელი პირობა, სუბიექტის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწესრიგისა და სუბიექტის ბრალის დადგენა-დასაბუთების ლოგიკური წანამძღვარია, მაგრამ ამ საკითხებს ცოტა ქვემოთ შევეხებით.

ამჯერად კი ვიტყვით იმას, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია იწყება ქმედების შემადგენლობის დადგენით. ქმედების შემადგენლობის დადგენა არის ფაქტის დადგენა. საქმე ისაა, რომ ქმედების შემადგენლობა ქმედების მართლწესრიგის და მართლწესრიგის კავშირის ფორმაა, ესე იგი, ქმედების შემადგენლობა

არც მართლწესრიგისა და არც მართლწესრიგისაა. რა თქმა უნდა, ქმედების შემადგენლობა შეფასებით ნიშნებსაც შეიცავს (მაგალითად, მნიშვნელოვანი ზიანი, დიდი ოდენობა, გარყვნილი ქმედება და ა. შ), მაგრამ ეს შეფასებითი ნიშნები ქმედების მართლწესრიგისაა და მათს ვერ ქმნის. აქედან გამომდინარე, დგება ქმედების შემადგენლობის, როგორც ფაქტის მსჯელობიდან ქმედების მართლწესრიგისაა ჰირდაპირი ლოგიკური გადასვლის პრობლემა. პროფ. გ. ტყეშელაძე თავს დროზე მართებულად წერდა, რომ ქმედების შემადგენლობა არის აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობა მაშინ, როცა ქმედების მართლწესრიგისაა, პირიქით, შეფასებით ღირებულებით მსჯელობას წარმოადგენს.⁵

ისმის კითხვა: თუ ქმედების შემადგენლობა არის აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობა, ხოლო მართლწესრიგისაა ჰირდაპირი, შეფასებითი, ღირებულებითი მსჯელობაა, მაშინ როგორ არის შესაძლებელი, რომ ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან ამ ქმედების მართლწესრიგისაა ჰირდაპირი ლოგიკური დასკვნა გავაკეთოთ? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც წესი, დადებითი პასუხია გაცემული. ამ მხრივ არსებული ტრადიციის თანახმად, თუ განხორციელებულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა და ამავე დროს არ არსებობს ამ ქმედების მართლწესრიგისაა გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაშინ ჩადენილი ქმედება მართლწესრიგისაა. ამავე მოსაზრებას იზიარებს ზოგიერთი ქართველი კრიმინალისტიკ. ამისი საფუძველიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის VIII თავშია გათვალისწინებული. აქ ნეგატიური წესითაა გადმოცემული აზრი, რომ არ მოქმედებს მართლწესრიგისაა დადგენის, ვინც მართლწესრიგისაა ცნობილ გარემოებებში (მაგალითად, აუცილებელი

5 Ткешелиадзе Г., 1975. Судебная практика и уголовный закон. Тбилиси, стр. 53-54.

მოგერიების მდგომარეობაში) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას განხორციელებს (საქ. ასკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამ გარემოებათა საკანონმდებლო ფორმულირებებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ვინც არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, მაშასადამე, მოქმედებს მართლზომიერად. გამოდის, რომ სამართლის სფეროში ადამიანის ქმედება ან მართლზომიერია ან – მართლსაწინააღმდეგო და რომ მესამე გამორიცხულია. მაგრამ მაშინ ქმედების შემადგენლობის ბუნება გაუგებარი ხდება: მისი პრაქტიკული განხორციელება მართლზომიერი აქტი უკვე აღარაა, მაგრამ პირდაპირი ლოგიკური გზით არც მართლსაწინააღმდეგობაში გადადის. გარდა ამისა ცნობილია, რომ დანაშაულის ჩადენის შემდგომი ვითარება სისხლისსამართლებრივად მონესრიგებული არაა. მაგალითად, დანაშაულის ჩადენი პირის მიმალვა აკრძალული არაა, მაგრამ არც ნებადართულია. ეს დასკვნა ე. წ. დეონტური ანუ ნორმათა ლოგიკის მოთხოვნას გამოხატავს. გარდა ამისა, აქ დგას მეტად საინტერესო თეორიული პრობლემაც. მაგალითად, ა. ივინი მართებულად განასხვავებდა ერთმანეთისაგან აღწერილობით, დესკრიფციულ მსჯელობასა და შეფასებით, ღირებულებით მსჯელობას და ასკვნიდა, რომ „არის“ მსჯელობიდან „უნდას“ ანუ ჯერარსის მსჯელობაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლის გზა დღემდე ვერაფერ აღმოაჩინა.⁶ ადასტურებს, რომ აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის პრაქტიკული განხორციელება მართლზომიერი აქტი უკვე არაა, მაგრამ იგი პირდაპირი ლოგიკური გზით არც მართლსაწინააღმდეგობაში გადადის. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება ქმედების მართლზომიერებისა და მართლსაწინააღმდეგობის კავშირის ფორმაა.

ამრიგად, აშკარაა, რომ ქმედე-

ბის შემადგენლობა, როგორც ქმედების მართლზომიერებისა და მართლსაწინააღმდეგობის კავშირის ფორმა, არის ფაქტის ანუ აღწერილობითი მსჯელობა. აქედან გამომდინარე, ისიც აშკარაა, რომ ქმედების ეს შემადგენლობა თავის თავში არ მოიცავს დანაშაულის ისეთ ორ შეფასებით ელემენტს, როგორებიცაა: ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, როგორც ამ ქმედების სახელმწიფოებრივი შეფასება, და სუბიექტის ბრალი, როგორც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი, რომელიც სახელმწიფოს სახელით სუბიექტის გავაცხვის საფუძველია. ასეთია დანაშაულის ცნების გერმანული მოდელიდან გამომდინარე დასკვნა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ დანაშაულის ცნების რუსულ მოდელში დანაშაულის ისეთი ნიშნები, როგორებიცაა: ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, მართლსაწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი, ამავე დროს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებსაც წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, ჯერ ერთი, „დანაშაული“ და მისი „შემადგენლობა“ არსებითად ერთი და იგივეა. მეორეც, დანაშაულის შემადგენლობა თავის თავში მოიცავს როგორც ქმედების მართლსაწინააღმდეგობას, ისე სუბიექტის ბრალს. მაშასადამე, დანაშაულის შემადგენლობა, როგორც ფაქტის მსჯელობა, არაა გამიჯნული ქმედების სახელმწიფოებრივი შეფასების ანუ მართლსაწინააღმდეგობისაგან. მესამე, რაკი ბრალი ქმედების შემადგენლობის ელემენტია, მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის განხორციელების ყოველი შემთხვევა უკვე დანაშაულია იმ მომენტიდან, როცა ქმედების შემადგენლობა განხორციელდა. ეს საფუძველია იმ ყალბი იდეისა, რომლის თანახმად, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის გამო ყალიბდება.

6 Ивин А., 1970. Основание лошкии оценок. МГУ, ст р. 222.

მაშასადამე, ქმედება მისი ჩადენის მომენტშივეა დანაშაული და, მაშასადამე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სისხლის სამართლის ნორმაშეფარდების პრობლემა საერთოდ არ არსებობს. მით უფრო, რომ დღემდე ბატონობს ტერმინი „დანაშაულის კვალიფიკაცია“, ესე იგი „დანაშაულად მიჩნეული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია“, რაც, რასაკვირველია, სრული აბსურდია. ცხადია, ნორმალურ პრაქტიკულ და თეორიულ ვითარებაში უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულად“, მაგრამ მაშინ დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურაში არც ქმედების მართლწინააღმდეგობა უნდა იგულისხმებოდეს და არც სუბიექტის ბრალი, ხოლო, ეს დანაშაულის ცნების რუსული მოდელი ვერ იქნება. აქ მოკლედ ვიტყვით იმის შესახებაც, რომ, რაკი დანაშაულის ცნების რუსულ მოდელში ქმედების შემადგენლობა თავის თავში მოიცავს ქმედების მართლწინააღმდეგობას და სუბიექტის ბრალს, ამკარაა, რომ მტკიცების საგნის არსისა და სტრუქტურის მიხედვით სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვას შორის არანაირი განსხვავება არ იქნება. უფრო მეტიც, ამ ლოგიკით, ბრალდებულის არაბრალეულობის პრეზუმფციას არავითარი საფუძველი არა აქვს, ხოლო ამ პოზიციიდან ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა უკვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა, რის გამოც სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის საჭიროება ლოგიკურად მოხსნილია.

ამრიგად, დანაშაულის ცნების რუსული მოდელი მიუღებელია, რადგან ამ პოზიციიდან სისხლის სამართლის ნორმის შეფარდებისა და მისი მეთოდების პრობლემა საერთოდ არ დგება. რაც შეეხება დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელს, ის, ცხადია, უფრო პროგრესულია, პრაქტიკულად უფრო სწორია, თუმცა, სამწუხაროდ, დანაშაულის ცნების ამ მოდელში დანაშაულის ამ სამი ელემენტის ლოგიკური კავშირი დღემდე პრობლემურია.

აქედან გამომდინარე, დგება დანაშაულის სისტემის პრობლემა, რომლის გარეშე სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა სწორად ვერ გადაწყდება. საქმე ეხება ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის კავშირს, ერთი მხრივ, ქმედების შემადგენლობისა და ბრალის კავშირს, მეორე მხრივ, უმართლობის (ესე იგი, ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის) სუბიექტური ელემენტების პრობლემას, რომელიც, თავის მხრივ, ბრალის პრობლემას უკავშირდება.

ცხადია, სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემატიკაში მხოლოდ ობიექტური, ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი შეფასების საკითხი არ დგას. საქმე ბრალდებულის საქციელის მოტივებისა და მიზნების დადგენასაც ეხება. ამ პოზიციიდან კი საქმე ეხება ე. წ. გაგებით შემეცნებას, რომელიც იურიდიულ ჰერმენევტიკაში მეტად დიდ როლს ასრულებს. სხვანაირად შეუძლებელია მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გაგებულ იქნეს ბრალდებულის ქცევის საზრისი, რომლის გარეშე სუბიექტის ბრალისა და მისი ფორმების დადგენა შეუძლებელია. ა. ბურჯალიანი, მიმოიხილავეს რა მოასაზრებებს იურიდიული ჰერმენევტიკის შესახებ, მართებულად აღნიშნავს, რომ მოსამართლე სამართლის ნორმის ინტერპრეტატორია, რომელიც დაკავშირებულია კანონთან, „ვინაიდან მან უნდა გადმოსცეს საქმის ვითარება ისე, როგორც ამას მოითხოვს ნორმა, რომლის საზრისიც მან ჯერ არ იცის“.⁷ აქვე ავტორი ხაზს უსვამს საქმის არსის ამ გაგების სიძნელეს, ე. წ. ჰერმენევტიკული წრის პრობლემას, რომლის თანახმად, მთელი გაიგება ნაწილების გაგების წყალობით, ხოლო ნაწილების გაგება მთელის გაგების გარეშე შეუძლებელია. ავტორის დასკვნით, „იურიდიულ ჰერმენევტიკაში იგი წარმოჩნდება, როგორც პრობლემა ნორმის კონკრეტიზაციის და საქმის ვითარებათა კონსტრუირების ურთიერთგანპირობებისა“.⁸

ამჯერად, სისხლის სამართლის ნორმის

7 ბურჯალიანი ა., 2012. სამართლის ფილოსოფია. თბილისი, გვ. 80.
8 იქვე, გვ. 89.

შეფარდების მეთოდებისა და სახელმწიფო ხელისუფლებათა განაწილების პრინციპის შესაბამისად, ვიტყვით, რომ ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე დასკვნა შეიძლება იყოს მხოლოდ ინდუქციური, ესე იგი, სავარაუდო. საქმე ისაა, რომ აქ ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ ინდუქციური დასკვნის მიზეზი მხოლოდ ის კი არაა, რომ ქმედების შემადგენლობა შეფასებითი არაა, ხოლო, ფაქტიდან შეფასებაზე პირდაპირი გადასვლის გზა არ არსებობს. ეს, როგორც ცნობილია, დეონტური ანუ ნორმათა ლოგიკის საკითხია. მაგრამ აქ ინდუქციის მეორე მიზეზი ისაა, რომ ქმედების შემადგენლობა კონკრეტული, ინდივიდუალური აქტია, ხოლო მართლწინააღმდეგობა ზოგად-შეფასებით მსჯელობას წარმოადგენს. ამ ინდივიდუალური აქტიდან ზოგად შეფასებაზე გადასვლა ინდუქციურია. პროფ. ს. წერეთელი აღნიშნავდა, რომ კერძოდან ზოგადზე გადასვლა ინდუქციურია, ესე იგი, სავარაუდოა.⁹ პროფ. ბ. სავანელის აზრით კი, ზოგადი ნორმით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი განხორციელება იმდენად ინდივიდუალურია, რომ ამ უკანასკნელის მიმართ ზოგადი ნორმის გავრცელება საკმაოდ რთულია. ამიტომ, ავტორის მართებული დასკვნით, “სწორედ აქ იწყება კონკრეტული ნორმის გამომუშავების პროცესი, სამართლის კონკრეტული აზრის წვდომა, რაც გამოიხატება სამართლის ნორმის შეფარდების აქტებში (გადაწყვეტილება, დადგენილება, განაჩენი და ა.შ.). ესაა კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის ინდივიდუალური რეგულირების სფერო, ზოგადიდან კონკრეტულ-სამართლებრივ ჯერარსში ინდივიდუალური აზროვნების გადართვის სამყარო”.¹⁰

ამრიგად, იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, ქმედების შემადგენლობა არის ფაქტის მსჯელობა, ხოლო ფაქტიდან ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, როგორც ამ ქმედების შეფასებაზე, პირდაპირი ლოგი-

კური გადასვლის გზა არ არსებობს, დასკვნა უკვე განხორციელებული ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ მხოლოდ ინდუქციურია, ესე იგი, სავარაუდოა, თუ ამასთან არ არსებობს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. მეორეც, აღნიშნული დასკვნა ინდუქციურია იმის გამოც, რომ ქმედების შემადგენლობა ინდივიდუალური აქტია, ხოლო ამ ინდივიდუალური აქტიდან ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, როგორც ზოგად შეფასებაზე, გადასვლაც პირდაპირი ლოგიკური გზით შეუძლებელია.

გასაგები უნდა იყოს, რომ ქმედების შემადგენლობიდან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე დასკვნის ინდუქციური, სავარაუდო ხასიათი, ეხება მხოლოდ გამოძიების სფეროს. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისათვის ამგვარი ვარაუდი სრულიად საკმარისია მის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად. რომ გამოძიებას არ მოეთხოვება და მას არც შეუძლია, რომ ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან მის მართლწინააღმდეგობაზე გადასვლის დედუქციური გზა გამოძიებნოს. მაგრამ, ცხადია, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე ამგვარი ვარაუდი უკვე ვერ მუშაობს, რადგან ვარაუდებზე განაჩენის დამყარება დაუშვებელია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი“ (ხაზგასმა ჩვენია). მაშასადამე, სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ქმედების ეს კონკრეტული შემადგენლობა მართლწინააღმდეგოა, უნდა იყოს კატეგორიული. ამისათვის სასამართლოს შეუძლია უკვე განხორციელებული ქმედების შემადგენლობიდან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე გადასვლისათვის მიმართოს უკუდასკვნას იმაზე, რომ ქმედების ამ შემადგენლობის პრაქტიკულ განხორციელებას წინ უსწრებდა დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, როცა

9 წერეთელი ს., 1965. დიალექტიკური ლოგიკა. თბილისი, გვ. 621.

10 სავანელი ბ., 1977. სამართლის თეორია. თბილისი, გვ. 178.

სისხლის სამართლის სუბიექტს სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან მართლზომიერი ქმედების ვალდებულება ეკისრებოდა. თუ სუბიექტს ხელს არაფერი უშლიდა, ემოქმედა მართლზომიერად, მაშინ სასამართლო აკეთებს კატეგორიულ დასკვნას, რომ სისხლის სამართლის სუბიექტმა დაარღვია მართლზომიერი ვალდებულება და, მამასადამე, ქმედების აღნიშნული შემადგენლობა განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგოდ.

მაინც საინტერესოა, თუ რა ლოგიკური ბუნებისაა აქ გაკეთებული დასკვნა ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ? ყველაფერიდან ჩანს, რომ აქ ჩვენ გამოვიყენეთ ე. წ. რედუქციის მეთოდი. ტერმინი „რედუქცია“, ამ უკანასკნელის უარყოფითი მნიშვნელობით, ნიშნავს ერთი მოვლენის დაყვანას მეორეზე. მაგალითად, რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში „პასუხისმგებლობა“ გაგებულ იქნა როგორც „მოვალეობა“,¹¹ რის გამოც

პასუხისმგებლობა რედუქცირებული (დაყვანილი) იქნა ურთიერთობაზე. ამგვარმა რედუქციამ კი არაერთი გაუგებრობა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ერთია რედუქცია, როგორც ლოგიკური მეთოდი, და მეორეა რედუქციონიზმი, როგორც ამ მეთოდის დამახინჯება, ერთი მოვლენის უსაუფუძვლო (უნაშთო) დაყვანა მეორეზე.

ამრიგად, რას ნიშნავს რედუქცია, როგორც ლოგიკური მეთოდი? პროფ. ს. წერეთელი წერდა: „რედუქცია ზოგადად ნიშნავს შედეგიდან საფუძველზე გადასვლას, შედეგის საფუძველზე მიყვანას, შედეგის საფუძველში გამართლებას, შედეგის საფუძველზე უკუდასკვნას. რედუქციული მეთოდი არის წესი შედეგიდან საფუძველზე გადასვლისა.“¹²

გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ქმედების მართლწინააღმდეგობის დასაბუთების საფუძველია მართლზომიერი ქმედების ვალდებულება, რომელიც სისხლის სამართლის სუბიექტს სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ეკისრება. ამ ვალდებულების დარღვევის გარეშე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება შეუძლებელია.* ქმედების ეს შემადგენლობა კი ამ დარღვევის შედეგია. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ხდება ქმედების ამ შემადგენლობიდან, როგორც შედეგიდან, უკუდასკვნა საფუძველზე, რომელიც მართლზომიერი ქმედების ვალდებულების სახით წინ უსწრებდა ქმედების ამ შემადგენლობის განხორციელებას.

გასაგებია, რომ უკუდასკვნა შედეგიდან საფუძველზე (ესე იგი, ქმედების შემადგენლობიდან მართლზომიერი ქმედების ვალ-

11 სამწუხაროდ, რუსული ტრადიცია ე. წ. „იურიდიული პასუხისმგებლობის“ კვლევისა დღემდე აცდენილია პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეიდან ამოსვლის მეთოდოლოგიას, რის გამოც აქ პასუხისმგებლობა მხოლოდ ნეგატიურია, სამართალდარღვევის ფაქტზეა წარმოქმნილი. მაგალითად, დ. ლიპინსკი ცდილობს, განაზოგადოს რუსეთში იურიდიული პასუხისმგებლობის კვლევის არანაკლებ ნახევარსაუკუნოვანი ტრადიცია, რომლის თანახმად, თითქოს შესაძლებელია, სამართალდარღვევის გამო იურიდიული პასუხისმგებლობა ვიკვლიოთ პასუხისმგებლობის ფილოსოფიური კატეგორიისაგან მოწყვეტით. ავტორი არ უარყოფს, რომ არსებობს პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა, მაგრამ ეს იდეა მას ამ სტატიის საგნის სფეროში არ შეაქვს (Д. А. Липинский, Концепции юридической ответственности за правонарушение в отечественной юриспруденции, „Правоведение“ 2015, №1 стр. 58). ამის გამო ავტორს სხვა გზა არ რჩება, თუ არა იმის მტკიცებისა, რომ პასუხისმგებლობა არის სამართალდამრღვევის მოვალეობა (იქვე, გვ. 51). ჯერ ერთი, დანაშაულის ჩამდენი პირი თვითონ კი არაა ვალდებული, თავის თავს დააკისროს პასუხისმგებლობა, არამედ ამ პასუხისმგებლობას მას მხოლოდ სასამართლო აკისრებს. მეორეც, რაკი მოვალეობა ურთიერთობის ელემენტი, ავტორი იძულებული ხდება, პასუხისმგებლობისა და ურთიერთობის კატეგორიები გააიგივოს და სამართალდარღვევის გამო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ყალბი იდეა ხელახლა ამტკიცოს, მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი გაჰყავს სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ, სამარ-

12 თლებრივად თავისუფალ სივრცეში, როგორც ეს ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიაში“ გაგებულ იქნა. წერეთელი ს., 1965. დიალექტიკური ლოგიკა. თბილისი, გვ. 592.

* სხვა საკითხია, თუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებშიც შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ვითარებაში ქმედების ეს შემადგენლობა (ხელმეოფის მოკვდინება ან მისთვის ჯანმრთელობის დაზიანების მიყენება) აუცილებელი მოგერიების საშუალებაა.

დებულებაზე) რედუქციულია, ხოლო, აქედან კი კეთდება კატეგორიული (და არა ინდუქციური ანუ სავარაუდო) დასკვნა იმის შესახებ, ჩადენილი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ დასკვნა, რომელიც სუბიექტზე დაკისრებული მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევიდან ქმედების შემადგენლობაზე, როგორც კერძოზე გადასვლის სახით ხორციელდება, თითქოს დედუქციურია. მაგრამ ირკვევა, რომ დედუქცია, რომელიც ზოგადიდან კერძოზე გადასვლის წესია, ზოგადის დასაბუთების გარეშე მიღებას ნიშავს, მაშინ, როცა ჩვენ, პირიქით, საგანგებოდ ვასაბუთებთ, რომ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან სისხლის სამართლის სუბიექტს მართლზომიერი ქმედების ვალდებულება ეკისრება და რომ ეს ვალდებულება სახელმწიფოსთან სუბიექტის ნორმატიული, ობიექტური კავშირის ნიშანია.

კიდევ უფრო რთულია სუბიექტის ბრალის დადგენის სასამართლო წესის გაცნობიერება. თუ გამოძიების სტადიაზე ბრალდებული, თავისი პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, არაბრალეულია, თუმცა ბრალის ფორმებზე დაყრდნობით სუბიექტის ბრალზე სავარაუდო დასკვნა მაინც შეიძლება გაკეთდეს – სასამართლომ სუბიექტის ბრალის კატეგორიულად ანუ დედუქციური წესით უნდა დაადგინოს. ეს შეიძლება ბრალის უკვე დადგენილი ფორმებიდან ბრალზე უკუდასკვნის საფუძველზე. კერძოდ, მართლზომიერი ქმედების ვალდებულება, რომელიც სისხლის სამართლის სუბიექტს სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე ეკისრება, სახელმწიფოსთან სისხლის სამართლის სუბიექტის ნორმატიული (ობიექტური) კავშირის ნიშანია. მაგრამ ეს კავშირი მხოლოდ მაშინ იარსებებს, თუ სისხლის სამართლის სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდება პასუხისმგებლურად, ესე იგი, ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით. აქედან გამომდინარე, ბრალის უკვე დადგენილი ფორმებიდან

სასამართლო აკეთებს უკუდასკვნას იმაზე, რომ იმ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას სუბიექტი მოეკიდა უპასუხისმგებლოდ, ესე იგი, ბრალეულად. მით უფრო, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გენეზისურად პირველია, რომელიც წინ უსწრებს, ჯერ ერთი, მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევას (ესე იგი, ქმედების მართლწინააღმდეგობას); მეორეც, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია კი იწყება ქმედების შემადგენლობიდან, მეორე ეტაპზე ხდება ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის, ხოლო, მესამე ეტაპზე – სუბიექტის ბრალის დადგენა.

ამრიგად, ამკარაა, რომ დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლის-სამართლებრივი ურთიერთობის ფორმაში სისხლის სამართლის სუბიექტს მართლზომიერი ქმედების ვალდებულება ეკისრება, ხოლო ეს სუბიექტი, თავის მხრივ, მონოდებულია, ამ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდოს. აქ, როგორც ჩანს, სახეგა მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისა და ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულების ერთიანობა. ეს ერთიანობა, ჯერ ერთი, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სისხლის სამართლის სუბიექტმა მართლზომიერი ქმედება ჩაიდინოს და ამ ქმედებით შექმნას მართლწესრიგი.¹³ მეორეც, ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან უკუდასკვნის წესით გადავიდეს იმ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც წინ უსწრებდა ქმედების შემადგენლობის განხორციელებას, ესე იგი, როცა სისხლის სამართლის სუბიექტს მართლზომიერი ქმედების ვალდებულება დაეკისრა. თუ სუბიექტს ხელს არაფერი უშლიდა, რომ მართლზომიერი ქმედება

13 იხ. ნაჭყებია გ., 2015. პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. თბილისი, გვ. 232.

ჩაედინა, მაშინ სასამართლო აკეთებს რედუქციულ უკუდასკვნას, რომ ქმედების ეს შემადგენლობა განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგოდ. მეორე მხრივ, თუ სუბიექტს ხელს არაფერი უშლიდა, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოჰკიდებოდა პასუხისმგებლურად, მაშინ ქმედების აღნიშნული შემადგენლობა განხორციელებულია ბრალეულად, ესე იგი, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად.¹⁴ ამ უპასუხისმგებლობის ანუ ბრალის ხარისხი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით უკვე გამოძიების ეტაპზე იყო დადგენილი. გამოდის, რომ ბრალის ფორმები სასამართლოს ბრალზე დაჰყავს. ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როცა ფორმა შინაარსზე დაყვანილი, მაშინ, როცა, პირიქით, ფორმას შინაარსი განსაზღვრავს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ბრალი გენეზისურად წინ უსწრებს ბრალის ფორმებს, რომლებიც რედუქციის წესით ბრალზე დაიყვანება.

14 იხ. ნაჭყებია გ., 2015. სახელმწიფო ხელისუფლება-თა განაწილების მიხედვით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები, „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე“, თბილისი, გვ. 173-176.

ცხადია, სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა ზემონათქვამით კი არ ამოიწურება, რადგან სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა მხოლოდ მაშინ დგება, როცა სამართლის სუბიექტმა სამართლის ნორმის მოთხოვნა ნებაყოფლობით არ შეასრულა. მაშასადამე, სამართლის ნორმის მოთხოვნა მოცემულ შემთხვევაში მართლწესრიგად არ იქცა, რის გამოც ნორმის მოთხოვნის დამრღვევი სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ აღმოჩნდა. ეს, ჩვენი აზრით, თავისებურად ასაბუთებს ჰეგელის იმ ცნობილ დებულებას, რომ დანაშაული სამართლის უარყოფაა,¹⁵ ხოლო სასჯელმა უნდა უარყოს დანაშაული.¹⁶ მაგრამ ამ მიმართებით წარმოქნილ პრობლემებს შემდგომ უფრო ღრმა გამოკვლევა სჭირდებათ.

15 ჰეგელი, 1962. ლოგიკის მეცნიერება. თბილისი, გვ. 364.
 16 Гегель, 1990. Философия права. М., стр. 145

APPLYING THE LEGAL NORM AND THE PROBLEM OF ITS METHODS

Guram Nachkebia

*Doctor of Law, emeritus, Academician of the Academy
of Sciences of Georgia, a member of the Union of Law Scientists*

KEY WORDS: Action, Judge, Norm

RESUME

In the current article the problems of applying legal norm and its methodology are discussed. It is proved that the legal norm enters the legal order in the form of the legal relations. The subject of law is obliged to act lawfully and shall address this obligation with due responsibility. Unfortunately, the subject of law often breaches the obligation to act lawfully and does not treat this obligation with due responsibility, that is culpably. For this reason the problem arises: the court conforms that legal norm to the offender which the subject of law have not fulfilled voluntarily. There exist several methods for applying the legal norm: deduction that is moving from the general to concrete, induction, i.e. concluding from concrete towards general; reduction – that is deriving from outcome towards the basis, when the court makes a retroactive conclusion from the composition of omitted act, that means the subject of law could act lawfully and taken responsibility for the obligation, therefore he/she acted unlawfully and culpably.

NOTES:

1. Radjbruk G., 2004. Philosophy of Right. M., p. 195. (In Russian)
2. Ibid. p. 100.
3. Ibid. p. 94.
4. Ibid. p. 95.
5. Tkesheliadze G., 1975. Judicial practice and criminal law. Tbilisi, p. 53-54. (In Russian)
6. Ivin A., 1970. Basis for the assessment logic. MSU, p. 222. (In Russian)
7. Burjaliani A., 2012. Philosophy of Right. Tbilisi, p.80. (In Georgian)
8. Ibid. p. 89.
9. Tsereteli S., 1965. Dialectic logic. Tbilisi, p. 621. (In Georgian)
10. Savaneli B., 1977. Theory of Law. Tbilisi, p. 178. (In Georgian)
11. Unfortunately Russian tradition regarding the study of so called “legal responsibility” is still not coinciding the methodology arising from the idea of positive responsibility that is why responsibility is only negative here, i.e. evolved from the committed offence. For instance, D. Lipinski tries to generalize the tradition of almost half century for the methodology of studying the legal responsibility, according to which it is quasi possible to research the legal responsibility for the offence in abstraction from the philosophical category. The author does not deny that there exists the idea of positive responsibility, but this idea is not included in the scope of current article (D.A. Lipinskii, Concepts of legal responsibility for the offence in the national jurisprudence, “Legal Studies” 2015, #1, p.58 (In Russian)). For this reason the author has no other way but to prove that being responsible is the obligation of the offender (Ibid. p. 51). On one hand, the person committing crime is not personally obliged to take on himself/herself the responsibility, but the court is eligible to impose this responsibility. On the second hand, as the obligation is the element of the relationship, the author has to align the categories of responsibility and relationship and to prove again the false idea of the material-legal relationship because of the offence, where the committing crime takes the offender outside from the legal relationship with the state to the legally free area, as it is understood in the “Philosophy of Right” according to Hegel.
12. Tsereteli S., 1965. Dialectic Logic. Tbilisi, p. 592. (In Georgian)
13. See: Nachkebia g., 2015. Practical recommendations for the general part of the Criminal Code of Georgia. Tbilisi, p. 232. (In Georgian)
14. See: Nachkebia G., 2015. “Problems of qualification of the action as a crime according to the distribution of the state governance, “Guidelines on the form of the judgment on criminal case, its justification and stylistic coherence of the text.” Tbilisi, p. 173-176. (In Georgian)
15. Hegel, 1962. Science of Logic. Tbilisi, p. 364. (In Georgian)
16. Hegel, 1990. Philosophy of Right. M., p. 145. (In Russian)

სიამის ტყუპებთან დაკავშირებული საკითხები თანამედროვე ქართულ სამართალში

გიორგი გ. თუმანიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი,
საქართველო)

მასარიკის უნივერსიტეტი (ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა)
სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

საკვანძო სიტყვები: სამართალსუბიექტობა, ტყუპი,
გამოწვევა

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მიზანია, წარმოაჩინოს საკითხი და დაინყოს სამეცნიერო დისკუსია, რომლის შედეგად უნდა იყოს კონკრეტული პასუხები კითხვებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია თანამედროვე როგორც ქართული, ისე განზოგადებით მსოფლიო, საერთაშორისო მრავალი დარგისა თუ ქვედარგის სამართლისათვის.

სხეულებით შეერთებული ტყუპები (conjoined twins), ხშირად იურიდიულ და სამედიცინო ლიტერატურაში მოიხსენება, როგორც სიამის ტყუპები. თავის მხრივ, ეს სახელწოდება მომდინარეობს ადგილმდებარეობიდან (სიამი /სანსკრიტზე Sayam/, დღევანდელი ტაილანდი) სადაც 1811 წელს დაფიქსირდა ერთი (საერთო) სხეულის მქონე ტყუპების ენგის და ჩანგის (ბანკერები) დაბადება, რაც მიიჩნევა ასეთი ტყუპების პირველ ზუსტად დათარიღებულ დაბადებად.¹ მიუხედავად



1 Chichester, P., 1995. *Reader Favorites: Eng & Chang Bunker: A Hyphenated Life*. *BlueRidgeCountry.com*. Retrieved 23 April 2016, from <http://blueridgecountry.com/archive/favorites/a-hyphenated-life/>

ამ ზუსტი დათარიღებისა, დოკუმენტურად დადასტურებულია შეერთებულ ტყუპთა ცოცხლად დაბადების უფრო ადრინდელი შემთხვევებიც, კერძოდ კი: იონა (ჰელენა) და ჯუდიტ გოფიტცები – უნგრელი დები, რომელთა დაბადებაც 1701 წლით არის დათარიღებული;² ასევე, ლაზარუს და იოანეს კოლორედოები – იტალიელი ტყუპები – 1617 წელი.³ მნიშვნელოვანია, რომ შეერთებული ტყუპების ვიზუალიზაცია გვხვდება ბევრად უფრო ადრეც, ასე მაგალითად, ნიურნბერგის ქრონიკებში, რომლებიც ეფუძნება ადამიანთა განვითარების როგორც მსოფლიო, ასევე ბიბლიურ ისტორიას და, თავის მხრივ, წარმოადგენს ბიბლიის ერთ-ერთ ილუსტრირებულ, პერიფრაზებულ ვერსიას. ამ გამოცემაში, რომელიც თარიღდება 1493 წლით, გვხვდება შეერთებული ტყუპების ორი ილუსტრაცია.^{4,5}

კლასიკურ ხანაში, „უხეში ანომალიები“ ითვლებოდა ღმერთის გაფრთხილებად. ასე მაგალითად, წმინდა ავგუსტინეს თვალსაზრისით, ეს იყო შესენება ღმერთის მიერ ადამიანის თავდაპირველი ცოდვისა.⁶

მექსიკაში, დაახლოებით 3000 წლის წინ არსებული პატარა სოფელ ტლატილკოს გათხრებმა გამოავლინა სახისა და თავის ქალის დუბლიკატების ფართო სპექტრის საოცრად ზუსტი თიხის ქანდაკებები.⁷ ბევრი ამ არტეფაქტთაგანი (ხელოვნურად გაჩენილი ან მომხდარი) არის პატარა მდებარი ფიგურები მცირე ზომის წელითა და მკერდით, მოკლე მკლავებით და გამო-

ბურცული თეძოებით. ფიგურათა უმეტესობას აქვს ნორმალური სახეები, ხოლო ზოგიერთ მათგანს – ორმაგი სახეები საერთო, ცენტრში მოთავსებული დევისებრი ერთი თვალით და ჩვეულებრივი გვერდითი თვალებით (მაგალითისთვის შეგიძლიათ იხილოთ: <https://ka-perseus-images.s3.amazonaws.com/046f0f0265f008017f3025b68e-061d6245a34880.jpg>). სხვებს აქვთ განცალკევებული სახეები, ხოლო რამდენიმე არის ცალ-ცალკე კისრებით და ერთი სხეულით.

ტლატილკო იყო ოლმეკების კულტურული მსოფლიოს ნაწილი, რომელიც ფართო საზოგადოებას უზიარებდა სიმინდის მოყვანის ტექნოლოგიას, ხატწერას და ბევრ სხვას. თუმცა, სახის დუბლირებული და ორთავიანი მცირე ზომის ქანდაკებები გვხვდება პრაქტიკულად მხოლოდ ტლატილკოში და არსად სხვაგან ოლმეკურ ხელოვნებაში. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორსახოვანი გამოსახულებანი საერთოა ყველა ტრადიციულ ხატწერაში. ტლატილკოს სახეები და თავები საინტერესოა იმიტომ, რომ ისინი ევოლუციურად და პროპორციულად ზუსტია, ასევე ისინი არ არიან უბრალოდ შეუძლებელი ან ტრანსცედენტული სანყისის მატარებელი (მითიური) ჰიბრიდები, როგორებიცაა: კენტავრი ან მინოტავრი. მთელ მსოფლიოში დაბადებული სიამის ტყუპების აუხსნელი ჯგუფების საანგარიშო მოხსენება ქმნის ტლატილკოს ფიგურების (როგორც ძლიერი სურვილის გამღვიძებლის) ბიოლოგიურ სიზუსტეს.⁸

თქმულების მიხედვით, მერი და ელიზა (გვარად Chulkhurst), ცნობილი როგორც ბიდენდენელი ქალიშვილები (Biddenden Maids), იყვნენ სიამის ტყუპები, რომლებიც დაიბადნენ საკმაოდ შეძლებულ ოჯახში, ბიდენდენში, კენტში, ინგლისში, 1100 წელს. მათი სხეულები ერთდებოდა ბარძაყებიდან მხრებამდე. ბუნებრივია, ისინი იყვნენ ძალიან ახლო მეგობრები, თუმცა ხანდახან უთანხმოება ჰქონდათ უმნიშვნელო საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც ჰქონდათ „ხშირი დაპირისპირებები, რაც

2 Aprilis, P., 2016. *Silver.drk.hu*. Retrieved 23 April 2016, from <http://silver.drk.hu/hu/content/2013-aprilis>

3 Bondeson, J., 2000 *The Two-Headed Boy, and Other Medical Marvels ISBN 978-0-8014-3767-0*

4 *The society of selves – Scientific Figure on ResearchGate*. Available from: https://www.researchgate.net/6549165_fig6_Figure-6-Siamese-twins-woodcut-from-the-Nuremberg-Chronicle-1493 [accessed 23 Apr, 2016]

5 *Nurember Chronicle – Morse Library, Beloit College*. 2016. *Beloit.edu*. Retrieved 23 April 2016, from <https://www.beloit.edu/nuremberg/book/images/Miscellaneous/>

6 ვაშალომიძე ა., არიშვილი მ., მიქიაია ს., ცისკარიშვილი ნ., ზეჟუაშვილი ბ., თუმანიშვილი გ., 2013. სიამის ტყუპების სამართალსუბიექტობის საკითხი თანამედროვე სამართალში, თბილისი.

7 *Khan Academy*. 2016. *Khan Academy*. Retrieved 23 April 2016, from <https://www.khanacademy.org/humanities/art-americas/early-cultures/tlatilco/a/tlatilco-figurines>

8 *How Twins Work*. 2005. *HowStuffWorks*. Retrieved 24 April 2016, from <http://science.howstuffworks.com/life/genetic/twin4.htm>

ზოგჯერ გვირგვინდებოდა ხელჩართული ბრძოლით“. 1134 წელს, როდესაც მათი თანაცხოვრებიდან გავიდა 34 წელი, მერი მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა. ელიზას შესთავაზეს გარდაცვლილი დისგან განსალკვევება ქირურგიული ოპერაციის ჩარევით, მაგრამ უარი განაცხადა. მან თქვა: „როგორც ერთად მოვედით, ასევე ერთად წავალთ“ და თავადაც დაიღუპა დის სიკვდილიდან ექვსი საათის შემდეგ. დღეისათვის არსებულ ფირფიტებზე და ნახატებზე ისინი ასახულნი არიან, როგორც ბეჭებით და ბარდაყებით შეერთებულები. ეს არის ყველაზე იშვიათი შემთხვევა, როდესაც სიამის ტყუპებს (Siamese twins) აქვთ ორი დამოუკიდებელი შეერთების ნაწილი; მათი განსაკუთრებულობის გამო ძალიან ცოტა არის ასეთი შემთხვევა აღწერილი.⁹

მოვლენები, რომელთაგანაც ვსაუბრობთ, არ იყო ზუსტად დაფიქსირებული 1811 წლამდე. სწორედ 1811 წელს იქნა პირველად ზუსტად დოკუმენტირებული შეერთებული ტყუპების შემთხვევა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ ტიპის ტყუპების სახელწოდების ჩამოყალიბებას – როდესაც ორი ბიჭი – ჩანგი და ენგი დაიბადნენ ბანგკოკში, ტაილანდში. ისინი ერთმანეთთან შეერთებულნი იყვნენ მკერდის ძვლით.

ტყუპები მოგზაურობდნენ მსოფლიოს გარშემო ბარნუმის ცირკთან ერთად (P.T. Barnum), მათ კონსულტაციებს უწევდა მრავალი ექიმი. ბევრმა ექიმმა, მათ შორის რუდოლფ ვირკოუმ, (R. Virchow),¹⁰ გამოიტანა დასკვნა, რომ მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან დამლუპველი იქნებოდა ორივესათვის. ეს პროგნოზი მისაღები იყო ტყუპებისთვის, რადგან მათი სიმდიდრისა და დიდების განმსაზღვრელი ის მდგომარეობა იყო, რომელშიც ისინი დაიბადნენ.¹¹

9 *Biddenden Maids | Mysterious Britain & Ireland*. 2016. *Mysteriousbritain.co.uk*. Retrieved 23 April 2016, from <http://www.mysteriousbritain.co.uk/england/kent/folklore/biddenden-maids.html>

10 *Rudolf Virchow | German scientist*. 2016. *Encyclopedia Britannica*. Retrieved 23 April 2016, from <http://www.britannica.com/biography/Rudolf-Virchow>

11 *How Twins Work*. 2005. *HowStuffWorks*. Retrieved 24 April 2016, from <http://science.howstuffworks.com/life/genetic/twin4.htm>

31 წლის ასაკში ამ ტყუპ-ქსიფოპაგებს (xiphopagus)¹² ცოლად ორი და გაჰყვა, რომლებმაც აჩუქეს 21 შვილი.¹³ ტყუპები გარდაიცვალნენ ერთი საათის ინტერვალით, 61 წლის ასაკში. გაკვეთის შედეგად აღმოჩნდა, რომ ისინი ერთმანეთს არც ერთ ორგანოს (მთლიანად) არ უზიარებდნენ, საერთო ჰქონდათ მხოლოდ ღვიძლის მცირე ქსოვილი, კუჭის საპროექციო არე, არტერია და რამდენიმე ვენა. ცოცხლად დარჩენილი ტყუპის გარდაცვალების მიზეზი იყო ის, რომ მისგან გადინებული სისხლი ვერ ახდენდა ცირკულაციას და მკვდარი ძმის სხეულიდან უკან ვეღარ უბრუნდებოდა.

განზოგადებული სტატისტიკური თვალსაზრისით, შეერთებული ტყუპების რიცხვი არც ისე მცირეა, კერძოდ კი: 1 შემთხვევა 200 ტყუპს შორის, ფეხმძიმობის თვალსაზრისით განზოგადებული სტატისტიკური მონაცემებით შეერთებული ტყუპების ემბრიონი გვხვდება 1/20 000 დან 1/100 000 ფეხმძიმობის შემთხვევაში. შეერთებული ტყუპების დაახლოებით 70 % მდედრობითი სქესის არის,¹⁴ რის მიზეზიც და გამომწვევი ფაქტორებიც დღევანდელ დღემდე მეცნიერთათვის უცნობია.

სიამის ტყუპების დაახლოებით ნახევარი მკვდრად შობილია, ისინი დაბადებამდე იღუპებიან, უფრო მცირე ნაწილი კი იბადება ცოცხალი, მაგრამ დაბადებიდან რამდენიმე საათში იღუპება; მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ახერხებს გადარჩენას. სტატისტიკა დაახლოებით ასეთია – მკვდრად შობილი სიამის ტყუპები – 40%-დან – 60%-მდე, დაბადებიდანვე მალე გარდაცვლილი სიამის ტყუპები – 35%-მდე, გადარჩენილი სიამის ტყუპები – 25%-მდე. სტატისტიკური ინფორმაციის ძიების

12 *Xiphopagus — Medical Definition*. 2016. *Medilexicon.com*. Retrieved 23 April 2016, from <http://www.medilexicon.com/medicaldictionary.php?t=100221>

13 *How the original Siamese twins had 21 children by two sisters... while sharing one (reinforced) bed*. 2014. *Mail Online*. Retrieved 23 April 2016, from <http://www.dailymail.co.uk/news/article-2825888/How-original-Siamese-twins-21-children-two-sisters-sharing-one-reinforced-bed.html>

14 *Facts About the Twins*. 2016. *University of Maryland Medical Center*. Retrieved 23 April 2016, from <http://umm.edu/programs/conjoined-twins/facts-about-the-twins>

პროცესში, JBS სამეცნიერო დეპარტამენტის ელექტრონულ საცავში დაცულ დოკუმენტში შემთხვევით წავაწყდით სურათს, რომელიც დათარიღებულია 1960 წლით, ხოლო მისი გადაღების ადგილად მითითებულია წყნეთი.¹⁵

საკითხის სიცხადისათვის რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხო შეერთებული ტყუპების ტიპოლოგიას და სახესხვაობებს.



ერთიერთშებრდის ლოკალიზაციის, თავის ტვინის, კიდურების და შინაგანი ორგანოების განვითარების მიხედვით, განასხვავებენ სიამის ტყუპების სხვადასხვა სახეს.

შებრდის ვარიანტები:

- ინოპაგები – კეფით შებრდილები;
- იშიოპაგები – გვერდებით შებრდილები;
- კრანოპაგები, ცეფალოპაგები – თავით შებრდილები;
- ქსიფოპაგები, თორაკოპაგები – გულმკერდით შებრდილები;
- ომფალოპაგები – ჭიპით შებრდილები;
- ოპოლიდიმუსი – ერთ სხეულზე ორი თავით;
- პიგოპაგები – კუდუსუნით შებრდილი;
- პროზოპოტორაკოპაგები – სახითა და გულმკერდით შებრდილები.
- პარაპაგები – ზურგით დაკავშირებულიები.¹⁶









საკითხის უფრო მკაფიოდ წარმოჩენისთვის მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მათგანი განვიხილოთ ცალ-ცალკე, განვსაზღვროთ მათი შობადობის ალბათობის პროცენტული მაჩვენებლები. სიამის ტყუპები



კლასიფიცირდება შეერთების ყველაზე გამორჩეული ადგილის საფუძველზე სუფიქს „პაგუს“-თან (pagus) ერთად, რომელიც ნიშნავს (fixed) უძრავს, უმოძრაოს, მუდმივს, უცვლელს, მიმაგრებულს, დამაგრებულს. ვენტრალური, იგივე მუცლის შეერთება, გვხვდება 87%-ში და კლასიფიცირდება როგორც: ცეფალოპაგუსი – cephalopagus (11%), გულმკერდთან დაკავშირებული – thoracopagus (19%), ომფალოპაგუსი – omphalopagus (18%), იშიოპაგუსი – ischiopagus (11%) (ischemia – იშემია (ადგილობრივი სისხლნაკლებობა, გამონვეულია მკვებავი არტერიის დაცობით ან დაფინროებით), ischemic – adj – იშემიური – ორგანიზმში ქსოვილის, ორგანოს მდგომარეობა, როდესაც მისი სისხლით მომარაგება დარღვეული და შემცირებულია), და პარაპაგუსი – parapagus (28%). დორსალურ, იგივე ზურგის ან ზურგისეულ გაერთიანებები ფიქსირდება სიამის ტყუპების 13%-ში და კლასიფიცირდება, როგორც: კრანოპაგუსი (თავის ქალის) – craniopagus (5%), რაქიოპაგუსი – rachio-pagus (2%), და პიგოპაგუსი – pygopagus (6%).¹⁷

15 JBS Science Department, Electronic Data Base, http://science.jbarrroughs.org/mbahe/BioEthics/Articles/Types_of_Conjoined_Twins.pdf
16 CASE REPORT | სიამის ტყუპები. 2016. Modernpublish-

ing.ge. Retrieved 23 April 2016, from http://www.modernpublishing.ge/view_post.php?id=15&pub=3&year=2008
17 How Twins Work. 2005. HowStuffWorks. Retrieved 24 April 2016, from <http://science.howstuffworks.com/life/>

<p><u>Cephalopagus</u></p> <p>ცეფალოპაგუსი არის შეერთება საწყისი თხემიდან ქვემოთ ჭიბამდე. ამ შემთხვევაში შეერთებულ თავს აქვს ორი სახე, რომლებიც ერთმანეთისგან ურთიერთსაპირისპირო მხარეს არის განლაგებული. ქვედა მუცელი და მენჯი არ არის გაერთიანებული და ტანს გააჩნია ოთხი ხელი და ოთხი ფეხი.</p>	 <p>Cephalopagus</p>
<p><u>Thoracopagus</u></p> <p>გაერთიანებულია პირისპირ ზედა გულმკერდიდან ქვემოთ ჭიბამდე. შეერთებაში ყოველთვის ჩართულია გული. მენჯი არ არის შეერთებული და სხეულს აქვს ოთხი ხელი და ოთხი ფეხი.</p>	 <p>Thoracopagus</p>
<p><u>Omphalopagus</u></p> <p>ემბრიონი შეერთებულია პირისპირ, ძირითადად ჭიბის მიმდებარე ტერიტორიაზე. შეერთების არეალს ხშირად მოიცავს გულმკერდის ქვედა მხარე, მაგრამ გული არასოდეს და ასევე არც ერთი გულთან დაკავშირებული სისხლძარღვი. მენჯი არ არის შეერთებული და სხეულს აქვს ოთხი ხელი და ოთხი ფეხი.</p>	 <p>Omphalopagus</p>
<p><u>Ischiopagus</u></p> <p>გაერთიანებულია ჭიბიდან ქვემოთ დიდ შეერთებულ მენჯამდე ორი კუდუსუნის ძვლით. სხეულს აქვს ოთხი ხელი და ოთხი ფეხი, გარე სასქესო ორგანოები და ყოთა ნაწლავი ყოველთვის ჩართულია.</p>	 <p>Ischiopagus</p>
<p><u>Parapagus</u></p> <p>ტყუპები ერთმანეთთან შეერთებულია გვერდულად, შეწყობილია ვენტრალურად ჭიბით, კაუდალურად ანუ კუდუსუნს ქვემოთ ერთია და კრანიალურად (თავის ქალისკენ) ორმაგდება.</p>	
<p><u>Craniopagus</u></p> <p>ასეთი სახის სიამის ტყუპები შეერთებული არიან თავის ქალის ნებისმიერ ნაწილში გარდა სახისა. ტანი არ არის გაერთიანებული და აქვს ოთხი ხელი და ოთხი ფეხი.</p>	
<p><u>Rachiopagus</u></p> <p>სხეული შეერთებულია კუდუსუნის ზემოთ, შეერთებაში შეიძლება მოქცეული იყოს კეფა და ასევე ხერხემალი.</p>	
<p><u>Pygopagus</u></p> <p>გაზიარებული აქვთ კუდუსუნის მიმდებარე ტერიტორია, ჩვეულებრივ აქვს ერთი ყოთა ნაწლავი ორი სწორი ნაწლავით, ოთხი ხელი და ოთხი ფეხი.</p>	 <p>Pygopagus</p>

სიამის ძყუპების ერთმანეთისგან სასამართლო პრეცედენტში

თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ (ცნობილ) შეერთებულ ტყუპებს¹⁸ წარმოადგენენ აბიგალე რორენ და ბრიტანი ლი ჰენზელეები, რომლებიც დაიბადნენ 1990 წლის 7 მარტს მინესოტას შტატში. ისინი წარმოადგენენ ოპოდიდიმუსის ტიპის სიამის ტყუპებს. მიუხედავად მათი ერთი სხეულისა, ისინი აბსულუტურად განსხვავებულები არიან ერთმანეთისაგან, რის გამოც ხშირად აქვთ უთანხმოება. სამართლებრივ ურთიერთობებში ტყუპები გამოდიან, როგორც ორი დამოუკიდებელი ადამიანი. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, რომ მათ აქვთ ორი სასკოლო ატესტატი, უნივერსიტეტის დიპლომი და ორი მართვის მოწმობა.¹⁹

მათი განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, ისინი ხშირად არიან ყურადღების ქვეშ. მათ შესახებ იწერება არაერთი სტატია და ბლოგი, საზოგადოების ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ მიუხედავად მათი ერთი სხეულისა, ისინი რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

საქართველოს სინამდვილეში ინფორმაცია შეერთებული ტყუპების ცოცხლად დაბადების შესახებ პირველად 2015 წელს გავრცელდა.²⁰ აღნიშნული ინფორმაცია/მონაცემი, ბუნებრივია, ვერ იქნება მიჩნეული რელევანტულ მონაცემად იმ სტატისტიკის ფონზე, რომელიც განზოგადებული სახით არსებობს მსოფლიოში და იმის ვარაუდი, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შეერთებული ტყუპები პირველად მხოლოდ 2015 წელს დაიბადნენ, მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკურ და მეცნიერულ საფუძველს. ტყუპებმა ერთ სხეულად 175 დღე იცოცხლეს, ხოლო შემდგომ მოხდა მათი განცალკევება ქირურგიული ჩარევით.²¹

იმის გამო, რომ სიამის ტყუპები ერთმანეთთან არიან შეზრდილები, მათ ხშირად თავისუფლად ცხოვრება უჭირთ. უფრო მეტიც, ზოგჯერ ერთ-ერთი მათგანის გადასარჩენად საჭიროა გამოყოფის ოპერაციის ჩატარება. მათი ერთმანეთისგან გამოყოფა სარისკოა და მოითხოვს ოპერაციის ჩატარებას უკიდურესი სიზუსტით. გამოყოფა დამოკიდებულია ორგანოებზე, რომლებსაც ტყუპები იზიარებენ. ექიმები ყურადღებით აფასებენ, თუ როგორია მათი საერთო ორგანოების ფუნქცია და შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას, ჩაატარონ თუ არა ოპერაცია; მაგრამ ამისთვის აუცილებელია (სავალდებულოა) უშუალოდ ტყუპების თანხმობა, თუ სრულწლოვნები არიან, ხოლო როდესაც მცირეწლოვნებს ეხება საქმე, უკვე პრობლემურია სამართლებრივ-ბიოეთიკური თვალსაზრისით იმ პირთა წრის ზუსტი დადგენა, ვისაც აქვს უფლებამოსილება, გასცეს (მიიღოს) ზემოაღნიშნული თანხმობა. ვის აქვს უფლებამოსილება, მიიღოს მათ მაგივრად გადაწყვეტილებები – მშობლებს თუ ექიმებს? რა ხდება, როდესაც მათი აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა? სწორედ მსგავსი ქეისის საფუძველზე მიიღო დიდი ბრიტანეთის სასამართლომ პრეცედენტი. საქმეს პირობითად „ჯედის და მერის გამოყოფის საქმე“ ეწოდა.²²

ეს განხილვა სასამართლოს უპრეცედენტო განხილვა იყო მთელ მსოფლიოში. დავინყოთ თავიდან: ჯედის და მერის სამედიცინო მდგომარეობა იშვიათი იყო, გარდა იმისა, რომ საერთო ორგანოები ჰქონდათ, მერის ჰქონდა მრავალი მნიშვნელოვანი ნაკლი ორგანოებზე. მისი ფილტვები სიცოცხლისთვის უუნარო იყო,

18 genetic/twin4.htm
Lawton C., 2012. *10 of the World's Most Famous Conjoined Twins*. *Phoenix New Times*. Retrieved 23 April 2016, from <http://www.phoenixnewtimes.com/arts/10-of-the-worlds-most-famous-conjoined-twins-6561096>
19 *Gawker.com*. 2016. Retrieved 23 April 2016, from <http://gawker.com/5933247/two-heads-one-body-a-billion-questions-the-gawker-guide-to-tlcs-newest-stars-abby-brittany-hensel>
20 საქართველოში პირველი სიამის ტყუპები ქუთაისში ცხოვრობენ. 2016. *NewPress.ge*. Retrieved 23 April 2016, from http://www.newpress.ge/staties_id/2196
21 მედიცინის სენსაცია: გერმანიაში ქართველი სიამის ტყუპები დააცალკევეს. 2016. *Presa.ge*. Retrieved 23 April 2016, from <http://presa.ge/new/?m=src&AID=37772>

22 Boseley, S., 2002. *Law decided fate of Mary and Jodie*. *the Guardian*. Retrieved 23 April 2016, from <http://www.theguardian.com/uk/2002/feb/05/sarahboseley>

გულიც ვერ ასრულებდა თავის ფუნქციას. მისი სისხლის მიმოქცევა მთლიანად დამოკიდებული იყო ჯუდის გულსა და ფილტვებზე. სიტუაცია შემდეგნაირი იყო – თუკი არ განაცალკევებდნენ ბავშვებს ოპერაციით ერთმანეთისგან, სულ რამდენიმე თვეში ორივე დაიღუპებოდა, რადგანაც ჯუდის გული და ფილტვები სუსტდებოდა; მაგრამ განცალკევების შემთხვევაში მერი აუცილებლად გარდაიცვლებოდა. ბავშვების მშობლებმა ოპერაციაზე სასტიკი უარი თქვეს. აცხადებდნენ, რომ ვერ დაუშვებდნენ ერთ-ერთი შვილის დაღუპვას იმის გამო, რომ სუსტი იყო; მათი გაჩენა უფლის ნება იყო და მათ არ ჰქონდათ უფლება, წაერთმიათ შვილისთვის სიცოცხლე. საქმე სასამართლომდე მივიდა. დიდი ბრიტანეთის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა ინგლისის სასამართლოს ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება. მიუხედავად მშობლების უარისა, სასამართლომ ექიმებს მიანიჭა უფლებამოსილება, ჩაეტარებინათ ახალშობილებისთვის გამოყოფის ოპერაცია.²³ საზოგადოების გარკვეული ნაწილი დაეთანხმა სასამართლო გადაწყვეტილებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გაგრძელდეს სამეცნიერო კვლევები იმისათვის, რომ ამ საკითხებმა შესაბამისი ასახვა ჰპოვონ იურიდიულ დოქტრინასა და მოქმედ კანონმდებლობაში.

შეერთებული ტყუპების საკითხი არის ერთ-ერთი იმ საკითხთაგანი, რომელთა შესახებაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, კანონმდებლობა მთლიანობაში – დუმს. ეს დუმილი წარმოშობს იმ სამართლებრივ ვაკუუმს, რომელშიც, ერთი შეხედვით, არც ისე რთული კითხვები, პრაქტიკულად სამართლებრივად გადაუწყვეტელ და პრობლემატურ სინამდვილედ გვევლინება. კითხვების ვრცელი ჩამონათვალი იწყება კითხვით: ე,ნ, „სიამის ტყუპები“ წარმოადგენენ ერთ ფიზიკურ პირს თუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ „დამოუკიდებელ“ ფიზიკურ პირთან? ამ კითხვებს მოსდევს ბევრი პრაქტიკული

საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ამ პირთა უფლებრივ წრესთან და ამ უფლებების გამოყენების პრაქტიკულ საკითხებთან (მაგალითად: ოჯახის შექმნა და პირადი ცხოვრების შეუხებლობა, ანუ საკითხთა წრე, სადაც ერთის უფლება ზღუდავს განსახილველ შემთხვევაში მეორის თავისუფლებას), პირი, რომელიც სიამის ტყუპებზე ქორწინდება, ქორწინდება ერთ-ერთ მათგანზე თუ ორივეზე? გამომდინარე იქიდან, რომ სსკ კრძალავს მრავალცოლიანობას, მრავალქმრიანობას, გამოდის, რომ პირი, რომელიც ქორწინდება სიამის ტყუპზე, ქორწინდება ერთ მათგანზე. ასევე, პრობლემური საკითხია სიამის ტყუპის მიერ შვილის გაჩენა და ამ ურთიერთობის რეგულირება. თუკი სიამის ტყუპს გააჩნია ორი თავი, ერთი სხეული, შესაბამისად, ერთი სასქესო ორგანო, ვთქვათ და ისინი დაფეხმძიმდნენ (მდედრობითი სქესის სიამის ტყუპის შემთხვევაში), როგორ უნდა გაირკვეს, თუ რომელი მათგანია დედა, ან რომლის ნებას წარმოადგენდა დაფეხმძიმება. სამართლებრივად ერთ-ერთი მათგანია დედა თუ ორივე? მშობლად ორივე მათგანი ვერ იქნება მიჩნეული, რადგანაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს მხოლოდ ერთ დედას და ერთ მამას. არსებობს შემთხვევები, როდესაც ცალკეული ორგანოები, მიუხედავად იმისა, რომ ტყუპები შეერთებულნი არიან, განეკუთვნება მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს. პირობითად ერთს. როგორ უნდა გადაწყვიტოს სამართლომ დავა, თუ რომელს მიანიჭოს მშობლის სტატუსი, თუკი ორივე მათგანი გამოთქვამს მშობლად აღიარების სურვილს? როგორ უნდა გადაწყდეს სამართლებრივი ურთიერთობა, თუკი ტყუპების ნება ერთმანეთს ეწინააღმდეგება? ექნება თუ არა ერთის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება მეორეს?²⁴

საკითხთა წრის სეგმენტი, ბუნებრივია, ეხება სისხლის სამართალსაც და გვევლინება კითხვებში: როდესაც დანაშაულს აქვს

23 სასამართლო გადაწყვეტილების სრული ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <http://www.bailii.org/ew/cases/EWCA/Civ/2000/254.html>

24 თუმანიშვილი გ., 2012. შესავალი საქართველოს კერძო სამართალში. თბ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ: 49-53.

ადგილი, როგორ დგინდება უშუალოდ დანაშაულის ჩამდენი პირი სიამის ტყუპებიდან (იდენტიფიცირება)? იდენტიფიცირების განხორციელების (თუ დადგინდა ერთ-ერთი ტყუპის ინტელექტუალური მონაწილეობა) და სისხლის სამართლებრივი დევნის დროს, როგორ არის შესაძლებელი ეჭვმიტანილის ერთი ტყუპის სეპარირება მეორე ტყუპისგან? როგორ შეიძლება დაკვალიფიცირდეს შემთხვევა, როდესაც ერთმა ტყუპმა მეორეს მიაყენა სხეულის მიმე დაზიანება? ან/და ამ დაზიანებას მოყვა ტყუპის სიკვდილი, რომელსაც შემდეგ ა/ შესაძლოა მოყვეს დაზიანების მიმყენებელი ტყუპის სიკვდილიც; ბ/არ მოყვეს დაზიანების მიმყენებელი ტყუპის სიკვდილი? რა და როგორ უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ტყუპი მიჩნეული იქნება დამნაშავედ? სად და როგორ უნდა მოიხადონ სასჯელი მსჯავრდებულმა ტყუპებმა (სასჯელალსრულებითი დაწესებულების ტიპი) და უნდა მოიხადონ თუ არა იმ პირობებში, როდესაც ორი ტყუპიდან ერთი უდანაშაულოა? შესაძლებელია კი დანაშაულის დადგენის და ერთ-ერთი ტყუპის მასში მონაწილეობის შემთხვევაში მეორე მიჩნეულ იქნეს უდანაშაულოდ? შეერთებულ ტყუპად ყოფნა ყოველთვის თუ ნიშნავს თანამონაწილეობას და როგორ უნდა გავივით თითოეული ტყუპის მონაწილეობის ხვედრითი წილის შესახებ ინფორმაცია? რა სახის ღონისძიებები შეიძლება იქნეს გამოყენებული მსჯავრდებული შეერთებული ტყუპების მიმართ? შესაძლებელია თუ არა იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ტყუპები თანამონაწილეები არიან, განაჩენით სხვადასხვა სასჯელი შეეფარდოთ მათ – თანამონაწილეობის როლური გადანაწილების მიხედვით შემთხვევაში, როდესაც ერთი ტყუპი ორგანიზატორია, ხოლო მეორე შემსრულებელი და საერთოდ თუა შესაძლებელი ამის დადგენა? შესაძლებელია თუ არა, ზოგადად იმ განაჩენის პრაქტიკული აღსრულება, სადაც სანქციად გამოყენებულია თავისუფლების აღკვეთა იმ პირობებში, როდესაც დამნაშავედ ცნობილია შეერთებული ტყუპებიდან მხოლოდ ერთი,

ხოლო მეორე მიჩნეულია უდანაშაულოდ? სამართლებრივი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია შეერთებულ ტყუპებთან, პირველ რიგში, სწორედ მათს სამართალსუბიექტობას უკავშირდება. ბუნებრივია, მიუხედავად იმისა, რომ ტყუპები ფიზიკურად ამ სამყაროს ერთი (საერთო) სხეულით ველინებიან, ისინი ორ დამოუკიდებელ სამართალსუბიექტს წარმოადგენენ. მათი დაბადების რეგისტრაცია შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში უნდა მოხდეს ინდივიდუალურად. რეგისტრაციისას საქართველოს სინამდვილეში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის ბრძანება #18 „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ 24-ე მუხლის მიხედვით, კერძოდ კი, დანაწესი „ტყუპების დაბადების შემთხვევაში ყოველი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ცალ-ცალკე ხდება. დაბადების აქტის ჩანაწერში მითითებული უნდა იქნეს ბავშვების დაბადების თანამიმდევრობა“. დანაწესში განსახორციელებელია მხოლოდ ცვლილება, რომელიც შეცვლის ბავშვების დაბადების თანამიმდევრობის აუცილებელ კომპონენტს და გახდის მას დისპოზიციურს/ ალტერნატიულს (კონსტრუქციის მაგალითი: დაბადების აქტის ჩანაწერში იმ შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელია, მითითებულ უნდა იქნას... ან დაბადების აქტის ჩანაწერში მითითებულ უნდა იქნას ბავშვების დაბადების თანამიმდევრობა ან/და ერთდროულობა). ორი დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა, თავის მხრივ, გულისხმობს სამართალსუბიექტისათვის არსებული უფლებების, სრული მოცულობით არსებობას თითოეული მათგანისთვის, რაც თითოეულისათვის ინდივიდუალური უფლებებისა და ვალდებულებების მოცულობას უკავშირდება, ვინაიდან ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ეს პირები (ტყუპები) ინდივიდუალურად მონაწილეობენ, მათ აქვთ ინდივიდუალური (ერთმანეთისგან დამოუკიდებელი) უფლებები და, შესაბამისად, დამოუკიდებლად კისრულობენ

პროფ. ბ. თუმანიშვილი

ვალდებულებებს და მათ შესრულებას.

მიუხედავად მოყვანილი მაგალითისა, ცალკე აღნიშვნის და გამოყოფის ღირსია სწორედ ის სიამის ტყუპები, რომლებიც არიან ოპოდიდიმუსები (ერთ სხეულზე ორი თავი). რადგან აქ საკითხი შედარებით რთულად დგას და თანამედროვე მედიცინის პირობებში შეუძლებელია მათი ერთმანეთისგან გამოყოფა (გამიჯნვა).

დასკვნა

არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო სამართლებრივ სიბრტყეში, მიუხედავად პირთა წრის რაოდენობრივი მოცულობის სიმცირისა, რომელსაც, შესაძლებელია, ეხებოდეს აღნიშნული საკითხი, აუცილებელია დაინყოს კომპლექსური და მრავალმხრივი სამართლებრივი მსჯელობა სიამის ტყუპებთან დაკავშირებული, სამართლებრივი თვალსაზრისით ვაკუუმური საკითხების აღმოფხვრა-გადაჭრისათვის. მიუხედავად საკითხთა ერთი შეხედვით გადაუჭრელობისა, მათი შენონილი, გააზრებული და თანმიმდევრული გადაჭრა აუცილებელია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სრული რეალიზების შესაძლებლობისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, ხოლო წარმოდგენილ საკითხებზე თვალის დახუჭვა კომპლექსური, დარგთაშორისი, ინტერდისციპლინარული მსჯელობის სამომავლოდ გადატანა მხოლოდ საკითხისა და იმ პირთა წრის სრულ უგულებელყოფას ემსახურება, რომლებიც საჭიროებენ: საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზების ხელშეწყობას და ამ უფლება-თავისუფლებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის შესაბამის გზებს, თავის მხრივ, სახელმწიფო საჭიროებს პასუხებს კითხვებზე, რომელებიც იქნა დასმული წინამდებარე კვლევაში და რომელთა გადანყვეტაში ჩვენ, მეცნიერებს, შესაბამისი როლი, ფუნქცია და პასუხისმგებლობა გვაკისრია.

თეორიულ-პრაქტიკული თვალსაზრისით, წარმოდგენილ ნაშრომში წამოჭრილ საკითხებთან მიმართებით, აუცილებლად გვესახება ინტერდისციპლინური კვლევითი ჯგუფების შექმნა და შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

ნაბიჯი 1.

უნდა მოხდეს სამართლის სხვადასხვა დარგში შეერთებულ ტყუპებთან დაკავშირებით არსებული პრობლემური (გადაუწყვეტელი) საკითხების იდენტიფიცირება;

ნაბიჯი 2.

უნდა მოხდეს შედარებითსამართლებრივი კვლევა და მსოფლიოში არსებული, თუნდაც მწირი ნორმატიულ სამართლებრივი და სამოსამართლო პრაქტიკის შესწავლა და სისტემური, მათ შორის კრიტიკული ანალიზი;

ნაბიჯი 3.

უნდა განხორციელდეს სისტემური, ინდივიდუალური და განზოგადებული სტატუსური და სიტუაციური მოდელის შექმნა იმ პრობლემური თეორიული და მომავალში, შესაძლოა, პრაქტიკული ვაკუუმური მდგომარეობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც დღეს გვაქვს სამართლებრივი რეგულირების არარსებობის პირობებში;

ნაბიჯი 4.

უნდა განხორციელდეს ინტერდისციპლინარული მოდელირება იმ პირობებში, როდესაც თანამედროვე მედიცინის მიღწევები არ იქნება გათვალისწინებული მოდელირებისას, რაც შესაძლებლობას მისცემს ინტერდისციპლინარულ მკვლევართა ჯგუფს, არ შემოიფარგლოს არსებული ცოდნის ჩარჩოთი.

ნაბიჯი 5.

გემოჩამოთვლილი ნაბიჯების განხორციელების შემდგომ მოქმედ ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილება-დამატებების პროექტების მომზადება როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეებზე და საკანონმდებლო ინიცირების პროცესების დაწყების ხელშეწყობა. ((---))

ISSUES ON SIAMESE TWINS IN THE MODERN GEORGIAN LAW

George G. Tumanishvili

*Iliia State University (Tbilisi, Georgia),
Masaryk University (Brno, Czech Republic),
a member of the Union of Law Scientists*

KEY WORDS: legal personality, twins, Challenge

RESUME

There is a legislative gap concerning the conjoined twins in many countries of the world, including Georgia, primarily because there are no targeted interdisciplinary researches, among them in the field of law, conducted with relevant intensity, scope and quality, which not only leaves some unanswered questions, but also causes the absence of questions at first glance.

This text aims at promoting the legal issues on conjoined twins, identifying important questions (research topics) and providing an incentive for researchers to conduct a profound and detailed study of the issues discussed in the text.

NOTES:

1. Chichester, P., 1995. Reader Favorites: Eng & Chang Bunker: A Hyphenated Life. BlueRidgeCountry.com. Retrieved 23 April 2016, from <http://blueridgecountry.com/archive/favorites/a-hyphenated-life/> (In English)
2. Aprilis, P., 2016. Silver.drk.hu. Retrieved 23 April 2016, from <http://silver.drk.hu/hu/content/2013-aprilis> (In English)
3. Bondeson, J., 2000. The Two-Headed Boy, and Other Medical Marvels ISBN 978-0-8014-3767-0 (In English)

4. The society of selves – Scientific Figure on ResearchGate. Available from: https://www.researchgate.net/6549165_fig6_Figure-6-Siamese-twins-woodcut-from-the-Nuremberg-Chronicle-1493 [accessed 23 Apr, 2016]. (In English)
5. Nurember Chronicle – Morse Library, Beloit College. 2016. Beloit.edu. Retrieved 23 April 2016, from <https://www.beloit.edu/nuremberg/book/images/Miscellaneous/> (In English)
6. Vashalomidze A., Arishvili M., Mikaia S., Tsiskarishvili N., Bedzhuashvili B., Tumanishvili G., 2013. Issues on Siamese Twins in the Modern Georgian Law, Tbilisi. (In English)
7. Khan Academy. 2016. Khan Academy. Retrieved 23 April 2016, from <https://www.khanacademy.org/humanities/art-americas/early-cultures/tlatilco/a/tlatilco-figurines> (In English)
8. How Twins Work. 2005. HowStuffWorks. Retrieved 24 April 2016, from <http://science.howstuffworks.com/life/genetic/twin4.htm> (In English)
9. Biddenden Maids | Mysterious Britain & Ireland. 2016. Mysteriousbritain.co.uk. Retrieved 23 April 2016, from <http://www.mysteriousbritain.co.uk/england/kent/folklore/biddenden-maids.html> (In English)
10. Rudolf Virchow | German scientist. 2016. Encyclopedia Britannica. Retrieved 23 April 2016, from <http://www.britannica.com/biography/Rudolf-Virchow> (In English)
11. How Twins Work. 2005. HowStuffWorks. Retrieved 24 April 2016, from <http://science.howstuffworks.com/life/genetic/twin4.htm> (In English)
12. Xiphopagus – Medical Definition. 2016. Medilexicon.com. Retrieved 23 April 2016, from <http://www.medilexicon.com/medicaldictionary.php?t=100221> (In English)
13. How the original Siamese twins had 21 children by two sisters... while sharing one (reinforced) bed. 2014. Mail Online. Retrieved 23 April 2016, from <http://www.dailymail.co.uk/news/article-2825888/How-original-Siamese-twins-21-children-two-sisters-sharing-one-reinforced-bed.html> (In English)
14. Facts About the Twins. 2016. University of Maryland Medical Center. Retrieved 23 April 2016, from <http://umm.edu/programs/conjoined-twins/facts-about-the-twins> (In English)
15. JBS Science Department, Electronic Data Base, http://science.jburroughs.org/mbahe/BioEthics/Articles/Types_of_Conjoined_Twins.pdf (In English)
16. CASE REPORT | Siamese Twins. 2016. Modernpublishing.ge. Retrieved 23 April 2016, from http://www.modernpublishing.ge/view_post.php?id=15&pub=3&year=2008 (In English)
17. How Twins Work. 2005. HowStuffWorks. Retrieved 24 April 2016, from <http://science.howstuffworks.com/life/genetic/twin4.htm> (In English)
18. Lawton, C., 2012. 10 of the World's Most Famous Conjoined Twins. Phoenix New Times. Retrieved 23 April 2016, from <http://www.phoenixnewtimes.com/arts/10-of-the-worlds-most-famous-conjoined-twins-6561096> (In English)
19. Gawker.com. 2016. Retrieved 23 April 2016, from <http://gawker.com/5933247/two-heads-one-body-a-billion-questions-the-gawker-guide-to-tlcs-newest-stars-abby-brittany-hensel> (In English)
20. First Siamese Twins live in Kutaisi, in Georgia. 2016. NewPress.ge. Retrieved 23 April 2016, from http://www.newpress.ge/staties_id/2196 (In Georgian)
21. The sensation of medicine: Georgian Siamese Twins have been separated in Germany. 2016. Presa.ge. Retrieved 23 April 2016, from

- <http://presa.ge/new/?m=src&AID=37772> (In Georgian)
22. Boseley, S., 2002. Law decided fate of Mary and Jodie. the Guardian. Retrieved 23 April 2016, from <http://www.theguardian.com/uk/2002/feb/05/sarahboseley> (In English)
 23. Transcript of the Handed Down Judgment of Smith Bernal Reporting Limited, Neutral Citation Number: [2000] EWCA Civ 254 Case No: B1/2000/2969 (In English)
 24. Tumanishvili G., Introduction to the Private Law, 2012., Tb. Ilia State Univeristy Publishing Office, p. 49-53. (In Georgian)

ბორბა ბ. თუმანიშვილი

გამოძიების პროცესში პირის მონმის სახით დაკითხვის პრობლემატური მხარეები და მისი სამართლებრივი შედეგები

თამარ ლალიაშვილი

სამართლის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის
პროფესორი

პრობლემის წამოყრა

მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს საპროცესო კოდექსით შემოღებულ იქნა პოტენციური მონმისაგან გამოძიების პროცესში ინფორმაციის მიღების სხვადასხვა გზები, კერძოდ, გამოძიების პროცესში პოტენციურ მონმეთა ნებაყოფლობით გამოკითხვის წესი (სსსკ-ის 113-ე მუხლი), ასევე პირის მონმის სახით დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე და მათი მონაწილეობით. (სსკ-ის 114-ე მუხლი). აღნიშნული მუხლებით ახალმა საპროცესო კოდექსმა უარი თქვა საგამოძიებო და დევნის ორგანოების მიერ გამოძიების პროცესში პირის მონმის სახით დახურულ კარს მიღმა დაკითხვის ინსტიტუტზე.

თუმცა კანონმდებელმა კოდექსის მიღების დროისათვის მიიჩნია, რომ გამოძიების პროცესში მონმის დაკითხვა უნდა გაგრძელებულიყო საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონმის დაკითხვის წესების შესაბამისად (სსსკ-ის 332-ე მუხლი). 2012 წლის 1-ელ ოქტომბრამდე. 2012 წლის ოქტომბრიდან საქართველოს კანონმდებელმა კვლავ იმ მოტივით, რომ არც მართლმსაჯულება და არც სამართალდამცავი სისტემა მონმის გამოძიების პროცესში დაკითხვის ახალი მოდელისათვის ჯერ

მზად არ არიან, არაერთხელ გააგრძელა ეს ვადა, დაბოლოს, 2015 წლის 18 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით 2017 წლის 31 დეკემბრამდე – სსსკ-ის 315-ე, 324-ე, 324(1), 329 1-330 2, 331-ე და 331-ე(1) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, ხოლო 2018 წლის 1 იანვრამდე -სსსკ-ის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 1261, 178-ე, 179-ე, 276-ე, 323-ე–3232-ე, 325-329-ე და 378-ე(2) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე.

გამოძიების პროცესში მონმის დაკითხვის დროებითი წესი გათვალისწინებულია 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (გარდა სსსკ-ის 305-ე მუხლის მე-6 ნაწილისა).

აღნიშნული წესი როგორც პროკურორს, ასევე გამოძიებელს უფლებას აძლევს, გამოიძახოს მონმე პროკურატურაში ან შესაბამის საგამოძიებო ორგანოში და განახორციელოს მისი დაკითხვა. დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, გამოძიების პროცესში ასევე მოქმედებს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონმის იძულებით წარმოდგენის ინსტიტუტიც.

დაკითხვის დაწყებამდე გამოძიებელი/ პროკურორი პოტენციურ მონმეს აფრთხილებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ცრუ ჩვენების მიცემისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის. დაკითხვისას მონმე იმყოფება, როგორც წესი, მარტო (თუ მან საკუთარი ხარჯით ადვოკატი არ მიიწვია) საგამოძიებო ორგანოს ან პროკურატურის შენობაში, გამოძიებლის (ან პროკურორის) პირისპირ დახურულ კარს მიღმა.

აღნიშნული დაკითხვის წესი ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლო პროცესის პრინციპს. დაკითხვა არის გაუმჭვირვალე და არაავინ იცის, რეალურად რა ხდება ჩაკეტილ კარს უკან დაკითხვის მიმდინარეობისას. ბრალდებულსა და მის დამცველს ასეთ დაკითხვაში მონაწილეობის უფლება არ გააჩნიათ. შესაბამისად, მონმის ჩვენების სარწმუნოება და მისი და-

მაჯერებლობა საკმაოდ დაბალია. სტატიის მიზანია, მკითხველს უჩვენოს, თუ საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსი გამოძიების პროცესში პოტენციური მონმისაგან ინფორმაციის მიიღების რა სამართლებრივ გზებს ითვალისწინებს, გააანალიზოს მათი სამართლებრივი შედეგები და ის საფრთხეები, რომლებიც დაკითხვის ამ წესებს თან ახლავს სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას. სტატიის მიზანია ასევე მკითხველს შესთავაზოს პირის გამოძიების პროცესში დაკითხვასთან წამოჭრილ პრობლემატურ საკითხთა გადაჭრის გზები.

**გამოძიების პროცესში
პოტენციური მონმისაგან
ინფორმაციის მიღებისა და
მონმის დაკითხვის წესი**

საპროცესო კანონმდებლობა გამოძიების პროცესში ადგენს პირისაგან ინფორმაციის მიღების სამ ძირითად გზას:

1. პოტენციური მონმისაგან ინფორმაციის მიღება (სსსკ-ის 113-ე მუხლი);
2. მონმის დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე;
3. პოტენციური მონმის დაკითხვა მონმის სახით უშუალოდ პროკურორისა და გამოძიებლის მიერ (სსსკ-ის 332-ე მუხლი, გარდამავალი დებულებები).

**ა. პოტენციური მონმის
გამოკითხვა**

გამოძიების პროცესში მხარეებს უფლება აქვთ, გამოკითხონ პოტენციური მონმე. გამოკითხვა ნებაყოფლობითია, გამოსაკითხი პირის თავისუფალ ნებაზე დამოკიდებული, მისცეს თუ არა მხარეს ინფორმაცია, რომელსაც ფლობს.

გამოკითხვის წარმოებისას კანონმდებლი მთელ რიგ წესებს ადგენს, რაც გარკვეულწილად გამოკითხვას გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს, რის დარღვევამაც, შესაძლებელია გავლენა იქონიოს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ბედზე.

საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, გამოკითხვისას გამოსაკითხი პირი სარგებლობს მთელი რიგი უფლებებით. გამოკითხვის მწარმოებელ მხარეს კი ევალება, გამოსაკითხ პირს გააცნოს საპროცესო კოდექსით გარანტირებული მისი უფლებები. კანონი კატეგორიულად კრძალავს მტკიცებულების წარდგენის ან ინფორმაციის გაცემის იძულებას.

გამოკითხვის უფლება გააჩნია მხოლოდ მხარეს. მხარემ გამოკითხვის დაწყებამდე გამოსაკითხ პირს უნდა აცნობოს, რომ მას აქვს:

1. გამოკითხვის დაწყებამდე მისი უფლებების შესახებ განმარტების მიღების უფლება;
2. ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცემის უფლება;
3. საკუთარი ხარჯით ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება;
4. უფლება თავის წინააღმდეგ (თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება) ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია.

ბ. გამოსაკითხ პირთა წრე

გამოსაკითხი პირები, შესაძლებელია, ორ ჯგუფად დაიყოს:

- ა. ეჭვქვეშ მყოფი პირები;
- ბ. პირები, რომლებიც ეჭვქვეშ არ იმყოფებიან და მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ.

კანონი არ გამოირიცხავს, გამოსაკითხ პირთა შორის იყოს ეჭვმიტანილიც. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი დიდ ყურადღებას უთმობს გამოსაკითხი პირის უფლებების დაცვას. საპროცესო კოდექსით დადგენილი გამოკითხვის მომწესრიგებელი პროცესუალური ნორმებით დაცულია გამოსაკითხი პირის უფლებები. მნიშვნელობა არა აქვს, ეს ეჭვის ქვეშ მყოფი პირია თუ მხოლოდ პოტენციური მონმე, რამეთუ საპროცესო კოდექსი გამოსაკითხ პირს საშუალებას აძლევს, უარი თქვას ნებაყოფლობით ინფორმაციის მიცემაზე, ან თუ გადწყვეტს ინფორმაციის მიცემას, უფლებას აძლევს, საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით.

ბამოკითხვის ფორმალური ხასიათი

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვა, ერთი შეხედვით, არაფორმალურ ხასიათს ატარებს, მისი ნებაყოფლობითობიდან გამომდინარე, იგი არ არის ინფორმაციის მიღების არაფორმალური გზა. მას შემდეგ, რაც პირი ნებას გამოავლენს ინფორმაცია მისცეს გამოკითხვის უფლებამოსილ პირს (მხარეებს), გამოკითხვა იქნის ფორმალურ ხასიათს, რომელსაც გააჩნია გარკვეული სამართლებრივი შედეგები.

პოტენციური მონმის მიერ გამოკითხვაზე ნების თავისუფალი გამოვლენისთანავე გამოკითხვა ტარდება მონმის დაკითხვისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად. გამოსაკითხ პირს წარმოეშობა მონმის გარკვეული მოვალეობები და მისი ინფორმაცია იქნის მონმის ჩვენების ტოლფას ძალას გარკვეული წინაპირობების არსებობისას, კერძოდ, პოტენციური მონმის ნება გამოკითხვაზე მხარეებს წარმოეშობს უფლებას, გამოსაკითხ პირს განუმარტოს მისი მოვალეობა, თქვას სიმართლე, გააფრთხილოს ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის (სსსკ-ის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

გამოსაკითხ პირს კი წარმოეშობა სიმართლის შესაბამისი ინფორმაციის მიცემის ვალდებულება (სსსკ-ის 113-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

სსსკ-ის 113-ე მუხლის მე-6 ნაწილი გამოკითხვის პროცესში გამოკითხვის წარმოებისას ბრალდების მხარეს მეტ უფლებამოსილებას ანიჭებს, ვიდრე დაცვის მხარეს. კერძოდ, თუ გამოსაკითხი პირი უარს იტყვის ნებაყოფლობით ინფორმაციის მიცემაზე, მხოლოდ ბრალდების მხარეს წარმოეშობა უფლება, პოტენციური მონმე აიძულოს, სამართლებრივი გზით მისცეს სწორი ინფორმაცია. ბრალდების მხარე გამოსაკითხ პირს განუმარტავს, რომ ის შეიძლება დაბარებულ იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად,

რომ ჩვენების მიცემა სავალდებულოა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს გამოსაკითხი პირის სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

გამოსაკითხი პირის დაკითხვის პროცესი მაგისტრატ მოსამართლესთან უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე პირის მონმის სახით დაკითხვა დახურულ კარს მიღმა პროკურორთან ან გამომძიებელთან. შესაბამისად, ჩვენების სანდოობის ხარისხიც უფრო მაღალია. გარდა ამისა, ეს პროცესი იცავს მონმეს მასზე რაიმე ზემოქმედების განხორციელებისაგან.

ბ. ბამოკითხვის ოქმი

კანონმდებელი სავალდებულოდ ითხოვს გამოკითხვის წარმოებისას ოქმის შედგენას და მას არსებით მნიშვნელობას ანიჭებს (სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 113-ე მუხლი, 135 -ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

გამოკითხვის ოქმს გარკვეული წინაპირობების არსებობისას მტკიცებულებითი ძალა აქვს. მას ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს მონმეზე, როგორც სუბიექტური მტკიცებულების დასაშვებობაზე.

ეს გავლენა შემდეგ ასპექტებს მოიცავს:

1. გამოძიების პროცესში თუ პოტენციური მონმე არ იქნება გამოკითხული (ან დაკითხული, როგორც მონმე), ამ პირის, როგორც მონმედ წარდგენა, საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელია (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა).
2. გამოკითხვის ოქმი თუ გასაცნობად არ გადაეცემა მეორე მხარეს, გამოკითხული პირის, როგორც მონმედ წარდგენა საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელია (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) (სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილი).
3. თუ მონმე არ გამოცხადდა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მისაცემად, მისი გამოკითხვის გზით მიღებული ინფორმაციის არსებითი განხილვის სხდომაზე სა-

ჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე მიღებული ინფორმაციის/ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონმე გარდაიცვალა, საქართველოში არ იმყოფება, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამონერულია სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა და გამოკითხვა კოდექსით დადგენილი წესით ჩატარდა. არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად მხოლოდ აღნიშნული მტკიცებულება დაედოს.

მონმის დაკითხვა უშუალოდ პროკურორისა და გამომძიებლის მიერ (სსსკ-ის 332-ე მუხლი, გარდამავალი დებულებები)

ახალმა საპროცესო კოდექსმა უარი თქვა საგამოძიებო და დევნის ორგანოების მიერ გამოძიების პროცესში პირის მონმის სახით დახურულ კარს მიღმა დაკითხვის ინსტიტუტზე. თუმცა კანონმდებელმა კოდექსის მიღების დროისათვის მიიჩნია, რომ გამოძიების პროცესში მონმის დაკითხვა უნდა გაგრძელებულიყო საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონმის დაკითხვის წესების შესაბამისად (სსსკ-ის 332-ე მუხლი). 2012 წლის 1-ელ ოქტომბრამდე. 2012 წლის ოქტომბრიდან საქართველოს კანონმდებელმა კვლავ იმ მოტივით, რომ არც მართლმსაჯულება და არც სამართალდამცავი სისტემა მონმის გამოძიების პროცესში დაკითხვის ახალი მოდელისათვის ჯერ მზად არ არის, არაერთხელ გააგრძელა ეს ვადა და ბოლოს 2015 წლის 18 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით 2017 წლის 31 დეკემბრამდე – სსსკ-ის 315-ე, 324-ე, 324-ე(1), 329(1)-330-ე(2), 331-ე და 331-ე(1) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, ხოლო 2018 წლის 1-ელ იანვრამდე – სსსკ-ის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 1261-ე, 178-

ე, 179-ე, 276-ე, 323-ე–3232-ე, 325-ე–329-ე და 378-ე(2) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე – გადაავადა.¹

აღნიშნული წესი როგორც პროკურორს, ასევე გამომძიებელს უფლებას აძლევს, გამოიძახოს მონმე პროკურატურაში ან შესაბამის საგამომძიებლო ორგანოში და განახორციელოს მისი დაკითხვა.

დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელი/პროკურორი პოტენციურ მონმეს აფრთხილებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ცრუ ჩვენების მიცემისა და ურთიერთსაინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის. დაკითხვისას მონმე იმყოფება, როგორც წესი, მარტო (თუ მან საკუთარი ხარჯით ადვოკატი არ მიიწვია) საგამომძიებლო ორგანოს ან პროკურატურის შენობაში, გამომძიებლის (ან პროკურორის პირისპირ დახურულ კარს მიღმა.

აღნიშნული დაკითხვის წესი ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლო პროცესის პრინციპს. დაკითხვა არის გაუმჭვირვალე და არავინ იცის, რეალურად რა ხდება ჩაკეტილ კარს უკან დაკითხვის წარმოებისას. ბრალდებულს და მის დამცველს ასეთ დაკითხვაში მონაწილეობის უფლება არ გააჩნიათ. შესაბამისად, მონმის ჩვენების სარწმუნოება და მისი დამაჯერებლობა საკმაოდ დაბალია.

გამომძიებლის პროცესში ასეთი სახის დაკითხვა საფრთხეს უქმნის მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბვრებითობის პრინციპს. დაცვის მხარე, რომელიც დევნის დაწყებიდან გამომძიებლის პროცესში შეჭიბვრებითობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპით სარგებლობს, აშაკრა უთანასწორო ვითარებაშია ბრალდების მხარესთან. მას არ აქვს მსგავსი შესაძლებლობა – ინფორმაცია მიიღოს პოტენციური მონმისაგან.

ჩვენების დეკონირება. მოწმის დეკონირებული ჩვენება.

მოწმის დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე

პოტენციური მონმის დაკითხვა გარკვეული წინაპირობების არსებობისას გამომძიებლის პროცესში წარმოებს მაგისტრატ მოსამართლესთან, სადაც ხდება მიღებული ჩვენების დეკონირება. მონმის ჩვენების დეკონირების უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს მონმის ჩვენების შენახვა საქმის არსებითი განხილვისათვის² იმ საფუძველით, რომ ჩვენება გარკვეული გარემოებების გამო არ დაიკარგოს.

საქმის არსებითი განხილვისათვის მომზადების მიზნით, იმ საფუძველით, რომ არ მოხდეს პოტენციური მონმის მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაკარგვა, საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გამომძიებლის პროცესში მაგისტრატ მოსამართლესთან მონმის დაკითხვას (სსსკ-ის 114-ე მუხლი)

საპროცესო კოდექსი ადგენს ოთხ ძირითად წინაპირობას, რომელთა არსებობაც საფრთხეს უქმნის მომავალში მონმის არსებითი განხილვისას სასამართლოში გამოცხადებას და ჩვენების მიცემას, რაც, შესაბამისად, იწვევს ჩვენების დაკარგვას.

მონმის დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან დაიშვება შემდეგი გარემოებების არსებობისას, თუ:

- ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს;
- ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;
- გ) საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება საჭიროებს არაგონივრულ ძალისხმევას;
- დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური

1 საქართველოს მთავრობის 18.12. 2016 წლის განმარტებითი ბარათი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტის მიმართ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3108887#DOCUMENT:1>

2 LaFave R., Criminal Procedure. Third Edition, Thomson West, V. 5, pp.374-375.

ლონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მითითებული გარემოებები განაპირობებენ მაგისტრატ მოსამართლესთან პოტენციური მონმის დაკითხვის შესაძლებლობას.

მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ყველა მონმის დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან მითითებული წინაპირობების არსებობისას, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი. შუამდგომლობაში მხარემ აუცილებლად უნდა დაასაბუთოს და დაარწმუნოს მოსამართლე ორი ძირითადი მიმართულებით:

- ა) არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, დასკვნის გასაკეთებლად, პირი ფლობს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციას.
- ბ) რომ არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იქნება სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას მონმის გამოცხადება. ეს მონმე არის რეალური ფაქტობრივი გარემოებების მცოდნე პირი და სწორედ მისი დაკითხვა მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების მიზნების განსახორციელებლად.

მაგისტრატი მოსამართლის დისკრეციას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო უწყებით იძახებენ პოტენციურ მონმეს, რომელიც მონმის სტატუსს იძენს მას შემდეგ, როდესაც მაგისტრატი მოსამართლე გააცნობს მის უფლება-მოვალეობებს და გააფრთხილებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა და მასზე უარის თქმა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

გამოძიების პროცესში მაგისტრატ მოსამართლესთან მონმის დაკითხვის შუამ-

დგომლობის დაყენების უფლება აქვთ მხოლოდ მხარეებს.

გარდა ზემოთ მითითებული წინაპირობებისა, კანონმდებელმა კიდევ ერთი საფუძველი განსაზღვრა, რაც განაპირობებს გამოძიების პროცესში პირის სასამართლოში მონმის სახით დაკითხვას, კერძოდ, ბრალდების მხარის შუამდგომლობით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მონმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ბრალდების მხარეს - პროკურორს ან მისი დავალებით გამომძიებელს აქვს უფლება, მოითხოვოს პირის სასამართლოში დაკითხვა გამოძიების წარმოებისას (სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

აღნიშნული ნორმა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან არათანაბარ პირობებში აყენებს მხარეებს გამოძიების პროცესში, რაც საქმის არსებითი განხილვის მსგავსად ეფუძნება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს. გამოძიებაში დევნის დაწყებიდან დაცვის მხარე მოკლებულია შესაძლებლობას პოტენციური მონმისაგან, რომელიც ნებაყოფლობით უარს ამბობს ინფორმაციის მიცემაზე, მიიღოს ინფორმაცია. დაცვის მხარეს რეალურად ესპობა შესაძლებლობა მოგვიანებით წინასასამართლო სხდომაზე, ასევე, საქმის არსებითი განხილვისას წარადგინოს საკუთარი პოზიციის დასაცავად სუბიექტური მტკიცებულება – მონმე, ვინაიდან თუ დაცვის მხარეს არ ექნება ხელთ პირის ნებაყოფლობით გამოკითხვის ოქმი ან მაგისტრატ მოსამართლესთან მისი მონმედ დაკითხვის ოქმი, სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას, პირი წარადგინოს, როგორც მონმე, სასამართლოში არსებითი განხილვისას. ერთადერთი პროცესუალური გზა, რომელიც დაცვის მხარეს რჩება საქმის არსებითი განხილვისას, არის მონმის სახით პირის დამატებითი ან ახალი მტკიცებულების სახით დასახელება, რის თაობაზეც დაცვის მხარეს მოუწევს სასამართლოს წინაშე მტკიცება, თუ რა გახდა ამ მტკიცებულებათა დროულად

წარმოდგენის შეუძლებლობის საფუძველი. (სსსკ-ის 239-ე მუხლი). აღნიშნული დაცვის მხარეს ბრალდების მხარესთან შედარებით არათანაბარ პირობებში აყენებს. ბრალდების მხარეს უფლება აქვს, პირი ნებაყოფლობით ინფორმაციის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში მოწმის სახით წარადგინოს მაგისტრატ მოსამართლესთან და მისგან მიიღოს ჩვენება.

მხარეთა მონაწილეობა მოწმის დაკითხვისას

საპროცესო კანონმდებლობა მაგისტრატ მოსამართლესთან მოწმის დაკითხვისას, კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას უფლებას აძლევს მეორე მხარეს, მონაწილეობა მიიღოს მოწმის დაკითხვაში, რითაც კანონმდებელი უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას მოწმის კონფრონტაციაზე. თუ მეორე მხარე ამ უფლებაზე უარს იტყვის, ეს არ აბრკოლებს მოწმის დაკითხვას. მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ იწვევს დაკითხვის გადადებას.

დაკითხვა არ იწარმოებს მხოლოდ მაშინ, თუ შუამდგომლობის დამყენებელი მხარე არ გამოცხადდება დაკითხვაზე. ასეთ შემთხვევაში დაკითხვის წარმოება დაუშვებელია.

თუმცა კანონმდებელი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც მოწმე, შესაძლებელია, მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე დაიკითხოს. ეს გამონაკლისი დაიშვება, თუ შუამდგომლობის დამყენებელი მხარე დაასაბუთებს და დაარწმუნებს მაგისტრატ მოსამართლეს, რომ ეს მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარეობს, რომ მხარის მონაწილეობა დაკითხვაში მართლმსაჯულების ინტერესებს დააზიანებს. გადაწყვეტილებას მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე, დაიკითხოს თუ არა მოწმე, იღებს მაგისტრატი მოსამართლე.

დაცვის მხარეს მოწმის დაკითხვის თაობაზე მაგისტრატ მოსამართლესთან არ ეცნობება და იგი, შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს მოწმის დაკითხვაში ასევე მაშინ, როდესაც

პროკურორი იმ მოწმის დაკითხვის საკითხს აყენებს, რომელიც ნებაყოფლობით არ აძლევს ბრალდების მხარეს ინფორმაციას.

ბამოქიებაში პირის ბამოქითხვა/დაკითხვის სამართლებრივი შედეგები

გააჩნია თუ არა ბამოქიების პროცესში დაკითხული პოტენციური მოწმის გამოკითხვის/დაკითხვის ოქმებს (როგორც მაგისტრანტ მოსამართლესთან, ასევე გამონაკლის შემთხვევებში ბრალდების მხარესთან) მტკიცებულებითი ძალა საქმის არსებითი განხილვისას?

როგორც წესი, ბამოქიების პროცესში გამოკითხვა/დაკითხვით მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ოქმებშია ასახული, საქმის არსებითი განხილვისას მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია. დაუშვებელია მათი გამოქვეყნება საქმის არსებითი განხილვისას და განაჩენისათვის ასეთი ჩვენებების საფუძველად დადება. უშუალოდ პრინციპიდან, ბრალდებულის მოწმის კონფრონტაციის უფლებიდან, მხარეთა მიერ მოწმის დაკითხვის წესებიდან გამომდინარე, მტკიცებულებითი ძალა მხოლოდ პირის იმ ჩვენებას გააჩნია, რომელსაც იგი მოწმის სახით საქმის არსებითი განხილვისას იძლევა.

თუმცა საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გარკვეულ გამონაკლისებს. გარკვეული წინაპირობების არსებობისას საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბამოქიებაში წარმოებული გამოკითხვა/დაკითხვის ოქმების არსებითი განხილვისას გამოქვეყნების შესაძლებლობას. ბამოქიებაში წარმოებული გამოკითხვა/დაკითხვის ოქმების არსებითი განხილვისას გამოქვეყნება დაიშვება, თუ:

- ა) მოწმე კანონით დადგენილი საფუძველებით არ გამოცხადდება სამართლოს არსებით სხდომაზე. კერძოდ, თუ იგი გარდაიცვალა ან საქართველოში არ იმყოფება, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამონურულია სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა;

ბ) მონმე გამოცხადდა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მისაცემად და მხარეს სურს ამ ოქმების გასაჯაროება. მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს პირის გამოკითხვის ოქმის ან მის მიერ დეკონირებული ჩვენების მთლიანად ან ნაწილობრივ საჯაროდ წაკითხვა.

გამოძიებაში წარმოებული გამოკითხვა/დაკითხვის ოქმების არსებითი განხილვისას გამოქვეყნებით ამ ოქმებს ენიჭება მტკიცებულებითი ძალა, ეს კი ნიშნავს, რომ სასამართლოს უფლება აქვს, მისცეს შეფასება ამ ოქმებს და, შესაბამისად, ეს ოქმები გამოიყენოს, როგორც მტკიცებულება და განაჩენსაც დაუდოს საფუძვლად (სსსკ-ის 14-ე მუხლის პირველი ნაწილი, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილი), თუმცა არ დაიშვება, რომ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად მხოლოდ აღნიშნული მტკიცებულება დაედოს.

გამოძიებაში წარმოებული გამოკითხვა/დაკითხვის ოქმების მტკიცებულებად დაშვება მოდის უშუალოდ პრინციპთან და ბრალდებულის მონმის კონფრონტაციასთან კონფლიქტში.

ეს კი სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანეს პრინციპთან, კერძოდ, უშუალოდ პრინციპთან და მონმის კონფრონტაციის უფლებასთან კონფლიქტშია.

ზოგადად მტკიცებულებათა გამოკვლევა ორსაფეხუროვანია. პირველ საფეხურზე ხდება უშუალოდ მტკიცებულების წარდგენა. მტკიცებულების წარდგენით მოსამართლისათვის მისი შინაარსი ხდება ცნობილი, მეორე საფეხურზე კი ხდება ამ მტკიცებულების გამოკვლევა იმის დასადგენად, თუ შინაარსი რამდენად სწორად გადმოსცემს ან ადასტურებს ფაქტობრივ გარემოებას. მტკიცებულებათა გამოკვლევის ამ საფეხურზე იჩენს თავს განსხვავება პირდაპირ და არაპირდაპირ, (სუროგატ) მტკიცებულებათა შორის. პირდაპირ მტკიცებულებათა გამოკვლევისას უნდა დადგინდეს, ეს მტკიცებულება მომხდარს ზუსტად ასახავს თუ არა და შეე-

საბამება თუ არა სიმართლეს. მონმის შემთხვევაში სახეზეა ორი მტკიცებულება: მონმე, როგორც სუბიექტური პირდაპირი მტკიცებულება და მონმის დაკითხვის ოქმი, როგორც არაპირდაპირი მტკიცებულება, სუროგატი წერილობითი მტკიცებულება, რომელიც გამოძიების პროცესში იქნა შედგენილი. არსებითი განხილვისას გამოკვლეულ უნდა იქნეს მონმე, როგორც პირდაპირი, სუბიექტური მტკიცებულება, კერძოდ, გამოკვლეულ უნდა იქნეს მისი პიროვნების სანდობა და მისი ჩვენების სარწმუნოება, რის თაობაზეც ევროპულმა სასამართლომ არაერთი გადანწყვეტილება მიიღო.³

დასკვნა

უშუალობის პრინციპიდან გამომდინარე, ყველა მტკიცებულება, რომლებიც, შესაძლებელია, განაჩენს დაედოს საფუძვლად, საქმის არსებითი განხილვისას საჯარო, კონტრადიქტორულ (მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანაწილო უფლებიანობის პრინციპი) პროცესზე უნდა იქნეს გამოკვლეული, მათ შორის მონმის მიცემული ინფორმაცია/ჩვენება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს პრაქტიკაში არსებულ გარემოებებს და სავსებით სამართლიანად უთითებს, რომ გარკვეულ ვითარებაში მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა სასამართლო სხდომაზე პრაქტიკულად შეუძლებელია. გამოძიების პროცესში ან პროცესის ფარგლებს გარეთ მოპოვებული მონმის ჩვენება არ არღვევს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის d ქვეპუნქტის მოთხოვნებს და, შესაძლებელია, ეს ჩვენება საქმის არსებითად განხილველი სასამართლოს მიერ იქნას შეფასებული და განაჩენს დაედოს საფუძვლად, თუ გამოძიების პროცესში დაცული იქნება კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის d ქვეპუნქტით გარანტირებული ბრალდებულის მონმის კონფრონტაციის უფლება. კონფრონტაციის

3 Grosskopf P., 2007. Beweissurrogate und Unmittelbarkeit der Hauptverhandlung. Nomos, P. 47.

უფლება ნიშნავს, ბრალდებულს ან მის დამცველს მიეცეთ შესაბამისი და გამოსადეგი შესაძლებლობა, გადაამოწმონ მოწმის ჩვენება და გამოკითხონ ეს მოწმეები (be given an adequate and proper opportunity to challenge/examine and question a witness against him), რათა მათ შეეძლოთ მოწმის ჩვენების სარწმუნოების, სანდოობის და დამაჯარებლობის შემოწმება, რათა ასევე შეძლონ, მოწმის ჩვენება ეჭვქვეშ დააყენონ. (“test the witnesses reliability or cast doubt on their credibility”). ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, მოწმემ ჩვენება სად მისცა, გამოძიების პროცესში გამომძიებელთან, მაგისტრატ მოსამართლესთან თუ საერთოდ სასამართლო პროცესს გარეთ. მთავარია, დაცული იქნას ბრალდებულის უფლება, დაკითხოს მოწმე ჩვენების მიცემის პროცესში (“either at the time the witness was making statement or at some/ a later stage of the proceedings”).⁴ იგივე პოზიცია განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათჩაშვილი გერმანიის წინააღმდეგ (CASE OF SCHATSCHASCHWILI v. GERMANY (Application no. 9154/10)), ასევე ბალტა თურქეთის წინააღმდეგ საქმეში (BALTA AND DEMIR v. TURKEY 23/06/2015). ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეში ჩათჩაშვილი გერმანიის წინააღმდეგ ხაზი გაუსვა არსებით განხილვაზე, მოწმის გამოუცხადებლობისას, მისი გამოძიების პროცესში მიცემული ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებობას და მიუთითა, რომ გამოძიებაში მიღებული ჩვენება არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულება, გამოკვლევის გარეშე მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ გამოძიებაში დაკითხვისას ბრალდებულსა და მის დამცველს მიეცათ შესაძლებლობა, ამ და-

კითხვაში მონაწილეობა მიეღოს.⁵

სასამართლომ ასევე განმარტა, თუ გამოძიების პროცესში გამოძიების მწარმოებელ პირებს შეეძინებათ აზრი, რომ მათ მიერ დაკითხული მოწმე შეუძლებელი იქნება მომავალში წარმოდგენილ და მოსმენილ იქნეს არსებითი განხილვაზე, სასამართლოში უმნიშვნელოვანესია, დაცვის მხარეს მიეცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს გამოძიებაში მოწმის დაკითხვისას და დაუსვას შეკითხვები მას. დაცვას ასევე უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი პოზიცია წარმოადგინოს მოწმის სანდოობის(მისი პიროვნების სანდოობისა და ჩვენების სარწმუნოებისა) თაობაზე.⁶

ამდენად, არა აქვს მნიშვნელობა, მოწმე რა ეტაპზე მისცემს ჩვენებას. მთავარი და მნიშვნელოვანია, ეს ჩვენება გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი და მოწმის მიერ ჩვენების მიცემისას არ იქნეს დარღვეული ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება.

5 CASE OF SCHATSCHASCHWILI v. GERMANY(Application no. 9154/10)), Another important safeguard countering the handicaps under which the defence labours as a result of the admission of untested witness evidence at the trial is to have given the applicant or defence counsel an opportunity to question the witness during the investigation stage (see, inter alia, A.G. v. Sweden, cited above; Gani, cited above, § 48; and Şandru, cited above, § 67), 130.

6 CASE OF SCHATSCHASCHWILI v. GERMANY(Application no. 9154/10)), The defendant must further be afforded the opportunity to give his own version of the events and to cast doubt on the credibility of the absent witness, pointing out any incoherence or inconsistency with the statements of other witnesses (see Aigner, cited above, § 43; D.T. v. the Netherlands, cited above, § 50; Garofolo, cited above, § 56; and Gani, cited above, § 48). Where the identity of the witness is known to the defence, the latter is able to identify and investigate any motives the witness may have for lying, and can therefore contest effectively the witness’s credibility, albeit to a lesser extent than in a direct confrontation (see Tseber, cited above, § 63; Garofolo, cited above, § 56; Sică, cited above, § 73; and Brzuszczyński, cited above, § 88), 131.

4 Esser R., 2002. Auf dem Weg Zu einem europäischen Strafverfahrenrecht. De Gruyter Recht, Berlin, pp. 638.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 09/10/2009 წლის რედაქციით, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> (())

PROBLEMATIC SIDES OF THE WITNESS QUESTIONING DURING THE INVESTIGATION PROCESS AND ITS LEGAL OUTCOMES

Tamar laliashvili

Doctor of Law.

Professor at European Teaching University

KEY WORDS: Justice, juvenile, investigation

RESUME

This article explores problems with interrogation and interview of witnesses during the investigation stage and their legal outcomes. It is about the witness and his importance as an evidence. In particular, with the obtaining of information from the witness and the procedures that must be followed so that the information is obtained in the interview is admissible at the main trial in both cases whether the witness appears or not. Problems arise when the witness does not appear at the trial, because criminal procedures are based on the principle of directness, which means that all evidence has to be proven by due process. Besides this, there is a problem with the right of the defendant to confront the accuser. This article analyzes all these problems and dangers to due process and illustrates possible solutions.

NOTES:

1. Governmental explanatory note of amendments to the draft of the Criminal Procedure Code, 06.12. 2013. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1823746#DOCUMENT:1> (In Georgian)
2. Governmental explanatory note of amendments to the draft of the Criminal Procedure Code 18. 12. 2016. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3108887#DOCUMENT:1>(In Georgian)
3. LaFave R., Criminal Procedure. Thomson West, Third Edition. V. 5, pp.374-375.(In English)
4. Grosskopf P., 2007. Beweissurrogate und Unmittelbarkeit der Hauptverhandlung. Nomos, P. 47.(In German)
5. Esser R., 2002. Auf dem Weg Zu einem europäischen Strafverfahrenrecht. De Gruyter Recht, Berlin, pp.638. (In German)
6. CASE OF SCHATSCHASCHWILI v. GERMANY(Application no. 9154/10)), 130.(In English)
7. CASE BALTA AND DEMİR v. TURKEY 23/06/2015. (In English)

BIBLIOGRAPHY:

1. Criminal Procedure Code of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> (In Georgian)

ოკერატიულ-სამძებრო საქმიანობა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

ანა ქილიტაშვილი

*სამართლის დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი*

საკვანძო სიტყვები: მართლმსაჯულება,
არასრულწლოვანი, გამოძიება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის განვითარება, კეთილდღეობა და სიძლიერე დამოკიდებულია უსაფრთხოებაზე, რაც ნიშნავს ისეთ სამართალდამცავთა უწყებების საინფორმაციო სისტემების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფს: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. თანამედროვე გამოძიების პროცესის დროს გასათვალისწინებელია ისეთი ძირითადი გარემოებები, რომლებსაც გააჩნია არსებითი მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ჩატარებისათვის, გამოძიების სწორი მიმართულებით წარსამართად. ეს კი აუცილებელი წინაპირობაა დანაშაულის სწრაფი და ეფექტური გამოძიებისა და გახსნისათვის.

გამოძიების დანყების მომენტისათვის მოძიებული პირველადი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, აგებული უნდა იქნეს საგამოძიებო ვერსიები დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე

ცალკეული გარემოებების სავარაუდო ახსნის შესახებ. მათ საფუძველზე უნდა მოხდეს საგამოძიებო გეგმის შედგენა.

1. გამოსაძიებელ საქმეზე წამოყენებული ვერსიები;
2. დასადგენი გარემოებები საგამოძიებო ვერსიების შემონშების გზით;
3. ს.ს. საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო, საპროცესო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები;
4. შემსრულებელი;
5. გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების შერჩევა (იგულისხმება კრიმინალისტიკური აღჭურვილობა, სხვადასხვა კვლებისა და ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა/ამოღებისათვის და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისათვის – ფარული აუდიო, ვიდეო, ფოტო გადაღებების ტექნიკური საშუალებები);

გამოძიების დაგეგმვაში კონკრეტული დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ან და გასახსნელად, ანუ კანონით დადგენილი ამოცანის შესასრულებლად, საჭიროა შესაბამისი კონკრეტული მიდგომა და მოქმედება. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი თანამდებობის პირის ყოველი მოქმედება ნაკარნახევი უნდა იყოს კონკრეტული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანის გადასაწყვეტად. ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად გამოძიებელი ახორციელებს ისეთ მოქმედებებს, რომლებსაც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ეწოდება, ანუ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები წარმოადგენს ე.წ. „იარაღს“, რითაც გამოძიების ორგანო განახორციელებს დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას. მარტივია გავაკეთოთ დასკვნა და ჩამოვაცალოთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ცნება:

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება არის – კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც თავისი კომპეტენციის და უწყებრივი/ტერიტორიული ქვემდებარეობის

ფარგლებში უზრუნველყოფს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონით გათვალისწინებულ ამოცანათა შესრულებას.

- დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;
- იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;
- იმ პირის ძებნა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენის მიზნით, რომელიც მიუხედავად გამოძახებისა, თავს არიდებს გამოძიების ან სასამართლოს წინაშე გამოცხადებას;
- ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ძებნას და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, თუ ის თავს არიდებს მისთვის შეფარდებული იძულებითი ღონისძიების გამოყენებას ან დანაშაულის სასჯელის მოხდას;
- დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;
- უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა;
- სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება;

დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება (სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობის დადგენა).

ეს ამოცანები ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელმა ორგანოებმა უნდა შეასრულონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. მაგალითად, ისეთი ამოცანის შესრულებას, როგორცაა: დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება, ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დანაყოფები.

სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება აისახება გამოძიებლის მუშაობაში დასა-

ბუთებულ ვარაუდზე მტკიცებულებების შეგროვებით. მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ხოლო სასამართლო აღგენს,

- არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე (სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პირველი მიზანი – დანაშაულის გამოძიება) და ამ ეტაპზე გამოძიებელი, როგორც ბრალდების მხარის წარმომადგენელი, მუშაობს მაკვალთა ფიციანებელ მტკიცებულებებზე, რომელთა მეშვეობითაც ანიჭებს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულებრივ შემთხვევას კვალიფიკაციას;
- ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება ვარკვეულმა პირმა და ამ ეტაპზე გამოძიებელი მაიდენტიფიცირებელ მტკიცებულებებზე ზრუნავს, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში აისახოს: ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით; გამოძიებით მოძიებული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა; ბრალდების შესახებ დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას პირის ბრალდების თაობაზე. (სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მეორე მიზანი – სისხლისსამართლის დევნა);
- დამნაშავეა თუ არა იგი (სისხლის სამა

-რთლის საპროცესო კანონმდებლობის მესამე მიზანი – მართლმსაჯულების განხორციელება), აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

განვიხილოთ გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ინსტიტუტები არასრულწლოვანთა მიმართ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა დანაშაულის გამოძიების პროცესში ადგენს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არასრულწლოვნის მონაწილეობით აღმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების და სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვნის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- დანაშაულის გამოძიება;
- სისხლისსამართლებრივი დევნა,
- საქმის სასამართლოში განხილვა და დანიშნული სასჯელის ან სხვა ზომის აღსრულება, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირი არის მოსამართლე, გამოძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი, შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი.

ნალი, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

არასრულწლოვნის დამკავებელი პირი არის გამომძიებელი, პროკურორი. დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უკავშირდებიან არასრულწლოვნის მშობელს და სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებენ არასრულწლოვნის დაკავების შესახებ, მის ადგილსამყოფელს და განუმარტავენ არასრულწლოვნის დაკავების მიზეზს, სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის დასაბუთებით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებების განმარტებით.

დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდოდ მოძალადეა ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი.

კანონი მოითხოვს არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და გამოძიებისას უნდა იყოს შეგროვილი და გათვალისწინებული მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები. აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მეშვეობით და შემდგომ გამოძიების პროცესში არასრულწლოვნის მიმართ უნდა იყოს შედგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომლის საფუძველზე გათვალისწინებული ორგანო შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, ინდივიდუალური შეფასების

ანგარიშში აისახება დანაშაულის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე:

- განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;
- სასჯელის დანიშვნისას;
- საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;
- არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;
- პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო – პრობაციის ეროვნული სააგენტო, პენიტენციური დეპარტამენტი.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით და, ჩემი აზრით, შემოაღნიშნულ უწყებებს უნდა დაემატოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, რომლის დებულებაში ასახულია შემდეგი ვალდებულებები

უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ და გამოვლენილ სამართალდარღვევებზე რეაგირებას, მის აღკვეთას და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებას (ცივი იანაღის ტარება, ნარკოტიკული ნივთიერებების

შენახვა-მოხმარება, ჯანმრთელობის დამიანება, თამბაქოს რეალიზაციის წესის დარღვევა, წვრილმანი ხულიგნობა და სხვა ისეთი ქმედებებში, რომლებიც ხელყოფს საზოგადოებრივ წესრიგს და ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დანესებულების მანდატურის სამსახურის დებულებაში ასახულია ისეთი ვალდებულებები, რომელთა საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მიხედვით, დაუყოვნებლივ იწყება გამოძიება. გამოძიების დანების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიანოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.

სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობს 2 მიმართულებით, ესენია:

- საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები;
- ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული ორგანოებისა და გამომძიებლების (მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისას) გამართულ საქმიანობას და საკუთრივ მათი მუშაკების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ტარდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძველზე და შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

როდესაც იწყება გამოძიება და

სისხლისსამართლებრივი დევნა არასრულწლოვანთა მიმართ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ მომზადდეს და განხორციელდეს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებანი ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის და ზოგადად პრევენციის ღონისძიებების გასატარებლად. ოპერატიული შემომძიების მასალები არ წარმოადგენს არასრულწლოვნის უფლებებისა და თავისუფლებების უფლებების შეზღუდვის საფუძველს. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესრულებისას საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები ვალდებული არიან, თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, განაპირობონ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და არ დაუშვან არასრულწლოვანის ხელახალი ვიქტიმიზაცია.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამჟამად საუბარი გვექნება იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე, რომელთა ჩატარება სავალდებულოა არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების სტადიაზე და პირველ რიგში უნდა ჩატარდეს;

პირის გამოკითხვა – ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის პირადი გასაუბრება არასრულწლოვანთან, რომელმაც რაიმე იცის გამოსაკვლევ ვებთხვევის ან მასთან დაკავშირებულ პირთა შესახებ. გამოკითხვა/გასაუბრება ნებაყოფლობითია და გამოსაკითხ პირს არ აფრთხილებენ ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ოპერატიული მუშაკი ან გამომძიებელი გამოკითხვის შესახებ დადგენილი წესით ადგენს პატაკს, რომელიც გასაცნობად არ წარედგინება გამოკითხულ არასრულწლოვანს;

უნდა გამოიკითხონ ის პირები, რომ-

ლებმაც შეიძლება რაიმე იცოდნენ მოსალოდნელი დანაშაულის ჩადენის შესახებ. ასეთები შეიძლება იყვნენ კონკრეტული სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით: სასწავლებლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, სკოლის და სასწავლებლების მანდატურები, მოსწავლეები/სტუდენტები, ტექნიკური პერსონალი (დამლაგებლები, მეფობები) დაცვის თანამშრომლები, სტუდენტთა საახლობლო და სამეგობრო წრე, გარე მოვაჭრეები, კაფე-ბარების მომსახურე პერსონალი და ა.შ.

ცნობების შეგროვება – ოპერატიული მუშაკის ან გამოძიებლის მიერ კრიმინალისტიკური, ოპერატიულ-სამძებრო ან ინფორმაციის შენახვის სხვა წყაროდან იმ ფაქტობრივი მონაცემების ოფიციალურად მოძიება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისათვის.

ცნობები უნდა შეგროვდეს იმ პირებსა (არასრულწლოვანთა ჯგუფზე) და მოვლენებზე, რომლებიც გამოიკვეთება პირის გამოკითხვის ჩატარების დროს. მაგალითად, პირის გამოკითხვის დროს გაირკვა, რომ მოქალაქე ბ. დღის მეორე ნახევარში გადის სახლიდან და გვიან ღამით ბრუნდება შინ. იგი, შესაძლოა, ეწოდეს საეჭვო საქმიანობას. ამისათვის მოხდება მისი დემოგრაფიული მონაცემების შემფოებით შსს-ს და სხვა სამართალდამცავი ორგანოების საინფორმაციო ბაზებიდან ინფორმაციის ამოღება. კერძოდ, საცხოვრებელი მისამართის (რეგისტრაციის ადგილის დადგენა), ცნობის მიღება ნასამართლეობის შესახებ, რომელი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილდება, რა სახის სამართალდარღვევები აქვს ჩადენილი, რომელ ქსელში ჩართული ტელეფონით სარგებლობს (მაგთი, ჯეოსელი და სხვა), ასევე, ტელეფონის ნომერი, სოციალური ქსელი და ა.შ.

პოლიციის დოსიედან, უბნის პასპორტიდან შეიძლება გავიგოთ არასრულწლოვნის დემოგრაფიული მონაცემები, ასევე, მონაცემები იმ პირთა შესახებ რომლებიც შემჩნეული არიან საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატურ დარღვევაში, რომ-

ლებსაც ჩადენილი აქვთ, ამზადებენ ან სჩადიან დანაშაულს, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს პრევენციური ღონისძიებები, რომლებიც სჩადიან სამართალდარღვევებს საოჯახო სფეროში, რომლებიც არიან არასრულწლოვნები და სისტემატურად სჩადიან დანაშაულს.

აგრეთვე მოიპოვება შემდეგი მონაცემები:

- იმ მშობლების შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- მრავალგზის ნასამართლევი პირების შესახებ;
- ორგანიზაციათა და დანესებულებათა შესახებ;
- არასრულწლოვანი მანანალების შესახებ;
- უცხოელი მოქალაქეების შესახებ.

ვიზუალური კონტროლი – ოპერატიული თვალთვალი, რომელიც კონსპირაციულად ტარდება ოპერატიული მუშაკის, გამოძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ უშუალოდ ან ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით;

ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი – გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობა, ასევე უკანონო კომპიუტერული მონაცემის მიღების სიტუაციის შექმნა, რომელიც ემსახურება დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში დიდი ყურადღება ეთმობა ვიქტიმიზაციის საკითხებს, როგორცაა: მეორეული ვიქტიმიზაცია – არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის /არასრულწლოვანი მონაწილისთვის შესაძლო ზიანის მიყენება მისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად. დაკითხვის პროცესი აისახება ვიდეო-აუდიო ჩანაწერზე, რადგან მეორადი ვიქტიმიზაცია ითვალისწინებს ხანგრძლივ სტრესულ რეაქციებს, ხშირად ამწვავებს მოქმედებებს და დამოკიდებულებას იმ სისტემების მხრიდან, რომლებიც მონოღებულია იმისთვის, რომ

დაეხმაროს არასრულწლოვან პიროვნებებს კრიზისის დროს. ამას ეწოდება მეორეული ვიქტიმიზაცია და დამტკიცებულ იქნა, რომ ის შეიძლება ფსიქოლოგიურად უფრო მეტად იყოს ზიანის მომტანი მსხვერპლისთვის, ვიდრე თვითონ ტრავმა.

ხელახალი ვიქტიმიზაცია ითვალისწინებს არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის ზიანის მიყენებას ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად.

მე ვფიქრობ, სავალდებულოა, არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის პროცესის აცილების მიზნით, ჩატარდეს ზემოაღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა მეშვეობით აღინერება არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისი ბუნება, ინტერესები, სამოტივაციო ზრახვები და მიზნები. შემდგომში კი მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიებისას – გამოძიებელი, სისხლისსამართლებრივი დევნის დროს – პროკურორი, ხელთ იქონიონ არასრულწლოვან ბრალდებულზე სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაცია, რომლის საფუძველზე სასამარ-

თლოში სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებების განხილვისას მოსამართლე იხელმძღვანელებს ისეთი ფაქტობრივი მასალებით, რომელთა საფუძველზე მართლმსაჯულება იხელმძღვანელებს უფრო შემამსუბუქებელი გარემოებებით არასრულწლოვან ბრალდებულთა სასარგებლოდ.

მოსამართლის პრეროგატივაა შემდგომში ალბათობის მაღალი ხარისხის საფუძველზე წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის დროს და გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენოს სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი ან და წარმოიშობა გამამართლებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა არასრულწლოვნის უდანაშაულობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. ქ. ქუთაისი, 2015 წ. www.matsne.gov.ge
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ქ. თბილისი, 2009 წ. www.matsne.gov.ge
3. საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ. ქ.თბილისი, 1999წ. www.matsne.gov.ge
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულება. სსმ, 103, 24/08/2010 www.matsne.gov.ge

OPERATIVE-INVESTIGATIVE ACTIVITY AND JUVENILE JUSTICE

Anna Chighitashvili

Doctor of Law,

Professor at European Teaching University,

Associate Professor at Tbilisi Teaching University

KEY WORDS: Justice, juvenile, investigation

RESUME

In the current article the legislation of the juvenile justice during the investigation process is discussed, as well as the criminal liability of minors, procedure of administrative misdemeanor committed with the participation of a minor and on the particularities of the criminal procedure, sentence and special rules for other means of law enforcement. The purpose of the juvenile justice code is to protect the best interest of minor during judicial procedures, as well as re-socialization and rehabilitation of a minor being in conflict with the law, the avoidance of the repeated victimization of a minor.

In the modern investigation and prosecution institutions the operative investigation means are used towards minors, in order to create individual report on a minor. The methodology, rules and standards for filing the report are established by the joint decree of the minister of justice, minister of internal affairs, minister of corrections, and from my point of view the office of resource officers of the educational institutions created under the ministry of education and sciences shall join the abovementioned decree, as in the Statute of the office there are proscribed following responsibilities: ensure due response to the occurred or detected

offences at the premises of the educational institution or nearby territory, their suppression and transferring information to respective law enforcement agencies (carriage of guns, storage and use of drugs and similar substances, health damage, infringement of rules for the realization of tobacco, small hooliganism and similar acts, which suppress the public order and interferes the study process) according to the rules prescribed in the juvenile justice code. The materials obtained during operative search do not represent the ground for the limitation of the rights and freedoms of a minor. Law enforcement agents must, within their competence, take all necessary measures to protect the best

interest of a minor.

And at last, in particular according to the results of the operative searching activity at the preliminary court hearing during the detailed hearing of the case and during the delivery of a decision the judge takes into consideration the high level of probability, that is based on the coinciding and proving evidence that is sufficient for the presupposition of high level in order to render a condemnatory judgment on the criminal case where the minor is involved or where the evidence gives grounds for exculpatory judgment, that would convince an objective person in the innocence of the minor.

BIBLIOGRAPHY:

1. Law of Georgia Juvenile Justice Code. Kutaisi, 2015. www.matsne.gov.ge (In Georgian)
2. Criminal Procedure Code of Georgia. Tbilisi, 2009. www.matsne.gov.ge (In Georgian)
3. Law of Georgia on operative-searching activities. Tbilisi, 1999. www.matsne.gov.ge (In Georgian)
4. Statute of the Office of resource officers of the educational institutions. ssm, 103, 24/08/2010. www.matsne.gov.ge (In Georgian)

ბრალდებულის ქმედებებისათვის მატერიალურად კასუსისმგებელი პირის ან/ და მასთან დაკავშირებული პირის ქონებაზე ყადაღის დადების სამართლებრივი საფუძვლები (შედარებითი ანალიზი)

ჰაატა კუბლაშვილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორი

საკვანძო სიტყვები: ბრალდებული, ყადაღა, სასამართლო

მხარეთა შეჭიბრებითობის და თანასწორობის პრინციპი, რომლის საფუძველზეც აგებულია სისხლის სამართლის პროცესი, გულისხმობს ბრალდებისა და დაცვის მხარეების თანაბარ შესაძლებლობებს სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში – სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებიდან საბოლოო ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანის ჩათვლით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეცავს მთელ რიგ საკანონმდებლო ხარვეზებს, რომლებიც განაპირობებს მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპის დარღვევას. ასევე, გარდა გამოკვეთილი საკანონმდებლო ხარვეზებისა, რიგ შემთხვევებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცხადი რეგულაციების არარსებობა ქმნის აღნიშნული პრინციპის დარღვევის დამატებით რისკებს.

საბოლოოდ, სისხლის სამართლის პროცესის ხარვეზები განაპირობებენ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, რამდენადაც მხარეთა შეჯიბრობითობა და თანასწორობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია.¹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის (ქონებაზე ყადაღის დადების მიზანი და საფუძველი) შესაბამისად – სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის შეძენილი. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის შეძენილი, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია, ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას. ამ ნაწილში მითითებული პირობების არსებობისას, თუ ბრალდებული თანამდებობის პირია, პროკურორი ვალდებულია, სასამართლოს წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თანამდებობის პირის ქონებაზე, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე, ყადაღის დადების, აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების ან სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ყადაღის დადების მიზანია ქონების შესაძლო

ჩამორთმევის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ იმ ქონებას, რომლის ჩამორთმევის საკითხი შეიძლება დადგეს დღის წესრიგში. ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების სახეს განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი, რომლის თანახმად, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. ანუ, კანონმდებელი ყადაღის გამოყენებას შესაძლებლად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ ქონება წარმოადგენს: ა) დანაშაულის საგანს ან/და იარაღს; ბ) დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს; გ) დანაშაულებრივი გზით შეძენილ ქონებას.

ზემოხსენებული სამი შემთხვევიდან რომელიმეს არსებობის შემთხვევაში მხარეს შეუძლია მოითხოვოს ყადაღის დადება, თუკი სახეზე იქნება დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონებას დახარჯავენ ან/და გადამალავენ, ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის შეძენილი. შესაბამისად, ქონების გადამაღვის ან/და დახარჯვის დასაბუთებული ვარაუდი (ანუ ის სტანდარტი, რომელიც ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობის დაყენებისათვის არის დანესებული) უნდა არსებობდეს მხოლოდ: ა) დანაშაულის საგნის ან/და იარაღის; ბ) დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის; გ) დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების მიმართ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად, შესაძლებელია ყადაღა დაედოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირი ბრალდებულის სტატუსს იძენს დაკავებისთანავე, ბრალდებულის სტატუსის მქონე პირის ქონებაზე ყადაღის დასადებად აუცილებელია პირი ბრალდებულად იქ-

1 საქართველოს იურიდიული ფორუმის ასოციაცია., 2015. სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრობითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის. თბილისი. კვლევა და რეკომენდაციები, (1), გვ. 8

ნეს ცნობილი, ანუ გამოტანილი იქნეს დადგენილება ბრალდების შესახებ და მას წარდგენილი ჰქონდეს ბრალი.²

ბრალდებულთან დაკავშირებული პირის ქონებას ყადაღა უნდა დაედოს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს ქონება მიღებულია ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად და ფორმალურად ერიცხება ბრალდებულთან დაკავშირებულ პირს. ბრალდებულთან დაკავშირებული პირი შეიძლება იყოს მისი ოჯახის წევრი, პარტნიორი, მეგობარი და ა.შ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, ვინ შეიძლება იყოს დაკავშირებული პირი: პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მიღებულია რეკეტის შედეგად ან შეძენილი რეკეტის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანებით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 333-ე¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ ან/და ამ ქონებით სარგებლობს, მას განკარგავს (ან განკარგავს) რეკეტის, თანამდებობის პირი, ქურდული სამყაროს წევრი, ადამიანებით მოვაჭრე, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი ან სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 333-ე მუხლით გათვალისწინებული

2 ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტი-ნარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიურო (INL), 2015. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. (3), გვ. 460-461.

დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირი. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, „დაკავშირებული პირის“ სახელზე რიცხული ქონება უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული დანაშაულის ჩადენასთან.

სისხლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს „დაკავშირებული პირის“ ინსტიტუტს და საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების შესრულებისას (ჩხრეკა, ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება და ა.შ) სისხლის საპროცესო კოდექსში ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3561-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის („დაკავშირებული პირი“) იმპლიმენტირება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეგულაციათა მიხედვით, პირი, რომლის მიმართაც არ არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა, არ ითვლება ბრალდებულად და მას აქვს სასამართლოს განჩინების მხოლოდ ერთ-ჯერადად გასაჩივრების უფლება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არსებობს სხვა მექანიზმი, რომლითაც ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირი, რომლის მიმართაც დაწყებულია გამოძიება და საპროცესო იძულების ღონისძიების სახედ გამოყენებულია ყადაღა, შეძლებდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებით სარგებლობას.

პირისათვის შეიძლება ცნობილი გახდეს მის მიმართ გამოძიების დაწყების შესახებ ბრალდების მხარის საგამოძიებო მოქმედებების დროსაც (მაგალითად: ჩხრეკა/ამოღება), რომელსაც ადასტურებს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება³ – ქიომე და სხვები ბელგიის წინააღმდეგ⁴, სადაც ჩხრეკა ჩაითვალა ბრალდების წაყენებად⁵. სისხლისსამართლის საპროცესო

3 <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-59194> (საქმე ქიომე და სხვები ბელგიის წინააღმდეგ).

4 ტრექსელი შ., 2009. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. სარა ჯ. სამერსის დახმარებით. თბილისი. სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა. www.library.court.ge (5), გვ. 134-135.

5 საქმეში ქიომე და სხვები ბელგიის წინააღმდეგ „ბრალდება“ წარდგენილად ჩაითვალა განმცხადებლის ბინისა და ოფისის ჩხრეკის

კოდექსის თანახმად კი ქონებაზე ყადაღის დადება, ჩხრეკა/ამოღება არ გულისხმობს ბრალის წარდგენას. შესაბამისად, პირი არ სარგებლობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლებებით.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პრაქტიკით დამვიდრებული უფლება, რომ ადამიანის დარღვეულ თუ შეზღუდულ უფლებათა აღსადგენად გარანტირებული უნდა იყოს სასამართლოს კონტროლის ეფექტური მექანიზმები და საქმის განხილვა მინიმუმ ორი ინსტანციის სასამართლოში, განსახილველი შემთხვევისათვის უგულებელყოფილია.⁶

იმ პირის მიმართ, რომელსაც არა აქვს ბრალდებულის სტატუსი, ყადაღის შესახებ გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში კანონმდებლობამ უნდა შექმნას პირის მიერ ამ ქმედების კანონიერების შემონახვის სამართლებრივი მექანიზმი. ამ თვალსაზრისით უნდა დაწესდეს სპეციალური სტატუსი ასეთი პირისათვის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მეექვსე მუხლით გარანტირებული უფლებებისა და მხარეთა შეჭიბრებითობის და თანასწორუფლებიანობის პრინციპების გათვალისწინებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლში, ევროპულ პრეცედენტულ სამართლთან შესაბამისობისა და პირის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მიზნით უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.*

ქონებაზე ყადაღის დადებისას პროკურორი არ არის შეზღუდული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით

და დასაბუთებისას შეუძლია გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს. მაგ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენება შესაძლებელია სარჩელის უზრუნველყოფის საფუძვლით ქონებაზე ყადაღის დადებისას ან თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეჩერებისას.

ყადაღის დადება შესაძლოა მოხდეს სასამართლოს განჩინების გარეშე, პროკურორის დადგენილებით, თუ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა. ასეთი შემთხვევა სახეზეა, თუ დაყოვნება გამოიწვევს ქონების განადგურებას ან გადამალვას. თუ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა (ქონების განადგურების ან გადამალვის საფრთხე), პროკურორს გამოაქვს დადგენილება ყადაღის დადების შესახებ, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს ქონებაზე ყადაღის დადების საჭიროება. პროკურორი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საპროცესო მოქმედების კანონიერების საკითხის გადანყვეტის მიზნით, დადგენილების აღსრულებიდან (ყადაღის რეალურად დადებიდან – ყადაღის დადების ოქმის შედგენიდან) 12 საათის განმავლობაში (ხოლო თუ ამ ვადის ამონურვა ემთხვევა არასამუშაო დროს, მაშინ ამ დროის გასვლიდან არა უგვიანეს 1 საათისა) სასამართლოს გამოძიების ადგილის ან საპროცესო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით წარუდგენს შუამდგომლობას ყადაღის კანონიერების შემონახვის მოთხოვნით.⁷

6 დაიდან, (5)
საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია., 2015. სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჭიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის. თბილისი. კვლევა და რეკომენდაციები, (6), გვ. 32.

* „ამ მუხლის მიზნებისათვის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინებისა და პროკურორის დადგენილების გასაჩივრება შეუძლია პირს, რომელიც არ არის ბრალდებული, ბრალდებულთან დაკავშირებული ან/

და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების/დადგენილების შედეგად“.

7 ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტი-ნარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიურო (INL), 2015. საქართველოს

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები) შესაბამისად – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

- ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა და ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.
- ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356⁴-ე მუხლის (ქონებაზე ყადაღის დადება) შესაბამისად:

- თუ არსებობს მონაცემები, რომ რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშეწყობის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტერთან, თანამდებობის პირთან, ქურდული სამყაროს წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშეწყობთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331-ე¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებულ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ანდა სხვაგვარად გაასხვისებენ, პრო-

კურორი ვალდებულია, სასამართლოს მიმართოს განცხადებით ქონებაზე, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე, ყადაღის დადების თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹⁰-ე მუხლის (ქონებაზე ყადაღის დადება) შესაბამისად:

- თუ არსებობს მონაცემები ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებული ქონების გადამალვაზე ან დახარჯვაზე ანდა სხვაგვარად გასხვისებაზე, პროკურორი ვალდებულია, სასამართლოს მიმართოს განცხადებით ამ ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების თაობაზე.
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹-ე მუხლის (ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით) შესაბამისად:
- ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შეამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21³⁰-ე მუხლის (ადმინისტრაციული სამართალწარმოება ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით) შესაბამისად:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. (7), გვ. 465-466.

- ბრძანებას ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით (შემდგომ – გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები) განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (ამ თავის მიზნებისათვის შემდგომ – კომისია) შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის (საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა საგადასახადო ორგანოს მიერ) შესაბამისად:

- საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ვალდებული პირის ქონებაზე ყადაღის დადების გზით განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის (ქონებაზე ყადაღის დადება) შესაბამისად:

- საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადანყვტილების გარეშე დაადოს ყადაღა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ფარგლებში. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ქონებაზე ყადაღის დადება, როგორც საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის სახე, სახელმწიფოს მიერ გამოიყენება გადასახადის გადამხდელის მიმართ, მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა მასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამ შემთხვევაში კანონმდებლობა და შემდგომში მის საფუძველზე ჩამოყალიბებული საგადასახადო პრაქტიკა უხეშად არღვევს გადასახადის გადამხდელის (ფიზიკური პირის, ინდ. მენარმის) უფლებებს, რადგან თუ პირმა დადგენილ ვადაში არ გადაიხადა გადასახადი და მას დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მართალია, ის თავისუფლდება საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ არა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფისაგან და საბოლოოდ პირი იხდის დაკისრებულ სასჯელს და სახელმწიფო მისგან გადასახადის თანხასაც იღებს.

საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი მნიშვნელოვანია და მასთან დაკავშირებით კანონმდებელმა საგადასახადო კოდექსის 35-ე თავში, რომელშიც საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის საშუალებები და მათი დაკისრების წესია მოცემული, შესაბამისი ცვლილებები უნდა შეიტანოს, კერძოდ, უნდა გაკეთდეს მითითება, რომ გადასახადის გადამხდელის (ფიზიკური პირის, ინდ. მენარმის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისას ეს ღონისძიებები არ გამოიყენება.⁸

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამის ნორმებით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი და მასზე არ

⁸ იმერლიშვილი ი., 2014. საგადასახადო დანაშაულის გამოძიების მეთოდოლოგია. თბილისი. სადისერტაციო ნაშრომი (11), გვ. 17-19.

ხორციელდება სასამართლო კონტროლი მაშინ, როცა სისხლის საპროცესო კანონმდებლობით მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ხდება პროკურორის მიერ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დადგენილების გამოტანა და ამ შემთხვევაშიც მიმდინარეობს ჩატარებული საპროცესო მოქმედების კანონიერების შემოწმება სასამართლოს მიერ.*

სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობის ინიციატორია პროკურორი, (ორივე შემთხვევაში

გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები), ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში ეს უფლება დელეგირებულია საგადასახადო ორგანოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიაზე, ხოლო საგადასახადო კანონმდებლობის ნორმათა იმპერატივის გათვალისწინებით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება საგადასახადო ორგანოს თანამშრომელსაც შეუძლია.

* „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე ქონებაზე ყადაღის დადების უფლებამოსილება გააჩნია სახელმწიფო აუდიტის სამსახურსაც. ორგანული კანონის მიხედვით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან ერთად პარტიის ან/და პირის ქონებას (მათ შორის საბანკო ანგარიშებს) დაადოს ყადაღა შესაბამისი სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციის პროპორციულად. ყადაღა დაუყოვნებლივ ამოქმედდება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმთან ერთად დასადასტურებლად წარედგინება სასამართლოს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. matsne.gov.ge
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“. matsne.gov.ge
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“. matsne.gov.ge
4. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“. matsne.gov.ge
5. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“. matsne.gov.ge(())

LEGAL BASIS FOR THE PROPERTY SEIZURE OF A PERSON IN CHARGE FOR THE DEFENDANT ACTION AND/ OR PERSON CONNECTED THERETO

(Comparative analysis)

Paata Kublashvili

State Audit Office of Georgia, Auditor

KEY WORDS: Defendant, sequestration, court

RESUME

According to the regulations of the Criminal Procedure Code of Georgia, a person against whom there is no criminal prosecution (not considered to be in charge) has a right to appeal the court's decision only once. In the Criminal Procedure Code, there is no other mechanism by which a person without a status of defendant against whom the investigation is being carried out and the use of seizure as a form of procedural compulsion, would be able to use the guaranteed right foreseen in the Article 6 of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. According to European case-law (Qiome and others against Belgium) requisition was considered to be an arrangement, though National Legislation is not aware of identical norms of law and accordingly, a person cannot use defendant's rights prescribed by the Criminal Procedure Code.

Some things have to be regulated on Legislative level and appropriate changes have to be made in Tax and Criminal Law norms, according to which any kind of tax enforcement towards a person (taxpayer) will be conformed by the tax authority and simultaneously criminal prosecution has begun against the same person according to the committed crime foreseen by the Criminal Code, Article 218.

NOTES:

1. Association of Law Firms of Georgia (ALFG), 2015. "The research and recommendations for ensuring competition and equality in processing Criminal Law," (1), p.8. (In Georgian)
2. American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI), Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs (INL), 2015. Comment on Georgian Criminal Law Procedure Code. (3), pp. 460-461. (In Georgian)
3. European Court of Human rights. Second section., Case of Coeme and others. V. Belgium. Judgment. Strasbourg. <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-59194> (In English)
4. Treqseli Sh. with the help of Sarah G. Summers. 2009. Human Rights in Criminal Law Procedure. (5), pp. 134-135. Electronic Library of Law. www.library.court.ge (In Georgian)
5. In the Case of Coeme and others. V. Belgium. 'Charges' was filled counted from the date of investigation of the applicant's flat and its office (5) . (In English)
6. Association of Law Firms of Georgia (ALFG), 2015. "The research and recommendations for ensuring competition and equality in processing Criminal Law" (6), p.32. (In Georgian)
7. American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI), Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs (INL), 2015. Comment on Georgian Criminal Law Procedure Code. (7), pp. 465-466. (In Georgian)
8. Imerlishvili I., 2014. Methodic of Investigation Tax Crime (11), pp. 17-19. (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Georgian Law – "Criminal Code of Georgia". <https://matsne.gov.ge> (In Georgian)
2. Georgian Law – "Civil Procedure Code of Georgia". <https://matsne.gov.ge> (In Georgian)
3. Georgian Law – "Criminal Procedure Code of Georgia". <https://matsne.gov.ge> (In Georgian)
4. Georgian Law – "Tax Code of Georgia". <https://matsne.gov.ge> (In Georgian)
5. Convention on human rights and its fundamental freedom. <https://matsne.gov.ge> (In Georgian)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?!

ელენე კავთუაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის დოქტორანტი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტის ასისტენტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტის ასისტენტი

საკვანძო სიტყვები: მართლმსაჯულება, ბავშვი, რეფორმები

„ბავშვისთვის თავისუფლების წართმევა ზრდის მის აგრესიულობას“
თომას ჰამარბერგი*

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემა ყოველთვის იყო მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში. სამართალდამრღვევი არასრულწლოვნებისადმი განსხვავებული მიდგომა სრულწლოვნებთან შედარებით ისტორიულად ყალიბდებოდა. ჯერ კიდევ XIII საუკუნის ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსში ნათქვამი იყო, რომ „უფროსებს ქურდობისთვის შეიძლება მოაჭრან ორივე ხელი, არასრულწლოვნებს კი – მხოლოდ ერთი“. იმანუელ კანტის სიტყვებით: „არასრულწლოვანება ნიშნავს უუნარობას, იმოქმედო საკუთარი გონების კარნახით,

* ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი

სხვისი მითითებების გარეშე“. აღსანიშნავია, რომ ბავშვები, რომლებიც კრიმინალურ კარიერას აღრეული ასაკიდან იწყებენ, როგორც წესი, რთულად უბრუნდებიან საზოგადოებას ღირსეულ წევრებად, ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ ითხოვს ეს პრობლემა ჩაღრმავებას.¹

დანაშაულზე სოციალური კონტროლის პირველ ფორმად, შესაძლებელია, მივიჩნიოთ სისხლის აღება. იგი წარმოიშვა როგორც დამსჯელი ინსტიტუტი, რაც დამახასიათებელი იყო მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებისათვის, მაგრამ შემდგომში, დემოკრატიული საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, სამაგიეროს გადახდის პრინციპი ეჭვქვეშ დადგა. პოპულარული გახდა ფრანგი განმანათლებლების იდეა იმის თაობაზე, რომ უფრო შედეგის მომტანია არა დამნაშავის დასჯა, არამედ დანაშაულის თავიდან აცილება. დღესდღეობით კი სასჯელით სამაგიეროს მიზღვევის მიზანი, ფაქტობრივად, უარყოფილია.

სასჯელი უნდა შეირჩეს დანაშაულის სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით. „კარგია სასჯელი, რომელიც ამცირებს რეციდივის რისკს“.² თანამედროვე კრიმინალისტიკური მეცნიერება ორიენტირებულია სწორედ დანაშაულის ჩადენის მიზეზების აღმოფხვრაზე, რომ ადამიანებში, განსაკუთრებით მოზარდებში, დამკვიდრდეს კანონმორჩილება, საზოგადოებისათვის მისაღები მორალი და ღირებულებები. დანაშაულის პროფილაქტიკის თანამედროვე კონცეფციები მოგვინოდებენ დამსჯელობითი ზომებიდან სამედიცინო-ფსიქოლოგიურ, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ დახმარებაზე გადასვლისაკენ.³ ამასთან, თანამედროვე მსოფლიოში ბავშვებს, რომელთაც ბრალად

ედებათ სისხლის სამართლის კანონით დაცული სფეროს დარღვევა, უფლება აქვთ ისეთ მოპყრობაზე, რომელშიც სრულიად იქნება გათვალისწინებული მათი ასაკი და მოთხოვნილებანი.

იუვენალური იუსტიცია ახალი ცნებაა საქართველოსთვის. ცნება – „იუვენალური იუსტიცია“ მთელ მსოფლიოში დაკავშირებულია მის მთავარ რგოლთან – არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოსთან.⁴ საერთაშორისო დოკუმენტებში მოცემული ინგლისურენოვანი დეფინიცია „JUVENILE JUSTICE“ – ქართულენოვან დოკუმენტებში ითარგმნება, როგორც „მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა მიმართ“.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩვენეული სისტემის საწყისები კლასიკურ რომაულ სამართალში უნდა ვეძიოთ, საიდანაც ორი მიმართულება იკვეთება: პირველი უდავოდ სადამსჯელოა, მეორე კი მხარდამჭერი და საზედამხებდველო. პირველმა განაპირობა სრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება ბავშვებისათვის. შუა საუკუნეებში, საეკლესიო სამართლის თანახმად, რომაული სამართლის კლასიფიკაციის შესაბამისად, ბავშვების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიხედვით დაყოფამ დასრულებული ფორმა მიიღო, რაც შემდგომ საერთო სამართალშიც აისახა.

გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ განხორციელების შესახებ 2003 წელს საქართველოს მიერ წარდგენილი მეორე პერიოდული ანგარიშის შემდეგ გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტმა (CRC) მთელი რიგი რეკომენდაციები მისცა საქართველოს მთავრობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში „არსებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ვერ ახორციელებს გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დებულებებს, არ შეესაბამება გაეროს

1 ყანდაშვილი ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (გაეროს 1989 წლის „ბავშვთა უფლებათა საერთაშორისო კონვენციისა“ და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით) <<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi>>

2 პრადელი ე., 1999. „შედარებითი სისხლის სამართალი“. თბილისი, გვ. 443.

3 კუსიანი ე., 2011. „არასრულწლოვანთა დანაშაულების მიზეზები და პრევენცია“, <<http://www.education.ge/>>

4 „Rights for every child“. 2004. UNICEF, გვ. 10.

„მინიმალურ სტანდარტებსა და ნორმებს“ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღიარებული პრაქტიკის თანამედროვე ცნებებს.⁵

საქართველოში არსებული კანონმდებლობა ნაწილობრივ ითვალისწინებდა სპეციფიკურ მიდგომას არასრულწლოვნების მიმართ, თუმცა საერთაშორისო სტანდარტები გაცილებით მაღალია და მათთან შესაბამისობისთვის აუცილებელი იყო ერთიანი სპეციალური საკანონმდებლო აქტის ჩამოყალიბება. საქართველოში არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, რომელიც უზრუნველყოფდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა უფლებების სათანადო დაცვას და უპასუხებდა მათს საჭიროებებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში. „არასრულწლოვანთა მიმართ სამართალწარმოება უნდა ემყარებოდეს გაეროს კონვენციით აღიარებულ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და სისხლისსამართლებრივი სანქციების ნაცვლად აქცენტი გადატანილი უნდა იყოს პრევენციულ ღონისძიებებზე“.⁶

2016 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებულმა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა“ არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა სპეციფიკური მიდგომა და იგი ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამ მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი ასევე არის არასრულწლოვნის შემდგომი რესოციალიზაციის სიმარტივე მსუბუქი ზომების გამოყენებით, მისი ინტერესებიდან

გამომდინარე და მისივე გამოსწორებისთვის, როგორც წესი, უმჯობესია სასამართლოში საქმის წარმოების ან სხვა მკაცრი ზომების მიღების თავიდან აცილება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებითაც დაამკვიდრა ახალი სტანდარტები, კერძოდ, კოდექსი გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, არასრულწლოვანი მონმე ან/და დაზარალებული. ამასთანავე, კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართაც. კერძოდ, კოდექსი მათ მიმართ გამოიყენება მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში (როდესაც 18-დან 21 წლამდე პირი ბრალდებულია), მასზე ვრცელდება აგრეთვე კოდექსის 38-ე – 48-ე მუხლები. 18-დან 21-წლამდე ასაკის პირზე არასრულწლოვნისთვის განკუთვნილი ნორმების გავრცელება აპრობირებულია სახელმწიფოებში, სადაც განვითარებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად: გერმანია, ხორვატია, სერბეთი, ჰოლანდია და ა.შ.⁷ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზე არასრულწლოვნისთვის განკუთვნილი წესების გავრცელება⁸ საქართველოს მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზანია, ჰუმანური და ლიბერალური გახადოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა. მკაფიოდ განსაზღვრა, რომ არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია – რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაა. სასჯელი

5 ჰამილტონი ქ., 2007. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ანალიზი საქართველოში“. UNICEF Georgia.

6 ფაფიაშვილი ლ., 2007. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება – ედუკაციური იურისდიქცია“ , ჟურნალი „საქართველოს პარლამენტი“. გვ. 52.

7 <<http://www.refworld.org/>> <http://www.vsrh.hr/http://dejure.org/gesetze/>

8 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია., მუხლი 37(ბ), იხ. ასევე ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10, პარაგრაფი 28.

უნდა შეირჩეს დამნაშავის სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით.

კოდექსში არასრულწლოვანთა მიმართ გამოსაყენებელი სასჯელები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- ა) ჯარიმა;
- ბ) შინაპატიმრობა;
- გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- დ) საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა;
- ე) თავისუფლების შეზღუდვა
- ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

ჯარიმა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლი განსაზღვრავდა ჯარიმის მინიმალურ ოდენობას – 2000 ლარს, ხოლო ამავე მუხლის 51 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნარო იყო, მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას სასამართლო აკისრებდა მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა კი განსაზღვრა, რომ არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ მაშინ, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან, ასევე არასრულწლოვნებისთვის სსკ-ით დადგენილი ჯარიმის მინიმალური ოდენობა განახევრდა. აღნიშნული მიდგომით სახელმწიფოს მიერ აღარ მოხდება ჯარიმის გამოყენება ისეთი დამნაშავის მიმართ, რომელსაც არ აქვს საშუალება, ეს ჯარიმა გადაიხადოს.

შინაპატიმრობა – არასრულწლოვანს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს შინაპატიმრობა, რაც ნიშნავს, რომ მას დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება აკისრია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ საფუძველზე სექტემბრიდან ძალაში შევიდა არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა, რომელსაც პრობაციის ეროვნული სააგენტო ელექ-

ტრონული მონიტორინგის საშუალებების გამოყენებით აღასრულებს. სასჯელის მოხდის ალტერნატიული ფორმის დაწინაურება სისხლის სამართლის სისტემის ლიბერალიზაციას ემსახურება. ციხის ალტერნატიული სანქციების გამოყენება, ის, რომ ციხე უნდა იყოს სასჯელის უკიდურესი ფორმა, მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია, არასრულწლოვანების შემთხვევაში კი ეს მოთხოვნა უფრო მკაცრად არის დაყენებული. როდესაც სასამართლოში განიხილება არასრულწლოვნის საქმე, თუ არ არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ფაქტები, სასამართლო მაქსიმალურად ცდილობს, სასჯელის აღსრულების დაწესებულება სასჯელის მოხდის ფორმად არ გამოიყენოს. შინაპატიმრობის რეჟიმი – სახლში ყოფნის გრაფიკი მტკიცდება სასამართლოს მიერ და მას კონტროლს უწევს პრობაციის სააგენტო, შინაპატიმრობის რეჟიმის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მშობელსაც.

შინაპატიმრობა არის ალტერნატიული სასჯელის ფორმა, რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ შინაპატიმრობაში მყოფი პირი 24 საათის განმავლობაში უნდა იყოს სახლის პირობებში. მოსამართლე, გამომდინარე არასრულწლოვნის ყოველდღიური ცხოვრებიდან, განუსაზღვრავს მას იმ საათებს, რა პერიოდშიც ის უნდა იყოს სახლში. დანარჩენ დროს არასრულწლოვანი თავისუფალია იმისთვის, რომ მან იაროს სპორტზე, სკოლაში, ჰქონდეს ურთიერთობა სოციუმთან და მაქსიმალურად შეეწყოს ხელი, რომ არ დაუშვას ის შეცდომა, რის გამოც არის ბრალდებული. აპარატურას აქვს მანძილის გაზომვის რამდენიმე რეჟიმი. შინაპატიმრობაში მყოფ პირებს სამაჯური დაუმაგრდებათ ფეხზე, ფეხიდან სამაჯურის მოძრობა, ხელისგან განსხვავებით, გახსნის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია; ამას გარდა, ხელზე მიმაგრებული სამაჯური უფრო ჩანს და რომ არ მოხდეს პატიმრის უფლებების შელახვა და მისი ერთგვარი დისკრედიტაცია, სამაჯურის მიმაგრება უმჯობესია ფეხზე. სამაჯური იმდენად კომპაქტურია, რომ არანაირ დისკომფორტს არ შეუქმნის პირს.⁹

9 რიჟამაძე, თ., 2015-09-21. „როგორ გააკონ-

რეჟიმის შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება დისტანციური ელექტრონული საშუალებებით – როგორც წესი, მსჯავრდებულს სახლში შესვლა და გამოსვლა სახლში დამონტაჟებულ მონაცემთა ბაზაზე დაფიქსირდება, საჭიროების შემთხვევაში პრობაციის ოფიცერს უფლება აქვს, მონახულოს მსჯავრდებულის სახლში, სამსახურში, სწავლის ადგილზე. შინაპატიმრობის რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში, მსჯავრდებულს პრობაციის წარდგინებით შეიძლება შეეფარდოს უფრო მკაცრი სასჯელი, ასევე შეიძლება დაჯარიმდეს პასუხისმგებელი მშობელიც.

რა შეგვიძლია ჩავთვალოთ შინაპატიმრობის დადებით შედეგებად?

1. მსჯავრდებულს უნარჩუნდება სწავლისა და სამუშაოს შესაძლებლობა, რაც მის გამოსწორებას უდავოდ ხელს შეუწყობს (რესოციალიზაცია);
2. ოჯახურ გარემოში სასჯელის მოხდა მსჯავრდებულს შეუნარჩუნებს სოციალური ხასიათის ქცევებს (რეინტეგრაცია);
3. სახელმწიფო დაზოგავს სასჯელ-აღსრულების დანებს უფლებებში პატიმართა შენახვისათვის საჭირო თანხებს.¹⁰

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ყველაზე ნოვატორული სასჯელია, რომელიც კანონმდებლებმა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში შექმნეს. ბრალდებული ვალდებულია, გარკვეული საათების განმავლობაში უსასყიდლოდ იმუშაოს საზოგადოების სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 85-ე მუხლით განსაზღვრული იყო, რომ არასრულწლოვანისთვის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ინიშნებოდა 40-დან 320 საათამდე ვადით, ამასთან 15 წლამდე არასრულწლოვანისთვის იგი არ უნდა

ყოფილიყო 4 საათზე მეტი, ხოლო 15-18 წლამდე არასრულწლოვანისთვის – 6 საათზე მეტი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 71-ე მუხლმა კი განსაზღვრა, რომ არასრულწლოვანს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით, ხოლო ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. ასევე, ახალმა კოდექსმა მკაფიოდ დააფიქსირა, რომ აღნიშნული სასჯელის გამოყენებისას, მსჯავრდებულის სამუშაოდ ისეთ ადგილზე უნდა გამწვანდეს, სადაც საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს.

საქართველოს სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაში აღნიშნული იყო, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა არის სასჯელის განხორციელებადი ზომა და იგი ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული.¹¹ მიჩნეულია, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების უპირატესი ხასიათი თავისუფლების აღმკვეთ სასჯელებთან მიმართებით, სხვა მრავალი პოზიტიური ასპექტის გარდა, როგორც არის, მაგალითად, რესოციალიზაციის უკეთესი პერსპექტივა, შეიძლება აისახოს ასევე სასჯელის ეკონომიის პრინციპის თვალთახედვითაც.¹² სასურველია, რომ სასჯელის აღნიშნული სახე საქართველოში მეტი ინტენსივობით გამოიყენებოდეს. იგი ერთ-ერთია იმ სასჯელთაგან, რომლითაც ბრალდებულს უქმნიან გარემოს, რომ არ მოხდეს ახალი დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ისე, რომ არ შეილახოს მისი პიროვნული ღირსება ცუდი მოპყრობით.

თავისუფლების შემლუღვა – საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანისთვის თავისუფლების

ტროლევენ პატიმრებს შინაპატიმრობაში სამაჯურებით და რა კატეგორიის მსჯავრდებულს შეეხება სასჯელის მოხდის ალტერნატიული მექანიზმი“, <<http://www.tbiliselebi.ge>>

10 კობიძე ი., 22.07.2014. „შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის ფორმა“, <<http://reformersclub.ge/>>

11 „სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, (მიღებული უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2009 წლის 27 ივლისს) <www.justice.gov.ge>

12 ხერხეულიძე ი., 2011. „საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო გარანტი“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. N 2, გვ. 119.

შეზღუდვის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრული იყო 4 წელი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა კი აღნიშნული ვადა 1 წლით შეამცირა და 3 წლამდე დაიყვანა, რაც უდავოდ მისასაღმებელი ფაქტორია.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა – ბავშვთა დაკავება, დაპატიმრება, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ან არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მათ მიაღწიეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, მაგრამ გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მიხედვით, ეს ზომები უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა და გრძელდებოდეს ხანმოკლე ვადით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფისაგან.

დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში მოკვლეული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ იმ ბავშვებს, რომელთაც სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, რეციდივის ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვთ. ასეთი ბავშვების თითქმის 75-80% ხელმეორედ სჩადის დანაშაულს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ დანაშაულზე რეაგირება არასისხლისსამართლებრივ დაწესებულებებში და ბავშვის მოცილება სისხლისსამართალწარმოების სისტემის განუყოფელ ნაწილად უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენის შემცირებას, ვიდრე სისხლისსამართლებრივი დევნა. უნდა გვახსოვდეს, რომ ძირითად მიზანს რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია უნდა წარმოადგენდეს – აღნიშნა გაეროს ბავშვთა ფონდის ექსპერტმა ბავშვთა უფლებების სფეროში ქეროლ ჰამილტონმა საქართველოში გამართულ შეხვედრაზე.¹³ ამასთანავე, კვლევებმა აჩვენა, რომ ისინი, ვინც დაპატიმრებულნი არიან არასრულწლოვნების

პერიოდში, დიდი შანსია, რომ დაკავებულნი იქნებიან მოზარდობის პერიოდშიც.¹⁴

საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლი განსაზღვრავდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთას, რომლის მიხედვითაც, თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა მცირდებოდა 1/3-ით და არ უნდა ყოფილიყო 10 წელზე მეტი, ხოლო თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთის ვადა უმცირდებოდა 1/4, რაც საბოლოო ჯამში არ უნდა ყოფილიყო 15 წელზე მეტი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი დაუშვებლად აცხადებს საპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას არასრულწლოვნის მიმართ ისეთ შემთხვევაში, როცა კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა შესაძლებელია უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით. ამგვარად, „უფრო მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვების რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობა განთავსდეს ციხეში“.¹⁵ კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს და წარსულში მის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან, კოდექსის მიხედვით, შემცირებულია თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთის ვადა და მისი მაქსიმუმი 12 წელია.

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, პირველ რიგში, მოსამართლემ უნდა შეაფასოს, არის თუ არა სასჯელის შეფარდების საჭიროება და შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული ზომების გამოყენება. მაგ: გაერთიანებულ სამეფოში არსებობს სახელმძღვანელო მითითებები

13 ჰამილტონი ქ., 2006. გაეროს ბავშვთა ფონდის ექსპერტი ბავშვთა უფლებების სფეროში, ესექსის უნივერსიტეტის იურისპრუდენციის პროფესორი, საქართველოში გამართული შეხვედრა.

14 Huizinga, D., 2000. Who goes to prison? Paper presented at the Annual Conference on Criminal Justice Research and Evaluation, Washington, DC.

15 ვაფიაშვილი ლ., 2008. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი“ „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“, თბილისი, N 1, გვ. 154.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის თაობაზე, რომელიც ამგვარად გამოიყურება: „სასჯელის განსაზღვრამდე სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის ან დანაშაულების სიმძიმე და ნებისმიერი შემამსუბუქებელი ფაქტორი, რომელიც ასოცირდება დანაშაულთან და უშუალოდ ახალგაზრდასთან“.¹⁶ სასჯელის შეფარდების მიზანი უნდა იყოს რეინტეგრაცია. სასჯელი უნდა იყოს კონსტრუქციული და არა სადამსჯელო ხასიათის, რეინტეგრაციისთვის საუკეთესო საშუალება არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენება და მსჯავრდებულზე გარკვეული მოვალეობების დაკისრება.

რაც შეეხება პირობით მსჯავრს, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი არ ყოფილა მსჯავრდებული და ჩადენილი დანაშაული მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განრიდების ინსტიტუტს არასრულწლოვნებთან მიმართებით ცენტრალური როლი უჭირავს. თუკი არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განრიდების შესაძლებლობა განიხილება. ამასთან, განრიდების გამოყენებისას გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა და სხვა ფაქტორები. რაც მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, არის ის,

რომ განრიდების პროცესში გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. გაეროს ბავშვთა კონვენციის ერთ-ერთი საფუძველი არის ალტერნატიული სასჯელები, რაც გულისხმობს იმას, რომ არასრულწლოვან დამნაშავეს, რომელმაც აღიარა თავისი დანაშაული, სთავაზობენ სასამართლო პროცესისგან განსხვავებულ ალტერნატიულ ღონისძიებებს. მან უნდა შეასრულოს რაიმე დავალება (ანაზღაუროს ზარალი, მოიხადოს ბოდიში, შეასრულოს საგანმანათლებლო ან სამუშაო პროექტი და ა.შ.) ამ მიდგომის ძირითადი მიზანი არის არასრულწლოვანის განათლების გაღრმავება და საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

ამ მიდგომით საზოგადოებას სურს, არასრულწლოვანი მიახვედროს თავის არასწორ საქციელს ჰუმანური და მეგობრული გზით. მრავალი წლის განმავლობაში დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არასასამართლო გზით არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას. უკანასკნელ წლებში აქტიურად დაიწყო კანონმდებლობაში არაფორმალური მართლმსაჯულების შეტანის ტენდენცია იმ მიზეზით, რომ მცირე დანაშაულობები ხშირ შემთხვევაში ასაკობრივ მოვლენას წარმოადგენს.¹⁷

დღესდღეობით ყველაზე მზარდი რაოდენობით არასრულწლოვნების მიმართ ხდება განრიდებისა და მედიაციის გამოყენება. 2010 წლიდან 2015 წლის ბოლომდე საერთო ჯამში განრიდებულია 1038 არასრულწლოვანი.¹⁸ ბავშვის განრიდება არ ნიშნავს მისი დანაშაულებრივი ქმედების იგნორირებას. უფრო მეტიც, ის საშუალებას იძლევა, გადაიდგას ნაბიჯები ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ბავშვის ქცევის ძირითად მიზეზებთან დაპირისპირებისთვის შემდგომი დანაშაულებრივი ქცევის თავიდან

16 „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“, (განკუთვნილი საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის) 2015. თბილისი, გვ. 229.

17 კაკაჩია მ., კლდიაშვილი ლ., 2004 „არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში“. თბილისი, გვ.10.

18 2010-2015 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა სტატისტიკა საქართველოში - <http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo>

ასაცილებლად. ბავშვის თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, ბავშვის უფლებათა კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, „ხელი შეუწყონ ... ასეთი ბავშვების მიმართ ზომების მიღებას სასამართლო განხილვის გარეშე“ (მუხ.40). ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენაზე პასუხისმგებლობის აღიარების შემთხვევაში მისი სისხლის სამართლის სისტემიდან განრიდება მნიშვნელოვანი ფაქტორია იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხვდეს პატიმრობაში. კრიმინალურმა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიამ, ასევე ციხეებიდან გამოსული ახალგაზრდებისთვის სასჯელის ხელმეორედ მისჯის მაღალმა დონემ აჩვენა სასჯელზე დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი კონტროლის ტრადიციული მიდგომის მარცხი.¹⁹

ზოგადად, სასჯელი ემსგავსება რომის პანთეონის ღმერთს – ორსახოვან იანუსს; იგი ერთი სახით მიმართულია წარსულისაკენ – უკვე ჩადენილი დანაშაულისა და მისი სუბიექტისაკენ, მეორე სახით კი მომავლისკენ – მსჯავრდებულის გამოსწორებისკენ, რათა მან სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ არ ჩაიღინოს დანაშაული.²⁰ მართალია, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ზრდის გამო საზოგადოება ხშირად სასჯელის გამკაცრებას ითხოვს, თუმცა სპეციალისტები ამბობენ, რომ თავისუფლების ხშირი და გრძელვადიანი აღკვეთით მხოლოდ უარყოფით შედეგებს მივიღებთ. ჯერ კიდევ 1998 წლის რეზოლუციაში, რომელსაც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ორმოცდათხუთმეტმა პროფესორმა და კრიმინოლოგმა მოაწერა ხელი, ნათქვამია: „სიმკაცრე, როგორც პასუხი, სავარაუდოდ, უშედეგოა!“.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, თუკი 2015 წლის დეკემბრის მონაცემებს 2016 წლის იანვრისა და თებერვალის მონაცემებს

შევადარებთ, ვიღებთ შემდეგ სურათს – ახალი კოდექსის ამოქმედებიდან სულ მცირე ხანში მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელიც დეკემბერში 45-ს შეადგენდა, იანვარში 17-მდე, ხოლო თებერვალში 15-მდე შემცირდა. იმ მსჯავრდებულთა რაოდენობამ კი, რომელთა მიმართაც ვადიანი თავისუფლების აღკვეთა იქნა გამოყენებული, 15-დან 5-მდე იკლო.²¹

სასჯელის მიზნის ცნება შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: „სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით“.²² მკვლევრები კვლავაც ამტკიცებენ, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა საპატიმროში ჩასმა საგრძნობ გავლენას ვერ ახდენს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლის დანაშაულობათა დონეზე.²³

ალტერნატიული სასჯელებს დიდი როლი აქვს სისხლის სამართალში, მათი გამოყენება ხელს უწყობს დამნაშავე პირის რესოციალიზაციას. არასაპატიმრო სასჯელები ეფექტურია იმ კუთხით, რომ მსჯავრდებულს ეძლევა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული გზა,²⁴ ასევე გარესამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობა, საშუალება, რომ არ მოსწყდეს საკუთარ ოჯახს, მეგობრებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს არასრულწლოვნებისთვისაა, რაც ხელს უწყობს მათ სოციალიზაციასაც.²⁵

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯუ-

19 ფაფიაშვილი ლ., 2008. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი“ „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“. თბილისი, N 1, გვ. 155.

20 Таганцев И. С., 1994. „ Русское уголовное право“, Лекции, часть общая, Т. 1, Москва, с. 17

21 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამართლებრივი სტატისტიკა, სისხლის სამართლის სტატისტიკა 2015-2016 <http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo>

22 ლეკვიშვილი მ., 2011. „სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა“, სტატიათა კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, გვ. 23.

23 Denice C. Gottfredson and William H. Barton, “Deinstitutionalization of Juvenile Offenders”, *Criminology*, 31 (1993) 591-611.

24 Criminal law Reform in Continental Europe - <<http://law.jrank.org/pages/860/Criminal-Law-Reform-Continental-Europe-Criminal-law-reform-in-continental-Europe.html>>

25 ტორიაშვილი ნ., 2013. „ ალტერნატიული სასჯელები“. თბილისი, გვ.78.

ლების კოდექსის“ მიღებით საქართველო გაუტოლდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ყველა იმ საუკეთესო სტანდარტის დამკვიდრების კუთხით, რომელსაც განამტკიცებს საერ-

თაშორისო სამართლებრივი აქტები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის უპირველესი ამოცანა კი არის არა დასჯა დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ – არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია.

JUVENILE JUSTICE CODE - LAW ON PUNISHMENT OR UPBRINGING?!

Elene Kavtushvili

PhD Candidate at the University of Georgia,

European Teaching University, Assistant

Caucasus International University, Faculty of law, Assistant

KEY WORDS: Justice, child, reforms

RESUME

Youth crime problem exists not only in our country, it is global. Various crimes arise in the society depending on what is the cause and the development of the circumstances. Crime can be an act of various types and committed by variety of individuals or groups of individuals. The most important of these are the crimes committed by juveniles.

The article “Juvenile Justice Code – law on punishment or upbringing?!” discusses the Juvenile Justice Code, which is in force in Georgia from January 2016 and established with all the best standards in the field of Juvenile Justice that includes international legal acts.

In present time, the most important goal is not to punish the juvenile for committing a crime, but rather encourage the juvenile rehabilitation and reintegration. The article deals with penalties, which the Code introduced and their impact on the reduction of juvenile crime.

NOTES:

1. Kandashvili i., Juvenile justice issues (UN 1989 “International Convention on Children’s Rights” and According to Georgian legislation) <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi> (In Georgian)
2. Pradeli p., 1999. “Comparative Criminal Law”, Tbilisi, , p .443. (In Georgian)
3. Kusiani E., 2011. “The causes and prevention of juvenile delinquency”, June, <http://www.education.ge/> (In Georgian)
4. “Rights for every child”. 2004. UNICEF, p.10. (In English)
5. Hamilton Q., 2007. “analysis of the juvenile justice system in Georgia” UNICEF Georgia. (In Georgian)
6. Papiashvili l., 2007. “Juvenile Justice – educational Jurisdiction” of the magazine”, The Parliament “, p. 52. (In Georgian)
7. < <http://www.refworld.org/>> <http://www.vsrh.hr/> <http://dejure.org/gesetze/>> (In English)
8. The UN Convention on the Rights of the Child, Article 37 (b), see. Also Committee on the Rights of the Child 10, paragraph 28. (In Georgian)
9. Rijamadze t., 2015-09-21. “How to control the prisoners under house arrest, bracelets and what categories of convicts serving a sentence alternative mechanism”, , <<http://www.tbiliselebi.ge>> (In Georgian)
10. Kobidze l., 22.07.2014. “Home arrest as a form of punishment”. <<http://reformersclub.ge/>> (In Georgian)
11. The strategy of “Criminal Justice Reform and the plan of action “ (Adopted by the Interagency Coordinating Council July 27, 2009) <www.justice.gov.ge> (In Georgian)
12. Kherkheulidze l., 2011. – “Community service – Non custodial punishments of minors, one of the best guarantees of the re-socialization of Juvenile offenders”, the “Law and Justice”, N 2, p. 119. (In Georgian)
13. Hamilton Street., 2006. UNICEF expert on children’s rights, of Essex University professor of law, A meeting held in Georgia. (In Georgian)
14. Huizinga, D., 2000. Who goes to prison? Paper presented at the Annual Conference on Criminal Justice Research and Evaluation, Washington, DC. (In English)
15. Papiashvili l., 2008. “some of the issues of juvenile justice”, “Journal of International Law”, Tbilisi, N 1 – p 154. (In English)
16. Guidelines on the form and validity of the verdict in criminal case and the operability of the stylistic text – (for the General Court judges), 2015, Tbilisi, p. 229. (In English)
17. Kakachia M., kldiashvili l. 2004. “The rehabilitation of the juvenile offenders in Georgia”. Tbilisi, p. 10. (In Georgian)
18. 2010-2015 years, Statistics on juvenile diversion program in Georgia – <<http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo>> (In Georgian)
19. Papiashvili l., 2008. “some of the issues of juvenile justice”, “Journal of International Law”, Tbilisi, N 1 -p .155. (In Georgian)
20. Tagantsev I. S., 1994. “Russian criminal law” Lectures, a common part ,T. 1, Moscow, p. 17. (In Russian)
21. National Statistics Office of Georgia, Justice Statistics, Criminal Justice Statistics 2015-2016 <http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo> (In Georgian)
22. Lekveishvili m., 2011. “Penalty goals and specifics of juvenile punishment”, a collection of articles, published by “Meridian”, Tbilisi, p. 23. (In Georgian)
23. Denice C. Gottfredson and William H.Barton., 1993. “Deinstitutional-

- ization of Juvenile Offenders”, Criminology, 591-611. (In English)
24. Criminal law Reform in Continental Europe – <<http://law.jrank.org/pages/860/Criminal-Law-Reform-Continental-Europe-Criminal-law-reform-in-continental-Europe.html>> (In English)
 25. Toriashvili m., 2013. “Alternative sentences”, Tbilisi, p. 78. (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Criminal Code of Georgia. 1999. Version of May 2015. (In Georgian)
2. Juvenile Justice Code of Georgia. 2015. Version of April, 2016. (In Georgian)
3. Convention on the rights of the child of 1989, the Edition of the April 2016 (In Georgian)

დანაშაულობა და დანაშაულობის კონტროლი საქართველოში

მიხეილ გაბუნია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქტორი

შამილ ძამუკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საჯარო მმართველობის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: კრიმინოლოგია, პრევენცია,
სამართალი

საქართველოში კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებამ რთული გზა განვლო. კრიმინოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება დაიწყო 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, ხოლო 2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N120/1 ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ საფუძველზე იგი აღიარებულ იქნა სამართლის მიმართულების სისხლის სამართლის სპეციალობის ქვედარგად.

ქართულ კრიმინოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, გააჩნია თავისი საგანი – დანაშაულობა და მიზანი – დანაშაულობის კონტროლი.

დანაშაულობის სახელმძღვანელო ცნება საქართველოში ჩამოყალიბებულია, როგორც უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, იგი არსებობს ადამიანთა საზოადოებაში, გააჩნია გარკვეული კანონზომიერებანი,

ხასიათდება რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლებით, ინვესს საზოგადოებისა და ადამიანებისათვის ნეგატიურ შედეგებს და მოითხოვს სპეციფიკურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს.¹

ჩვენი მოსაზრებით, კრიმინოლოგია დანაშაულობის ცნების განსაზღვრისას არ შეიძლება, რომ შემოიფარგლოს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ დანაშაულად ცნობილი ქმედებებით. დანაშაულობის თანამედროვე კრიმინოლოგიური განსაზღვრა უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც რთული სოციალურ-სამართლებრივი მოვლენისა, რომელიც აერთიანებს ორ მთავარ კრიტერიუმს - ერთი მხრივ, სისხლის სამართლის დანაშაულებს, ხოლო, მეორე მხრივ, განსაკუთრებით საშიშ დევიაციებს. საქართველოში ასეთებად მიჩნეულია ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, პროსტიტუცია, თვითმკვლელობანი და აზარტული თამაშები. დანაშაულობაში შემაჯავალი ამ ორი კრიტერიუმიდან თანაბარი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს ორივე მიმართულების კონტროლს, ვინაიდან, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დევიაციათა პრობლემის გადაჭრის გარეშე შეუძლებელი გახდება დანაშაულის პრევენცია.

დანაშაულობის კონტროლისას მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს:

1. დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებზე გემოქმედებას, უფრო კონკრეტულად 3 მთავარი მიზეზის ნეიტრალიზაციას, კერძოდ, დანაშაულობის გამომწვევ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საკანონმდებლო ფაქტორებს;
2. დამნაშავის რესოციალიზაციას. თუმცა აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღევანდელ დღეს არის სასჯელის დიდი კრიზისი, სასჯელის ვერც ერთი მიზანი - სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია თავის

დანიშნულებას ვერ ამართლებს. სასჯელმთხოვნი პირების სრული უმრავლესობა გათავისუფლების შემდეგ კრიმინალურ საქმიანობას აგრძელებს იმავე უფრო უკეთ, ვიდრე ციხეში მოხვედრამდე. მაშასადამე, ციხე გამოდის კრიმინალური პროფესიონალიზაციის ადგილი და არა რესოციალიზაციის დაწესებულება. ამდენად, დანაშაულობის კონტროლის თვალსაზრისით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სასჯელის ისეთ ალტერნატიულ ღონისძიებებს, როგორებიც არის მედიაცია და განრიდება.

რაც შეეხება დანაშაულობის კონტროლის კონკრეტულ ღონისძიებებს, მიგვაჩნია, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლება, არასრულწლოვანთა შორის კრიმინოლოგიური სწავლების დანერგვა და განვითარება (მე-9-10 კლასის მოსწავლეთათვის), საქართველოს რეგიონებში საზოგადოების ინფორმირება დანაშაულობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და სოციალური კონტროლის ღონისძიებათა შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაცია და მისი განთავისუფლება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულობათაგან, (აქ საუბარი გვაქვს იმ გარემოებაზე, რომ დეკრიმინალიზაციის შემდეგ მოხდეს მათი დარეგულირება ადმინისტრაციული ან სამოქალაქო წესით. მაგ. ჩვენი აზრით, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ისეთ ქმედებათა სისხლის სამართლის წესით დაკვალიფიცირება, როგორცაა, მაგალითად „ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით“, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259 მუხლი) და სხვა ნაკლებად მძიმე კატეგორიის მიკუთვნებული დანაშაულები, ისინი არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის დიდ საფრთხეს და, ამდენად, აბსოლუტურად საკმარისი იქნებოდა მათი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან სამოქალაქო სამართლებრივი წესით მოგვარება. მთავარი ყურადღება უნდა

მ. ბაბუნია, შ. ძამუჯაშვილი

1 იხ. წულაია ზ., 2005. კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი). გამომცემლობა ინტელექტი. თბილისი, გვ 58.

დავუთმობთ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას მიკუთვნებულ დანაშაულს. ასევე სასჯელის სახეებიდან სისხლის სამართლის კოდექსში მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის დატოვებას. უვადო თავისუფლების, როგორც სასჯელის სახის გაუქმებასა და დანაშაულთათვის მაქსიმალური სასჯელის განსაზღვრას 10-15 წლით. სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში პატიმართათვის კონკრეტულ ხელობათა შესწავლის ორგანიზებას, რათა სასჯელმოხდილი პირები გახდნენ კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე და ისინი დაასაქმონ სასჯელის მოხდის შემდეგ. ნასამართლობის, როგორც სასჯელის შედეგის გაუქმება და, რაც მთავარია, კრიმინოლოგიური ექსპერტიზის

სახელმწიფო ცენტრის ჩამოყალიბება, სადაც კანონპროექტები, (განსაკუთრებით სისხლისა და ადმინისტრაციული) შემუშავების სტადიაზე წინასწარ გაივლიან კრიმინოლოგიურ ექსპერტიზას იმ მიზნით, რომ დადგინდეს, რას გამოიწვევს კონკრეტულ კანონთამიღება მომავალში – დანაშაულთა ესკალაციას თუ მის პრევენციას, ასევე დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული კვლევა და კონტროლის ღონისძიებათა შემუშავება. ამ კუთხით კრიმინოლოგიურ რეკომენდაციათა გაცემა სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებებისათვის. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება დიდ წვლილს შეიტანს საქართველოში დანაშაულობის ეფექტური კონტროლის საქმეში.

CRIMINOLOGY, LAW, PREVENTION CRIMINALITY AND CRIMINALITY CONTROL IN GEORGIA

Mikheil Gabunia

*Associate Professor at Georgian Technical University,
Doctor of Law*

Shamil Dzamukashvili

*PhD candidate in Public Management at Georgian Technical
University,*

RESUME

Determination of the problem of crime has the greatest criminological and legal importance. First of all, it must be determined what we are dealing with the phenomenon of crime and only

after these we must discuss about the causing reasons of criminality and social control measures. We formulated the criminal notion of crime as a difficult socio-legal phenomenon, which will bring together the two main criteria – criminal offenses on the one hand, and on the other hand its particularly dangerous deviation, in Georgia as such are

considered alcoholism, drug addiction, prostitution, suicide and gambling games.

From these two criteria of criminality the equal importance should be given to both directions of control, because we are confident that it will be impossible to prevent crime without solving the problem of deviation.

ა. ბაბუნია, შ. ძამუჯანაშვილი

NOTES:

1. See: Tsulaia Z., 2005. Criminology (General and Private part). Publishing House Intellect. Tbilisi, p. 58. (In Georgian)

დაგარალებული უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით

ანა გურიელი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი, მედიატორი.

საკვანძო სიტყვები: პროკურატურა, სუბიექტი, პროცესი

შესავალი

რა არის პროკურატურის მისია? საქართველოს იუსტიციის მინისტრის №181 ბრძანება განსაზღვრავს, რომ პროკურორმა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. მან მხედველობაში უნდა მიიღოს საზოგადოებისადმი მიყენებული ეკონომიკური ზიანი, მოქალაქისადმი ან საჯარო ქონებისადმი მიყენებული ზიანი, წესრიგის დარღვევის ხარისხი და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. პროკურორის საჯარო ვალდებულება და პროფესიული პასუხისმგებლობა ხშირად მოითხოვს მისგან საზოგადოებაში არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღებას.

თუმცა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მნიშვნელოვანია, თუ კონკრეტულად რა გზით მიიღწევა დასახული მიზნები. საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, აქვს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ამ-

ბიცია; აღნიშნული შინაარსის სახელმწიფო პოლიტიკა არ უნდა რჩებოდეს რიგით დაპირებად. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის შესაბამება მოქალაქეთა ინტერესებთან. კანონმდებლობა თანაბრად უნდა იცავდეს ყველა მოქალაქის უფლებას, განურჩევლად მისი სტატუსისა სისხლის სამართლის პროცესში.

რამდენად ეფექტიანია არსებულ უფლებათა დაცვის საშუალებები მაშინ, როდესაც მოქალაქე დაზარალებულის როლშია? რამდენად უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობა დაზარალებულ პირთა ინტერესების, უფლებების დაცვას?

საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, ნაშრომის მიზანია ქართულ სამართალში დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის კვლევა; შემუშავდება კანონმდებლობის სრულყოფის რეკომენდაციები. მიზანი მიიღწევა კვლევის ანალიტიკური, ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით. გაანალიზდება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვნად მიჩნეული რეგულაციები.

1. საქართველოში არსებული რეგულირება

ვინ არის დაზარალებული? საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ეს არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღება უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

წარსულში საქართველოს კანონმდებლობით დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესის საკმაოდ ძლიერ სუბიექტად მოიაზრებოდა. მაგალითად, კონკრეტულ დანაშაულებებთან მიმართებით საქმე მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე აღიძვრებოდა. ვითარება შეიცვალა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებისას. შესაბამისად,

დაზარალებულისათვის დამატებითი უფლებების მინიჭების საკითხიც სწორედ ამ დროიდან გახდა მეტად აქტუალური.

აღიარებულია, რომ დანაშაული ხელყოფს საჯარო ინტერესს და სახელმწიფო უზრუნველყოფს სწორედ აღნიშნული ინტერესის განხორციელებას. საზოგადოება მიიჩნევა მსხვერპლად ნებისმიერ შემთხვევაში.¹ თუმცა, ვერაფერ უარყოფს შემდეგს: დაზარალებულს რეალურად გააჩნია მნიშვნელოვანი ინტერესი განაჩენთან მიმართებით.²

ამის გათვალისწინებით, ის ალბათობა, რომ შესაძლებელია ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებმა ყოველგვარი უფლებების გარეშე დატოვონ მსხვერპლი შესაძლო ბოროტმოქმედის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებაში, არა-დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.³ საზოგადოებას გააჩნია ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო ეფექტიანად წარმართავს სისხლის სამართლის პოლიტიკას, უზრუნველყოფს უპრობლემო ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.⁴ აღიარებულია ისიც, რომ გადანყვეტილების მიღების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ გარემოებასაც, როგორცაა დაზარალებულის მდგომარეობა.⁵

რა არის დაზარალებულის მიზანი? სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული, როგორც წესი, ცდილობს შემდეგის მიღწევას:

1. განხორციელდეს ცვლილებები იმისათვის, რომ ბრალდების პროცესი გახდეს უფრო მარტივი, ეფექტიანი;
2. შემუშავდეს რეფორმები, რომელთა დახმარებითაც დაზარალებულთან

1 Hallevy G., 2006. Victim's Complicity in Criminal Law. International Journal of Punishment and Sentencing, Vol. 2, Issue 2, p. 78.

2 Welling S., 1988. Victims in the Criminal Process: A Utilitarian Analysis of Victim Participation in the Charging Decision. Arizona Law Review, Vol. 30, Issue 1, p. 87.

3 ტრექსელი შ., 2009. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი, გვ. 61.

4 Reddy P., 2006. Role of the victim in the criminal process. Student Bar Review, Vol. 18, p. 2.

5 წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R (87) 18.

- დამოკიდებულება გახდება უკეთესი
3. შემუშავდეს რეფორმები, რომელთა საფუძველზეც დაზარალებული პროცესში აქტიურად ჩაერთვება.⁶ ამის მიუხედავად, დროდადრო ისმის, რომ დაზარალებულები უსამართლოდ გარიყეს პროცესიდან, ეს განსაკუთრებით მძიმეა, მაგალითად, ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, როგორც არის მკვლელობა.⁷

2. საერთაშორისო რეპულაცია

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ოქტომბრის კონვენცია უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას და ადგენს, რომ სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ლოგიკურია, თუკი მოიაზრება, რომ პირთა სიმრავლეში „ყველა“ აგრეთვე იგულისხმება დაზარალებულიც. ე.ი. დაზარალებულს აქვს უფლება, მოითხოვოს საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ის, თუ კონკრეტულად რა სახის შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციებში გამოიხატება აღნიშნული, თითოეულმა სახელმწიფომ თავად უნდა განსაზღვროს, არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით.

როგორია საერთაშორისო პრაქტიკა? საქართველოში ზემოხსენებული სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსით შემოთავაზებული მიმდინარე რეგულირება აშშ-ში არსებული სამართლებრივი რეგულირების მსგავსია. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაზარალებული, ფაქტობრივად, უუფლებოა. რეალურად ის მხოლოდ მონმის ფუნქციებს ასრულებს. არის ფაქტობრივად იგნორირებული და სისხლის სამართალი განიხილება, როგორც პროკურორებისა და დაცვის მხარის კონკურენცია. განაჩენთა აბსოლუტურ უმრავლესობაში დაზარალებულთან დავშირებით არაფერია მითითებული, ხოლო იქ, სადაც არის, სახეზეა მხოლოდ ერთი პარაგრაფი ან მცირე დათქმა.⁸ შესაბამისად, ნათელია, რომ აშშ-ში სამართლის სისტემა თანამედროვე სისხლის სამართალს განიხილავს საჯარო სამართლის ნაწილად, სისხლის სამართლის პროცესი არ მოიაზრება, როგორც კონფლიქტი დამნაშავესა და დაზარალებულს შორის. აღნიშნული მიდგომა ძირითადად ემყარება პრინციპს, რომლის თანახმად დანაშაულის ზიანის ობიექტი, პირველ რიგში, არის საჯარო ინტერესი.⁹

აღნიშნულის მიუხედავად, აშშ-ში მეტად აქტიუალური გახდა დაზარალებულის უფლებები, ამის დასტურია ისიც, რომ ჩამოყალიბდა „The national centre for victims and crime“, ასევე The national organization for victim assistance”,¹⁰ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციაში მოქმედებს განყოფილება, რომელიც მუშაობს დაზარალებულის უფლებებზე, ამგვარი განყოფილებები არსებობს შტატებისა და ადგილობრივი დონის ადვოკატთა გაერთიანებებშიც. დაზარალებულთა უფლებების თაობაზე ტარდება კვლევითი პროგრამები და კონფერენციები.¹¹

რაც შეეება ევროპულ გამოცდილებას,

6 O'harra E., 2005. Victim participation in the criminal process. *Journal of Law and Policy* 13 J.L. & Pol'y, p. 244.

7 LeRoy L., 1987. Victim Participation in the Criminal Justice Process: The Proposals for a Constitutional Amendment. *Wayne Law Review*, Vol. 34, Issue 1, p. 127.

8 O'harra E., 2005. Victim participation in the criminal process. *Journal of Law and Policy*, 13 J.L. & Pol'y, p. 229.

9 Hallevy G., 2006. Victim's Complicity in Criminal Law. *International Journal of Punishment and Sentencing*, Vol. 2, Issue 2, p. 77.

10 O'harra E., 2005. Victim participation in the criminal process. *Journal of Law and Policy*, 13 J.L. & Pol'y, p. 246.

11 Goldstein, A., 1982. Defining the Role of the Victim in Criminal Prosecution. *Mississippi Law Journal*, Vol. 52, Issue 3, p. 517.

აქ ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულს აქვს შესაძლებლობა, პირდაპირი ზეგავლენა მოახდინოს პროკურორზე, წარმოადგენს სუბსიდიურ ბრალმდებელს, წარმოადგენს ბრალდების მხარეს ან წარადგენს სამოქალაქო მოთხოვნებს სისხლის სამართლის პროცესში.¹² თვალსაჩინოებისათვის გამოდგებოდა შემდეგი მაგალითი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობა დაზარალებულს აღიარებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილედ. იგი წარმოადგენს პროცესის მხარეს და ამავდროულად ბრალმდებელს. შესაბამისად, მას უფლება აქვს, მოიწვიოს ექსპერტი, გამოიძახოს მოწმეები და სხვა.¹³

საფრანგეთში ყველას, ვინც განიცდის ზიანს დანაშაულის შედეგად, შეუძლია მოიპოვოს მხარის სტატუსი გამოძიების ეტაპიდანვე. დაზარალებულს აგრეთვე აქვს უფლებამოსილება, მიმართოს სასამართლოს გამოძიების გაჭიანურების ან არასწორად წარმართვის შემთხვევაში. მას აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს სასამართლო განხილვის პროცედურულ საკითხებში. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ადვოკატთან ერთად, პროკურორთან თანამშრომლობის გზით.¹⁴

საინტერესოა იუგოსლავიის პრაქტიკა: დაზარალებულს აქვს რიგი პროცედურების განხორციელების შესაძლებლობა. მათ შორის, მას შეუძლია გახდეს სუბსიდიური ბრალმდებელი პროკურორის მხრიდან ბრალდების შეუძლებლობის შემთხვევაში. კანონმდებლობა აგრეთვე უშვებს დაზარალებულისათვის კერძო ბრალმდებლის სტატუსის მიღების შესაძლებლობას.¹⁵

რაც შეეხება ინდოეთს, აღნიშნულ სახელმწიფოში ბრალდების მხარეს წარ-

მოადგენს პროკურატურა, რომელიც ვალდებულია, იყოს სამართლიანი და ობიექტური საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლო უფლებამოსილია, დაზარალებულის ადვოკატს მიანიჭოს უფლებამოსილება, დაეხმაროს პროკურატურას ბრალდების პროცესში; თუმცა ადვოკატს არ აქვს უფლება, ბრალდება დამოუკიდებლად განახორციელოს.¹⁶

3. დაზარალებულის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები

3.1. დაზარალებული, როგორც სუბსიდიური ბრალმდებელი

როგორც აღინიშნა, რიგ შემთხვევებში, კანონმდებლობა უშვებს სუბსიდიური ბრალდების არსებობის შესაძლებლობას. ეს აგრეთვე მიღებული პრაქტიკა იყო საქართველოშიც, რაც მოიაზრებდა იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი უარს იტყოდა ბრალდებაზე, რასაც არ ეთანხმებოდა დაზარალებული, საქმე არ შეწყდებოდა. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების როლში წარსდგებოდა დაზარალებული.

ამასთან მიმართებით აღსანიშნავია შემდეგი: აღიარებულია, რომ რაც უფრო დიდია სასჯელი, მეტად კმაყოფილია დაზარალებული.¹⁷ შესაბამისად, დაზარალებულისათვის ამ უფლების მინიშება გამოიწვევს რიგ უარყოფით შედეგებს. მათ შორის: დიდი იქნება იმის რისკი, რომ დაზარალებული მინიჭებულ უფლებამოსილებას არაკეთილსინდისიერად გამოიყენებს. დასაშვებია, რომ დანაშაულის

12 Matti J., 1987. Listening to the Victim: The Victim's Role in European Criminal Justice Systems. Wayne Law Review, Vol. 34, Issue 1, p. 102.
 13 Chkheidze I., 2013. Rights of a victim in criminal proceedings. justice and law, issue 2, Tbilisi, p. 119.
 14 Reddy P., 2006. Role of the victim in the criminal process. Student Bar Review, Vol. 18, 4-5.
 15 Kapac D., 1985. Victim's Procedural Role in the Yugoslav Criminal Process. Review of Socialist Law, Vol. 11, Issue 4, p. 371.

16 Reddy P., 2006. Role of the victim in the criminal process. Student Bar Review, Vol. 18, p. 8.
 17 Welling S., 1988. Victims in the Criminal Process: A Utilitarian Analysis of Victim Participation in the Charging Decision. Arizona Law Review, Vol. 30, Issue 1. p. 87.

ნიშნების არარსებობის პირობებშიც კი, დაზარალებული, რომელსაც მხოლოდ სუბიექტური მოტივები ამოძრავებს, შეეცდება პროცესის გაგრძელებას. შედეგად აღნიშნული, თავის მხრივ, გამოიწვევს დროის, ადამიანური და სასამართლო რესურსის გაუმართლებლად დიდ ხარჯს, მეტ სუბიექტივიზმს პროცესში.

3.2. მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა

ფაქტია, რომ დაზარალებული უმრავლეს შემთხვევაში არის დანაშაულის თვითმხილველი, შესაბამისად, მას ხელი მიუწვდება საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებზე. ამის გათვალისწინებით, ლოგიკური ხომ არ იქნებოდა მისთვის მტკიცებულებების წარდგენის უფლებამოსილების მინიჭება?

ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეთა მტკიცებით, დაზარალებულს შეუძლია აღნიშნული არა უშუალოდ, არამედ არაპირადაპირი გზით, უფლებამოსილი პირებისათვის გადაცემით განახორციელოს. ასეთ შემთხვევაში მაშინ, როდესაც საკითხის გადაწყვეტა ხდება დაზარალებულისაგან დამოუკიდებლად, თეორიულად არსებობს ალბათობა, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება დარჩეს ყურადღების მიღმა, დაზარალებულის დასაბუთებული მოთხოვნის მიუხედავად, არ მოხდეს მისი გათვალისწინება; ამ თვალსაზრისით, დაზარალებულისათვის მტკიცებულების წარდგენის უფლების მინიჭება იქნებოდა ორმაგი სარგებლის მომტანი: ერთი მხრივ, საქმისმწარმოებელ ორგანოს ექნებოდა ინფორმაციის მიღების მეტი ბერკეტი, მეტი გარანტია იმისა, რომ საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების ყურადღების მიღმა დარჩენის ალბათობა ნაკლებია; ხოლო დაზარალებულს მიეცემა შესაძლებლობა, დაიცვას თავისი უფლებები; თავი იგრძნოს მეტად მნიშვნელოვნად.

აღნიშნული უფლების მინიჭება არის ერთ-

ერთი საშუალება იმის საილუსტრაციოდ, რომ რეალურად შესაძლებელია მოხდეს დაზარალებულის ჩართვა პროცესში და მისდამი ადეკვატური დამოკიდებულების გამომჟღავნება ისე, რომ არ დაირღვეს ბალანსი დაცვის მხარესა და სახელმწიფოს შორის.¹⁸

3.3. შუამდგომლობის დაყენების საკითხი

ხშირია დავა იმის თაობაზეც, თუ რამდენად უნდა გააჩნდეს დაზარალებულს შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობა. რაც შეეხება აღნიშნულ საკითხს, მისი გადაწყვეტა შემდეგ გარემოებებს უნდა დაეფუძნოს: შუამდგომლობის დაყენება ყოველთვის შედის თავად პროკურორის ინტერესებში, ის ყოველთვის ორიენტირებულია, რომ მოთხოვნა იყოს შესაბამისი სტანდარტით დასაბუთებული; ამასთან, პროკურორს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია; იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობას დააყენებს დაზარალებული, ის დიდი ალბათობით გამოიწვევს შემდეგ პრობლემებს:

1. მოხდება სასამართლოს გადატვირთვა შუამდგომლობებით, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს სასამართლოს დროის რესურსის გადახარჯვას;
2. შუამდგომლობები არ იქნება სამართლებრივად არგუმენტირებული, რაც რეალურად გამოიწვევს დაზარალებულისათვისვე საწინააღმდეგო შედეგებს.

3.4. განსაზღვრების უფლება

სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია გასაჩივრების უფლება. გონივრულად ჩაითვლებოდა საკითხის შემდეგი გადაწყვეტა: სასურველია

18 O'harra E., 2005. Victim participation in the criminal process. *Journal of Law and Policy*, 13 J.L. & Pol'y, p. 247.

დაზარალებულს ჰქონდეს უფლება, გაასაჩივროს რიგი გადაწყვეტილებები, თუმცა არა ყველა-აღნიშნული უფლების მინიჭება უნდა მოხდეს თითოეულ საკითხთან მიმართებით გონივრული განსჯის შედეგად. ამ თვალსაზრისითაც, აუცილებელია ფრთხილი მუშაობა იმ მიზნით, რომ მეტ-ნაკლებად მოხდეს დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება, დაცვის მხარისათვის დაცვის საშუალებების შეზღუდვის გარეშე.¹⁹

პირველ რიგში, სასურველია, დაზარალებულს გააჩნდეს უფლება, გაასაჩივროს გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ქმედება ზემდგომ პროკურორთან. აღნიშნული, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა უფლებამოსილი პირების მხრიდან თვითნებური, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების აღბათობის შემცირებას. ამავდროულად, დაზარალებულს მიეცემა პროცესში ჩართულობის მეტი შესაძლებლობა და საკუთარი უფლების დაცვის რეალური ბერკეტი.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დაზარალებულისათვის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების უფლების მინიჭება არ იქნებოდა ასეთივე მიზანშეწონილი; ასეთი გადაწყვეტის საფუძველი შემდეგია: იმ შემთხვევაში, თუ მას მიეცემა მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობა და ამავდროულად უფლება, რომ გაასაჩივროს გამომძიებლის ან პროკურორის გადაწყვეტილება, იმის აღბათობა, რომ მას პრაქტიკულად დასჭირდეს ხსენებული უფლების გამოყენება, შემცირდება. ამას გარდა, სასამართლოს მიერ მიღებულ განაჩენს უნდა გააჩნდეს მაღალი ლეგიტიმაცია. შესაბამისად, პირისათვის, რომელიც არ წარმოადგენს პროცესში მხარეს, სასამართლო განაჩენის გასაჩივრების უფლების მინიჭება არ უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად. ამასთან, ამ უფლებამოსილების მინიჭება გამოიწვევდა სასამართლოს მეტად გადატვირთვას და არაკომპეტენტურ, დაუსაბუთებელ საჩივრებს.

საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, აქტუალურია საკითხი, თუ რამდენად უნდა შეეძლოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება. რეგულაცია შემდეგია: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, 217-ე მუხლის თანახმად, პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც პროკურორი ადგენს ოქმს. ამის მიუხედავად, დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება.

ხსენებული რეგულაციის გათვალისწინებით, ნათელია შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ პროკურორს საპროცესო შეთანხმების დადებისას ეკისრება დაზარალებულთან კონსულტაციის გავლის ვალდებულება, აღნიშნული ატარებს ფორმალურ ხასიათს და დაზარალებულის მოსაზრებას არ შეუძლია, გავლენა იქონიოს გადაწყვეტილებაზე. ამის გათვალისწინებით, სასურველია დაზარალებულს, როგორც დაინტერესებულ პირს, მიენიჭოს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შესაძლებლობა. აღნიშნული საჭიროა, პირველ რიგში, იმ ინტერესის გათვალისწინებით, რაც დაზარალებულს პროცესის მიმართ გააჩნია და ამავდროულად იმ მიზნით, რომ დაზარალებულთან გავლილი კონსულტაცია არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათით.

გასაჩივრების უფლების მინიჭება დაზარალებულისათვის მითითებულ ფარგლებში იქნებოდა გონივრული, მით უფრო, რომ როგორც ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, დაზარალებულის ჩართულობა სისხლის სამართლის პროცესში არ არის რისკის მატარებელი. დაზარალებულს არა მხოლოდ უნდა გააჩნდეს ინფორმაციის მიღებისა და ჩართულობის უფლება, არამედ ასეთი პოლიტიკა იქნება პროცესის მიზნებისათვის მეტად დადებითი შედეგების მომტანი.²⁰

19 O'harra E., 2005. Victim participation in the criminal process. journal of Law and Policy 13 J.L. & Pol'y, p. 247.

20 Hagan J., 1982. Victims before the Law: A Study of Victim Involvement in the Criminal Justice Process. Journal of Criminal Law and Criminology, Vol. 73, Issue 1, p.329.

საქმისმწარმოებელი ორბანოს მხრიდან დაზარალებულისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

(85)11 რეკომენდაცია განიხილავს დაზარალებულის როლს სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, განსაზღვრულია, თუ რა ტიპის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაზარალებულს. გაცემულია რეკომენდაცია, რომ სამართალდამცავებმა უნდა აცნობონ დაზარალებულს მისთვის ხელმისაწვდომი დახმარების მიღების თაობაზე. დაზარალებულებმა უნდა მიიღონ პრაქტიკული და სამართლებრივი რჩევა, კომპენსაცია სამართალდამრღვევისა და სახელმწიფოსაგან.

ამასთან, ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად შვედეთში, იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების სტადიაზე გამოძიებელი ან პროკურორი აღმოაჩენს, რომ სამოქალაქო მოთხოვნის წარდგენა არის შესაძლებელი ჩადენილი ქმედების გამო, მან აღნიშნული უნდა აცნობოს დაზარალებულს გონივრულ ვადებში. მსგავსი რეგულაცია მოქმედებს ავსტრიაში, გერმანიაში და ნორვეგიაში. ეს აგრეთვე მიღებული პრაქტიკაა ფინეთში.²¹

შესაბამისად, დგინდება, რომ დაზარალებულს უნდა გააჩნდეს გრძნობა, რომ ის არ არის იგნორირებული სახელმწიფოს მხრიდან. ეს შესაძლებელია მივალწიოთ მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდებით გამოძიების თუ სასამართლო განხილვის ეტაპზე.²² ეს სასიკეთო იქნება არა მხოლოდ მათთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც. იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავს იგრძნობდნენ უმნიშვნელოდ, არ ითანამშრომლებენ დაზარალებულის გახსნაში და ამით სისტემა, რომელიც დამყარებულია მოქალაქეთა ჩართულობაზე, არ იქნება ეფექტიანი.²³

დასკვნა

ანალიზის შედეგად დგინდება, რომ საკითხის ირგვლივ გამოცდილება არის მრავალფეროვანი და, შესაძლებელია, ვერ მოხდეს ყველა საკითხზე შეჯერება, თუმცა შესაძლებელია საკითხის დაბალანსება, დაზარალებულის ჩართულობის გაზრდა დაცვის მხარის შეზღუდვის გარეშე და კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შემდეგი სახით განსაზღვრა:

დაზარალებულს უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა.

დაზარალებულს, კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, უნდა ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი დევნის არდანწყების შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

დაზარალებულს უნდა მიენიჭოს უფლება, გაასაჩივროს პროკურორის/ გამოძიებლის ნებისმიერი სხვა ტიპის, მისი მოსაზრებით უკანონო გადანწყვეტილება, რომელიც ობიექტურად არღვევს მის უფლებებს.

სასურველია, დაზარალებულს მიენიჭოს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ამავდროულად, იმის მიუხედავად, რომ რიგ შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან ჯერაც არსებობს ამის თაობაზე დავა, გამართლებურად უნდა ჩაითვალოს ცვლილება, რომლის თანახმად დაზარალებული აღარ წარმოადგენს სუბსიდიურ ბრალმდებელს და მხარეს სისხლის სამართლის პროცესში. აღნიშნული ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უნდა ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად.

21 Matti J., 1987. Listening to the Victim: The Victim's Role in European Criminal Justice Systems. Wayne Law Review, Vol. 34, Issue 1, p. 104 .

22 Reddy P., 2006. Role of the victim in the criminal process. Student Bar Review Vol. 18 , p. 6.

23 Welling S., 1988. Victims in the Criminal Process: A Utilitarian Analysis of Victim Participation in the Charging Decision. Arizona Law Review, Vol. 30, Issue 1, p. 92 .

tarian Analysis of Victim Participation in the Charging Decision. Arizona Law Review, Vol. 30, Issue 1, p. 92 .

RIGHTS OF A VICTIM IN CRIMINAL PROCEEDINGS ACCORDING TO THE GEORGIAN LEGISLATION

Ana Gurieli

*PhD Candidate at the Caucasian International University
Faculty of law; Lawyer; Mediator*

KEY WORDS: Prosecutor, subject, process

RESUME

The analysis shows, that the role of the victim in the criminal proceedings is an issue of disputes. The practice is not similar, and every issue cannot be settled. Despite this, it is possible to find the balanced solution of the question; Victim's rights can be protected well, without harming the interests of the accused. The recommendations for the amendment of the legislation can be defined in this way:

- The victim should be able to present in the evidence in the process.
- The victim should be given the right to appeal the decision made by the prosecutor, about not starting the criminal proceedings.
- The victim should be given the opportunity to appeal any kind of decision made by the investigator/prosecutor, in the process that is assessed as unfair, when there exists an objective doubt, that the decision violates his/her rights.
- The victim should be given the opportunity to appeal the plea-bargaining decision.

Despite everything mentioned above, the victim should not be given the right to be in the role of the subsidiary prosecutor; The regulation, that changed this approach in Georgian legislation, should be considered as a success.

NOTES:

1. Hallevy G., 2006. Victim's Complicity in Criminal Law, *International Journal of Punishment and Sentencing*, Vol. 2, Issue 2, p. 78. (In English)
2. Welling S., 1988. Victims in the Criminal Process: A Utilitarian Analysis of Victim Participation in the Charging Decision, *Arizona Law Review*, Vol. 30, Issue 1, p. 87. (In English)
3. Trecksel S., 2009. Human rights in criminal proceedings, Tbilisi, p. 61. (In Georgian)
4. Reddy P., 2006. Role of the victim in the criminal process, *Student Bar Review*, Vol. 18, p. 2. (In English)
5. O'harra E., 2005. Victim participation in the criminal process. *journal of Law and Policy* 13 J.L. & Pol'y, p. 244. (In English)
6. LeRoy L., 1987. Victim Participation in the Criminal Justice Process: The Proposals for a Constitutional Amendment, *Wayne Law Review*, Vol. 34, Issue 1, p. 127. (In English)
7. O'harra E., 2005. Victim participation in the criminal process, *journal of Law and Policy*, 13 J.L. & Pol'y, p. 229. (In English)
8. Hallevy G., 2006. Victim's Complicity in Criminal Law, *International Journal of Punishment and Sentencing*, Vol. 2, Issue 2, p. 77. (In English)
9. O'harra E., 2005. Victim participation in the criminal process. *journal of Law and Policy*, 13 J.L. & Pol'y, p. 246. (In English)
10. Goldstein, A., 1982. Defining the Role of the Victim in Criminal Prosecution *Mississippi Law Journal*, Vol. 52, Issue 3 (September), p. 517. (In English)
11. Matti J., 1987. Listening to the Victim: The Victim's Role in European Criminal Justice Systems, *Wayne Law Review*, Vol. 34, Issue 1, p. 102. (In English)
12. Chkheidze I., 2013. Rights of a victim in criminal proceedings, *justice and law*, issue 2, Tbilisi, p. 119. (In Georgian)
13. Reddy P., 2006. Role of the victim in the criminal process, *Student Bar Review*, Vol. 18, 4-5. (In English)
14. Kapac D., 1985. Victim's Procedural Role in the Yugoslav Criminal Process, *Review of Socialist Law*, Vol. 11, Issue 4, p. 371. (In English)
15. Reddy P., 2006. Role of the victim in the criminal process, *Student Bar Review*, Vol. 18, p. 8. (In English)
16. Welling S., 1988. Victims in the Criminal Process: A Utilitarian Analysis of Victim Participation in the Charging Decision, *Arizona Law Review*, Vol. 30, Issue 1. p. 87. (In English)
17. O'harra E., 2005. Victim participation in the criminal process. *journal of Law and Policy*, 13 J.L. & Pol'y, p. 247. (In English)
18. O'harra E., 2005. Victim participation in the criminal process. *journal of Law and Policy* 13 J.L. & Pol'y, p. 247. (In English)
19. Hagan J., 1982. Victims before the Law: A Study of Victim Involvement

- in the Criminal Justice Process, *Journal of Criminal Law and Criminology*, Vol. 73, Issue 1, p.329. (In English)
21. Matti J., 1987. Listening to the Victim: The Victim's Role in European Criminal Justice Systems, *Wayne Law Review*, Vol. 34, Issue 1, p. 104. (In English)
 22. Reddy P., 2006. Role of the victim in the criminal process, *Student Bar Review* Vol. 18 , p. 6. (In English)
 23. Welling S., 1988. Victims in the Criminal Process: A Utilitarian Analysis of Victim Participation in the Charging Decision, *Arizona Law Review*, Vol. 30, Issue 1, p. 92 . (In English)

BIBLIOGRAPHY:

1. The criminal procedure code of Georgia. 2009. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> (In Georgian)
2. Order of the Minister of Georgia#181. (In Georgian)
3. Recommendation №R (87) 18 of the committee of ministers to member states concerning the simplification of criminal justice. (In English)
4. Recommendation #R (85) 11 of the committee of ministers to member states on the position of the victim in the framework of criminal law and procedure. (In English)

მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გეკანონური გარემოებების კვალიფიკაციის ძირითადი ასპექტები

თათია დოლიძე

სამართლის დოქტორი, ევროპის სასწავლო
უნივერსიტეტი;

ასისტენტ-პროფესორი, საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი;

ასისტენტ-პროფესორი, *Financial and legal consulting
group* – იურიდიული სამსახურის უფროსი

საკვანძო სიტყვები: სისხლის სამართალი, დანაშაული,
დაზარალებულის თანხმობა

განსახილველი თემის განსაკუთრებული აქტუალობა განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით. ერთ-ერთი გახლავთ გასულ წლებში გამამართლებელ განაჩენთა რეკორდული სიმცირე. ამგვარ სტატისტიკას არაერთხელ დაუყენებია ეჭვქვეშ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა. მაგალითად, 2007-2010 წლებში, არსებითად განხილულ საქმეებში, გამამართლებელი განაჩენის მაჩვენებელი 0.1%-დან 0.2%-მდე მერყეობდა.¹ მეორე მხრივ, ამ საკითხის აქტუალობას

1 ინტერნეტ წყარო: საჯარო ინფორმაციის ანალიტიკური ბლოგი (IDFI), სასამართლო სტატისტიკა 2007-2013 წ. <https://opendatablog.wordpress.com/2013/07/23/sasamartlo-statistika-2007-2013/> უკანასკნელად გადამოწმებულია 25.03.2016 წ.

განაპირობებს ის, რომ იურიდიულ ლიტერატურაში საკითხები ბოლომდე არ არის დამუშავებული. არც ქართული სამოსამართლო პრაქტიკაა ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარი.

ზოგადად, სისხლის სამართალი არის სამართლის დარგი, რომელიც მუდმივად ტრიალებს ორი ძირითადი ცნების: დანაშაულის და სასჯელის გარშემო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მკაფიოდ ადგენს, რა ქმედებები ითვლება დანაშაულად და აწესებს შესაბამის სასჯელს ამ ქმედების ჩამდენთათვის. თუმცა ისიც ცხადია, რომ სისხლის სამართლის ნორმათა არსი ამით არ ამოიწურება. სისხლის სამართლის კოდექსი ასევე აერთიანებს მთელ რიგ ზოგად პრინციპებს, რომელთა საფუძველზე ხდება სისხლის სამართლის ერთიანი მექანიზმის გამოყენება. სწორედ ასეთი ნორმა-პრინციპების ჯგუფს მიეკუთვნება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ის დებულებები, რომლებიც ადგენენ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ (შემამსუბუქებელ) გარემოებებს.²

საბჭოთა სისხლის სამართალი იცნობდა საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებების ცნებას. ზოგჯერ ეს გარემოებები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებადაც იწოდებოდა. საზოგადოებრივი საშიშროება იყო დანაშაულის ერთ-ერთი კონსტიტუციური ელემენტი. საბჭოთა იურისტები აღნიშნავდნენ, რომ სწორედ ამით განსხვავდება საბჭოთა სისხლის სამართალი ე.წ. „ბურჟუაზიული“ სისხლის სამართლისაგან. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ბურჟუაზიული სისხლის სამართალი მხოლოდ ფორმალურ ცნებებზე იყო დაფუძნებული და რეალურად არ მუშაობდა, მასში კლასობრივი ინტერესი გამოხატული არ იყო. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც თანამედროვე

სისხლის სამართალი უგულებელყოფს საზოგადოებისათვის საშიშროების კრიტერიუმს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი განმარტავს, რომ „დანაშაულად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც თუმცაღა ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ელემენტებს, მაგრამ მისი მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.“³ აღნიშნულ დათქმას, ფაქტობრივად, ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთი მხრივ, ის არის სახელმძღვანელო პრინციპი კვალიფიკაციის სტადიაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ფუნდამენტური პრინციპი კანონშემოქმედებითისაქმიანობისპროცესში. როდესაც კანონმდებელი აცხადებს ამა თუ იმ ქმედებას დანაშაულად, ბუნებრივია, ერთ-ერთი ამოსავალი კრიტერიუმი მისთვის სწორედ საზოგადოებრივი საშიშროების კომპონენტია.⁴

2000 წლის 1 ივნისს ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც დაამკვირდა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა სრულიად განსხვავებული სისტემა. მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, წინა კოდექსი იცნობდა მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს და მოიცავდა ორ გარემოებას: აუცილებელი მოგერიება და უკიდურესი აუცილებლობა. რაც შეეხება დამნაშავის შეპყრობას, ეს პირდაპირ არ იყო კოდექსში ასახული, მაგრამ პრაქტიკა მას ცნობდა, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას. ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა დაამკვიდრა დანაშაულის 3-ელემენტიანი სისტემა და ამის შესაბამისად დაადგინა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიანი სისტემა: მართლწინააღმდეგობისა და

2 ნაჭყებია გ., 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ 5-13.

3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-7 მუხლი, II ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

4 გამყრელიძე ო., 2005. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. გამომცემლობა თბილისი, გვ. 83.

ბრალის გამომრიცხველი გარემოებები.⁵ ორკვალიანი სისტემის შემოღება, ცხადია, საჭირო გახდა დანაშაულის ორი ელემენტის: მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებებიდან გამომდინარე. დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემიდან გამომდინარეა ისიც, რომ როდესაც ცალკეული ქმედების ნიშნები არის სახეზე, იწყება ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, არის თუ არა სახეზე ქმედების შემადგენლობა – ე.ი. შეესაბამება თუ არა ჩადენილი ქმედება (უმოქმედობა) სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ამა თუ იმ ნორმის დისპოზიციას. თუ დადგინდება, რომ დანაშაულის პირველი ელემენტი, ქმედების შემადგენლობა სახეზეა, ამის შემდეგ ვინაცვლებთ მართლწინააღმდეგობის ელემენტზე. აღნიშნულ სტადიაზე უნდა დადგინდეს, ეწინააღმდეგება თუ არა ეს ქმედება მოქმედ სამართალს. აქ საუბარია ზოგადად სამართალსა და არა კონკრეტულად სისხლის სამართალთან წინააღმდეგობაზე, ასევე წინააღმდეგობაზე დამკვიდრებული კულტურის ნორმებისა და ტრადიციების მიმართ. ერთ-ერთი კომპონენტის არარსებობაც უკვე გამორიცხავს მართლწინააღმდეგობის ელემენტს.

საზოგადოებაში არსებობს ქმედებები, რომლებიც მკაცრად ეწინააღმდეგება დამკვიდრებული კულტურის ნორმებს, მაგრამ კოდექსში აღწერილ ქმედებებს შორის არ გვხვდება. ასეთი ქმედება, ცხადია, ვერ ჩაითვლება მართლწინააღმდეგოდ. მაგალითად, ინცესტი, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს, მაგრამ მოქმედი კანონის არც ერთი ნორმით ეს ქმედება აკრძალული არ არის. შესაბამისად, ინცესტი ვერ ჩაითვლება დანაშაულად. მართლწინააღმდეგობის ელემენტი თავის თავში მოიცავს ასევე წინდახედულობის ნორმების მიმართ წინააღმდეგობასაც. მაგალითად: დედამ ახალშობილი დატოვა წყლით სავსე თასთან ახლოს. ბავშვი გადაბრუნებისას გადმოვარდა და წყალში

ჩავარდა, რის შედეგადაც დაიღუპა. ცხადია, არც ერთი ნორმით არ იკრძალება ახალშობილის წყლიან თასთან დატოვება, მაგრამ არსებობს ცხოვრებისეული გამოცდილებით დამკვიდრებული წინდახედულობის ნორმები, რომელთა გათვალისწინება ყველა ზრდასრულ ადამიანს ევალება. მართლწინააღმდეგობის ელემენტის დადგენის შემდეგ ვინაცვლებთ ბრალის კომპონენტზე.

მაშასადამე, სისხლის სამართლის კოდექსი აყალიბებს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების ერთიან სისტემას. პირველი ჯგუფი არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები, ხოლო მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ბრალის გამომრიცხველი (შემამსუბუქებელი) გარემოებები. ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები სამართლებრივად ერთნაირ შედეგებს იწვევს – ორივეს მოსდევს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. თუმცა, ამ ორ გარემოებათა შორის არსებითი განსხვავებები მაინც არსებობს:⁶

- მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობისას, პიროვნება ყველანაირი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, მის მიმართ სხვა ტიპის ღონისძიებების გამოყენება არ ხდება, თუ არ ჩავთვლით სამოქალაქო პასუხისმგებლობას (მაგ: აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს). ამის საპირისპიროდ ბრალის გამომრიცხველი გარემოებების დროს შეიძლება პირის მიმართ ცალკეული ხასიათის სამედიცინო ღონისძიების გამოყენება;⁷
- მართლწინააღმდეგობის გამომრიცხ-

5 იქვე: გვ.74.

6 დონჯაშვილი თ., 2002. საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი). გამომცემლობა თბილისი, გვ. 269.

7 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 34 მუხლი, 2 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

ხველი გარემოებების არსებობის დროს გამოირიცხება არა მხოლოდ იმ პირის პასუხისმგებლობა, ვინც უშუალოდ მოქმედებდა აღნიშნული გარემოების ფარგლებში, არამედ იმისიც, ვინც მას ამა თუ იმ ფორმით ეხმარებოდა. სხვაგვარად არის ბრალის გამომრიცხველი გარემოებების შემთხვევაში. ასეთ დროს ამსრულებლის არაბრალეულად მოქმედება ვერ გახდება სხვა პირთა ქმედების არაბრალეულად შეფასების საფუძველი;⁸

- ბრალის კომპონენტი არის პერსონალური, ეს გარემოებები ფასდება კონკრეტული ადამიანის მიმართ და არ წარმოადგენს ერთიან საზომს, მართლწინააღმდეგობის მსგავსად;
- მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების შემთხვევაში მისი გამომყენებლის მიმართ არ არსებობს მოგერიების უფლება, განსხვავებით ბრალის გამომრიცხველი გარემოებებისა, რომელთა დროსაც მოგერიების უფლება ჩვეულებრივ არსებობს. მაგალითად, სულით ავადმყოფის თავდასხმის შემთხვევაში პირს ჩვეულებრივ აქვს უფლება, მოიგერიოს ეს თავდასხმა;⁹
- შედეგის თვალსაზრისით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები ყველა შემთხვევაში გამორიცხავს დანაშაულს და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მაშინ, როდესაც ბრალის გამომრიცხველი (შემამსუბუქებელი) გარემოებების ცალკეული ნაწილი უბრალოდ ამსუბუქებს სასჯელს.¹⁰

მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების ერთი ნაწილი პირდაპირ არის მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდე-

ქსში, ამ გარემოებების მეორე ნაწილი კი მიეკუთვნება ზეკანონურ გარემოებებს, რომელთა დადგენა სასამართლო პრაქტიკით უნდა მოხდეს. სწორედ ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე და 38-ე მუხლები.

ქართული იურიდიული ლიტერატურა იცნობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ არაერთ ზეკანონურ გარემოებას. ეს გარემოებებია: დაზარალებულის თანხმობა, დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა, მოვალეობათა კოლიზია.

დაზარალებულის თანხმობაზე საუბრისას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფესორ დავით სულაქველიძის მოსაზრებას თავად ამ გარემოების სახელწოდებასთან დაკავშირებით. აღნიშვნაში გვხვდება ისეთი დეფინიცია, როგორც არის „დაზარალებული“ საქმე ისაა, რომ აღნიშნული სახელწოდება ბოლომდე ვერ ასახავს რეალობას. ეს სახელწოდება ძალზე პირობითია, რადგან თუ პირის თანხმობა ნამდვილად სახეზეა, მაშინ ეს ვერ ჩაითვლება დაზარალებულად. შესაბამისად, უფრო სწორი იქნებოდა დაზარალებულის ნაცვლად რაიმე სხვა დეფინიცია გვხვდებოდა. დაზარალებულის ცნების ქვეშ შეგვიძლია ვიგულისხმოთ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. მათ შორის სახელმწიფოც. მაგალითად, ომის დროს არის საფრთხე, რომ ჩვენი სამხედრო ნაწილის ტექნიკა მტერს ჩაუვარდეს და თვითნებურად განადგურების თავიდან ასაცილებლად ზემდგომმა სარდლობამ მისცა თანხმობა რიგითებს, გაანადგურონ ტექნიკა.¹¹

დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში პირი აძლევს ნებართვას მეორე პირს მის გამგებლობაში არსებული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე.

აქვეყლა შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ სამართლებრივი სიკეთე დაზარალებულის სრულ და თავისუფალ განკარგვაში უნდა იყოს, ამასთანავე, ის უნდა იყოს აღნიშნული

8 ტურავა მ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (წიგნი პირველი) დანაშაულის მოძღვრება. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 328.

9 იქვე: გვ. 328-329.

10 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, IX თავი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

11 ინტერნეტ წყარო: სულაქველიძე დ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ლექცია 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl> უკანასკნელად გადამოწმებულია 10.03.2016 წ.

სიკეთის დამოუკიდებელი განმკარგავი (მაგალითად, არ შეიძლება თანხობა ჩაითვალოს ნამდვილად, თუ საუბარია ოჯახის წევრების თანასაკუთრებაზე). ამ ზეკანონური გარემოების გამოყენება შეზღუდულია ისეთი სამართლებრივი სიკეთების მიმართ, როგორც არის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. თანხობა სიცოცხლის ხელყოფაზე ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება უბრალოდ ამსუბუქებდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (მაგალითად სსკ 110 მუხლი).¹²

სამართლებრივი სიკეთის დაზიანება დაზარალებულის თანხმობის დროს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გაცემული თანხმობის ფარგლებში. მაგალითად, გიორგიმ ლევანს მისცა უფლება, მისი საფულედან ამოეღო 100 ლარი, თუ ლევანი საფულედან იღებს 200 ლარს, ეს შემთხვევა, ცხადია, სცდება დაზარალებულის თანხმობის მართლზომიერების პირობებს.¹³

დაზარალებულის თანხმობა არ შეიძლება გავრცელდეს ისეთ ღირებულებებზე, როგორებიცაა: სიცოცხლე ან ჯანმრთელობა. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ადამიანის შინაგანი ორგანოების გადანერგვა, ითვლება, რომ ეს ხდება დონორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და მისი თანხმობით, ამ შემთხვევაში ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს ასეთი ქმედების მართლზომიერება.¹⁴

დაზარალებულის თანხმობა ყოველთვის ვერ გამოიხატავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს პრაქტიკაშიც ხშირად ხდება ხოლმე ცხადი. შეიძლება ერთისა და იმავე მოქმედების მიმართ დაზარალებულის თანხმობის საკითხი სხვაგვარად გადანყდეს. მაგალითად, საქართველოს ერთ-ერთ მთიან რეგიონში უვიცმა სტომატოლოგმა ქალს ამოუღო 16 კბილი გარკვეული პერიოდის

განმავლობაში. რეალურად, ამოღებულ იქნა საღი კბილები, რომელთა ამოღების საჭიროება არ იყო. ცხადია, სტომატოლოგის ქმედება მართლზომიერად ვერ ჩაითვლება. თუმცა, თითქმის ანალოგიური შემთხვევა იყო, როდესაც ცნობილმა მსახიობმა სესილია თაყაიშვილმა შეგნებულად ამოიღო კბილები, რათა უფრო მაღალ დონეზე შეესრულებინა ბეზის როლი ცნობილ ქართულ კინოფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი.“ ორივე ქმედება თითქოს ძალიან ჰგავს ერთმანეთს ობიექტური გარემოებებით, მაგრამ რეალურად ცნობილი მსახიობის შემთხვევაში ნამდვილად საქმე გვაქვს დაზარალებულის თანხმობასთან.¹⁵

დაზარალებულის თანხმობის მართლზომიერების ერთ-ერთი პირობაა ისიც, რომ გაცემული თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი შეგნებული გადანყვეტილება.¹⁶

განსხვავებით უკიდურესი აუცილებლობისაგან, როდესაც დაზიანებული სიკეთე უფრო ნაკლებ ღირებულია, ვიდრე გადარჩენილი, ასეთი პირობა შეიძლება დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, სახეზე არ გვექონდეს იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება პირის პირად სიკეთეს. მაგალითად, ცნობილმა ბიზნესმენმა გასცა თანხმობა, დაეწვრიათ მისი ძვირფასი ვილა და იმ ადგილას გაეშენებინათ სარეკრეაციო ზონა. ცხადია, აქ საქმე გვაქვს ადამიანის პირად საკუთრებასთან და სიკეთეთა შეპირისპირება დღის წესრიგში არ დგას.¹⁷

დაზარალებულის თანხმობა უნდა იყოს ნამდვილი ნებით გამოხატული, პირს ზუსტად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული თანხმობის არსი, მნიშვნელობა და შესაძლო შედეგები. დაზარალებულის თანხმობა გამოხატული უნდა იყოს გასაგები, ცალსახა ფორმით. თუ

12 ტურავა მ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (წიგნი პირველი) დანაშაულის მოძღვრება. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 396-397.

13 ინტერნეტ წყარო: სულაქველიძე დ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ლექცია 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl> უკანასკნელად გადამოწმებულია 10.03.2016 წ.

14 ტურავა მ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (წიგნი პირველი) დანაშაულის მოძღვრება. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 397.

15 ინტერნეტ წყარო: სულაქველიძე დ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ლექცია 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl> უკანასკნელად გადამოწმებულია 10.03.2016 წ.

16 ტურავა მ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (წიგნი პირველი) დანაშაულის მოძღვრება. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 399-399.

17 ინტერნეტ წყარო: სულაქველიძე დ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ლექცია 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl> უკანასკნელად გადამოწმებულია 10.03.2016 წ.

მოხდა ისე, რომ დაზარალებულმა გასცა თანხმობა და მერე შეიცვალა აზრი, ყველა მოქმედება, რომლებიც განხორციელდება თანხმობის უკან გათხოვის მომენტამდე, ჩაითვლება მართლზომიერად. ხოლო ყველა მოქმედება, განხორციელებული თანხმობის უკან გათხოვის შემდეგ იქნება მართლსაწინააღმდეგო.¹⁸

ბათილია მართლსაწინააღმდეგო მიზნებით გაცემული დაზარალებულის თანხმობა. მაგალითად, პირმა დაითანხმა ექიმი და მას ისეთი ცრუ ოპერაცია გააკეთებინა, რომელიც მანუა მისი ჯანმრთელობისთვის, იმისთვის, რომ სამხედრო სამსახურს აარიდოს თავი. ეს არ იქნება დაზარალებულის თანხმობა, რადგან ამას აშკარად დანაშაულებრივი ხასიათი აქვს.¹⁹

დაზარალებულის თანხმობა ვერ ჩაითვლება მართლზომიერად, თუ ასეთი თანხმობა ეწინააღმდეგება სოციალურ ნორმებს. არ შეიძლება პირის თანხმობა ისეთი არატრადიციულ სამედიცინო მანიპულაციაზე, რომელიც გამოიწვევს დასახიჩრებას. სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება ან ისეთი სექტანტური რიტუალის შესრულება, რომელიც მიმართულია თვითდასახიჩრებაზე. ასეთი თანხმობა ჩაითვლება ბათილად.

დაზარალებულის თანხმობა ხშირად აქტუალურია სპორტული შეჯიბრების დროს, მაგალითად, კრივსა და სხვადასხვა საბრძოლო ხელოვნებაში. ასეთ შემთხვევაში წინასწარ არის დადგენილი შეჯიბრების წესები და თუ ამ წესების დარღვევით მოხდება ზიანის მიყენება, მაშინ დაზარალებულის თანხმობის მართლზომიერების საკითხი ეჭვქვეშ დადგება.²⁰ დაზარალებულის თანხმობა ხშირად გვხვდება სამედიცინო სფეროში პლასტიკური ოპერაციებისა და ესთეტიკური

პროცედურების ფარგლებში.

სისხლის სამართალი ასევე იცნობს დაზარალებულის სავარაუდო თანხმობის ცნებას. დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა სახეზეა მაშინ, როდესაც თავდაპირველად ხდება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა და მხოლოდ ამის შემდეგ იგებს პირი, რომ მისი სამართლებრივი სიკეთე დაზიანებულია.²¹

ამ ტიპის თანხმობის მართლზომიერება წყდება იმის მიხედვით, თუ რამდენად მოინონებს დაზარალებული გადაწყვეტილებას სიკეთის დაზიანების შესახებ. თუმცა ესეც არ არის ბოლომდე ცალსახა. საქმე ისაა, რომ ცხოვრებაში ბევრი ექსტრემალური სიტუაცია გვხვდება. მაგალითად: პირი შეიყვანეს უკონო მდგომარეობაში საავადმყოფოში, ავტოკატასტროფის შედეგად მას აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები და საჭიროებდა ფეხის სასწრაფო ამპუტაციას. პირი უკონო მდგომარეობაში იყო და ამის გამო მისი თანხმობის მიღება ვერ მოხერხდა. სამედიცინო პერსონალი, რომელიც განახორციელებს ფეხის ამპუტაციას პირის სიცოცხლის გადარჩენისათვის, მოქმედებს მართლზომიერად.²²

ზოგჯერ დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა შეიძლება უკავშირდებოდეს პირთა შორის ჩამოყალიბებულ გარკვეულ ურთიერთობას. მაგალითად, კარის მეგობლებს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებულია ურთიერთობა და ისინი ხშირად არც კი ეკითხებიან ერთმანეთს, ისე იღებენ ერთმანეთის საყოფაცხოვრებო ტექნიკას. რა თქმა უნდა, ამას წინ უძღვის პირთა შორის ანალოგიური მოქმედების მრავალჯერ განმეორება.²³

საინტერესო საკითხია, რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულის თანხმობის გამოყენება ხდება სხვისი

18 ტურავა მ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (წიგნი პირველი) დანაშაულის მოძღვრება. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 398.
19 ინტერნეტ წყარო: სულაქველიძე დ.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ლექცია 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl> უკანასკნელად გადამოწმებულია 10.03.2016 წ.
20 ტურავა მ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (წიგნი პირველი) დანაშაულის მოძღვრება. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 399.

21 იქვე: გვ.400.
22 ტურავა მ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (წიგნი პირველი) დანაშაულის მოძღვრება. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 400.
23 ინტერნეტ წყარო: სულაქველიძე დ.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ლექცია 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl> უკანასკნელად გადამოწმებულია 10.03.2016 წ.

სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. მაგალითად, ერთ-ერთ სოფელში სახლი იწვოდა, მეზობელმა გამოიტანა მეორე მეზობლის მარნიდან ღვინო და ჩააქრო ცეცხლი. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ღვინის მესაკუთრე შემდგომ არ დაეთანხმება ასეთ მოქმედებას? ასეთ დროს რეალურად პირი მოქმედებს პირთა შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე. ამგვარი შემთხვევა, შესაძლოა, ასევე განხილულ იქნას, როგორც უკიდურესი აუცილებლობა. თუ ეს უკანასკნელი გამორიცხებულია, მაშინ დადგება საკითხი დაზარალებულის სავარაუდო თანხმობის შესახებ.

სისხლის სამართალი ასევე იცნობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ისეთ ზეკანონურ გარემოებას, როგორიც არის მოვალეობათა კოლიზია. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ეს გარემოება ხშირად უკავშირდება პროფესიული მოვალეობების განხორციელებას. მოვალეობათა კოლიზიის შემთხვევაში საფრთხე ექმნება ორ ან მეტ თანაბარი მნიშვნელობის სამართლებრივ სიკეთეს ერთდროულად, რომელთა გადასარჩენად თანაბარმნიშვნელოვანი მოვალეობების შესრულებაა საჭირო.²⁴ ორივე მოვალეობის ტოლფასოვნება გაცნობიერებული აქვს მას, ვისაც ამ მოვალეობის შესრულება უნევს. რეალურად, მოვალეობის შემსრულებელ პირს უნევს არჩევანის გაკეთება, პირველ ყოვლისა, გადაარჩინოს ერთ-ერთი სამართლებრივი სიკეთე. რეალურად ასეთი არჩევანის პირობებში პირი უფლებამოსილია, იმოქმედოს თავისი ნების შესაბამისად, რადგან ეს მისი თავისუფალი არჩევანია.²⁵

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ასევე იცნობს ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებებს. იურიდიულ ლიტერატურაში ზეკანონურ გარემოებებს მიაკუთვნებენ ტრაგიკულ

კოლიზიასა და საპატიებელ რისკს.

ტრაგიკული კოლიზია ბრალის გამომრიცხველ ზეკანონური გარემოების ერთ-ერთ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. ტრაგიკული კოლიზიის პრინციპი ჯერ კიდევ პუფენდორფმა შემოგვთავაზა, ეს გარემოება ბრალს სწორედ იქიდან გამომდინარე გამორიცხავს, რომ იზიარებს ელემენტარულ ადამიანურ ინსტინქტებს. ადამიანი არის ინსტინქტებით მოქმედი ცოცხალი არსება, ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტინქტი, რომელიც მას გამძაფრებული აქვს, არის თვითგადარჩენის ინსტინქტი. შესაბამისად, ადამიანი, რომელიც იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, რა თქმა უნდა, იმოქმედებს ინსტინქტით და თავად კი არ გადახტება ნავიდან, არამედ იმას გადააგდებს, ვინც მის შემდგომ არსებობას შეუქმნის საფრთხეს. წარმოუდგენელია, ადამიანები იმყოფებოდნენ სიცოცხლისათვის სამიმ მდგომარეობაში, ერთის გადარჩენა მეორის სიკვდილზე იყოს დამოკიდებული და მათ ეყოთ ნებისყოფა, არ განირონ სხვა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. ტრაგიკული კოლიზიის შემთხვევაში სახეზეა შემდეგი პირობები: მთლიანად სამართლებრივ სიკეთეს უნდა ემუქრებოდეს იმნუთიერი და რეალური საფრთხე; დამზიანებლის მიზანი უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის ერთი ნაწილის გადარჩენა; სიკეთის გადარჩენის სხვა საშუალება არ უნდა არსებობდეს, თუ არა სამართლებრივი სიკეთის ნაწილის დაზიანება.

მაგალითად: გიორგაძე, მანავაძე და ძაგნიძე არიან საიდუმლო ლაბორატორიის თანამშრომლები. ლაბორატორია მდებარეობს მინისქვეშ. ისინი ყოველდღიურად მუშაობენ სხვადასხვა სახელმწიფო მნიშვნელობის კვლევებზე. ერთ დღეს, როდესაც სამივე მათგანი ლაბორატორიაში გარკვეულ სამეცნიერო ცდებს ატარებდა, მათ ჩაეკეტათ ლაბორატორიის კარები, რის შედეგადაც ეს სამი ადამიანი გარემო სამყაროსაგან სრულიად მონყვეტილი აღმოჩნდა.²⁶

24 ტურავა მ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (წიგნი პირველი) დანაშაულის მოძღვრება. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 400.

25 ინტერნეტ წყარო: სულაქველიძე დ.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ლექცია 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bI> უკანასკნელად გადამოწმებულია 10.03.2016 წ.

26 Internet source: <http://www.nullapoena.de/stud/explorers.html>. Fuller Lon L. Harvard Law Review Vol. 62, No. 4, February 1949. The case of the speluncean explorers,

ისინი მაშინვე დაუკავშირდნენ ახლობლებსა და პოლიციის უახლოეს განყოფილებას, რათა ყველასთვის გაეგებინებინათ იმ გასაჭირის შესახებ, რომელშიც აღმოჩნდნენ. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციასა და საგანგებო სიტუაციათა სამსახურს საკმაოდ რთული მდგომარეობა დახვდათ, ლაბორატორიის ჩამკეტი მონყობილობა და სიგნალიზაცია სრულიად გამოსული იყო მწყობრიდან, რის გამოც ამ ლაბორატორიის კარების გაღება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.²⁷

ამიტომაც მაშველები იძულებული გახდნენ, მოენგრიათ ლაბორატორიის კარები. სამაშველო ჯგუფმა მაშინვე დაიწყო ლაბორატორიის კარების დანგრევაზე მუშაობა. მოულოდნელად, თავად ლაბორატორიის მდებარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩამოინგრა ლაბორატორიის წინა მხარე, რამაც კიდევ უფრო მეტად ჩახერგა ლაბორატორიის შესასვლელი. მიუხედავად ამისა, სამაშველო ჯგუფი მაინც ჯიუტად აგრძელებდა მუშაობას მეცნიერთა დროული განთავისუფლების მიზნით.²⁸

ეს სამაშველო ოპერაცია ძალიან რთული იყო და იგი მოითხოვდა 24-საათიან მუშაობას. სამაშველო ოპერაციის შესრულებისათვის ასევე აუცილებელი იყო სხვადასხვა რესურსით: მუშახელით, ტექნიკით, ფინანსებით მუდმივი მომარაგება. აღნიშნული ოპერაციის ჯეროვნად განხორციელებისათვის სხვადასხვა პროფესიის მუშაკთა დროებითი ბანკიც კი შეიქმნა. სამაშველო ოპერაცია იმდენად ექსტრემალურ სიტუაციაში მიმდინარეობდა, რომ ამ ოპერაციას 15 მუშის სიცოცხლეც კი შეეწირა. რაც შეეხება ლაბორატორიაში გამოკეტილ მეცნიერებს, მათ თან მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის საკვები ჰქონდათ და ეს მარაგი მალევე გამოელღიათ. ლაბორატორიაში ჩაკეტიდან დაახლოებით მესამე დღეს მეცნიერებს უკვე აღარაფერი

ებადათ და ძალიან შიოდათ. ამის გამო სამივენი ძალიან ღელავდნენ, ისინი კარგად აცნობიერებდნენ, რომ ასეთ პირობებში თავის გატანა ძალიან გაუჭირდებოდათ. ლაბორატორიაში ჩაკეტიდან მეჩვიდმეტე დღეს გიორგაძე, მანაგაძე და ძაგნიძე დაუკავშირდნენ მაშველებს და ჰკითხეს, რა დრო იქნებოდა საჭირო მათი ტყვეობიდან დასახსნელად. მაშველებმა უპასუხეს, რომ უკეთეს შემთხვევაში კიდევ ათი დღე იყო საჭირო მათი გარეთ გამოსვლისთვის. ამის შემდეგ მეცნიერებმა დარეკეს ეჭიმებთან და აუხსნეს, რომ დაახლოებით 14 დღე საკვები არ ჰქონდათ მიღებული და ჰკითხეს, შეძლებდნენ თუ არა უსაკვებოდ თავის გატანას კიდევ ათი დღე. ეჭიმებმა მეცნიერებს უპასუხეს, რომ ამისი თეორიული შანსიც კი არ არსებობდა. ამის მერე ლაბორატორიაში ჩაკეტილ მეცნიერთა მხრიდან არაფითარი შეტყობინება აღარ მოსულა და მიიჩნიეს, რომ ლაბორატორიაში ჩაკეტილ მკვლევართა ტელეფონების ბატარეები ამოიწურა. როდესაც დატყვევებულნი საბოლოოდ გაათავსდნენ, გაირკვა, რომ ლაბორატორიაში შესვლიდან ოცდამესამე დღეს გიორგაძე მისმა თანმხლებმა პირებმა მოკლეს და შეჭამეს. განსასჯელთა დახსნის შემდეგ მათ ბრალი წარედგინათ გიორგაძის მკვლელობისთვის.²⁹

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული შემთხვევა, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ტრაგიკული კოლიზია. რა თქმა უნდა, ეჭვგარეშეა ის, რომ ამ ადამიანებმა ნამდვილად განახორციელეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობა, მაგრამ სიტუაცია, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ, არ იყო ჩვეულებრივი მდგომარეობა. ეს იყო პირობები, როდესაც არსებული დანაწესების შესრულება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. შესაბამისად, რომ არა მათ მიერ განხორციელებული ქმედება, ყველა მათგანი დაიღუპებოდა.

ბრალის გამომრიცხველი გეკანონურ

Retrieved 15.04.2016.
 27 Same Internet source.
 28 Internet source: <http://www.nullapoena.de/stud/explorers.html>. Fuller Lon L. Harvard Law Review Vol. 62, No. 4, February 1949. The case of the speluncean explorers, Retrieved 15.04.2016.

29 Internet source: <http://www.nullapoena.de/stud/explorers.html>. Fuller Lon L. Harvard Law Review Vol. 62, No. 4, February 1949. The case of the speluncean explorers, Retrieved 15.04.2016.

გარემოება შეიძლება ასევე სახეზე იყოს მაშინაც, როდესაც პირი ძლიერი ფსიქიკური და ემოციური ზეწოლის ქვეშ იმყოფება. ასეთ შემთხვევაში პირი შეიძლება იყოს შემინებული, შეძრწუნებული და სხვ. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს უბრალოდ შეშინება არ უნდა იყოს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, პირი უნდა იმყოფებოდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ ამ შიშისაგან მას საკუთარი თავის კონტროლი უჭირდეს. ფაქტობრივად, ასეთ მდგომარეობას ვაწყდებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს. სულაც არაა აუცილებელი, ეს მაინცადამაინც დამზიანებლის სიცოცხლე იყოს. მაგალითად: ნინომ გადაწყვიტა, თავისი 3 წლის შვილი ქალაქის ცენტრალურ პარკში გაესეირნებინა. მას თან გაჰყვა ნინოს ბავშვობის მეგობარი სალომე. სამივენი დასხდნენ ერთ-ერთ ატრაქციონზე. როდესაც ატრაქციონი მალლა ავიდა, ჯაჭვი, რომელზეც ამ ატრაქციონის სკამი იყო დაკიდებული, განცდა. ნინო მიხვდა, რომ მხოლოდ ერთი ჯაჭვი სამ ადამიანს ვერ გაუძლებდა. ჯერ ხელი ჰკრა სალომეს, შემდეგ კი თავადაც გადახტა. ატრაქციონიდან ჩამოვარდნისას სალომე გარდაიცვალა, ნინო კი მძიმე დაზიანებებით გადაიყვანეს საავადმყოფოში. მიუხედავად იმისა, რომ ნინომ სალომე სიცოცხლეს გამოასალმა, მან შეძლო თავისი 3 წლის ქალიშვილის გადარჩენა. შეიძლება თუ არა ეს შემთხვევა განვიხილოთ ტრაგიკულ კოლიზიად? რა თქმა უნდა, ყველა საქმის სამართლებრივი შედეგი საბოლოოდ დამოკიდებულია საქმის განხილვაზე, საქმეში არსებულ ცალკეულ დეტალებზე, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, მაგრამ ამ გადასახედიდან მიგვაჩნია, რომ ეს შემთხვევაც თავისუფლად შეიძლება გაუთანაბრდეს ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებებს.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიებენ ბრალის გამომრიცხველ ისეთ ზეკანონურ გარემოებას, როგორცაა საპატიებელი რისკი. სამწუხაროდ, ეს გარემოება მხოლოდ ირიბად გახლავთ ნახსენები და მისი პირობების

შესახებ ლიტერატურაში ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს. მეტი თვალსაჩინოებისათვის აღვნიშნავთ საპატიებელი რისკის ერთ-ერთ მაგალითს, რომელიც ხშირად გამოიყენება ხოლმე ადვოკატების საკვალიფიკაციო გამოცდაზე. ბაბუას შვილიშვილი ქალაქგარეთ საქართველოს ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად მიჰყავდა. ბაბუა საჭესთან იჯდა და შვილიშვილს უყვებოდა იმ ლამაზი ადგილების შესახებ, რომელთა დათვალიერებასაც ისინი აპირებდნენ. უეცრად მათ წამოენიათ დიდი სიჩქარით მომავალი მანქანა, რომელიც ვეღარ ამუხრუჭებდა და უნდა დაჯახებოდათ. ბაბუამ სცადა, თავი დაეღწია ამ მანქანისათვის და საჭე საპირისპირო მიმართულებით აიღო, ამ დროს მას მუხრუჭმა უმტყუნა და სვლა ვეღარ შეაჩერა. ბაბუა მიხვდა, რომ მალე ხრამში უნდა გადაჩხილიყვნენ. მან გააცნობიერა, რომ ეს ხრამი იმდენად ღრმა იყო, გადაჩხის შემთხვევაში ისინი ვერ გადარჩებოდნენ. ბაბუამ შვილიშვილის გადარჩენის მიზნით ბავშვს ხელი ჰკრა და გადააგდო. ბავშვმა ქვას თავი დაარტყა და გარდაიცვალა. მანქანა ხრამში გადაიჩხა, მაგრამ ბაბუა გადარჩა. ამ შემთხვევაში, როგორც სამართლებრივი, ისე მორალური გადმოსახედიდან, ძნელია ბაბუას დავაკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ბაბუას ქმედება ცალსახად მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მისი დასჯა აშკარად უსამართლო იქნება. მაშ, რა საფუძვლით უნდა გავათავისუფლოთ პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან?³⁰ ბაბუის ქმედება სიტყვასიტყვით აკრძალული ქმედების შემადგენლობას შეესაბამება, ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოცაა. კოდექსში აღწერილ ბრალის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებას ეს შემთხვევა ნამდვილად არ ესადაგება. თუმცა, ჩვენი აზრით, არაბრალეულობის პირობებს განხილული

30 სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 2010. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტები (სისხლის სამართალი, ტომი II), თბილისი გვ. 18.

მაგალითი ნამდვილად აკმაყოფილებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრალის შეფასების მთავარი კრიტერიუმია ქმედების ჩამდენის ზნეობრიობა. ისიც განვმარტეთ, რომ ზნეობრიობის შეფასება მთლიანად ემყარება პიროვნების სუბიექტურ მხარეს. ამ უკანასკნელის განსაზღვრისას კი სისხლის სამართალი გამოდის იდეიდან, რომ თუ ქმედება სულ მცირე გაუფრთხილებლობით მაინც არ არის ჩადენილი, მაშინ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. ჩვენს შემთხვევაში ბაბუა ცდილობდა შვილიშვილის გადარჩენას, რა დროსაც მან რალაც გარემოებები ვერ გათვალა. ამის გამო დადგა მძიმე შედეგი. თუმცა ბაბუას ამ გარემოებების გათვლა არ შეეძლო დაარსებულად. პირი, რომელიც ისედაც მძიმე მდგომარეობაშია და წუთი წუთზე შეიძლება დაიღუპოს, სწევს რისკს იმისათვის, რომ გადაარჩინოს შვილიშვილი, მაგრამ ამ რისკის განევის ფარგლებში პირს გამოეპარა, რომ შეიძლებოდა მიწაზე ყოფილიყო ქვა, რომელსაც ბავშვი თავს დაარტყამდა. ასეთ სიტუაციაში მყოფ პირს ჩვენ ამდენის განჭვრეტას ვერ მოვთხოვთ, ეს უკვე ადამიანურ ძალებს აღემატება. სწორედ ამიტომ აშკარაა, რომ ეს გახლავთ ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოება.

ფაქტობრივად, არ მოიპოვება სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც რაიმე ფორმით მაინც შეეხება ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებას. ჩვენ გადავსინჯეთ სასამართლო გადაწყვეტილებები 2000 წლიდან დღემდე და ამ მხრივ საინტერესო ვერაფერი ვნახეთ, გარდა უზენაესი სასამართლოს ერთი გადაწყვეტილებისა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ რომელიმე ზეკანონური გარემოების საფუძვლით პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევას, იგი ნათლად გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენ არასწორად არის გაგებული ქართულ იურიდიულ წრეებში ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებები. საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს:

ქალბატონი მიდიოდა ბათუმიდან თბილისში და ბათუმის სადგურზე მას შეხვდა ნაცნობი, რომელმაც მისცა ამანათი და სთხოვა, თბილისში, გაგარინის ქუჩაზე მიეცა კონკრეტული პირისათვის, რომელიც ამის სანაცვლოდ 450 აშშ დოლარს მისცემდა, რაც მისთვის უნდა ჩამოეტანა ბათუმში. გობრონიძემაც წაიღო ამანათი და მხოლოდ მგზავრობისას შეიტყო, რომ ეს იყო „ჰეროინი“. ამიტომ მან გადაწყვიტა, იგი პოლიციისათვის გადაეცა, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან თბილისში ჩასვლისთანავე პოლიციის თანამშრომლებმა აიყვანეს ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა და გადაზიდვისათვის, გასაღების მიზნის გარეშე. ყველაზე უცნაური ამ საქმეში გახლდათ ის, რომ ამ ქალბატონის ადვოკატი მის გამართლებას მოითხოვდა ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების საფუძველზე.³¹

ყველაზე ნაკლებად ეს შემთხვევა სწორედ ბრალის გამომრიცხველ გარემოებებთან დგას ახლოს. უპირანი იქნებოდა ადვოკატს ემტკიცებინა, რომ სახეზე არ გვქონდა ქმედების შემადგენლობა. ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა და გადაზიდვა გასაღების მიზნის გარეშე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განზრახ. ამ ადამიანმა კი მეტწილად არ იცოდა, რომ ჰეროინი მოჰქონდა და მან მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც თბილისში ჩავიდა. მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე იგი დააკავა პოლიციამ. ქალბატონი ამტკიცებდა, რომ იგი აპირებდა ამანათის პატრონისათვის დაბრუნებას ან ამანათის პოლიციისათვის ჩაბარებას, მაგრამ მას ეს არ დასცალდა, რამეთუ პირდაპირ სადგურშივე აიყვანეს. როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში სასამართლო? ჩვენი აზრით, ამ ქალბატონის ქმედება მანამ, სანამ იგი შეიტყო, რომ ჰეროინი გადაჰქონდა, პრაქტიკულად არ არსებობს – ანუ ბრალის ელემენტამდე ეს ქმედება არც მიდის.

თუ ღრმად გავაანალიზებთ სისხლის

31 ინტერნეტ წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო, <http://www.supremecourt.ge/court-decisions/criminal-cases/>, უკანასკნელად გადამოწმებულია 7.04.2016 წ. წ.

სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის შინაარსს, მიეხედვით, რომ ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების კვალიფიკაციისას ამოსავალი გახლავთ არაბრალეულობის პირობები. ამის პირდაპირი დასტურია კოდექსის 38-ე მუხლში მოცემული შემდეგი ფრაზა: „საფსიქო აკმაყოფილებს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს“. საინტერესოა, ალბათ, რა არის არაბრალეულობის პირობები? ეს პირობები მოცემულია კოდექსის მეცხრე თავით დადგენილი ბრალის გამომრიცხველ (შემამსუბუქებელ) გარემოებათა აღწერაში. შესაბამისად, ზეკანონური გარემოებების კვალიფიკაციისას ნორმის შემთარღვებელმა უნდა განაზოგადოს კოდექსის მეცხრე თავით დადგენილი ბრალის გამომრიცხველი (შემამსუბუქებელი) გარემოებების დახა-

სიათებაში მოცემული ძირითადი საკვანძო პირობები და ამის შესაბამისად განსაზღვროს, არის თუ არა სახეზე ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოება. არაბრალეულობის პირობების ჩამონათვალს წინამდებარე კვლევის დასკვნით ნაწილში უფრო დეტალურად წარმოვიდგინო.

ვფიქრობთ, რომ წინამდებარე ნაშრომით მცირე, მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების განმარტებაში. დასასრულს გვსურს აღვნიშნოთ, რომ კარგი იქნება, მეტი ყურადღება დაეთმოს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ არა მხოლოდ სამოსამართლო საქმიანობის ფარგლებში, არამედ სამეცნიერო წრეებშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნაჭყებია გ., 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე.
3. გამყრელიძე ო., 2005. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. გამომცემლობა თბილისი.
4. დონჯაშვილი თ., 2002. საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი). გამომცემლობა თბილისი.
5. ტურავა მ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (წიგნი პირველი) დანაშაულის მოძღვრება. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი.
6. Fuller Lon L. Harvard Law Review Vol. 62, No. 4, February 1949. The case of the speluncean explorers.
7. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 2010. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტები (სისხლის სამართალი, ტომი II), თბილისი.

BIBLIOGRAPHY:

1. Nachkebia G., 2007. General part of criminal law. Meridiani, Tbilisi. (In Georgian)
2. Criminal Code of Georgia, matsne.gov.ge. (In Georgian)
3. Gamkrelidze O., 2005. Commentaries on Criminal code of Georgia, Tbilisi. (In Georgian)
4. Donjashvili T., 2002. Criminal law of Georgia (General part), Tbilisi. (In Georgian)
5. Turava M., 2011. Criminal law, General part (First part), Doctrine on

- Crime, Meridiani, Tbilisi. (In Georgian)
6. Fuller Lon L. Harvard Law Review Vol. 62, No. 4, February 1949. The case of the speluncean explorers. (In England)
 7. Georgian bar association, 2010. Tests (criminal law, volume II), Tbilisi. (In Georgian)

MAIN ISSUES ABOUT QUALIFICATION CIRCUMSTANCES EXCLUDING CRIMINAL RESPONSIBILITY

Tatia Dolidze

Doctor of law

Assistant-professor at European teaching university

Assistant-professor at Georgian national university

Head of legal department at Financial Consulting Group

KEY WORDS: Criminal law; Crime, Consent of victim

RESUME

Circumstances excluding criminal responsibility are actual for several reasons:

- lack of not guilty verdict;
- these issues are not theoretically processed in Georgian legal literature.

That is why our research is dedicated to the circumstances excluding criminal responsibility. Definition of crime consists of three main steps: act, unlawfulness, guilt. Therefore, circumstances excluding criminal responsibility are divided in two main groups: Circumstances Excluding the Criminal nature of an action and Circumstances excluding and mitigating guilt. Articles 32

and 38 of the Criminal Code of Georgia regulate issues connected with releasing from criminal liability for other legally justifiable acts and releasing from criminal liability for other non-culpable actions. These are circumstances, which must be established by judicial practice. Unfortunately, there is no

case law about these issues.

With this thesis, we tried to make clear the essential issues about excluding criminal responsibility and we hope that the research will have an impact on the interpretation of articles 32 and 38.

NOTES:

1. Internet source: Analytical blog of public information (IDFI), Court statistics 2007-2013 year, https://opendatablog.wordpress.com/2013/07/23/sasamartlo_statistika_2007_2013/. Retrieved 25.03.2016. (In Georgian)
2. Nachkebia G., 2007. General part of criminal law. Meridiani, Tbilisi p.p.5-13. (In Georgian)
3. Criminal Code of Georgia, Article 7, II part, matsne.gov.ge. (In Georgian)
4. Gamkrelidze O., 2005. Commentaries on Criminal code of Georgia, Tbilisi p. 83. (In Georgian)
5. Ibid. p. 74. (In Georgian)
6. Donjashvili T., 2002. Criminal law of Georgia (General part), Tbilisi p. 269. (In Georgian)
7. Criminal Code of Georgia, Article 34, II part, matsne.gov.ge. (In Georgian)
8. Turava M., 2011. Criminal law, General part (First part), Doctrine on Crime, Meridiani, Tbilisi p. 328. (In Georgian)
9. Ibid. p.p. 328-329. (In Georgian)
10. Criminal Code of Georgia, Chapter IX, matsne.gov.ge. (In Georgian)
11. Internet source: Sulakvelidze D., Introduction to criminal law, lecture 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl>. Retrieved 10.03.2016. (In Georgian)
12. Turava M., 2011. Criminal law, General part (First part), Doctrine on Crime, Meridiani, Tbilisi p.p. 396-397. (In Georgian)
13. Internet source: Sulakvelidze D. Introduction to criminal law, lecture 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl>. Retrieved 10.03.2016. (In Georgian)
14. Turava M., 2011. Criminal law, General part (First part), Doctrine on Crime, Meridiani, Tbilisi p. 397. (In Georgian)
15. Internet source: Sulakvelidze D. Introduction to criminal law, lecture 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl>. Retrieved 10.03.2016. (In Georgian)
16. Turava M., 2011. Criminal law, General part (First part), Doctrine on Crime, Meridiani, Tbilisi p.p. 398-399. (In Georgian)
17. Internet source: Sulakvelidze D. Introduction to criminal law, lecture 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl>. Retrieved 10.03.2016. (In Georgian)
18. Turava M., 2011. Criminal law, General part (First part), Doctrine on Crime, Meridiani, Tbilisi p.398. (In Georgian)
19. Internet source: Sulakvelidze D. Introduction to criminal law, lecture 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl>. Retrieved

- 10.03.2016. (In Georgian)
20. Turava M., 2011. Criminal law, General part (First part), Doctrine on Crime, Meridiani, Tbilisi p.399. (In Georgian)
 21. Ibid. p.400.
 22. Ibid. p.400.
 23. Internet source: Sulakvelidze D. Introduction to criminal law, lecture 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl>. Retrieved 10.03.2016. (In Georgian)
 24. Turava M., 2011. Criminal law, General part (First part), Doctrine on Crime, Meridiani, Tbilisi p.400. (In Georgian)
 25. Internet source: Sulakvelidze D. Introduction to criminal law, lecture 11, <https://www.youtube.com/watch?v=s89NPDn57bl>. Retrieved 10.03.2016. (In Georgian)
 26. Internet source: Fuller Lon L. Harvard Law Review Vol. 62, No. 4, February 1949. The case of the speluncean explorers, Retrieved 15.04.2016. (In English)
 27. Ibid.
 28. Ibid.
 29. Ibid.
 30. Georgian bar association, 2010. Tests (criminal law, volume II), Tbilisi, p. 18. (In Georgian)
 31. Internet source: Supreme Court of Georgia, <http://www.supremecourt.ge/court-decisions/criminal-cases/> Retrieved 7.04.2016. (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Nachkebia G., 2007. General part of criminal law. Meridiani, Tbilisi. (In Georgian)
2. Criminal Code of Georgia, matsne.gov.ge. (In Georgian)
3. Gamkrelidze O., 2005. Commentaries on Criminal code of Georgia, Tbilisi. (In Georgian)
4. Donjashvili T., 2002. Criminal law of Georgia (General part), Tbilisi. (In Georgian)
5. Turava M., 2011. Criminal law, General part (First part), Doctrine on Crime, Meridiani, Tbilisi. (In Georgian)
6. Fuller Lon L. Harvard Law Review Vol. 62, No. 4, February 1949. The case of the speluncean explorers. (In English)
7. Georgian bar association, 2010. Tests (criminal law, volume II), Tbilisi. (In Georgian)

ამ ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ
იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე: www.lawandworld.ge
ელ. ფოსტა: info@lawandworld.ge
გურამიშვილის გამზირი 76. თბილისი. 0141
ტელეფონი: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 99) 177 573
ფაქსი: (+995 32) 2 143 583

The online version of the journal is available on the website:
www.lawandworld.ge
E-mail: info@lawandworld.ge
76 Guramishvili ave. Tbilisi. 0141
Phone: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 99) 177 573
Fax: (+995 32) 2 143 583